მორის დრიუონი

რკინის მეფე

რომანი

ფრანგულიდან თარგმნეს **თინა კოპლატაძემ და მზია ბაქრაძემ**

VIII

მაო ბურგუნდიელი

ამავე ღამით იზაბელის კორტეჟის ორი მხედარი მობიუსონის სასახლიდან გავიდა. ესენი იყვნენ რობერ დ'არტუა და მისი მსახური ლორმე, კაცი ერთგული, საიდუმლოს შემნახავი, ომისა და მგზავრობის მოზიარე და მისანდო აღმსრულებელი ყოველგვარი საქმისა.

ლორმე ლე დოლუას რაღაც სათოკე საქმე ჩაედინა ბურგუნდიელი გრაფების კარზე, გამოქცეულიყო და დ'არტუას შეკედლებოდა. მას აქეთ თავი აღარ დაუნებებია მისთვის, არც ერთი წუთით, არც ერთი ნაბიჯით აღარ ჩამოშორებია. საოცარი იყო, როგორ ღელავდა ეს ჩამოსხმული, ბრგე და უკვე გაჭაღარავებული კაცი თავისი გოლიათი პატრონის გამო, როგორ აჩრდილივით სდევდა უკან ყველა საქმეში; ამას წინათაც ხომ გვერდში ედგა დ'ონეებისათვის ხაფანგის დაგებისას.

უკვე თენდებოდა, როცა ორი მხედარი პარიზის კარს მიადგა. გაქაფული ცხენები ნელი ნაბიჯით წაიყვანეს. ლორმემ ათიოდეჯერ დაამთქნარა. ორმოცდაათ წელს გადაბიჯებული გრძელ გზას ახალგაზრდა ეჯიბებზე უკეთ იტანდა, მაგრამ ახლა უძილობა აწუხებდა.

გრევის მოედანზე ჩვეულებისამებრ სამუშაოს მაძიებელთ მოეყარათ თავი. მეფის მოიჯარადრეები, მეფის მშენებლობათა მესვეურნი, გემთა მეპატრონენი მიდი-მოდიოდნენ, რათა დაექირავებინათ დამხმარენი, მტვირთავნი,

---

* დასასრული. დასაწყისი იხ. „ალუნჯე" № 1, № 2.

მორბედები. რობერ დ'არტუამ მოედანი გადაჭრა და მოკონსეის ქუჩას აუყვა, სადაც მამიდამისი მაო დ'არტუა ცხოვრობდა.

— ხედავ, ლორმე, — თქვა გოლიათმა, — მე მინდა მსუქანმა ძუკნამ ჩემი პირით გაიგოს თავს დატეხილი უბედურება. საცაა დამიდგეს ჟამი უდიდესი სიამოვნებისა. მინდა მამიდაჩემის სიფათი დავინახო, როცა მობიუსონის ამბავს მოვახსენებ. მინდა პონტუაზში წავიდეს, თავი დაიმციროს მეფის წინაშე. იყროყინოს, მინდა ჩაძაღლდეს!

ლორმემ გემოზე დაამთქნარა.

— ჩაძაღლდება, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თქვენ ამისათვის ყველაფერს კარგად აკეთებთ.

მათ მიაღწიეს არტუების დიდებულ სადგომს.

— ბედის უსამართლობა არ არის განა, რომ პაპაჩემის აშენებულ სადგომში ეგ პარპაშებს, — განაგრძო რობერმა, — აქ მე უნდა მეცხოვრა.

— თქვენ იცხოვრებთ აქ, მონსენიორ, თქვენ აქ იცხოვრებთ.

— მე შენ სახლთუხუცესად დაგნიშნავ და ას ლივრ შემოსავალს გაგიჩენ.

— გმადლობთ, მონსენიორ, — უპასუხა ლორმემ, თითქოს უკვე თანამდებობაც მიეღო და ფულიც ჯიბეში ედო.

დ'არტუა თავისი ამლაყიდან ჩამოხდა, სადავე ლორმეს მიუგდო, მერე კარის ჩაქუჩს ჩაავლო ხელი და რამდენჯერმე ისე დაარტყა, გეგონებოდათ, კარის შეგლეჯა უნდაო. კარი გაიღო და ზღურბლზე გამოჩნდა ბრგე დარაჯი, რომელსაც ხელთ მკლავის სიმსხო ჯოხი ეჭირა. ხმაურით აღშფოთებულმა დარაჯმა იკითხა: — მაინც ვინ არის?

რობერ დ'არტუამ მკერდზე ხელი ჰკრა და შენობაში შეიჭრა. ათიოდე მსახური და მოახლე ფართიფურთობდა ეზოსა და ტალანში. რობერმა მიყარ-მოყარა ყველა და საცხოვრებელ დარბაზებს მიაშურა.

— ეჰეი!

შეშინებულმა მსახურმა მოირბინა კასრით ხელში.

— მამიდაჩემი, პიკარ, ახლავე უნდა ვნახო მამიდაჩემი!

თავბრტყელმა და გამელოტებულმა პიკარმა კასრი დადგა და უპასუხა:

— პურს მიირთმევს, მონსენიორ!

— რაკი ეგრეა, არა უშავს, გააფრთხილე, რომ მე მოვედი. სწრაფად გაისარჯე.

რობერ დ'არტუამ შეწუხებული და აღელვებული კაცის გამომეტყველება მიიღო და მსახურს შეჰყვა ოთახში.

მაო, არტუას მფლობელი, სამეფოს პერი, ფრანშ-კონტეს ყოფილი რეგენტი, ერთი ზორბა ქალი იყო, ასე ორმოციოდე წლისა. დიდი და წარმოსადეგი აღნაგობა და მაღალი თეძოები ჰქონდა. ჩასუქებულ სახეზე ძლიერებისა და ნებისყოფის იერი ედო. ჰქონდა განიერი, წამოზნექილი შუბლი, ჯერ ისევ წაბლისფერი თმა, ვნებიანი ბაგე, ცოტა არ იყოს წითელი ტუჩები.

ყველაფერი ამ ქალისა დიდი იყო: პირისახის ნაკვთები, ხელ-ფეხი, მადა, ბრაზი, ფლობის სიხარბე, პატივმოყვარეობა, ძალაუფლების წყურვილი. მეომრის შემართებითა და კანონმდებლის თავდაჭერით უძღვებოდა არასის მამულს. ასევე პატრონობდა უწინ დოლის მიწა-წყალს, თვალს ადევნებდა მა-

მულის გამგებლებს, ითხოვდა ვასალთა მორჩილებას და უწყალოდ ურტყამდა გამოაშკარავებულ მტერს.

ძმისწულთან თორმეტი წლის ბრძოლამ კარგად გააცნო თავისი მეტოქე. ყოველთვის, როცა კი რაღაც სიძნელე იჩენდა თავს, როცა არტუას კეთილშობილნი ამბოხს მიმართავდნენ, როცა რომელიმე ქალაქი ხარჯის გადახდაზე უარს იტყოდა, მაომ იცოდა, რომ აქ ფარულად რობერის ხელი ერია.

„დაუნდობელი, დიდი ვერაგი და ცბიერი მგელია, — იცოდა ხოლმე თქმა, როცა ლაპარაკი რობერზე ჩამოვარდებოდა. — მაგრამ მე ჭკუა მიჭრის და მაგის ბოლო ის იქნება — ამდენი ჩირთიბირთი კისერს მოატეხინებს“.

რამდენიმე თვე ხმას ძლივს სცემდნენ ერთმანეთს, მხოლოდ მოვალეობის გამო ხვდებოდნენ სამეფო კარზე.

ამ დილით მაო საწოლთან მიდგმულ პატარა მაგიდას უჯდა. ნება-ნება მიერთმევდა კურდღლის პაშტეტს — დილის სუფრის პირველ კერძს.

ახლა რობერი ცდილობდა ყასიდად ეჩვენებინა მწუხარება და გულისტკივილი. მაომაც, რობერი რომ დაინახა, გულგრილი გამომეტყველება მიიღო.

— ეს რა გიჩქარია ამ უთენია, ჩემო ძმისშვილო, რა ქარაშოტივით მოვარდი? რას მივაწერო ასეთი დაშურება?

— მამიდაჩემო! — წამოიყვირა რობერმა, — ყველაფერს ბოლო მოელო.

მაო არ შეწუხებულა. ლალისფერი არბუას ღვინით ყელი ჩაისველა.

— მაინც რატომ, რობერ, კიდევ სხვა პროცესი ხომ არ წაგიგია?

— მამიდაჩემო, გეფიცებით, ახლა გესლის ფრქვევის დრო არაა. ისეთი უბედურება დაატყდა თავს ჩვენს ოჯახს, სახუმარო არაფერი მაქვს.

— მაინც ისეთი რა გამოტყვრა, რომ ორივე გაგვაუბედურა? — დაცინვით წარმოთქვა მაომ.

— მეფეს ჩავუვარდით ხელთ.

მაოს თვალებში მცირე აღელვება გაკრთა: ნეტავ რა ხაფანგს მიგებს ძმისწული, ან ეს შესავალი რის მაქნისიაო.

ყურთმაჯები აიკაპიწა თავის საკმაოდ მსუქანსა და ფუნჩულა მკლავებზე. მერე მაგიდას ხელი დაჰკრა და დაიძახა:

— ტიერი!

— სხვებთან ვერ ვილაპარაკებ, — წამოიყვირა რობერმა, — რაც ახლა მინდა შეგატყობინოთ, ჩვენს პატივსა და სახელს ეხება.

— ოჰო! ჩემს კანცლერთან ყველაფრის თქმა შეგიძლია.

ძმისწულს არ ენდობოდა და მოწმე უნდოდა.

ერთხანს თვალით აზომ-დაზომეს ერთმანეთი. მაო ფრიადი ყურადღებით ათვალიერებდა, რობერი კმაყოფილებას გრძნობდა, ეს რა კარგ კომედიას ვთამაშობო. „მოუხმე შენს ხალხს, — ფიქრობდა გუნებაში, — დაე ყველამ გაიგოს!“

უცნაური სანახავი გახლდათ ეს ერთმანეთის თვალთვალი და მტრობა ერთი ჯილაგის ამ ორი ადამიანისა, რომელთაც ამდენი რამ ჰქონდათ საერთო და მაინც ასე ძლიერ სძაგდათ ერთმანეთი.

კარი გაიღო და ტიერი დ'ირსონი გამოჩნდა, არასის ტაძრის მთავარი მერჯულე, ამჟამად მაოს კანცლერი და, როგორც ამბობდნენ, საყვარელიც. ეს იყო პატარა, სახეშეშუპებული კაცი, მრგვალი თავისა და მოგრძო, ფერ-

მკრთალი ცხვირის პატრონი. არც ბატონკაცური იერი აკლდა და არც ამპარტავნობა.

შემოსული რობერს მიესალმა, ქვემოდან ახედა გოლიათს და უთხრა:

— სტუმრობა დაგვიძვირეთ, მონსენიორ!

— ჩემს ძმისწულს, როგორც თვითონ ამბობს, უნდა დიდი უბედურება შეგვატყობინოს, — წარმოთქვა მაომ.

— ვაიმე, — თქვა რობერმა და თავს სკამზე დაჯდომის უფლება მისცა.

ხმის ამოღება დააყოვნა. მაოს მოუთმენლობა დაეტყო.

— ჩვენ არაერთხელ მოგვსვლია უთანხმოება, მამიდაჩემო, — წამოიწყო მან.

— უფრო მეტიც, ჩემო ძმისწულო, აუტანელი დავა, რაიც თქვენთვის არასახარბიელოდ დამთავრდა.

— ცხადია, ეგრე იყო! ცხადია, თქვენთვის მხოლოდ ცუდი მინდოდა, ღმერთია მოწმე.

რობერი თავის საყვარელ ეშმაკობას მიმართავდა, დიდი გულახდილობა და ცუდი განზრახვის აღიარება იმისთვის სჭირდებოდა, რომ დაემალა ის იარაღი, ხელთ რომ ეჭირა.

— მაგრამ რაც ახლა დაგატყდათ, ამას არასოდეს არ გისურვებდით, — განაგრძო მან, — თქვენ ხომ იცით, რომ ნამდვილი და სულდიდი რაინდი ვარ, როცა საქმე ჩვენს სახელს ეხება.

— რა არის ბოლოს და ბოლოს, დააყენე საშველი, — წამოიყვირა მაომ.

— თქვენს ასულებს, ჩემს მამიდაშვილებს, ბრალად ცოლქმრული ღალატი ედებათ და მეფის ბრძანებით დააპატიმრეს, მარგერიტიც მათთან ერთად...

მაო უმალვე ვერ ჩახვდა, რა ლახვარი ჩასცეს, ვერ დაიჯერა.

— საიდან იცი ეგ ამბავი?

— მამიდაჩემო, ეს უკვე მთელმა მობიუსონის კარმა იცის. წუხელ საღამოს მოხდა ეს ამბავი.

რობერს მამიდის გულის გაწვრილება სიამოვნებდა. ნაწყვეტ-ნაწყვეტ აწვდიდა ამბავს, მხოლოდ იმას ეუბნებოდა, რაც გულს უფონავდა თვითონ, ძმისშვილს.

— გამოტყდნენ? — იკითხა ტიერი დ'ირსონმა და კვლავ ქვემოდან ახედა რობერს.

— არ ვიცი, — უპასუხა რობერმა. — მაგრამ ჭაბუკ დ'ონნეებს მათ მაგივრად აალაპარაკებს თქვენი მეგობარი ნოგარე.

— ჩემი მეგობარი ნოგარე... — გაიმეორა ნელა ტიერი დ'ირსონმა, — უდანაშაულონიც რომ იყვნენ, შავზე შავი ფერი დაედებათ.

— მამიდაჩემო, — წამოიწყო რობერმა, — პონტუაზიდან პარიზამდე ათი ლიე გადმოვსერე, რათა თქვენ გამეფრთხილებინეთ. სხვას არავის მოაფიქრდა. ნუთუ ისევ ფიქრობთ, რომ ავმა განზრახვამ მომიყვანა აქ?

წუთით მაომ შეათვალიერა ძმისწული და სასოწარკვეთილმა გაიფიქრა: „იქნებ ზოგჯერ ამასაც შეუძლია კარგი საქმის ჩადენა“.

მერე პირქუშად უთხრა:

— ჭამა გინდა?

მხოლოდ ამ სიტყვაზე მიხვდა რობერი, რომ მაო თავზარდაცემული იყო.

გოლიათმა ცივ ხოხობს დასტაცა ხელი, ორად გახლიჩა და მაგრად ჩაკბი-

ჩა. უცებ დაინახა, რა უცნაურად ეცვალა ფერი მამიდამისს. ჯერ კისერი გაუწითლდა, მერე სახეზეც მოაწვა სისხლი და ბოლოს მთლად ჭარხალს დაემსგავსა. გრაფის მეუღლემ ხელი გულზე მიიდო.

„როგორც იქნა! — გაიფიქრა რობერმა, — საცაა ჩაძაღლდება!“

მაგრამ მალე იმედი გაუცრუვდა. მაო გაიმართა და ხელით კურდღლის პაშტეტი, თასი და ვერცხლის ლანგრები მოისროლა. ყველაფერი იატაკზე დავარდა დიდი ხმაურით.

— კახპები! — დაიღრიალა მან, — თავი გამოვიდე, როგორ გავათხოვე, მერეც გავისარჯე... ესენი კი ქუჩის ქალებივით ჩავარდნენ. ახია მაგათზე, დაე ყველაფერი დაკარგონ, ანწუხზე დასვან, ჩამოახრჩონ.

მერჯულე კანცლერი არ განძრეულა, მიჩვეული იყო მაო ბურგუნდიელის სიშმაგეს.

— ზუსტად მაგას ვფიქრობდი, მამიდაჩემო, — თქვა პირგამოტენილმა რობერმა, — ძალიან ცუდად დაგიფასეს ამაგი...

— ახლავე პონტუაზში უნდა წავიდე, — თქვა მაომ, არც კი გაუგონია რობერის ნათქვამი, — უნდა ვნახო ეგ კახპები და დავარიგო, რა უნდა თქვან.

— ძალიან მეეჭვება, რომ ეგ მოახერხოთ, მამიდაჩემო. ისინი საიდუმლოდ გამოკეტეს და არავის აქვს ნება...

— მაშინ მეფეს მოველაპარაკები! ბეატრის, ბეატრის!

ფარდა გადაიწია. აუჩქარებლივ შემოვიდა ოცდაოდე წლის მაღალი და შავგვრემანი ქალიშვილი, ტანსრული და კანჭმაღალი, მრგვალი და სავსე მკერდის პატრონი. როგორც კი რობერ დ'არტუამ ის ქალიშვილი დაინახა, ვნებამ შემოუტია.

— ბეატრის, შენ ყველაფერი გაიგე, არა? — ჰკითხა მაომ.

— დიახ, ქალბატონო... — უპასუხა ქალმა, ცოტა არ იყოს, დამცინავი ხმით. სიტყვას გაწელვით ამბობდა.

— მე ჩვეულებისამებრ... კარის უკან ვიდექი.

ხმაში, მოძრაობაში და მზერაში უცნაური აუჩქარებლობა ემჩნეოდა. სილბილისა და უჩვეულო სიმშვიდის შთაბეჭდილებას ახდენდა. მაგრამ თვალებში, შავ გრძელ წამწამებს შორის, დაცინვა უკიაფებდა. ცხადლივ ეტყობოდა, რომ სხვათა ჭირი, უსიამოვნება უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა.

— ეს ტიერის ძმისწულია, — უთხრა მაომ რობერს და ქალზე მიუთითა, — ჩემი პირველი სეფექალია.

პირქუში უსირცხვილობით შეათვალიერა ბეატრის დ'ირსონმა რობერ დ'არტუა. აშკარად აინტერესებდა გოლიათის გაცნობა, რამდენჯერ გაეგო, დიდი არამზადა ვინმეაო.

— ბეატრის! — წამოიწყო მაომ, — უბრძანე, ექვსი ცხენი შეაბან ეტლში, პონტუაზში მივდივართ!

ბეატრისი ისევ თვალს არ აშორებდა დ'არტუას, იფიქრებდით, ვერაფერი გაიგოო. რაღაც ჰქონდა ამ ლამაზ ასულს გამაღიზიანებელი და ამაღელვებელი. პირველივე შეხვედრიდან მამაკაცთან რაღაც იდუმალ კავშირს ამყარებდა. თითქოს ანიშნებდა, არავითარი წინააღმდეგობა ჩემი მხრივ არ იქნებაო, მაგრამ ამავე დროს მამაკაცებს საგონებელში აგდებდა: ეს ქალი მთლად სულელია თუ მშვიდად დაგვცინისო.

„ლამაზი ჩიტია! ერთ ღამეს კარგად გაგატარებინებს!“ — გაიფიქრა რობერმა, როცა ქალი დარბაზიდან აუჩქარებლივ გადიოდა.

ხოხბის ერთი ძვალიღა დარჩა და ისიც ცეცხლში ისროლა. წყურვილი იგრძნო, ბუფეტიდან აიღო თასი და ერთი გვარიანი ყლუპი მოსვა. მაო ბურგუნდიელმა სახელოები აიკაპიწა და ბოლთას ცემას მოჰყვა.

— დღეს მარტო ვერ დაგტოვებ, მამიდა, უთუოდ გამოგყვები, საქმე ხომ ჩვენს ოჯახს ეხება, — უთხრა დ'არტუამ.

მაომ ჯერ ისევ უნდობელი თვალი მიაპყრო ძმისწულს, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტა, ხელი გაეწოდებინა მისთვის.

— ვნება ბევრი მოგიყენებია ჩემთვის, რობერ. დარწმუნებული ვარ, არც მომავალში დამინდობ, მაგრამ რაც მართალია მართალია, დღეს ნამდვილი ვაჟკაცივით მოიქეცი.

IX

მეფეთა სისხლი

პონტუაზის ძველი სასახლის დაბალ და მოგრძო სარდაფში, სადაც ნოგარე ძმები დ'ონეების დაკითხვას აწარმოებდა, ნელ-ნელა იჭრებოდა დღის სუსტი ნათელი. ერთმა მამალმა იყივლა, შემდეგ ორმა და ბელურების გუნდმა ჩაუფრინა ჰაერის გასაწმენდად გაღებულ სარკმელს. კედელთან შანთი ელავდა და მისი მძაფრი სუნი ნაწამებ სხეულთა სუნს ერთვოდა. გიიომ დე ნოგარემ დაღლილი ხმით თქვა:

— შანთი!

ერთი ჯალათი, მანამდე დასასვენებლად კედელს მიყრდნობილი, სარდაფის ერთი კუთხისაკენ გაემართა ახალი შანთის ასაღებად. შანთი გაახურა მუგუზლებზე, სადაც ეყარა სხვა გავარვარებული შანთები, ამჟამად რომ აღარ სჭირდებოდათ, ძველი შანთი კედლიდან ჩამოხსნა და ახლით შეცვალა, მერე ისევ თავის ადგილს მიაშურა, სადაც მისი ამხანაგი იჯდა. ამ ორ „მწვალებელს“ (როგორც მათ ეძახდნენ) დაღლილობისაგან ჩასისხლიანებული თვალები ჰქონდათ. დაძარღვული, ბანჯგვლიანი მკლავები უჩანდათ. სისხლი მიკვროდა მათ ტყავის ფეხსაცმელს. მძაფრი სუნი სდიოდათ.

ნოგარე წამოდგა სკამიდან, სადაც დაკითხვის დროს იჯდა, და ნაცრისფერ კედელზე გამოისახა მისი აჩონჩხილი ლანდი.

სარდაფის სიღრმიდან ქშენა და ქვითინი მოისმოდა. ერთ ხმაზე კვნესოდნენ ძმები. ნოგარე მათკენ დაიხარა. ისინი უცნაურად ჰგავდნენ ერთმანეთს, ორივეს ნაცრისფერი დასდებოდათ. ცრემლის კვალი აჩნდა ერთსაც და მეორესაც. თმა ოფლითა და სისხლით შეწებებოდათ და საოცარი სიცხადით გამოკვეთოდათ თავის ქალის ფორმა. საშინლად კანკალებდნენ და დახეთქილ ბაგეთაგან კვნესა ამოსდიოდათ.

ოდესღაც გოტიე და ფილიპი ბავშვები იყვნენ, ბედნიერი სიჭაბუკე ჰქონდათ, ცხოვრობდნენ ამქვეყნად და ახარებდნენ თავის სურვილის, სიამოვნების, მისწრაფებათა თუ პატივმოყვარეობის ჭიას. როგორც მათი წრის სხვა ჭაბუკები, ისინიც სამხედრო საქმემ გაიტაცა, აქამდე დიდი ტკივილი არ განუცდიათ და არც ნამდვილი ურვა იცოდნენ. ჯერ კიდევ გუშინ ძლიერთა დასის წევრები იყვნენ და როგორ იმედებს არ ეთამაშებოდნენ. მხოლოდ ერთმა ღა-

მემ გაიარა. ამჟამად ისინი დამსხვრეული ცხოველები იყვნენ და მხოლოდ გაქრობის სურვილიღა შერჩენოდათ.

ნოგარეს სახეს არც ზიზღისა და არც სიბრალულის კვალი არ აჩნდა, ისე შეათვალიერა ახალგაზრდები და მერე წამოდგა. მას არ ეხებოდა არც სხვების ტანჯვა, არც სხვათა სისხლი, არც შეურაცხყოფა, სიძულვილი თუ მსხვერპლთა სასოწარკვეთა; გრძნობათა უგულვებელყოფა ბუნებრივი იყო ნოგარესათვის და ეს ხელს უწყობდა უკეთ მომსახურებოდა სამეფოს ინტერესებს. იგი საზოგადოებრივ კეთილდღეობას ისეთივე მოწოდებად სთვლიდა, როგორც სხვები სიყვარულს. აწამებდა რა ძმებს, ნოგარეს არ ესმოდა მათი კვნესა.

— ტამპლიერები უფრო გამძლეები იყვნენ, — მხოლოდ ესღა წამოცდა.

თანაც ეს მწვალებლები ადგილობრივნი იყვნენ, პარიზის ინკვიზიციას სხვები ემსახურებოდნენ.

ნოგარემ წელში სიმძიმე და ტკივილი იგრძნო. სიცივის ბრალიაო, — გაიფიქრა.

დააკეტინა სამერცხლულები და სამფეხს მიუახლოვდა, სადაც ჯერ კიდევ ერთი მუგუზალი ღვიოდა. ალს მიეფიცხა, მოიფშვნიტა ხელები და ოხვრით გაშალა წელი.

ორი მწვალებელი, კედელთან მიყუდებული, თითქოს თვლემდა.

მთელი ღამე წერდა ნოგარე დაკითხვის ბარათებს, რაკი მეფემ ისურვა — ნურც მდივანი და ნურც მწერალი ნუ იქნებაო. ახლა მაგიდაზე შეაგროვა ნაწერი, პერგამენტის ყდაში მოათავსა, მერე ერთი ამოიოხრა და გავიდა.

მაშინ მწვალებლები გოტიე და ფილიპ დ'ონეებს მიუახლოვდნენ და სცადეს ძმების ფეხზე წამოყენება. მაგრამ ვერ შესძლეს. ხელში აიყვანეს ავადმყოფი ბავშვებივით ეს მათგან ნაწამები სხეულები და მეზობელ საკანში წაიღეს.

პონტუაზის ძველი სასახლე, მხოლოდ ციხე და როქის სპის სადგომი, მობიუსონის სამეფო სამყოფელთან დაახლოებით ნახევარ ლიეზე მდებარეობდა. ეს მანძილი ნოგარემ ფეხით გაიარა. ახლდა სამხედრო-საპოლიციო სამსახურის ორი სერჟანტი. ჩქარა მიდიოდა. გამთენიის სიგრილეს ნესტიანი ტყის სურნელი ერთვოდა.

ხელშუბიანთა სალამს არც კი უპასუხა, ისე გადალახა მობიუსონის ეზო და შენობაში შევიდა. ყურადღება არ მიუქცევია არც იმ ჩურჩულისათვის, კვალდაკვალ რომ სდევდა, და არც კამერჰერთა და დიდებულთა უცნაური გამომეტყველებისათვის — თითქოს ღამე უთიესო მიცვალებულს მცველთა დარბაზში.

— მეფე! — თქვა მან.

ერთი ეჯიბი სასწრაფოდ წამოხტა, რათა ნოგარე ხელმწიფესთან წაეყვანა, მალე ბეჭდის მცველი სამეფო ოჯახის პირისპირ აღმოჩნდა.

ფილიპ ლამაზი იჯდა, ნიდაყვი დაეყრდნო საჯდომის სახელურზე და ნიკაპი ხელით ეჭირა. თვალები ამოღამებოდა. გვერდით იზაბელი იდგა. ჩარჩოდ ედგა ორი ოქროსფერი ნაწნავი, რაც თითქოს ქალის ხასიათის სისასტიკეს გამოხატავდა. მან მისცა უბედურებას სათავე. სხვების თვალში ის იყო უბედურების მიზეზთა მიზეზი. თვითონ კი იმ უცნაური კავშირის ძალით, დამსმენს და დამნაშავეს რომ აერთიანებს ხოლმე, თავს ბრალდებულად გრძნობდა.

მონსენიორ დე ვალუა ნერვულად აკაკუნებდა ხელს მაგიდის კიდეზე და

თავს ისე აკანტურებდა, თითქოს კისერში რაღაც აწუხებსო. მეფის მეორე ძმა, ან უფრო ზუსტად ნახევარი ძმა — მონსენიორ ლუი დე ფრანსი, გრაფი დ'ევრე — მშვიდი თავდაჭერისა და სადა ჩაცმულობის კაცი — აქ იყო.

დაბოლოს აქ იყვნენ მეფის ვაჟები, საერთო უბედურების ჯაჭვით დაკავშირებულნი. ამ სამ მამაკაცს ის-ის იყო თავს უბედურება და თავმოსაჭრელი საქმე დასტყდომოდათ. ლუი ნავარელს ნერვული ხველება ატოკებდა, ფილიპ დე პუატიეს სიმშვიდის შენარჩუნება გადაეწყვიტა და ახლა გაშეშებული იდგა. აქვე იყო შარლი, პირმშვენიერი ჭაბუკი, ვისაც პირველად დასდებოდა ჭმუნვის იერი.

— აღიარეს, ნოგარე? — იკითხა ფილიპ ლამაზმა.

— ეგრე გახლავთ, სირ! აღიარეს სამარცხვინო და საშინელი ამბავი.

პერგამენტი გახსნა ნოგარემ და კითხვა დაიწყო:

— ჩვენ, გიიომ დე ნოგარემ, რაინდმა, სამეფოს გენერალურმა მდივანმა და საფრანგეთის ბეჭდის მცველმა, ნებითა, წყალობითა და ბრძანებითა ჩვენი საყვარელი ხელმწიფისა ფილიპე IV-ისა, დღეს 1314 წლის 27 აპრილს, შუადამის 12 საათზე პონტუაზის სასახლეში ზემოთ დასახელებული ქალაქის სამხედრო-საპოლიციო სამსახურის მწვალებელთა თანდასწრებით დავკითხეთ ბატონ გოტიე დ'ონეს — გრაფ დე პუატიეს ეჯიბს და ფილიპ დ'ონეს—მონსენიორ შარლ დე ვალუას ეჯიბს.

ნოგარეს უყვარდა კარგად დასურათხატებული საქმე. ცხადია, თავდაპირველად ძმებმა უარყვეს ბრალდება, მაგრამ ბეჭდის მცველმა ისე იცოდა დაკითხვის წარმოება, რომ დიდხანს ვერავინ შეინარჩუნებდა სულის სიმტკიცეს. მან მიაღწია იმას, რომ ახალგაზრდა ვაჟებმა წვრილად აღიარეს ყველაფერი, დაასახელეს სასიყვარულო ხრიკების დაწყების ხანა, შეხვედრის თარიღები, აღწერეს ნესლის კოშკის ღამეები და არც თანამზრახველი მოსამსახურეების გვარები დაუმალავთ. დაკითხვამ დაწვრილებით გამოააშკარავა ვნებათაღელვისა და სიამის წუთები.

იზაბელს თვალი ვერ გაესწორებინა ძმებისათვის. უფლისწულებსაც ვერ გაესწორებინათ ერთიმეორისათვის თვალი. დაახლოებით ოთხი წელი ატყუებდნენ ცოლები, დაახლოებით ოთხი წელი ასხამდნენ ლაფს. ნოგარეს თვითეულ სიტყვას სირცხვილი და უბედურება მოჰქონდა.

თარიღების ჩამოთვლამ ლუი ნავარელს საშინელი საფიქრალი აუშალა: „ჩვენ ქორწინების პირველი ექვსი წელიწადი შვილი არ გვეყოლა. მერე გაჩნდა გოგონა, რაც დ'ონე მარგერიტს ჩაუგორდა ლოგინში. იქნებ პატარა ჟანა...“ მთლად დაებნა თავგზა, სისხლი მოაწვა. ერთი აზრი უტრიალებდა თავში: „ჩემი ასული იქნებ ჩემი არაა... ჩემი შვილი არაა...“

გრაფი დე პუატიე ცდილობდა წაკითხულიდან არაფერი გამოპარვოდა. ნოგარემ ვერ აიძულა დ'ონეები ეთქვათ, გრაფ დე პუატიეს მეუღლესაც ჰყავდაო საყვარელი, ვერ ათქმევინა მისი სახელი. რაკი ყველაფერი აღიარეს, საფიქრებელი იყო, ჟანას საყვარელსაც გასცემდნენ, თუკი ის არსებობდა. ჟანამ რომ ხელშემწყობის საკმაოდ მდაბალი როლი ითამაშა, ეს ეჭვს არ იწვევდა. ფილიპ დე პუატიე საგონებელს მიეცა...

— რაკი ვფიქრობთ, რომ საქმეს საკმაოდ მოვფინეთ ნათელი და ტუსაღთა ლაპარაკიც გაუგებარი გახდა, გადავწყვიტეთ ძიება დაგვესრულებინა და ჩვენი გამგებლისა და მეფისათვის მოგვეხსენებინა...

ბეჭდის მცველმა დაამთავრა... მან თავისი ქაღალდები დადო და გაჩერდა. რამდენიმე წუთიც და ფილიპ ლამაზმა ნიკაპი ასწია.

— მესიერ გიიომ, — თქვა მან, — ნათლად დაგვიხატეთ ფრიად მტკივნეული ამბავი. როცა ჩვენ განვსჯით, თქვენ ამ ქაღალდებს გააქრობთ... — და მან პერგამენტზე მიუთითა.

— რათა კვალი მხოლოდ ჩვენმა მეხსიერებამ შემოინახოს.

ნოგარემ თავი დახარა და გავიდა.

დუმილი ჩამოვარდა. შემდეგ ვიღაცამ შესძახა:

— არა!

ეს იყო უფლისწული შარლი, ის ფეხზე ადგა. ისევ გაიმეორა:

— არა! — თითქოს ვერა და ვერ გაესწორებინა თვალი სიმართლისათვის, ხელები უკანკალებდა, ლოყები შეფაკლოდა, ცრემლს ველარ იკავებდა.

— ტამპლიერები!.. — თქვა თვალარეულმა უფლისწულმა.

— რას ამბობთ, შარლ? — ჰკითხა ფილიპ ლამაზმა.

მეფეს არ უყვარდა, როცა ამ უკანასკნელ ამბავს შეახსენებდნენ. ფილიპ ლამაზს ახლაც ყურში ედგა დიდი მაგისტროსის ხმა: „წყეულიმც იყავით თქვენი მოდგმის მეცამეტე თაობამდე“. ეს წყევლა ყველას ახსოვდა, იზაბელის გარდა.

მაგრამ შარლი ამ წყევლაზე არ ფიქრობდა.

— იმ ღამეს, — ამოილუღლუღა მან, — იმ ღამეს ისინი ერთად იყვნენ.

— შარლ, — ბრძანა მეფემ, — თქვენ საკმაოდ სუსტი მეუღლე იყავით. ეცადეთ ძლიერი უფლისწული მაინც იყოთ.

ეს იყო მხარდაჭერის ერთადერთი სიტყვა, რაც უფლისწულმა თავისი მამისაგან მიიღო.

მონსენიორ დე ვალუას ჯერ არაფერი ეთქვა და მისთვის ასე ხმისამოღებლივ ყოფნა დიდი სასჯელი იყო. ახლა დრო იხელთა და აფეთქდა.

— ჯვარცმულის სისხლს ვფიცავ! — წამოიყვირა მან, — უცნაური ამბები ტრიალებს სახელმწიფოში და მეფის ჭერქვეშაც კი. რაინდობა კვდება, ჩემო ძმაო, და ამან პატივი და დიდებაც გადაიყოლა.

ამას მოჰყვა პილპილიანი კრიტიკა, მისი უაზრო მაღალფარდოვანება პირთამდე სავსე იყო ვერაგობით. მეფის მრჩევლებმა და მათმა მეთაურმა მარინიმ მოინდომეს რაინდთა ორდენების განადგურება, ამან მტკიცე ზნეობაც შეიწირა: მამაპაპური ფეოდალური უფლების შესაცვლელად რჯულის კაცები, ღმერთმა თუ იცის, რა ახალ უფლებებს არ იგონებენ, შედეგმაც მალე იჩინა თავი. ჯვაროსნული ლაშქრობების დროს ქალები კარგა ხანი მარტო რჩებოდნენ, მათ ნამუსის დაცვა იცოდნენ და ვასალი როგორ გაბედავდა მათი პატიოსანი სახელის შებღალვას. სირცხვილი და თავაშვებულება მეტი იქნება. ორი ეჯიბი...

— ერთი ეჯიბი თქვენი კარისაა, ჩემო ძმაო, — უთხრა ცივად მეფემ.

— მეორე თქვენი ვაჟის ეჯიბია! — შეესიტყვა ვალუა და გრაფ დე პუატიეზე მიუთითა.

პუატიემ ხელები გაშალა.

— ყოველი ჩვენგანი შეიძლება შეცდეს და უღირსს მიენდოს.

— და სწორედ ამიტომ, — წამოიყვირა ვალუამ, რაკი ყველაფერს თავის სასარგებლოდ იყენებდა, — იმაზე დიდი დანაშაული რა იქნება ვასალისა, რომ

პატრონის ცოლი მოხიბლოს და მისი ნამუსი შებღალოს. დ'ონეებმა თითქმის...

— ისინი უკვე მკვდრებად ჩათვალე, ჩემო ძმაო, — შეაწყვეტინა მეფემ. ფილიპ ლამაზმა ხელი აიქნია. ეს ერთსა და იმავე დროს გულგრილობის ნიშანიც იყო, საბოლოო გადაწყვეტილებისაც და უმკაცრეს განაჩენზე მეტის მთქმელიც გახლდათ, — ჩვენ გადასაწყვეტი გვაქვს უფლისწულების მოღალატე ცოლების ბედი. მაცალეთ, ძმაო ჩემო, ჯერ ჩემს ვაჟებს ვკითხო... ილაპარაკეთ, ლუი!

ლუის ის იყო ლაპარაკი უნდა დაეწყო, რომ საშინელი ხველა აუტყდა, ლოყებზე ორი წითელი ლაქა დააჩნდა. აცალეს სულის მოთქმა, მერე ლუი ნავარელმა წამოიძახა:

— მალე იმასაც იტყვიან, რომ ჩემი ასული ბუშია! აი რას იტყვიან — ბუშიაო!

— თუკი პირველი თქვენ ამბობთ ამას, ცხადია, სხვები თავს არ შეიკავებენ და ამასვე იტყვიან.

— მართალია... — თქვა შარლ დე ვალუამ, მას ჯერ ამაზე არ ეფიქრა. უცნაურად აენთო დიდი ცისფერი თვალები.

— რატომ არ უნდა ვიყვირო, თუკი ეს მართალია, — წამოიწყო წონასწორობა დაკარგულმა ლუიმ.

— გაჩუმდით, ლუი! — ბრძანა საფრანგეთის მეფემ და სკამის სახელურს დაჰკრა ხელი, — კეთილინებეთ და რჩევა მოგვეცით, რა სასჯელი ეკუთვნის თქვენს მეუღლეს.

— მოუსპონ სიცოცხლე! — წამოიძახა ლუი ბუზღუნამ. — იმასაც სიკვდილი და ორ სხვასაც. სამივეს სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი!

კბილებში გამოცრა ეს სიტყვები.

ფილიპ დე პუატიემ თვალით ანიშნა მეფეს, სიტყვა მიბოძეთო, და თქვა:

— გულის ტკივილმა დაგაბრმავათ, ლუი! ჟანას ასეთი მძიმე ცოდვა არ ადევს, როგორც მარგერიტსა და ბლანშს. უდავოდ დიდი დამნაშავეა, რაკი პაემანებს უწყობდა ხელს, ამით შებღალა თავისი ღირსება, მაგრამ მესირ დე ნოგარეს არ მიუღია საბუთი, რომ ჟანამ ცოლქმრული სარეცელი შეაგინა.

— აბა ერთი ჟანა ეწამებინა ნოგარეს და ნახავდით, თუ არ აღიარებდა. იმან ხელი შეუწყო ჩემი და შარლის სახელის მოყივნებას. თუ ჩვენი სიყვარული გაქვთ, ჟანასაც ისევე დასჯით, როგორც ორ სხვა მატყუარას.

ფილიპ დე პუატიემ მცირე ხანს შეიცადა.

— თქვენი ნამუსი ძვირად მიღირს, ლუი, მაგრამ კონტე-ფრანში არანაკლებ ფასეულია ჩემთვის.

დამსწრეებმა ერთმანეთს გადახედეს, ხოლო ფილიპმა განაგრძო: — ნავარა ნაღდად თქვენია, თქვენი დედულია. უკვე მეფე ხართ და, ღმერთმა მისმინოს და ეს ვადა რაც შეიძლება გადაიწიოს, ერთ მშვენიერ დღეს საფრანგეთის ხელმწიფეც იქნებით. მე კი მხოლოდ პუატიე მაქვს, მამის ნაწყალობევი და საფრანგეთის პერიც არა ვარ. ჩემი ცოლის ჟანას წყალობით მე ბურგუნდიის გრაფი და სალენის ბატონი ვარ. იქაური მარილის საბადოები შემოსავლის ყველაზე დიდ ნაწილს მაძლევენ. დაე ჟანა, ჩემი მეუღლე, მონასტერში გამოკეტონ, ვიდრე ეს ამბავი დავიწყებას მიეცემა. თუ თქვენი ღირსებისა-

თვისაა ეს საჭირო, სამუდამოდ დატოვონ იქ, მაგრამ სიცოცხლე კი შეუნარჩუნონ.

აქამდე გაჩუმებულმა ლუი დ'ევრემაც მხარი დაუჭირა ფილიპს.

— ჩემი ძმისწული მართალია ღვთისა და სამეფოს წინაშე! — თქვა მან გულაჩუყებით, ისე რომ მაღალფარდოვანებისათვის არ მიუმართავს, — სიკვდილი სახუმარო საქმე არაა, იგი ჩვენთვისაც დიდი სატანჯველია და არც სხვას უნდა გადავუწყვიტოთ იოლად ბრაზით დაბრმავებულებმა.

ლუი ნავარელმა ავი თვალი მიაპყრო ბიძას.

რა ხანია ოჯახში ორი ბანაკი იყო. ვალუა ლუისა და შარლს უყვარდათ. ესენი უნებისყოფონი იყვნენ, ადვილად ემორჩილებოდნენ სხვის ზეგავლენას, პირდაღებულნი შესცქეროდნენ ბიძის ფათერაკიან ცხოვრებას და რამდენიმე დაკარგულ ტახტს. სამაგიეროდ ფილიპ და პუატიე დ'ევრეს ემხრობოდა, — პირდაპირ, მშვიდ და გონიერ ადამიანს, რომელიც ზედმეტი პატივმოყვარეობით არავის აბეზრებდა თავს, კმაყოფილი იყო ნორმანდიული მამულებით და ფრიად გონივრულად განაგებდა იქაურობას.

იქ მყოფთ არ გაჰკვირვებიათ, რომ მან მხარი დაუჭირა საყვარელ ძმისწულს. ყველამ იცოდა მათი დამოკიდებულება.

უფრო გასაკვირი იყო ვალუას საქმე. ვალუამ მხურვალე სიტყვის შემდეგ მოულოდნელად უკან დაიხია. ღვთის ანაბარად მიატოვა ლუი ნავარელი და სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ წავიდა. მონასტერი მართლაც მსუბუქი სასჯელია დამნაშავეთათვის, მაგრამ აი სამუდამო პატიმრობა კი უპრიანი იქნება! ვალუამ ხაზგასმით წარმოთქვა სამუდამო პატიმრობა! — ასეთი იყო მონსენიორ ვალუას წინადადება.

ასეთი გულმოწყალება კონსტანტინოპოლის ყოფილი იმპერატორისაგან გულის ზრახვათა ბუნებრივი გამოხატულება არ გახლდათ, ამის უკან ანგარიში იდგა. ეს ანგარიში უმალვე მოუვიდა თავში, როგორც კი ლუი ნავარელმა სიტყვა „ბუში“ ისროლა. მართლაც...

მართლაც... რა მდგომარეობა იყო სამეფო შთამომავლობის მხრივ: ლუი ნავარელს მხოლოდ პატარა ჟანა ჰყავდა მემკვიდრედ, იმასაც ეს-ესაა ბუშის სახელი შეერქვა. ეს ტახტის გზაზე დაბრკოლებად დაესახებოდა. შარლს შვილი არ ჰყავდა. ცოლმა მხოლოდ მკვდარი შვილები უშვა. ფილიპ დე პუატიეს ჰყავდა სამი ქალიშვილი. ეს თავმოსაჭრელი ამბავი მათაც მოსცხებდა ჩირქს. დამნაშავენი რომ სიკვდილით დაესაჯათ, სამივე უფლისწული ცოლის მოყვანას დაეშურებოდა, მაშინ ახალი შვილები ეყოლებოდათ. თუკი მათ მეუღლეებს სამუდამოდ გამოკეტავდნენ, უფლისწულები ცოლიანები დარჩებოდნენ, ხელახლა ვეღარ დაქორწინდებოდნენ და არც შთამომავლები ეყოლებოდათ.

შარლ დე ვალუა წარმოდგენების კაცი იყო. არიან კაპიტნები, რომლებიც ომში წასვლისას ოცნებობენ, ჩვენი უფროსობა ბრძოლაში გაწყდება და არმიის სათავეში მოვექცევითო. ასეთი იყო ვალუა. როცა ლუი ბუზღუნას ჩავარდნილ მკერდსა და ფილიპ დე პუატიეს გამხდარ სხეულს უყურებდა, ფიქრობდა, ავადმყოფობას შეუძლია მოულოდნელად მუსრი გაავლოსო ფილიპ მეფის შთამომავლობას. ზოგი შეიძლება ნადირობამ იმსხვერპლოს: ეს გატეხილი შუბიო, ეს ყალყზე შემდგარი ცხენიო. არც ისე იშვიათია, როცა ბიძა ძმისწულებს ამოიჭამს ხოლმე...

— შარლ! — თქვა იმ კაცმა, ვისაც დაუხამხამებელი წამწამები ჰქონდა და ვინც საფრანგეთის ერთადერთი ნამდვილი ხელმწიფე იყო.

ვალუა შეკრთა, თითქოს შეშინდა, ხომ არ მიმიხვდნენო. მაგრამ თურმე ფილიპ ლამაზი თავის უმცროს ვაჟს მიმართავდა.

ახალგაზრდა უფლისწულმა პირისახიდან ხელები ჩამოიშორა. ის ტიროდა.

— ბლანშ, ბლანშ! მამაჩემო, ნუთუ ეს ჩაიდინა... როგორ... — წამოიკვნესა მან, — რა დაჟინებით მეუბნებოდა, მიყვარხარო, და რა ლამაზად მიმტკიცებდა სიყვარულს.

იზაბელს მოუთმენლობა და ზიზღი დაეტყო. „მამაკაცების სიყვარული! ოღონდ ხელთ მოიგდონ ქალი! ტყუილიც სჯერათ, ოღონდ სასურველი სხეული არ დაკარგონ“.

— შარლ! — დაჟინებით შეეკითხა მეფე, თითქოს გონებასუსტს ელაპარაკებაო, — რას გვირჩევთ, რა განაჩენი გამოვუტანოთ თქვენს მეუღლეს?

— არ ვიცი, მამავ ბატონო, არ ვიცი! მინდა სადმე გადავიმალო, გადავიკარგო, მე მინდა მონასტერს შევაფარო თავი.

ლამის არის ეთხოვა, მე დამსაჯეთ, რაკი ცოლმა მიღალატაო.

ფილიპ ლამაზი მიხვდა, რომ მეტს ვერაფერს გამოსძალავდა შარლს. შვილებს ისე უყურებდა, თითქოს სხვა დროს არასოდეს ენახა ისინი. მეფე ფიქრობდა პირმშოს მემკვიდრეობის კანონზე, ბუნება ზოგჯერ ცუდ სამსახურს უწევსო სამეფო ტახტს. რამდენ სისულელეს ჩაიდენს ეს მოუფიქრებელი, გულისთქმას აყოლილი და ვერაგი ლუი — მისი უფროსი ვაჟი და როგორ აუბამს მას მხარს უმცროსი ძმა, პირველივე სიდუხჭირემ სულით რომ დასცა. სამეფო ტახტისათვის ყველაზე გამოსადეგი ფილიპ დე პუატიე ჩანდა, მაგრამ ლუი მას ყურს არ ათხოვებდა, ეს აშკარა იყო.

— შენი რჩევა, იზაბელ? — ხმადაბლა შეეკითხა მეფე თავის ასულს და მისკენ დაიხარა.

— ზნედაცემული ქალი, — უპასუხა იზაბელმა, — სამუდამოდ უნდა ჩამოსცილდეს სამეფო ოჯახს, სასჯელი ხალხმა უნდა გაიგოს, დაე იცოდნენ, რომ სამართალი მეფის თანამეცხედრისა და ასულის მიმართ გაცილებით მკაცრია.

— კარგი აზრია! — თქვა მეფემ.

მის შვილთაგან იზაბელი ყველაზე კარგი მეფე იქნებოდა.

— განაჩენს მწუხრის ლოცვამდე გამოვიტანთ, — თქვა მეფემ და წამოდგა.

ის წავიდა, რათა თავისი უკანასკნელი გადაწყვეტილების გამო დათათბირებოდა მარინისა და ნოგარეს.

X

ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲨᲘ

მთელი გზა პარიზიდან პონტუაზამდე მაომ ფიქრში გაატარა. მეფის მრისხანების დასაოკებელ საბუთს ეძებდა, მაგრამ ფიქრისათვის თავის გართმევა ძალიან უმძიმდა. აურაცხელი დარდი აშლოდა. შიშიც გვარიანი ჰქონდა. ბრაზი მოსდიოდა ქალიშვილების სიგიჟეზე, მათი ქმრების სისულელეზე, მათი საყვარლების უნდილობაზე. გუნებაში ურისხდებოდა ყველას, ვინც ჭკუათხე-

ლობითა თუ სიამოვნების ტრფიალებით გასწირა მაო და წყალი შეუყენა მის ძლიერების მონდომებით აგებულ შენობას. რა დაემართებოდა მაოს, მეფის გაგდებული რძლების დედას? მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რამდენადაც შეიძლებოდა, ფლასით შეემოსა ნავარის დედოფალი, მთელი დანაშაული მისთვის დაედო ბრალად. მარგერიტი მისი შვილი არ იყო. თავისი შვილების დანაშაულს ცუდ მაგალითს დააბრალებდა...

რობერ დ'არტუამ წაიყვანა ამალა, თითქოს სულითა და გულით უნდა თავისი გულმოდგინეობა დაამტკიცოსო. ესიამოვნა, როცა დაინახა, როგორ ამხედრდა მერჯულე-სახლთუხუცესი, როგორ აკვნესდა მამიდა მაო. ყოველთვის, როცა ტახტრევანს ჯორები შეარხევდნენ და იქიდან კვნესის ხმა გამოისმოდა, რობერი თითქოს შემთხვევით ცხენს აჩქარებდა. თვით მაომ შვებით ამოისუნთქა, როცა ხეების თავზე მობიუსონის კოშკები გამოჩნდა.

მალე სასახლის ეზოში შევიდნენ. იქ ჩამიჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ ხელშუბიანთა ფეხის ხმა აღღვევდა სიჩუმეს.

მაო ტახტრევნიდან ჩამოვიდა და მოდარაჯე ოფიცერს ჰკითხა, მეფე სადაა.

— კაპიტულშია, ქალბატონო, მსჯავრი გამოაქვს.

მაო სააბატოსაკენ გაემართა რობერისა, ტიერი დ'ირსონისა და ბეატრისის თანხლებით. მიუხედავად დაღლილობისა, ჩქარი და მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა. იმ დღეს კაპიტულის დარბაზი უჩვეულო სანახაობას წარმოადგენდა. მკაცრ თაღთა ქვეშ, სადაც ჩვეულებრივ მონაზვნები იკრიბებოდნენ, დღეს საფრანგეთის სამეფო კარი გაშეშებულიყო ფილიპ ლამაზის წინაშე.

მაოს შესვლაზე რამდენიმე რიგი მისკენ მოტრიალდა და ჩურჩული გაისმა. ნოგარეს ხმა წუთით შეწყდა. მაომ დაინახა გვირგვინოსანი და ხელსკიპტროსანი ხელმწიფე, რომელსაც ფართოდ გაეღო დიდი, უძრავი თვალები.

სამართლის განჩინების საშინელ ვალს ასრულებდა მეფე და თითქოს სამყაროს გარეთ იდგა, თუ უფრო ვრცელ ამყაროსთან იყო წილნაყარი, ვიდრე ეს ხილული ქვეყანა იყო.

გვერდით ესხდნენ დედოფალი იზაბელი, მარინი, შარლ დე ვალუა, ლუი დ'ეგრე, სამი უფლისწული და რამდენიმე დიდი ფეოდალი. შემაღლებულ ადგილს სამი ჩია მონაზონი დაჩოქილიყო, ძირს დაეხარათ გადაპარსული თავები. ალენ დე პარეი აქვე იყო, ცოტა მოშორებით იდგა და ხელები მახვილის ვადაზე დაეყრდნო.

„მადლობა ღმერთს, — გაიფიქრა მაომ, — დროზე მოვედი, ვიღაცეებს სჯიან, ეტყობა, ჯადოქრობასა და სოდომის ცოდვას აბრალებენ“. ის იყო შემაღლებული ადგილისაკენ აპირებდა წასვლას, სადაც მას შეეფერებოდა ჯდომა, როგორც სამეფოს პერს, რომ იგრძნო, როგორ მოეკვეთა ფეხი. უცებ ერთმა მუხლმოდრეკილმა მონანიემ თავი ასწია და... მაომ ბლანში შეიცნო. მეფის რძლებისათვის თავი მოეპარსათ. სამივეს ხამი ეცვა. ყრუ გმინვით შეტორტმანდა მაო, თითქოს ვიღაცამ მუცელში ჩაარტყაო. ანგარიშმიუცემლად ჩამოეკიდა ძმისწულის მკლავზე, იმიტომ რომ იქ სხვა არავის მკლავი არ იყო.

— ერთობ დავიგვიანეთ, მამიდა, ერთობ, — უთხრა რობერ დ'არტუამ. იგი ნასიამოვნები ჩანდა შურისძიებით.

მეფემ ბეჭდის მცველს ანიშნა და იმანაც განაგრძო განაჩენის კითხვა:

—... და ზემორე დასახელებულ ჩვენებათა და აღიარებათა თანახმად, რა-

მაც უეჭველი გახადა ღალატი ზემორე დასახელებული ქალბატონებისა, მონსენიორ ნავარის მეფის მეუღლე მარგერიტი და მონსენიორ შარლის მეუღლე ბლანში გამოკეტილი იქნებიან შატო გაიარის ციხე-სიმაგრეში და იქ გაატარებენ ღვთისაგან მონიჭებულ დღეთა დარჩენილ ნაწილს“.

„სამუდამო პატიმრობა, — ჩაიჩურჩულა მაომ, — სამუდამო პატიმრობა...“

„ქალბატონი ჟანა — ბურგუნდიის ფალცგრაფინია და სენიორ დე პუატიეს მეუღლე... არ იქნა დადასტურებული, რომ მას სარეცელი შეეგინებინოს, ეს ცოდვა ვერ დაბრალდება, მაგრამ დადგინდა, რომ ხელს უწყობდა დანაშაულს, ამიტომ ისიც გამოკეტილი იქნეს დურდანის კოშკში იმ ვადით, რაც მონანიებას სჭირდება და ვიდრე მეფის ნება იქნება“.

ჩამოდგა სიჩუმე. ამ დროს მაომ ნოგარეს შეხედა და გაიფიქრა: „სულ ამ ქოფაკის საქმეა, მაგას არ ასვენებს თვალთვალის სიშმაგე, დაბეზღებისა და წამების ცოფი. მაგას არ შევარჩენ, სულს ამოვართმევ“.

ბეჭდის მცველს ჯერ არ დაემთავრებინა კითხვა:

— ასევე ბატონები გოტიე და ფილიპ დ'ონეები, რომელთაც შეურაცხყვეს ღირსება, უღალატეს ფეოდალურ უფროს-უმცროსობის რიგს და შეაგინეს სამეფო საწოლი, ოთხში ამოიღონ, დაასაჭურისონ, თავი მოკვეთონ და ჩამოახრჩონ პონტუაზის საჯარო სახრჩობელაზე ხვალ დილით. ასე განსაჯა ჩვენმა ბრძენმა, მძლეთამძლე და გულით საყვარელმა მეფე ბატონმა.

მეფის რძლებს მხრები შეუკანკალდათ, როცა ნოგარემ ის ტანჯვანი ჩამოთვალა, რაც მათ საყვარლებს ელოდათ. ბეჭდის მცველმა თავისი პერგამენტი დაახვია და მეფეც წამოდგა. დარბაზიდან ხალხი დაიძრა. გაუთავებელი ჩურჩული ისმოდა ლოცვას ნაჩვევ კედლებში. მაო ბურგუნდიელმა დაინახა, რომ ყველა ჩამოსცილდა, ყველა თვალს არიდებდა, უნდოდა თავის ქალიშვილებისაკენ წასვლა, მაგრამ ალენ დე პარეიმ გზა გადაუღობა.

— არა, ქალბატონო, — თქვა მან, — მეფემ მხოლოდ თავის ვაჟებს მისცა უფლება გამოეთხოვონ ცოლებს და მოისმინონ მათი სინანული.

მაო მაშინვე მეფისაკენ შეტრიალდა, მაგრამ მეფე უკვე იქ აღარ იყო. არც ლუი ნავარელი და ფილიპ დე პუატიე ჩანდნენ.

უფლისწულთაგან მხოლოდ შარლი დარჩენილიყო. ის ბლანშს მიუახლოვდა.

— მე არ ვიცოდი... მე არ მინდოდა, შარლ... — ამოილუღლუღა ბლანშმა და აქვითინდა.

სამართებელს მის გაპარსულ თავზე პატარა წითელი ლაქები დაეტოვებინა. მაო იქვე იდგა, სეფექალსა და მერჯულეს დაყრდნობილი.

— დედაჩემო, — დაუყვირა მას ბლანშმა, — უთხარი შარლს, მომიტევოს.

ჟანა დე პუატიე ყურებს იფარავდა. ნაჩვევი არ გახლდათ ყურის სიშიშვლეს.

რობერ დ'არტუა კარის სიახლოვეს ერთ სვეტს მიყრდნობოდა და ხელებდაკრეფილი შეჰყურებდა თავის ნამოქმედარს.

— შარლ, შარლ... — იმეორებდა ბლანში. სწორედ ამ დროს გაისმა იზაბელ ინგლისელის ცივი ხმა:

— გულს ნუ მოიმდედრებთ, შარლ, თქვენ უფლისწული ხართ! — ამ სიტყვებმა მესამე ბრალდებულის, მარგერიტ ბურგუნდიელის საშინელი გახელება გამოიწვიეს.

— გულს ნუ მოიმდედრებ, შარლ, სიბრალული არ გაიკარო, — წამოიყვირა მან, — იზაბელს მიბაძეთ — თქვენს დას, მაგას არ შეუძლია გაიგოს სასიყვარულო ალმაფრენა. მას მხოლოდ სიძულვილი და ბოლმა უტრიალებს გულში. ეგ რომ არა, თქვენ ვერაფერს გაიგებდით. თქვენც სძულხართ. ყველანი ვეჯავრებით.

იზაბელმა მარგერიტს ცივი ბრაზით შეხედა.

— ღმერთმან შეგინდოთ შეცოდებანი თქვენნი.

— უმალ მე მომიტევებს ღმერთი შეცოდებას, ვიდრე ბედნიერს გყოფს შენ!

— მე დედოფალი ვარ... — შეეპასუხა იზაბელი, — თუ ბედნიერება არა მაქვს, სკიპტრა და სამეფო ხომ ჩემია და იმათ ვცემ პატივს.

— მე თუ ბედნიერება არ მხვდომია წილად, სიამოვნება მაინც ვიგემე, საწუთროს ყველა გვირგვინის ფასი. რა მაქვს სანანებელი!

გვირგვინოსანი მულის პირისპირ იდგა მარგერიტი. თავდახრილი, სახემწუხარე და ცრემლისაგან დასველებული, მაინც პოულობდა ძალას დაეგესლა იზაბელი, შეურაცხეყო იგი და თავი დაეცვა.

— იდგა გაზაფხული, — თქვა მან სულმოუთქმელად, — იყო საყვარელი მამაკაცისა სითბო და ძალა მამაკაცური. ბედნიერება ტრფიალების გაცემისა და ტრფიალების მიღებისა... ყველაფერი, რაც შენთვის უცხოა, გინდა განიცადო, სურვილით კვდები, მაგრამ სულ მუდამ უცნობი დაგრჩება. საწოლში დიდად მიმზიდველი არ უნდა იყვე, რაკი შენი ქმარი სიამოვნებას ბიჭებუჭებში დაეძებს.

იზაბელს პასუხის თავი აღარ ჰქონდა და ნიშანი მისცა ალენ დე პარეის.

— არა, — დაიყვირა მარგერიტმა, — მესიერ ალენ დე პარეისთვის თქვენ არაფერი გაქვთ სათქმელი, მე უკვე მიბრძანებია მისთვის და ერთიც იქნება, კიდევ ვუბრძანებ ერთ დღეს. კიდევ ერთხელ დაიტანჯები, რაკი ჩემი ბრძანება უნდა შეასრულოს.

მან ზურგი აქცია იზაბელს და ხელშუბიანთა უფროსს ანიშნა, მზად ვარო. სამი მისჯილი ქალი გავიდა. მცველების თანხლებით გადაჭრეს მობიუსონის ეზო და საკანისაკენ გასწიეს.

როცა ალენ დე პარეიმ კარი მიუხურა, მარგერიტი საწოლისაკენ გაიქცა, პირქვე დაემხო და ზეწარს დაუწყო კბენა.

— ჩემი თმა, ჩემი ლამაზი თმა, — ქვითინებდა ბლანში.

ჟანა დე პუატიე ცდილობდა გაეხსენებინა, როგორი იყო დურდანის კოშკი.

XI

წამება

ვინც ღამე მოუსვენრად გაატარა და სულ მომხდარ ამბავზე ფიქრობდა, იმათთვის დილას შეაგვიანდა.

პონტუაზის ციხეში, თივის ბულულზე ერთმანეთის გვერდით იწვნენ ძმები დ'ონეები და სიკვდილს ელოდნენ. ბეჭდის მცველის ბრძანებით ძმებს კარგად უვლიდნენ, მათ ჭრილობებს პირი შეეკრათ, გულის ცემა უკეთესი ჰქონ-

დათ, დაბეჟილ სხეულს ოდნავ შემატებოდა ძალა, რათა უკეთ განეცადა წამება, რასაც უმზადებდნენ.

არავის სძინებია მობიუსონში — არც მსჯავრდებულ რძლებს, არც მათ მეუღლეებს, არც მაოს, თვით მეფის თვალსაც არ გაეკარა ძილი. არც იზაბელს ეძინა, იმდენად შეძრა იგი მარგერიტის სიტყვამ.

სამაგიეროდ რობერ დ'არტუა, როგორც შეეფერება ცხენდაცხენ ოცი ლიეს დამფარავ კაცს, მოცელილივით დაეცა ფუნდუკის პირველ საწოლზე, ისე რომ ჩექმებიც არ გაუხდია.

ლორმემ გამთენიისას შეანჯღრია პატრონი, რათა რობერი თავის მსხვერპლთა დასჯის სიამოვნებას არ მოჰკლებოდა.

სააბატოს ეზოში სამი დიდი ფორანი ჩალაგდა, შავად მოჩარდახული, და მესირ ალენ დე პარეიმ სამოცი მხედარი ჩაამწკრივა დილის ჟიჟმატ სინათლეზე. ამათ რკინის ჩაჩქნები ეხურათ და ჯავშანი ეცვათ. ეს ამალა ჯერ დურდანისკენ უნდა წასულიყო, მერე ნორმანდიისაკენ.

სასახლის ერთი ფანჯრიდან მაო ბურგუნდიელი იცქირებოდა, შუბლი მიეყრდნო შუშისათვის და განიერი მხრები უტოკავდა.

— ტირით, ქალბატონო? — ჰკითხა ბეატრის დ'ირსონმა თავისი გაწელილი ხმით.

— მეც შეიძლება ავტირდე, — მკვახედ გამოეხმაურა მაო.

მერე რაკი დაინახა, რომ ბეატრისი გამოწყობილი იყო, იკითხა, — რაო, გარეთ გადიხარ?

— დიახ, ქალბატონო, მინდა წამება ვნახო... თუ ნებას დამრთავთ.

როცა ბეატრისი მარტრუას მოედანზე — დ'ონეების სიკვდილით დასჯის ადგილზე მივიდა, იქაურობა ხალხით იყო სავსე. გათენებიდანვე მოაწყდა ხალხი მოედანს. აქ იყვნენ მოქალაქენი, გლეხები, ჯარისკაცები; ვისი სახლიც მოედანზე იდგა, იმას კარგ ფასად გაექირავებინა ქუჩაში გამავალი ფანჯრები. რამდენიმე რიგი ჩანდა ჩაჭედილი თავებისა.

მაცნეებმა წუხელვე გამოაკრეს მთელ ქალაქში განაჩენი... ოთხში ამოღება, ცოცხლად გატყავება, დასაჭურისება, თავის მოკვეთა... მაცქერალთა ცნობისმოყვარეობას აღიზიანებდა ის გარემოება, რომ მსჯავრდებულნი ახალგაზრდები, მდიდრები და წარჩინებულნი იყვნენ, თანაც მათ ბრალად ედებოდათ სასიყვარულო დანაშაული.

ეშაფოტი ღამე აღემართათ. ერთმანეთის გვერდით იყო განლაგებული ორი ბორბალი, იქვე იყო საჯალათო კუნძი, უკან სახრჩობელა ჩანდა.

ორი ჯალათი მოსულიყო. სწორედ ისინი, ვინც დ'ონეები დაჰკითხა. ახლა წითელი ქუდები ეხურათ და წითელი ქურთუკები ეცვათ. პატარა კიბით შემაღლებულ ადგილისაკენ გაემართნენ, უკან ორი მწე მოსდევდა და თან იარაღის სკივრები მოჰქონდათ. ერთმა ბორბალი დაატრიალა და ჭრაჭუნი დააწყებინა. ბრბომ სიცილი დაიწყო, თითქოს ჯამბაზობას უყურებსო. ერთმა-ორმა იხუმრა კიდეც, ერთმანეთს ნიდაყვები ჰკრეს. ხელიდან ხელში გადადიოდა ღვინის ფიალა, ბოლოს მიაღწია ჯალათებამდე, იმათაც დალიეს ღვინო და ბრბომ ტაში დაუკრა.

როდესაც გამოჩნდა ხელშუბიანებით გარშემორტყმული ფორანი, დ'ონეები რომ მოჰყავდა, გუგუნის ძალუმი ხმა აიჭრა მოედნიდან და, რაც უფრო მოახლოვდა ფორანი, მით უფრო გაძლიერდა. საძრაობა დაჰკარგოდა ორივე

ძმას. თოკებით ფორნის ჭალებზე იყვნენ მიბმულნი. ეს რომ არა, ფეხზე დგომას ვერ შეძლებდნენ. ქამრებზე ქისები უბრწყინავდათ. აქვე იყო მღვდელი, ვისაც მათი სააღსარებო ლუღლუღი და უკანასკნელი სურვილი უნდა მოესმინა.

დ'ონეებს არაფრის თავი არ ჰქონდათ, ისე იყვნენ სასოწარკვეთილნი და ქანცგაცლილები, თითქოს არც კი ესმოდათ, რა ხდებოდა გარშემო. ჯალათების მწვეებმა შემაღლებულ ადგილზე აათრიეს და ტანთ გახადეს.

გაშიშვლებულ მსჯავრდებულთა დანახვაზე ბრბო აღტაცებამ მოიცვა და ღრიალი დაიწყო. აქა-იქ გაისმა ბილწსიტყვაობა და გადაკრული სიტყვები. ორი კეთილშობილი კაცი ბორბლებზე გააკრეს, პირი ცისაკენ აქნევინეს, მერე მცირე ხანი შეიცადეს.

მძიმე ნაბიჯით წარედინა დრო. ერთი ჯალათი საჯალათო კუნძზე დაჯდა, მეორემ სალოკი თითით ნაჯახს პირი გაუსინჯა. ბრბოს მოუთმენლობა დაეტყო, შეკითხვებს ისროდნენ. მღელვარება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

უცებ მიხვდნენ ამ შეყოვნების მიზეზს. დიდი ქუჩის თავში გამოჩნდა სამი ფორანი. ფორნებზე სანახევროდ ჩამოეხსნათ ჩარდახი. დასჯისათვის მეტი სინატიფე რომ მიენიჭებინათ, ნოგარემ მეფესთან შეთანხმებით ბრძანა, ქმრის მოღალატეებიც დაესწრონო წამებას.

მაყურებელთა ინტერესი ორად გაიყო. ერთი მხრივ იყო ორი შიშველი მსჯავრდებული და მეორე მხრივ თავგადაპარსული და დატყვევებული მეფის რძლები. ბრბო ამოძრავდა და ხელშუბიანებმა საგანგებო ზომებს მიმართეს ხალხის შესაკავებლად.

ეშაფოტის დანახვისთანავე ბლანშს გული შეუწუხდა. ფორნის რკინებს ჩაჭიდებული ჟანა ხალხს უყვიროდა:

— უთხარით ჩემს მეუღლეს, უთხარით მონსენიორ ფილიპს, რომ მე უდანაშაულო ვარ.

აქამდე მტკიცედ ეჭირა თავი, მაგრამ ახლა გამძლეობამ უღალატა. ქუჩის უქნარები სიცილით ანიშნებდნენ ერთმანეთს ჟანაზე, თითქოს ის გალიაში გამომწყვდეული ცხოველი იყო. ავყია ქალები შეურაცხყოფას აყენებდნენ მას.

მხოლოდ მარგერიტ ბურგუნდიელს შერჩენოდა სიმამაცე, მხოლოდ მან მიაპყრო თვალი მსჯავრდებულებს. ხალხში კითხულობდნენ, იქნებ შემზარავ სიამოვნებას განიცდის იმის გამო, რომ ასე საქვეყნოდ გატიტვლებულს ხედავს მამაკაცს, მათ ერთობლივ სიამტკბილობას რომ უნდა დასდებოდა მსხვერპლად.

როდესაც ჯალათებმა მსჯავრდებულთა ძვლების დასამტვრევად იარაღი აღმართეს, მარგერიტმა დაიღრიალა: — ფილიპ! — მაგრამ ეს ხმა ტკივილს არ გამოწატავდა.

ჭახაჭუხი გაისმა, ძმებს თვალთ დაუბნელდათ. ჯერ ფეხები და თეძოები დაუმტვრიეს, მერე სანახევროდ მიატრიალეს ბორბლები და იარაღი დაარტყეს ხელებზე. ამ დარტყმისას იარაღიც ისეთ ხმას გამოსცემდა, როგორც ძვლები.

მერე ჯალათებმა, რომლებიც ზუსტად მისდევდნენ წამების წესს, რამდენიმე კაუჭიანი რკინის იარაღი მოიმარჯვეს და ნაგლეჯ-ნაგლეჯ მოაშორეს ამ სხეულებს კანი.

სისხლი მოთქრიალებდა, უხვად ედინებოდა შემაღლებულ ადგილს. ერთი

ჯალათი იძულებული გახდა სისხლი მოეწმინდა. ამგვარი წამება ამტკიცებდა, რომ ჯალათთა ტანისამოსის წითელი ფერი აუცილებლობით იყო გამოწვეული.

„ოთხში ამოღება, დასაჭურისება, თავის მოკვეთა“. დ'ონეების სხეულებს შეიძლება კიდევ შერჩენოდათ სიცოცხლის ნატამალი, გრძნობა და ცნობიერება კი სამუდამოდ გაყროდა მათ.

ისტერიის ტალღამ ააფორიაქა დამსწრენი, როცა ჯალათებმა მეყასბის გრძელი დანებით დამნაშავე საყვარლები დაასაჭურისეს. ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ, რათა უკეთ დაენახათ სანახაობა. ქალები ქმრებს მისჩერებოდნენ.

— შენც მოგიხდებოდა ეს საქმე, სქელო ბებერო.

— აი, რა გელის, თუ ამათ მიბაძავ!

ჯალათებს იშვიათად ჰქონიათ შემთხვევა თავისი ნიჭის გამოჩენისა და ისიც ასეთი გულმხურვალე საზოგადოების წინაშე. მათ ერთმანეთს ჩაუკრეს თვალი და ჯამბაზთა კარგად გამოთვლილი მოძრაობით ჰაერში მოიქნიეს ცოდვის მიზეზი.

ერთმა ხუმარამ დაიყვირა: ეგ მეფის რძლებს მიართვითო, და ბრბომ გადაიხარხარა.

წამებულნი ბორბლებს მოხსნეს და ჯალათის კუნძამდე მიათრიეს. ნაჯახის პრიალა პირმა ინათა ორჯერ. მწეებმა სახრჩობელისაკენ წაიღეს ორი ლამაზი ეჯიბის ნეშტი. ორი დამსხვრეული სხეული, გასისხლიანებული, თავმოჭრილი და დაკოდილი, ძლივს მიამაგრეს იღლიებით სახრჩობელის კაუჭს.

მაშინათვე ალენ დე პარეის ბრძანებით სამი შავი საზიდარი, ჩაჩქანებიანი მხედრებით გარშემორტყმული, გზას გაუდგა და სერჟანტებმა მოედნის დაცარიელება დაიწყეს.

ნელ-ნელა იშლებოდა ბრბო. ყველას სურდა ახლო ჩაევლო ეშაფოტთან და კიდევ ერთხელ გაეხედა იქით. მერე პატარა-პატარა ჯგუფებად გაუდგნენ გზას... ზოგი თავის სამჭედლოს მიუბრუნდა, ზოგი საყასბოს, ერთმა დუქანს მიაშურა, მეორემ ბაღს, რათა მშვიდად გაეგრძელებინა თავისი სამუშაო.

იმ დროს სიკვდილი ფრიად გაშინაურებოდა ხალხს, რადგანაც ნახევარი ქალებისა ლოგინობისას კვდებოდა. ბავშვთა ორ მესამედს აკვანში ამოსდიოდა სული, ჭირი და სახადი მუსრს ავლებდა მოზრდილებს, ეკლესიაც ამ ქვეყნიდან წასვლას ქადაგებდა. საქაოს გაყრას ჩააგონებდა ხალხს ხელოვნების ნიმუშები, ჯვარცმანი, წამებანი, განკიცხვის დღე, საფლავად დადება, ასე რომ ხალხის ერთი წამით აღელვება მხოლოდ განსაკუთრებულ სიკვდილს თუ შეეძლო.

იმ დროს, როდესაც ჯალათის მწეები წამების იარაღს წმენდნენ, ხოლო ერთი მუჭა უქნარები ჯერაც არ გასცლოდნენ დასჯის ადგილს, ორი ჯალათი მსხვერპლთა ნივთებს იყოფდა. წესით მათ უფლება ჰქონდათ, მიესაკუთრებინათ ყველაფერი, რაც წელს ქვემოთ აღმოაჩნდებოდათ დასჯილებს. ეს მათი სამუშაოს ერთ-ერთი სარფა იყო.

ასე რომ ინგლისის დედოფლის მიერ გამოგზავნილი ქისები, იშვიათი ნადავლი, პონტუაზის ჯალათების ხელთ აღმოჩნდა.

ჯალათებს ერთი ლამაზი, მაღალი წოდების ახალგაზრდა ბანოვნის შესაფერისად ჩაცმული ქალი მიუახლოვდა და დაბალი, გაწელილი ხმით ითხოვა ერთ-ერთი წამებულის ენა.

— ამბობენ, ქალურ ავადმყოფობას შველისო, — თქვა მან, — სულ ერთია, რომლის ენა იქნება.—ჯალათებმა იჭვით შეხედეს, რაიმე ჯადოს გაკეთებას ხომ არ აპირებსო. კარგად იყო ცნობილი, რომ ჩამოხრჩობილის ენა და ისიც პარასკევს ჩამოხრჩობილის ენა. ეშმაკის გამოხმობას უწყობდა ხელს. მაგრამ განა თავმოკვეთილის ენასაც შეეძლო იგივე უნარი გამოეჩინა?

ვინაიდან ბეატრის დ'ირსონს მუჭაში ერთი ლამაზი, ლაპლაპა მონეტა ჰქონდა, ისინი დაეთანხმნენ და ახალგაზრდა ქალის სურვილი აასრულეს.

— მხოლოდ ენა გნებავთ? — დამცინავად უთხრა უფრო სქელმა ჯალათმა, — ანგარიშის საქმე არ არის? სხვა რამესაც მოგცემთ.

მართლაც უჩვეულო იყო ეს დღე...

პუასის გზაზე სამი შავი ფორანი ნელა მიემართებოდა. ერთი თავგადაპარსული ქალი ყოველ სოფელში ჯიუტად უყვიროდა ჭიშკართან გამოფენილ გლეხებს:

— უთხარით მონსენიორ ფილიპს, რომ მე დამნაშავე არა ვარ, რომ მე არ შემირცხვენია ქმარი.

XII

ღამეული შიკრიკი

იმ დროს, როდესაც მარტრუას მოედნის ყვითელ მიწაზე დ'ონეების სისხლი ხმებოდა, როდესაც ძაღლები მირბოდნენ და ღრენა-ღრენით სუნავდნენ მიწას, მობიუსონი ნელ-ნელა ივიწყებდა განცდილს. მეფის სამი ვაჟი მთელი დღე არავის უნახავს. არავინ ხლებია მათ, მათ სამსახურში მყოფ კეთილშობილთა გარდა.

მაო ამაოდ დაშვრა. ვერ ეღირსა ფილიპ ლამაზის ნახვას. ნოგარემ განუცხადა, მეფე მუშაობს და არ სურს ვინმემ შეაწუხოსო. „სულ ამ ძაღლის მოწყობილია ყველაფერი, ახლაც გზაზე მეღობება და მეფესთან შესვლას მიშლის". ყველაფერი არწმუნებდა მაოს, რომ სწორედ ბეჭდის მცველი იყო მისი შვილების დაღუპვისა და პირადად მისი დამცრობის მთავარი მიზეზი.

— ღმერთი მოწყალეა, მესიო ნოგარე, ღმერთი მოწყალეა, — უთხრა ნოგარეს მუქარით, მერე თავის ტახტრევანში ჩაჯდა და პარიზში გაემგზავრა.

მობიუსონში სხვა ვნებანი, სხვა ინტერესები ტრიალებდა. მეფის რძლების მახლობელნი ინტრიგის ახალ ქსელს ქსელავდნენ, რათა სასწრაფოდ მიეჩქმალათ მეგობრობა, გუშინ საამაყოდ რომ მიაჩნდათ. შიში და პატივმოყვარეობა აფუთფუთდა, რათა ხელახლა ახალი ნაუშის მიხედვით დაეკემსათ უხეშად ჩაფხრეწილი ტილო.

რობერ დ'არტუას იმდენი მოხერხება აღმოაჩნდა, თავისი გამარჯვება არ გამოეფინა. იცდიდა, როდის დამიდგებაო ნაყოფის მოკრეფის ჟამი. უკვე დაძრულიყო მისკენ ის პატივი, რაც ბურგუნდიელთა გვარის საკუთრება იყო.

საღამოს მეფის ვახშამზე დაპატიჟეს და ეს ნიშნავდა, რომ აღზევების გზას დაადგა.

ვახშამი მცირე იყო. გლოვის ვახშამს მოგაგონებდათ. იქ იყვნენ ფილიპ ლამაზის ძმები, მისი ასული, მარინი, ნოგარე და ბუვილი. სიჩუმე სუფევდა ვიწრო და გრძელ დარბაზში, სადაც ვახშმის სუფრა გაეშალათ. თვით შარლ დე ვალუაც კი არ იღებდა ხმას. მწევარი ლომბარდი თითქოს გრძნობდა შექმნილ უხერხულობას, ბატონის ფეხებს მოსცილდა და ბუხრის წინ დაწვა.

რობერ დ'არტუა დაჟინებით ცდილობდა თვალი გაესწორებინა იზაბელისთვის, მაგრამ ქალი ასეთივე გულმოდგინებით არიდებდა თვალს. უნდოდა ჩაეგონებინა ბიძაშვილისათვის, მე თვითონ როგორ დამძლევენ ვნებანი, რომელთა გამო ერთობლივ ვებრძოდითო დამნაშავე რძლებს და მხოლოდ სამართლიანობისათვის ბრძოლაში ვიყავიო თანამდგომელნი.

„მე სიყვარული არ მიწერია და ჩემს ბედს უნდა დავემორჩილო". გუნებაში იმასაც აღიარებდა, რომ ეს მორჩილება უმძიმდა.

მაშინ, როცა მსახურთ ახალი კერძები შემოჰქონდათ და პურს უცვლიდნენ ინახად მსხდომთ, ლედი მორტიმერი შემოვიდა და პატარა უფლისწული შემოიყვანა, რათა მას ძილის წინ დედისთვის ეკოცნა.

— მადამ დე ჟუანვილე, — მეფემ ქალიშვილობის გვარით მიმართა სეფექალს, — მომიყვანეთ ჩემი ერთადერთი შვილიშვილი — ვაჟი.

იქ მყოფთ შეამჩნიეს მეფეს, როგორ წარმოთქვა მან სიტყვა „ერთადერთი". ფილიპ ლამაზმა აიყვანა ბავშვი, კარგა ხანს ეჭირა თვალწინ, თითქოს სწავლობდა ამ პატარა უცოდველ, მრგვალსა და ვარდისფერ სახეს. ვინ იცის, ვის დაემსგავსება პატარა თვალად და გულად — დაუდგრომელ, გარყვნილ, სხვებს აყოლილ მამას? თუ დედას? „ჩემი სისხლის დიდებისათვის მირჩევნია დედას დაემსგავსოს, მაგრამ საფრანგეთის კეთილდღეობისათვის სჯობს, ღმერთო შენით, ისევ თავისი უნიათო მამის ასლი იყოს". ტახტის მემკვიდრის საკითხი იდგა. ხომ შეიძლებოდა საქმე ისე დატრიალებულიყო, რომ ინგლისელ უფლისწულს მოეთხოვა საფრანგეთის მეფის ტახტი.

— ედუარდ, გაუღიმეთ პაპა ბატონს! — უთხრა იზაბელმა.

პატარა უფლისწულს მეფის შიში არ ეტყობოდა. უცებ წინ გაიშვირა პატარა მუშტი, ხელმწიფეს ოქროსფერ თმაში ჩაავლო და ერთი კულული მოსწია. ამაზე ფილიპ ლამაზს გაეღიმა.

ყველა სტუმარმა შვებით ამოისუნთქა. სხვებმაც გაიცინეს სასწრაფოდ, ენაც ამოიდგეს.

ნავახშმევს მეფემ ყველა დაითხოვა, მარინისა და ნოგარეს გარდა, თავად ბუხარს მიუჯდა და კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. მრჩევლებმა სიჩუმის დარღვევა ვერ გაბედეს.

— ძაღლიც ღვთის გაჩენილი არაა? მაგრამ განა ძაღლმა იცის ღმერთის არსებობა?

— სირ, ადამიანებისა ბევრი ვიცით, რადგან თავად ადამიანები ვართ, მაგრამ სხვა სულიერისა ცოტა რამ თუ გაგვეგება.

ფილიპ ლამაზი ისევ დადუმდა. მზერა იმ დიდი მწევრის ჩაშავებულ თვალებს მიაპყრო, მის წინ რომ იყო გაწოლილი და თავი თათებზე დაედო. ძაღლი თვალებს ახამხამებდა, მეფის თვალები უძრავი იყო.

როგორც ხშირად მოსდით ხოლმე ძალაუფლების მქონე ადამიანებს, როცა კი საბედისწერო პასუხისმგებლობას იღებენ კისრად, ფილიპ მეფეც გან-

სჯას მისცემოდა ზოგად და საყოველთაო საფიქრალის გამო. უხილავში ეძიებდა წესრიგის აუცილებლობას, რაც გაამართლებდა მთელ მის ცხოვრებას და საქმეთა მისთა.

ბოლოს წელში გაიმართა და ბრძანა:

— მე ვფიქრობ, სწორად განვსაჯეთ, მაგრამ სამეფოს რა ეშველება? ჩემს ვაჟებს მემკვიდრე არა ჰყავთ.

მარინმ უპასუხა:

— მათ ეყოლებათ, სირ, თუკი ცოლებს შეირთავენ.

— ღვთის წინაშე ისინი ცოლიანები არიან.

— ღვთის მადლით შეიძლება მათგან განთავისუფლება.

— ღმერთი ყურად არ იღებს ამქვეყნიურ გამგებელთა თხოვნას.

— პაპს შეუძლია მიანიჭოს თქვენს ვაჟებს თავისუფლება, — თქვა მარინმ.

მეფემ ნოგარეს მიაპყრო თვალი.

— ღალატი ქორწინების გაუქმებისათვის საკმარისი საბუთი არ გახლავთ, — მაშინვე შეაგება ბეჭდის მცველმა.

— თუმცა ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს, — ბრძანა ფილიპ ლამაზმა, — მე ზოგად კანონს ვერ დავუცდი, თუნდაც იგი პაპის ხელთ იყოს. მეფე ყოველ წამს უნდა ელოდეს სიკვდილს.

ნოგარემ თავისი გამხდარი ხელი ასწია.

— რაკი ეგრეა, სირ, — თქვა მან, — რატომ სიკვდილით არ დასაჯეთ თქვენი რძლები, ორი რძალი მაინც?

— ამას უთუოდ გავაკეთებდი, — უპასუხა ცივად ფილიპ ლამაზმა, — რძლები რომ ორ ბურგუნდიასთან არ მაკავშირებდნენ. ტახტის მემკვიდრეობა უდაოდ მნიშვნელოვანი რამაა, მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობისაა სამეფოს ერთიანობა.

მარინი უხმოდ დაეთანხმა ხელმწიფეს.

— მესირ გიიომ, თქვენ კლემან პაპთან გაემგზავრებით და დაარწმუნებთ, რომ მეფის ქორწინება არ არის ჩვეულებრივი კაცის ქორწინება. უფლისწული ლუი ჩემი მემკვიდრეა, მას პირველს უნდა აეხსნას ბორკილი.

— ჩემს ძალ-ღონეს არ დავიშურებ, სირ, — უპასუხა ნოგარემ, — მაგრამ ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ მარგერიტის დედა თავს გამოიდებს და წმინდა პაპთან უამრავ დაბრკოლებას შეგვიქმნის.

სასახლის მისადგომთან ცხენი მოაგდო ვიღაცამ. შემდეგ ჭიშკრის ჭახანი გაისმა. მარინი ფანჯარას მიუახლოვდა და თქვა:

— წმინდა პაპს საკმაო ვალი ადევს ჩვენი. უპირველეს ყოვლისა მისი ტიარა. როგორ არ შეისმენს ჩვენს თხოვნას?! საეკლესიო სამართალში კაცი ბევრ საბაბს იპოვის.

ცხენის ნალის ხმა უკვე ეზოს ქვაფენილზე გაისმა.

— მხედარს, სირ, ეტყობა, გრძელი გზა გამოუვლია.

— სადაურია? — იკითხა მეფემ.

— ვერ გეტყვით, გერბს ვერ ვარჩევ. საჭირო იქნება, — განაგრძო სიტყვა მარინმ, — ცოტა დავაშოშმინოთ მონსენიორ ლუი, თავისი საქმე არ გაიმრუდოს.

— მაგას თვალ-ყურს არ მოვაკლებ, ანგერან! — მიუგო მეფემ. ამ დროს იუგ დე ბუვილი შემოვიდა.

— სირ, კარპანტრიდან გეახლათ შიკრიკი, თხოულობს, მეფემ მიმიღოსო.

— შემოვიდეს.

— პაპის შიკრიკია, — თქვა ნოგარემ.

ამ დამთხვევას მოსაუბრეთა გაკვირვება არ შეეძლო, წმიდა ადგილსამყოფელს და მეფის სასახლეს შორის კავშირი ხშირი იყო, თუ ყოველდღიური არა.

შიკრიკი — ოცდახუთი წლის ჭაბუკი, ტანმაღალი და ბეჭებგანიერი — მტვრითა და ტალახით იყო მოსვრილი. აშკარად პაპის მსახური იყო. შავ-ყვითელ პერანგზე ჯვარი და კლიტე ჰქონდა ამოქარგული. მარცხენა ხელში თავსარქველი ეჭირა და მისი მოვალეობის მაცნე არგანი. მეფეს მიეახლა, მუხლი მოიდრიკა, ქამრიდან შეიხსნა აბანოზის ხის მოსევადებული ყუთი, სადაც წერილი იდო.

— სირ! — თქვა მან, — კლემან პაპი გარდაიცვალა.

დამხდურნი ერთნაირად შეკრთნენ, მეტადრე მეფე და ნოგარე, შეხედეს ერთმანეთს და გაფითრდნენ. მეფემ გახსნა ყუთი, ამოიღო წერილი. მას კარდინალ არნო დ'ოშის ბეჭედი ედო. მეფემ გატეხა იგი და ყურადღებით წაიკითხა წერილი, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, ეს ამბავი მართალიაო.

— ჩვენ მიერ ტახტზე დასმული პაპი ახლა სასუფეველსა შინა ღვთისასა იმყოფება.

— როდის მოხდა ეს? — იკითხა ნოგარემ.

— ზუსტად ექვსი დღეა, — უპასუხა შიკრიკმა, — ოც აპრილს ღამით.

— ერთი თვის შემდეგ, — თქვა მეფემ.

— დიახ, სირ, ერთი თვის შემდეგ, — დაუდასტურა ნოგარემ.

ორივეს ერთმა ფიქრმა გაუელვა თავში — თვრამეტ მარტს შუაგულ ცეცხლიდან ტამპლიერების დიდმა მაგისტროსმა დაუყვირა მათ: „ერთი წელიც და მოგიწოდნე თქვენ სამსჯავროსა ღვთისასა, კლემან პაპ, გიიომ რაინდო და ფილიპ მეფევ“. პირველი უკვე გარდაიცვალა.

— მითხარი, — დაიწყო მეფემ და შიკრიკს ანიშნა, წამოდექიო, — როგორ გარდაიცვალა წმიდა მამა?

— სირ, კლემან პაპი თავის ძმისწულთან მესირ დე გოტანთან გახლდათ კარპანტრაში, როდესაც სიცხე მისცა და ტკივილები აუტყდა. მაშინ თქვა, წამიყვანეთ გიენაში, დაე იქ მოვკვდე, სადაც დავიბადეო. გაუდგნენ კიდეც გზას, მაგრამ მალე გაჩერება მოუხდათ როკემორში, შატო ნევის ახლოს. მკურნალებმა ყველაფერი სცადეს, ეგებ სიცოცხლე შევუნარჩუნოთო, ზურმუხტის ფხვნილიც ჩააყლაპეს, ეგ ძალიან შველის იმ ავადმყოფობას, რაც პაპს აწუხებდა, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა, სული აეკმა. კარდინალები სულ თავს დასტრიალებდნენ; მე სხვა არაფერი ვიცი.

შიკრიკი გაჩუმდა.

— წადი, — უბრძანა მეფემ.

შიკრიკი გავიდა. დარბაზში ბუხრის წინ გაწოლილი დიდი მწევრის სუნთქვის მეტი არაფერი ისმოდა.

მეფესა და ნოგარეს ერთმანეთისათვის თვალი ვერ გაესწორებინათ. „ნუთუ მართალია, — ფიქრობდნენ ისინი, — რომ დაწყევლილები ვართ. ნეტავი ახლა ვისი ჯერი იქნება“. ხელმწიფე მთლად გაფითრებულიყო. გრძელი სამეფო კაბა უფარავდა გაშეშებულ სხეულს.

კარი მესამე

ლვთის განგება

I

ბურდონეს ქუჩა

პარიზელებმა მხოლოდ ერთ კვირას ილაპარაკეს უფლისწულთა მოღალატე ცოლების გარყვნილებისა და განაჩენის სისასტიკის გამო გზაბოძალებსა და დახლებში. ერთი ამტკიცებდა, სიმართლე ჩემი ნათლიმამისაგან ვიცი, იგი სანელებელს აწვდისო ნესლის კოშკს, მეორეს ბიძაშვილი ჰყავდა პონტუაზში... ხალხმა უფრო მარგერიტ ბურგუნდიელი ააბურთავა, მას დააკისრეს საგანგებო როლი. ნავარის დედოფალს ერთი საყვარელი არ აკმარეს, ათი, ორმოცდაათი მიაკერეს. ყოველ საღამოს თითო საყვარელს იცვლიდაო. ერთმანეთს შიშნარევი ხიბლით უჩვენებდნენ ნესლის კოშკს, რომლის წინ დღე და ღამე დარაჯები იდგნენ, როგორმე ცნობისმოყვარენი ჩამოვიცილოთო. საქმე თითქოს დამთავრებული არ ჩანდა. ნესლის კოშკის მიდამოებში რამდენიმე გვამი ამოიტანეს წყლიდან. ამტკიცებდნენ, თავის სამყოფელში ჩაკეტილი ტახტის მემკვიდრე მსახურებს აწამებს, რათა გამოტეხოს და ყველაფერი ათქმევინოს, რაც ლუი ბუზღუნას ცოლის უზნეობაზე იციან, და მერე სენაში გადაუძახებსო.

ერთხელ დილაუთენია ტურფა ბეატრის დ'ირსონი გამოვიდა დ'ორტუას სადგომიდან. მაისის დამდეგი იყო, მზის სხივები აბრჭყვიალებდნენ ფანჯრის მინებს. ბეატრისი აუჩქარებლად მიდიოდა, სიამოვნებას ჰგვრიდა თბილი ქარი, მის შუბლს რომ ეალერსებოდა. სიამოვნებას ჰგვრიდა ზაფხულის დამდეგის სუნი, ლაღობდა, რომ მამაკაცთა მზერას იზიდავდა.

მან სენ-ესტაშის უბანს მიაშურა და ბურდონეს ქუჩაზე ჩაუხვია. აქ გადამწერლებს პატარა კანტორები ჰქონდათ. აქვე იყვნენ ცვილის ვაჭრები, რომლებიც საწერ დაფებს, დიდ სანთლებს და ენკაუსტიკის ნაწარმს ამზადებდნენ. მაგრამ აქ სხვა რამეებითაც ვაჭრობდნენ. ზოგიერთი შენობის სიღრმეში ოქროს ფასად იშოვნიდით ყოველგვარ ჯადოქრობისათვის აუცილებელ ნივთიერებას: გველის ფხვნილს, დანაყილ გომბეშოს, კატის ტვინს, მთვარის აღვსების დროს მოკრეფილ ბალახეულს. ამ ბალახეულით ამზადებდნენ სიყვარულის წამალსა თუ შხამ-სამსალას, ადამიანის მოდრეკა რომ შეეძლო. ხშირად კუდიანების ქუ-

ჩასაც ეძახდნენ ამ ვიწრო ქუჩას, სადაც ეშმაკი თაფლის ცვილთან — ამ მთავარ ჯადოსთან იყო დაკავშირებული.

თვალციმციმა ბეატრის დ'ირსონი არაფრის მთქმელი იერით ერთ დუქანში შევიდა. ამ დუქანს ფირნიშად დიდი სანთელი და თხელი თუნუქის დაფა ჰქონდა. დუქანი გრძელი და ბნელი იყო; ჭერზე ჩამოკიდებული იყო ყოველგვარი ზომის სანთლები. კედლებზე თაროები ჩაემწკრივებინათ და ზედ შანდლები დაეხვავებინათ. აქვე დაეწყოთ ყავისფერი, წითელი, მწვანე თიხა, ადვილად მოსაზელი და ბეჭდებისათვის გამოსადეგი. ჰაერში ტრიალებდა ცვილის სუნი, ყველა საგანი ხელზე ეკვროდა ადამიანს, ისე კოწიწა იყო.

ვაჭარი მოხუცი კაცი გახლდათ. თავზე ხამი შალის დიდი ჩაჩი ეხურა. რაღაცას ანგარიშობდა. ბეატრისი რომ დაინახა, პირისახე უკბილო ღიმილმა გაუნათა.

— ბატონო ენჟელბერ, — უთხრა ბეატრისმა, — მე მოვედი, რათა დ'არტუას სადგომის დანახარჯი გადაგიხადოთ.

— ო, ეს კარგი საქმეა, ჩემო კეთილშობილო ქალბატონო. ეს კარგი საქმეა, რადგან ჩვენს დროში ფულს სახლიდან გასვლა უფრო ეხერხება, ვიდრე შემოსვლა. ისინი, ვინც საქონელს გვაწვდის, სულ ნაღდს ითხოვენ; უსამართლო გადასახადი ხომ სულს გვხდის. ერთი ლივრისას გავყიდი და ერთი დენიე უნდა გადავიხადო. ჩემი გარჯა მეფეს უფრო მეტს აძლევს, ვიდრე მე.

საანგარიშო დავთარი მოძებნა, რომელიც დ'არტუას სადგომს ეხებოდა და თვალებთან მიიტანა.

— მაშ ასე, ჩვენ გვაქვს ოთხი ლივრი და რვა სუ, თუ არ ვცდები, და ორი დენიე, — საჩქაროდ დაუმატა ვაჭარმა, რადგან უკვე ჩვეულებად ჰქონდა მყიდველისათვის ეგრძნობინებინა იმ გადასახადის სიმძიმე, რის გამო ამდენს წუწუნებდა.

— ჩემი ანგარიშით ექვსი ლივრია... — რბილად შენიშნა ბეატრისმა და დახლზე ორი ეკიუ დასდო:

— ო, ეს კარგი წესია, ნეტა ბევრი იყოს თქვენისთანა!

მან ტუჩებთან მიიტანა ოქრო, შემდეგ თანამზრახველის იერით დაუმატა:

— ეტყობა, თქვენი პროტეჟეს ნახვა გნებავთ. მე იმ ყმაწვილით დიდად კმაყოფილი ვარ, დაუზარებელი კაცია, სიტყვაძვირი. მეტრ ევრარ!

უკანა დუქნიდან შემოსული მამაკაცი კოჭლობდა. ოცდაათიოდე წლის იქნებოდა. ეს იყო გამხდარი, მაგრამ მაგარი აგებულების, კარგად აწყობილი, პირხმელი კაცი.

მეტრ ენჟელბერს მაშინვე გაახსენდა სასწრაფო საქმე.

— კარი გადარაზე. ერთი საათით მივდივარ, — უთხრა მან კოჭლს.

როცა კოჭლი ბეატრისთან მარტო დარჩა, უმალვე ქალს ხელზე წაეტანა.

— წამოდი, — უთხრა მან.

ბეატრისი დუქნის სიღრმეში შეჰყვა. კაცმა ფარდა გადასწია და საკუჭნაოში აღმოჩნდნენ. აქ ელაგა ნედლი ცვილის ნაჭრები, ქონით სავსე კასრები, პატრუქის დასტები, ჩანდა აგრეთვე თივის ლეიბები ძველ სკივრსა და გვარჯილა მოდებულ კედელს შორის ჩაჭედილი.

— ჩემი სასახლე, ჩემი სამფლობელო, რაინდ ევრარის საგანმგებლო, —

მწარედ გაიღიმა კოჭლმა და ამ უბადრუკ სამყოფელზე მიუთითა, — მაგრამ სიკვდილს მაინც სჯობს, არა?

ბეატრისს მხრებში ჩააფრინდა.

— და შენ, — ჩურჩულით უთხრა, — შენ მეტი ხარ, ვიდრე მარადისობა.

რამდენადაც ბეატრისის ხმა ნელი და მშვიდი იყო, იმდენად აჩქარებული იყო ევრარის ხმა.

ბეატრისი იღიმებოდა და ტუჩ-პირზე ისეთი იერი დასთამაშებდა, ყოველთვის რომ ჰქონდა ხოლმე, თითქოს ადამიანებს და საგნებს დასცინოდა. რაღაც ბილწი სიამოვნება ეუფლებოდა, როცა ხედავდა, რომ ადამიანები მასზე იყვნენ დამოკიდებულნი. ეს კაცი კი ორწილად უნდა ყოფილიყო მისი მადლიერი.

ბეატრისმა ეს კაცი ერთ დილას დ'არტუას საჯინიბოს ერთ-ერთ კუთხეში აღმოაჩინა, ძაღლმისეული ნადირის იერი ჰქონდა, კანკალებდა და ლამის სული გაეცხო შიშისა და შიმშილისაგან. ყოფილ ტამპლიერს, ჩრდილოეთ საფრანგეთის ერთ-ერთი საერისთავოს გამგებელს ციხიდან გამოქცევა მოეხერხებინა სწორედ წინა საღამოს, როცა კოცონზე უნდა აეყვანათ. კოცონს კი გამოექცა, მაგრამ სამუდამოდ გამრუდებული ფეხი დარჩა და ცოტა გონებაც აერია, ძვლები დაუმსხვრიეს, აღიარე, რომ ეშმაკთან იყავი წილნაყარიო. უდანაშაულო იყო, მაგრამ ისე აწამეს, გადაწყვიტა ეშმაკის გზაზე მოქცეულიყო, ისწავლა სიძულვილი და რწმენა უარყო.

მხოლოდ ჯადოქრობაზე, კუდიანობაზე და შეურაცხყოფილ თავმოყვარეობაზე ფიქრობდა. ბურდონეს ქუჩა ამისათვის ზედგამოჭრილი იყო. ბეატრისმა იგი ენჟელბერთან მოათავსა. ვაჭარმა იკისრა მისი გამოკვება და თავშესაფარიც მისცა. აქ ყოფნა ალიბიც იყო მისთვის. ასე იყო ევრარი საქონლის ქონით გაზინთულ ბუნაგში, ფიქრობდა, სატანური ძლევამოსილების განსახიერება ვარო და თავს შურისძიების იმედით ინუგეშებდა.

ერთგვარ პირქუშ მიმზიდველობას არ იქნებოდა მოკლებული, რომ ნერვული კანკალი არ ჰქონოდა, რაც დროდადრო პირისახეს უმახინჯებდა. მის მზერას გამბედაობა და ბრწყინვალება ახლდა. როდესაც მისი ხელები ბეატრისის სხეულზე ადი-ჩადიოდნენ მუდამ დამყოლი ლამაზმანის ნებით, ქალმა უთხრა:

— ალბათ გიხარია, პაპი მოკვდა.

— ჰო, ჰო, — თქვა ევრარმა ბოროტი სიხარულით, — ექიმებმა დანაყილი ზურმუხტი გადააყლაპეს. კარგი წამალია ნაწლავების დასაწყვეტად. არ ვიცი იმ ექიმების ვინაობა, მაგრამ ისინი ჩემი მეგობრები არიან. მეტრ ჟაკის წყევლა აღსრულების გზას შეუდგა. ერთი უკვე ჩაძაღლდა, ღვთის განგება სწრაფად მოქმედებს, ძალიან სწრაფად, როცა ადამიანის ხელიც ეხმარება:

— და ეშმაკისაც, — დასძინა ბეატრისმა ღიმილით.

კაცმა ისე აუწია კაბა, ბეატრისს მცირედი წინააღმდეგობაც კი არ გაუწევია. ყოფილი ტამპლიერის ცვილით აპრიალებული თითები მკვრივ, სლიპინა და მხურვალე ფეხს ეალერსებოდა.

— იქნებ კიდევ ერთხელ გამოიღო ხელი? — წამოიწყო ბეატრისმა.

— ვის დავარტყა?

— შენს მოსისხლე მტერს, ვისაც დამსხვრეულ ფეხს უნდა უმადლოდე.

— ნოგარე, — ჩურჩულით წარმოთქვა ევრარმა.

უკან დაიხია. ნერვულმა კანკალმა სამგზის მოუქცია სახე.

ახლა უკვე ბეატრისი მიუახლოვდა მას.

— შეგიძლია შური იძიო... თუკი გინდა... განა სანთელს აქ არ ყიდულობს? თქვენი მუშტარი არაა?..

— დიახ, — უპასუხა ევრარმა.

— რომელ სანთელს ყიდულობს?

— თეთრი ცვილისას, გრძელი სანთლებია, მაგრამ პატარა ბოლი იციან. თავის სადგომისათვის გრძელ ყვითელ სანთლებს ხმარობს და იმათ ჩვენთან არ ყიდულობს. ამ სანთლებს, ლეგისტის სანთლებს რომ უწოდებენ, მხოლოდ თავის კაბინეტში ხმარობს, როცა წერს, კვირაში ოცდაოთხს ხარჯავს.

— დარწმუნებული ხარ?

— მისი სახლთუხუცესი მოდის და დასტობით მიაქვს. — თქვა და ერთ ყუთზე მიუთითა.

— ახლა ესენი უნდა წაიღოს. აქვეა მარინისა და მეფის მდივნის მაიარის სანთლები, ისინი ანათებენ ყველა დანაშაულს მათი გონებით შეთითხნილს. ძალიან მინდა ზედ ეშმაკის შხამი დავაფურთხო.

ბეატრისი ისევ იღიმოდა.

— მე შემიძლია ეგ შხამი მოგცე, — თქვა მან, — ვიცი სანთლის მოწამვლის ხერხი...

— რა არის ასეთი? — ჰკითხა ევრარმა.

— თუ ერთი საათი ისუნთქავ ამ ალს, აღარაფერი დაგრჩება ჩასასუნთქი ჯოჯოხეთის ალის გარდა. არავითარ კვალს არ ტოვებს და არც მისგან გადარჩენა შეიძლება.

— საიდან იცი?

— ეჰ... — თქვა ბეატრისმა, მხრები ნაზად შეარხია და წამწამები დახარა, — შენ მხოლოდ ცვილს შეურიე ეს ფხვნილი.

— რა ჯავრი გჭირს ნოგარესი? — ჰკითხა ევრარმა.

ბეატრისმა კეკლუცად შეარხია მხრები და უპასუხა:

— შურისძიება მარტო შენ ხომ არ გამოძრავებს. გაბედე, არაფერი მოგელის.

ევრარი ერთი წამით ჩაფიქრდა, თვალი უფრო მტრული და ანთებული გაუხდა.

— ნულარ აყოვნებ, — უთხრა კაცმა და ლაპარაკში სიჩქარე დაეტყო, — შეიძლება წასვლა მომიხდეს ახლო მომავალში, მაგრამ ეს არავისთან არ წამოგცდეს. დიდი მაგისტროსის დისწულმა ჟან დე ლონგვეიმ ჩვენი თავშეყრა დაიწყო. იმანაც დაიფიცა, შურს ვიძიებო მესიერ დე მოლეს გამო. სულ ხომ არ დავხოცილვართ. თუმცა იმ წყეულმა ყველაფერი იღონა საამისოდ. მე იმ დღეს შევხვდი ჩვენს ყოფილ ძმას — ჟან დიუ პრეს. იმან მაუწყა, მზად იყავ, ლანგრისაკენ მოგიწევს წასვლაო. კარგი იქნებოდა, მესიერ დე ლონგვეისათვის ნოგარეს სული მიგვერთვა... როდის შეგიძლია ის ფხვნილი მომცე?

— თანა მაქვს, — წყნარად მიუგო ბეატრისმა და თავისი ქისა გახსნა.

ევრარს პატარა ტოპრაკი მიაწოდა და იმანაც გახსნა ფრთხილად. ტოპრაკში ორი ცუდად შერეული მასალა იყო, ერთი ნაცრისფერი, მეორე — თეთრი, კრისტალური.

— ეს ფერფლია, — თქვა ევრარმა და ნაცრისფერ ფხვნილზე მიუთითა.

— ჰო... იმ მამაკაცის ენის ფერფლია, ვინც ნოგარემ დალუპა... შუალამით

ლუმელში გავახმე... რათა ეშმაკი გამომეწვია...—მერე თეთრ ფხვნილზე მიუთითა,—ეს კი „ფარაონის გველია“... მხოლოდ მაშინ კლავს, როცა იწვის.

— შენ მეუბნები, ორივე სანთელს შევურიო?

დასტურის ნიშნად ბეატრისმა თავი დახარა, ევრარი წუთით შეყოყმანდა, თვალი პარკიდან ბეატრისზე გადაიტანა.

— მაგრამ ეს ჩემი თანდასწრებით უნდა გაკეთდეს.

ყოფილი ტამპლიერი ქურისაკენ წავიდა და ცეცხლი გააღვივა.

შემდეგ ერთი სანთელი აიღო ბეჭდის მცველისათვის გამზადებულ დასტიდან და ყალიბში მოათავსა. ხელით ზელვა დაუწყო. შემდეგ დაშნით გააპო და პატრუქის გასწვრივ ჩაყარა ტოპრაკის ფხვნილი.

ბეატრისი თავს დასტრიალებდა, ბუტბუტებდა შელოცვის სიტყვებს. სამჯერ ახსენა „გიიომ“. კაცმა ყალიბი ცეცხლში ჩადო, მერე კი ცივი წყლის კასრში.

გამთელებულ სანთელს არაფერი ეტყობოდა.

— ხმლის მოტრფიალე მამაკაცისათვის არც თუ ისე ცუდი ნამუშევარია, — თქვა მკაცრად თავისი თავით კმაყოფილმა.

მერე სანთელი თავის ადგილას დადო და დასძინა:

— გრძელჟამიერი სოფლის შიკრიკიც ყოფილა ეს სანთელი!

იდო მოწამლული სანთელი დასტის შუაში. არაფრით არ გამოირჩეოდა სხვა სანთელთაგან. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო საშინელ წილყრაზე — როდის ამოიღებდა დასტიდან ამ საბედისწერო სანთელს მსახური, რომელსაც ევალებოდა ბეჭდის მცველისათვის სანთლის ანთება. ბეატრისმა ჩაიცინა, მაგრამ მისკენ უკვე გამოემართა ევრარი, რათა გულში ჩაეკრა ქალი.

— იქნებ ერთმანეთს უკანასკნელად ვხვდებით.

— ვინ იცის! — უთხრა ქალმა.

ევრარმა კუთხისაკენ, უბადრუკ საწოლისაკენ წაიყვანა ბეატრისი.

— ერთი მითხარი, როგორ ახერხებდი უბიწობის შენარჩუნებას, ტამპლიერი როცა იყავი? — ჰკითხა ქალმა.

— მაგას ვერასოდეს ვერ ვახერხებდი, — ყრუ ხმით მიუგო ევრარმა.

მაშინ პირმშვენიერმა ბეატრისმა თავხეს მიაპყრო თვალი, სადაც საეკლესიო სანთლები ეკიდა. წუთით წარმოიდგინა, მამაკაცი კი არა, თვით ეშმაკი დამეუფლაო და მართლაც, განა ევრარი კოჭლი არ იყო?

II

ანრდილთა სამსჯავრო

ღამღამობით მესირ დე ნოგარე, რაინდი, ლეგისტი და ბეჭდის მცველი, გვიანობამდე მუშაობდა ხოლმე თავის კაბინეტში. ასეთი წესი ჰქონდა მთელი სიცოცხლე. ყოველ დილას მაო ბურგუნდიელი შეიტყობდა, რომ ნოგარე კვლავ საღსალამათი იყო. დილაობით იღლიაში პორტფელამოჩრილი მტკიცე ნაბიჯით მიემართებოდა მეფის სადგომისაკენ. ღრმა საყვედურით აღსავსე მზერას მიაპყრობდა ხოლმე მაო თავის სეფე ქალს.

— მოთმინება იქონიეთ, ქალბატონო... თითო დასტაში ასორმოცდათხი სანთელია, კვირაში ოცდათხი სანთელი რომ ვიანგარიშოთ...

მაგრამ მაოს მაინცდამაინც არ ეხერხებოდა მოთმინება. რწმენა ეკარგებოდა „ფარაონის გველის“ მომაკვდინებელი ძალისა. ნეტავ მაცოდინა, — ფიქრობდა, — ხომ იმას შეხვდა მოწამლული სანთელი, ვისთვისაც განკუთვნილი იყო, რაიმე შეცდომა ხომ არ მოხდაო. რომელიმე კარისკაცმა შემთხვევით ეს სანთელი ხომ არ გამოტოვა. გულდამშვიდებით რომ იყო, თავად უნდა შეგეძლოს ამ სანთლის ჩადება კანდელაბრში.

— ენამ არ შეიძლება გვიმტყუნოს, ქალბატონო! — არწმუნებდა ბეატრისი.

მაოს არც თუ ისე სჯეროდა ჯადოქრობის.

— ბევრი დაგვიჯდა და შედეგი ვერაფერია, თან ნაღდი საწამლავი პირით უნდა ჩაყლაპო, ბოლი რა ბედენაა.

მაინც როცა საღამოობით ბეატრისი შანდალს მოუტანდა, ოდნავ შესამჩნევი მღელვარებით ეკითხებოდა:

— ლეგისტის შანდალი ხომ არაა?

— ო, არა, ქალბატონო, — პასუხობდა ბეატრისი.

და აი მაისის მიწურულის ერთ მშვენიერ დილას ნოგარემ თავის ჩვეულებას უღალატა და საბჭოზე დაიგვიანა; ის დარბაზში შევიდა, როცა მეფე უკვე იჯდა.

მდაბალი სალამი უძღვნა და უკაცრავადო, მოახსენა; ამასობაში თავბრუ დაეხვა და იძულებული გახდა მაგიდას დაყრდნობოდა.

ყველაზე სასწრაფო საქმე პაპის არჩევა გახლდათ.

უკვე ოთხი კვირა გავიდა, რაც პაპის ტახტი ცარიელი იყო და კარპანტრასში კონკლავზე განსვენებული კლემან V-ის დანაბარების ძალით შეკრებილი კარდინალები ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ და ამ ბრძოლას დასასრული არ უჩანდა.

საკმაოდ კარგად იცოდნენ, რა აზრისა იყო ფილიპ ლამაზი და რას ფიქრობდა იგი. საფრანგეთის მეფეს უნდოდა პაპის ტახტი ისევ ავინიონში დარჩენილიყო, იქ, სადაც მან პაპები გადმოასახლა, თავის სიახლოვეს. თუკი შესაძლებელი იქნებოდა, პაპი ფრანგი უნდა ყოფილიყო. ხელმწიფეს სურდა ისეთი უშველებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, როგორიც ეკლესია იყო, დღეის ამას იქით მეფის წინააღმდეგ აღარ გამოსულიყო.

ოცდასამი კარდინალი, კარპანტრასში თავშეყრილი, იტალიიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, სიცილიიდან, გერმანიიდან ჩამოსულიყო. იმდენ ბანაკად დაქსაქსულიყვნენ, რამდენი მიტრაც ეხურათ.

მათ ბრძოლას ასულდგმულებდა თეოლოგიური დისპუტები, კამათი, ჯიბრი, მეტოქეობა, საგვარეულო ბოღმა. განსაკუთრებით ეჯავრებოდათ ერთმანეთი იტალიელ კარდინალებს — კაეტანის, ორსინის და კოლონას გვარიშვილებს.

— ამ რვა იტალიელ კარდინალს, — თქვა მარინიმ, — მხოლოდ ერთი რამ აკავშირებს, — უნდათ, რომში დააბრუნონ პაპის ტახტი. საბედნიეროდ, პაპის თაობაზე ვერ შეთანხმებულან.

— ერთიც იქნება და შეთანხმდებიან, — თქვა ვალუამ.

— სწორედ ამიტომ გვიანობა არ გვმართებს, — მიუგო მარინიმ.

ნოგარემ ამ დროს გულზიდვა იგრძნო, სტომაქი დაუმძიმდა და სუნთქვა შეეკრა. მოინდომა წელში გამართულიყო, მაგრამ იგრძნო, რომ კუნთები აღარ

ემორჩილებოდა, მერე გულზიდვა გაუქრა, ღრმად ამოისუნთქა და შუბლი მოიწმინდა.

— რომი პაპის ქალაქია ყველა ქრისტიანის თვალში, — თქვა შარლ დე ვალუამ, — მსოფლიოს გული რომია.

— ეს ამბავი ხელს აძლევს იტალიელებს და არა საფრანგეთის მეფეს, — შენიშნა მარინიმ.

— თქვენ არ შეგიძლიათ შეცვალოთ საუკუნეების ნამოღვაწარი, მესირ ანგერან, ხელი შეუშალოთ იმას, რომ პაპის ტახტი იქ იყოს, სადაც იგი დაარსდა.

— პაპს ძალიან უნდა რომში მოიკიდოს ფეხი, მაგრამ ეს არ შეუძლია, — წამოიყვირა მარინიმ, — ის იძულებულია გაექცეს პოლიტიკურ დაჯგუფებებს, ქალაქს რომ აწიოკებენ, რომელიღაც სასახლეში უნდა წავიდეს და ის ჯარები იახლოს, მას რომ არ ეკუთვნის. ვილნევში, რონის გაღმა მხარეს, თავს გაცილებით უშიშრად გრძნობს.

— პაპი ისევ ავინიონს დარჩება, მისეულ რეზიდენციაში, — ბრძანა მეფემ.

— მე კარგად ვიცნობ ფრანჩესკო კაეტანის, — განაგრძო შარლ დე ვალუამ, — დიდად განსწავლული ადამიანია, ფრიად ღირსეული და მე შემიძლია მასზე გავლენა მოვახდინო.

— მე კაეტანის მომხრე არა ვარ, — განაცხადა მეფემ, — ის ბონიფაციუსის გვარს ეკუთვნის და განაახლებს Unam Sanctam-ის დეკრეტს.

ფილიპ დე პუატიემ თავისი აწოწილი მხრები გადმოხარა და ამით აჩვენა, რომ მთლიანად იზიარებდა მეფის აზრს:

— ამ საქმეში, ჩემი აზრით, იმდენი ინტრიგაა, რომ ერთმანეთს გააბათილებს. ჩვენ მეტი სიმტკიცე და შემართება შეგვფერის.

წუთიერი სიჩუმის შემდეგ ფილიპ ლამაზი ნოგარეს მიუბრუნდა; ბეჭდის მცველი მთლად გაფითრებულიყო და ძლივს სუნთქავდა.

— თქვენი რჩევა, ნოგარე?

— დიახ, სირ! — ძლივს ამოილუღლუღა ბეჭდის მცველმა.

აკანკალებული ხელი შუბლზე გადაისვა.

— უმორჩილესად გთხოვთ, მომიტევოთ... საშინელი სიცხეა...

— აქ სრულებით არ ცხელა, — შეესიტყვა იუგ დე ბუვილი.

ნოგარემ დიდი გაჭირვებით წარმოთქვა ყრუ ხმით:

— სამეფოსი და რჯულის ინტერესები გვიკარნახებენ ამ გზას დავადგეთ.

მერე გაჩუმდა. ყველას გაუკვირდა, ეს რა ცოტა ილაპარაკა და თანაც რა ბუნდოვანი აზრი გამოთქვაო.

— თქვენი რჩევა, მარინი?

— ჩემი წინადადება იქნებოდა საბაბად გამოვიყენოთ კლემან პაპის ნეშტის წამოსვენება გიენაში (აკი ასეთი იყო მისი სურვილი), რათა გარკვეული გავლენა მოვახდინოთ კონკლავზე. ეს ღვთის სათნო მისია დაევალოს მესირ ნოგარეს; იგი სათანადო ხელისუფლებით იქნება აღჭურვილი და წესისა და რიგის მიხედვით შეიარაღებული მხლებლები ეყოლება.

შარლ დე ვალუამ თავი მიატრიალა. იგი ძალით ჩარევის მომხრე არ იყო.

— ჩემი განქორწინების საქმეს ეს რას მოუტანს?

— გაჩუმდით, ლუი, — ბრძანა მეფემ, — სწორედ ამ საკითხსაც ვუტრიალებთ.

— დიახ, სირ, — თქვა ნოგარემ ისე, რომ არც უგრძვნია, რას ამბობდა.

ხმა გაებზარა და ხრინწიანი გაუხდა. გონება აერია და საგნებმა ჩვეული ფორმა დაკარგეს. მოეჩვენა, დარბაზის თაღები ისე აისვეტენ, როგორც სენ შაპელის თაღებიო. შემდეგ ისევ მოახლოვდნენ, დაპატარავდნენ, იმ სარდაფის თაღებს დაემსგავსნენ, სადაც ჩვეულებრივ ტუსაღების დაკითხვას აწარმოებდა.

— რა ხდება? — იკითხა მან და სცადა ჯუბაჩა გაეხსნა.

უცებ მოიკუნტა, მუხლები მუცელს მიაბჯინა, თავი დახარა, ხელები მკერდზე მიიდო. მეფე ადგა, სხვებმაც მას მიჰბაძეს.

ნოგარემ ყრუ ყვირილი ამოუშვა, მიწაზე დაეცა და გული აერია.

იუგ დე ბუვილმა, მთავარმა კამერჰერმა, მის სადგომში წაიყვანა ბეჭდის მცველი. მაშინვე მეფის ექიმები ეწვივნენ.

ექიმებმა დიდხანს ითათბირეს. მეფისათვის მირთმეულ ბარათში არაფერი იყო თქმული საჭოჭმანო, მაგრამ ქარზე უსწრაფესად გავრცელდა ხმა და მთელი ქალაქი უცნაურ ავადმყოფობაზე ალაპარაკდა. ხომ არ მოწამლეს? ამტკიცებდნენ, რამდენიმე ძლიერი შხამსაწინააღმდეგო საშუალება იხმარესო.

სახელმწიფო საქმეები იმ დღეს ჰაერში დარჩა გამოკიდებული.

როცა მაო ბურგუნდიელმა ახალი ამბავი გაიგო, ესღა თქვა:

— ძალიან კარგი, მიეგოს მისაგებელი.

და სუფრას მიუჯდა, მაგრამ ის აფიქრებდა, ბეატრისს დაპირებული ვარ, სრულ სამოსს მოგცემო სამახარობლოდ. სრული სამოსელი ექვსი ნაჭრისაგან შედგებოდა — პერანგი, კაბა, შიდა კაბა, ჯუბაჩა, მანტია და ქუდი, თანაც ყველაფერი ძვირფასი ნაჭრისა უნდა ყოფილიყო. ამას დაემატებოდა ქამარზე ჩამოსაკიდებელი ლამაზი ქისა, თუკი ბეჭდის მცველი გარდაიცვლებოდა.

ნოგარეს მართლაც მიეგო მისაგებელი. უკვე რამდენიმე საათი ველარავის სცნობდა. საწოლზე იწვა. კრუნჩხვამ წაართვა საძრაობა და სისხლს ანთხევდა. იმის ძალაც აღარ შერჩენოდა, ტაშტზე გადმოყუდებულიყო. სისხლი ამოსდიოდა პირიდან დაკეცილ ზეწარზე, რასაც მსახური დროდადრო უცვლიდა.

ოთახი სავსე იყო. მეგობრები და მსახურნი დასტრიალებდნენ თავს. ერთ კუთხეში შექუჩებული ჯგუფი პირქუშად გამოიყურებოდა და რაღაცას ჩურჩულებდა. ზოგი ნათესავი უკვე ქონების გაყოფის გუნებაზე იყო, გარშემო აცეცებდნენ თვალს და ყველაფერს ფასს ადებდნენ.

ნოგარე მათ ველარ არჩევდა. ისინი გაურკვეველი ლაქებიღა იყვნენ, უაზროდ და უმიზნოდ რომ მოძრაობდნენ. სადღაც შორს სულ სხვა, მხოლოდ მისთვის ხილულმა სახეებმა შემოარტყეს ალყა.

გაუგებარი სიტყვებით და ხროტინით შეხვდა მღვდელს, აღსარების მოსასმენად რომ ეწვია.

— გამეცალეთ! გამეცალეთ! — დაიღრიალა ნოგარემ თავზარდაცემული ხმით, როცა საკმეველი აკმიეს.

ექიმები მივარდნენ; თვალგახელილი ნოგარე თავის საწოლზე იგრიხებოდა და აჩრდილებს ერეკებოდა... კოშმარი დაიწყო.

გასაკვირი იყო, მაგრამ მეხსიერება შერჩენოდა და ახლა ისე იცლებოდა, როგორც სრულიად უქმი, თავდაყირა დამხობილი ბოთლი. გაახსენდა ყველა აგონია, რასაც დაესწრო, და ყველა სიკვდილი, რომელიც მან ბრძანა. თავს დაეხვივნენ ციხეებში, ბორბლებზე, სახრჩობელებზე დაღუპულნი და ახლა მეორე სიკვდილით კვდებოდნენ.

ხელებით ცდილობდა მოეშორებინა გავარვარებული შანთები, რომელთაც მის თვალწინ ამდენი შიშველი მკერდი დაედალათ. ფეხებში ისევ დაუარა კრუნჩხვამ. გაისმა მისი საშინელი ყვირილი:

— მარწუხები! მომაცილეთ! შემიბრალეთ!

წამონთხეული სისხლის სუნი ყველა თავისი მსხვერპლის სისხლის სუნად შეიცნო. სიცოცხლის უკანასკნელ ჟამს ნოგარემ სხვათა ადგილზე იგრძნო თავისი თავი და ეს იყო მისი სასჯელი.

— ჩემი სახელით არაფერი გამიკეთებია, მე მხოლოდ მეფეს... მეფეს ვემსახურებოდი.

სულ-ხორცის გაყრის ჟამს ლეგისტი თავის გამართლებას ცდილობდა. უფრო ცნობისმოყვარეობით, ვიდრე სინანულით, უფრო ზიზღით, ვიდრე თანაგრძნობით უყურებდნენ იქ მყოფნი, როგორ მიაბიჯებდა გალმა სოფლისაკენ სამეფოს ერთი თავკაცთაგანი.

საღამოს ოთახი დაცარიელდა. დალაქი და სენ დომინიკის ბერიღა დარჩნენ ნოგარესთან. მსახურთაგან ზოგი წინა ოთახში დაწვა იატაკზე და მოსასხამები წაიხურეს.

მეფემ ბუვილი გამოგზავნა. პირველმა კამერჰერმა მძინარეთა შორის გაიკვლია გზა და დალაქს ავადმყოფის ამბავი ჰკითხა.

— არაფერმა არ იმოქმედა, — უთხრა დალაქმა დაბალი ხმით, — გული კი ნაკლებად ერევა, მაგრამ ისევ ბოდავს. ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ, როდის მიიღებს უფალი.

ნოგარე ძლივსღა ხროტინებდა. ხედავდა უკუნ სიბნელეში ტამპლიერებს. ისინი მას უცდიდნენ, უკაცრიელი გზის გასწვრივ აღმართულიყვნენ, მოსასხამზე ამოქარგული ჯვარი კიაფობდა. გზის ორივე მხრივ უფსკრულები იყო, მხოლოდ კოცონის სინათლე ანათებდა მათ.

— ემონ დე ბარბონ... ჟან დე ფიურნ... პიერ სუფე... ბრენტენაკ... პონსარ დე გეზ...

თითქოს მკვდრები მოდიოდნენ მასთან, გაგვიხსენეო, ნოგარე, — ეუბნებოდნენ.

— დიახ, სირ... მე ხვალ წავალ.

ბუვილს, ტახტის მოხუც მსახურს, გული შეეკუმშა, ეს ჩურჩული რომ გაიგონა და გუნებაში თქვა, ამას უთუოდ მოვახსენებო მეფეს.

მაგრამ უცებ ნოგარე წამოჯდა, ნიკაპი გამოიშვირა, კისერი წაიგრძელა და საშინელი ხმით დაიყვირა.

— კატარის ნაშიერო!

ბუვილმა დომინიკანელს გადახედა და ორივემ პირჯვარი გადაიწერა.

— კატარის ნაშიერო! — გაიმეორა ნოგარემ და კვლავ ბალიშებზე დაეცა.

საშინელი, ტრაგიკული სანახაობა წარმოუდგა. მთებსა და მდელოებს მიუყვებოდა. გზა უკანასკნელი სამსჯავროსაკენ და ამ გზამ თავისი გარდასული მოგზაურობა გაახსენა.

სექტემბრის ერთ მშვენიერ დღეს ანანის კლდისაკენ მიემართებოდა. ცაზე კაშკაშებდა იტალიის მცხუნვარე მზე. ნოგარეს ახლდა ექვსასი მხედარი და ათასი ქვეითი. გვერდით ედგა ბონიფაციუს VII-ის მოსისხლე მტერი — კაცი, რომელმაც ირჩია სამი წელი ჯოჯოხეთურ კატორღაში გაეტარებინა, ვიდრე პაპს ჩაბარებოდა. ტიერი დ'ირსონიც ექსედიციის მონაწილე იყო. ანანის

პატარა ქალაქმა თავისი ნებით გაუღო კარი. მიმხდურები ტაძარში შეიჭრნენ და ხელთ იგდეს კაეტანის სასახლე და პაპის დარბაზები. იქ, ოთხმოცდარვა წლის პაპი—უშველებელ დარბაზში მარტოდმარტო მიტოვებული — ხედავდა, როგორ შემოდიოდა ეს შეიარაღებული ურდო. მოსთხოვეს ხელი აეღო პაპის ტიარაზე. ამაზე ბონიფაციუსმა მიუგო:

— აი ჩემი ქისები, აი ჩემი თავი. მაგრამ მე პაპი ვარ და ასევე მოვკვდები.

ჩიარა კოლონამ თავისი რკინის ხელთათმანით სილა გააწნა და მაშინ ბონიფაციუსმა დაუძახა ნოგარეს, — კატარის ნაშიერო! კატარის ნაშიერო!

— სიკვდილისაგან ხომ მე დავიცავი! — წამოიძახა ნოგარემ.

კვლავ თავს იმართლებდა, მაგრამ მალე აქვითინდა, როგორც ბონიფაციუსი ქვითინებდა, როცა ტახტიდან დაბლა ჩამოაგდეს.

მოხუცი პაპის გონებამ ვერ გაუძლო შეურაცხყოფას და აბუჩად აგდებას. როცა რომში მიჰყავდათ, პატარა ბავშვივით სლუკუნებდა. მერე სიშმაგემ დარია ხელი, და ყველას შეურაცხყოფას აყენებდა, ვინც კი მიეახლებოდა. ოთახში გამოკეტეს და იქ ოთხზე დაცოცავდა. ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა ისე, რომ სიშმაგის შემოტევისას უკუაგდო უკანასკნელი ზიარება.

პირჯვრის წერას უმატა დომინიკელმა ბერმა; ვერ გაეგო, ნოგარე ახლა რატომ უარყოფდა ზიარებას, როცა რამდენიმე საათის წინ წინააღმდეგი არ იყო.

ბუვილი წავიდა. დალაქმა იცოდა, რომ ჯერ საჭირო არ იყო, ვიდრე მიცვალებულის გაპატიოსნებასა და შემოსვას არ შეუდგებოდნენ. მას თავი ჩამოუვარდა და სკამზე ჩამოეძინა. დომინიკელი დროდადრო გადადებდა თავის კრიალოსანს და წამოდგებოდა სანთლისათვის პატრუქის შესაჭრელად.

დილის ოთხი საათი იყო, როცა ნოგარეს ბაგემ სუსტად წარმოთქვა:

— კლემან პაპ... გიიომ რაინდო... ფილიპ მეფევ...

დიდი ბრტყელი თითებით ზეწარი მოფხაჭნა.

— ვიწვი! — ესლა თქვა.

მერე ფანჯრებს ნაცრისფერი დაედო. განთიადის მკრთალი შუქი მოადგა. სენის მეორე მხარეს ზარმა დარეკა...

მსახურნი მისაღებში აფუთფუთდნენ. ერთმა მათგანმა სარკმელი გააღო. გაზაფხულისა და ფოთლების სუნი ასდიოდა პარიზს. ქალაქი იღვიძებდა. გაურკვეველი ხმები გაისმოდა.

ნოგარემ სული განუტევა. ნესტოებზე მიხმობოდა ცხვირიდან დადენილი სისხლი. დომინიკელმა თქვა:

— უფალმა მიიხმო იგი!

III

ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲤᲝᲒᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘ

ერთი საათი გავიდა, რაც ნოგარემ სული დალია, და მესირ ალენ დე პარეი სამეფო მდივნის მაიარის თანხლებით მოვიდა, რათა ყველა საბუთი ხელთ ეგდო. მეფისათვის უნდა მიერთმიათ ყველა დავთარი და ჩანაწერი, რაც კი ბეჭდის მცველის სახლში ინახებოდა.

მერე მეფე უკანასკნელად ეწვია თავის მინისტრს, ცოტა ხანი შეჩერდა მის ცხედართან. მიცვალებულს მიაპყრო თავისი უფერული, უმოძრაო თვა-

ლები, თითქოს ჩვეულებისამებრ ეკითხებოდა, თქვენი რჩევაო, ნოგარე. მბრძანებელი იმედგაცრუებული ჩანდა, რაკი პასუხს არ იღებდა.

ამ დილით ფილიპ ლამაზმა ჩვეულება დაარღვია და აღარ ჩაიარა ბაზრებსა და ქუჩებში. პირდაპირ სასახლეში დაბრუნდა და მაიარის თანდასწრებით დაიწყო იმ ქაღალდების გადასინჯვა, რომლებიც ნოგარესაგან წამოიღეს და მეფის კაბინეტში დააწყვეს.

მალე მეფეს ანგერან დე მარინი წარუდგა. ხელმწიფემ და მისმა კოაჯიუტორმა ერთმანეთს გადახედეს და მდივანი იქაურობას გაეცალა.

— ერთი თვე გავიდა და პაპი... — თქვა მეფემ, — კიდევ ერთი თვეც და ნოგარე....

კაეშანი და სასოწარკვეთა მოისმა ამ სიტყვებში. მარინი დაჯდა იქ, სადაც მეფემ მიუთითა. ერთ ხანს ჩუმად იყო, მერე კი თქვა:

— უცნაური დამთხვევაა, სირ! მსგავსი ამბავი, ეტყობა, ყოველდღე ხდება, მაგრამ ეს არ გვაწუხებს, რაკი არ ვამჩნევთ.

— ასაკი გვემატება, ანგერან! ეს უკვე საკმარისი წყევლაა!

მეფე ორმოცდაექვსი წლისა იყო, მარინი კი ორმოცდაცხრისა. იმ დროს მამაკაცთაგან ცოტანი აღწევდნენ ორმოცდაათ წელს.

— ესენი სულ უნდა გადავარჩიოთ, — თქვა მეფემ და ქაღალდებზე მიუთითა.

მუშაობას შეუდგნენ. საბუთების ერთი ნაწილი სამეფო არქივისათვის უნდა გადაეცათ. ეს არქივი სასახლეში იყო. რაც მიმდინარე საკითხებს ეხებოდა, იმას მარინი შეინახავდა ან თავის ლეგისტებს გადასცემდა; ზოგი საბუთი სიფრთხილის გამო ცეცხლს მიეცემოდა.

კაბინეტში სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ პარიზის ხმაური და ვაჭრების შორეული ხმები აღღვევდა ამ სიჩუმეს.

მეფე გაშლილ ფურცლებზე დაიხარა. ეს იყო მთელი მისი მეფობა, რომელიც ხელახლა იშლებოდა მის თვალთა წინ. ოცდაცხრა წელი იყო, რაც იგი მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს განაგებდა. ოცდაცხრა წელი მის გავლენას ემორჩილებოდა მთელი ევროპა.

უეცრივ მოეჩვენა, რომ ეს მოვლენები, საკითხები, გადაწყვეტილებანი უცხონი იყვნენ მისი საკუთარი ცხოვრების, მისი საკუთარი ბედის მიმართ; სხვა შუქი მოეფინა იმას, რაც შეადგენდა მის ყოველდღიურ სამუშაოს და ღამეულ საზრუნავს.

რადგან მხოლოდ ახლა გაიგო, რასაც სხვები ფიქრობდნენ და წერდნენ მასზე, გარედან ხედავდა საკუთარ თავს. ნოგარეს შემოენახა ელჩთა წერილები, დაკითხვის ოქმები, პოლიციის მოხსენებანი. ამ სტრიქონებში ჩანდა მეფის სურათი — სრულიად სხვა, თვით მეფისათვის უცნობი ხატება. ეს იყო ხატება, შორეული კერპი, სხვათა ტკივილისადმი გულგრილი, გრძნობისათვის შეუვალი არსებისა. მეფემ რაღაც განყენებული ფიგურა დაინახა, უზენაეს ძალაუფლებას რომ განახორციელებდა და თავისავე მსგავსთა ცხოვრებას განდგომოდა. გაოცებით კითხულობდა ხელმწიფე ბერნარ დე სესეს, იმ არქიეპისკოპოსის ორ წინადადებას, რომელიც ბონიფაციუს მერვესთან შეხლა-შემოხლის საბაბი გახდა: „მერე რაა, რომ ულამაზესი კაცია ამქვეყნად. მხოლოდ შეხედვა იცის და სიტყვას არ ამბობს. იგი კაცი არაა, არც ცხოველია, ის ქანდაკებაა“.

ხელმწიფემ წაიკითხა თავისი მეფობის თვითმხილველის კიდევ ერთი ფრაზა: „მას ვერაფერი მოდრეკავს, ნამდვილი რკინის მეფეა“.

— რკინის მეფე, — წაიჩურჩულა ფილიპ ლამაზმა, — ნუთუ ასე კარგად დამიფარავს ჩემი სისუსტე, რა ცუდად გვიცნობენ სხვები და რა უმართებლო იქნება მათი მსჯავრი.

შემთხვევით ერთ გვარს გადაეყარა, ამან ერთი უცნაური ელჩი გაახსენა, რომელიც მეფობის პირველ წლებში მიიღო. ეს კაცი იყო რაბამ კომახი — ჩინელი ნესტორიანელი ეპისკოპოსი. იგი ფილიპ ლამაზს ეახლა სპარსეთის განმგებლის ჩინგიზ-ხანის შთამომავლის სახელით. ხანი სთავაზობდა, კავშირი შევკრათ და მე ასი ათასი კაცის გამოყვანა შემიძლია თურქების წინააღმდეგო.

ფილიპ ლამაზი მაშინ ოცი წლისა გახლდათ. რა დიდი ცდუნება იყო ახალგაზრდა კაცისათვის ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყება — ეს იქნებოდა ევროპისა და აზიის ერთობლივი ლაშქრობა — ალექსანდრე მაკედონელის წამოწყების მსგავსი. მაგრამ მან სხვა გზა ირჩია: კმარა ომი და ჯვაროსნული ლაშქრობანი, უარი სამხედრო ავანტურებს, მას უნდა ეზრუნა საფრანგეთისა და მშვიდობის შენარჩუნებაზე. სწორად მოიქცა? რა იქნებოდა მისი ცხოვრება, რა იმპერიას შექმნიდა, დასტური რომ ეთქვა სპარსეთის ხანთან კავშირზე? წუთით ოცნებას მიეცა — ხელახლა დაეპყრო ქრისტიანული მიწები და საუკუნოდ დაემკვიდრებინა დიდება. ასეთ ოცნებას აჰყვნენ ლუი მეშვიდე, ლუი წმიდა და ოცნებამ უბედურება მოიტანა მხოლოდ.

ისევ სინამდვილეს დაუბრუნდა. პერგამენტების ახალი დასტა გაშალა, თარიღი წაიკითხა, 1305 წელი. ეს იყო გარდაცვალების თარიღი დედოფალ ჟანასი, ხელმწიფის მეუღლისა, რომელმაც სახელმწიფოს ნავარა მოუტანა, ხოლო ხელმწიფეს მისი ცხოვრების ერთადერთი სიყვარული. მას არასოდეს მოსურვებია სხვა ქალი, თუმცა ცხრა წელი გავიდა, რაც დედოფალი გარდაიცვალა. ის იყო გლოვის ძაძა გაიხადა, რომ პარიზი აუჯანყდა. მეფე აიძულეს ტამპლს შეფარებოდა. მომდევნო წელს კი ტამპლიერები დააჭერინა. სწორედ ისინი, რომლებმაც თავშესაფარი მისცეს და მფარველობა გაუწიეს... ნოგარეს შეენახა ჩანაწერები, რაც კი პროცესის მიმდინარეობას ეხებოდა.

ახლა ნოგარეც აღიგვებოდა პირისაგან მიწისა. მისგან ჩანაწერების ეს დასტაღა დარჩებოდა — მისი მუშაობის მოწმე. „რამდენი რამაა აქ, რაც დავიწყებას მიეცა, რამდენი პროცესი, წამება, სიკვდილი“.

თვალგაშტერებული ფიქრობდა:

„რატომ? რა მიზნით? სადაა ჩემი ძლევამოსილება, ხელმძღვანელობა? ეს არის ნამოღვაწარი, რომელსაც ბოლო არ აქვს. ვინ იცის, რამდენიმე კვირის სიცოცხლე დამრჩენია. ისეთი რა გავაკეთე, რაც ჩემ შემდეგაც განაგრძობს სიცოცხლეს?“

ამაოება იგრძნო, როგორც სჩვევია ადამიანს, ვინც სიკვდილის ფიქრითაა შეპყრობილი.

მარინი უძრავად იყო, მეფის კაეშნით შეშფოთებული. ყველაფერს აიტანდა მეფის კოაჯიუტორი, ყოველგვარ მუშაობას და მოვალეობას აასრულებდა, ოღონდ კი მეფის გაყუჩება არ ენახა.

— პაპის შეწევნით პაპაჩემი ლუი მეფე წმიდანად შთავრაცხეთ. იყო კი წმინდანი მართლა?

— მისი წმიდად შთარაცხვა სახელმწიფოსათვის სასარგებლო იყო, — უპასუხა მარინმ, — მეფეთა გვარი უფრო აღზევებულია, თუ მას წმიდანი ჰყავს.

— ამის შემდეგ მაინც იყო საჭირო ძალა გვეხმარა ბონიფაციუსის წინააღმდეგ?

— ის მზად იყო მოეკვეთეთ, რაკი ჩვენს სახელმწიფოში მისთვის სასურველ პოლიტიკას არ ადექით. თქვენ ვერ უღალატეთ მეფის მოვალეობას. თქვენ იქ დარჩით, სადაც ღმერთმა დაგსვათ და განაცხადეთ, მეფობა უფალმა მიბოძაო.

ფილიპ ლამაზმა გრძელ პერგამენტზე მიუთითა:

— ებრაელებზე რას იტყვით? მეტისმეტად ბევრი ხომ არ დავწვით? ისინიც ხომ ადამიანები არიან, ჩვენსავით ტანჯულნი და მოკვდავნი? ღმერთს ეს არ უბრძანებია.

— თქვენ ლუი წმიდას მაგალითს მისდიეთ და თანაც სამეფოს სჭირდება მათი საუნჯე, სირ.

„სამეფო, სამეფო, გაუთავებლად სამეფო, სამეფოს სჭირდებოდა. ჩვენ ეს სამეფოსთვის უნდა გაგვეკეთებინა... სამეფოსათვის“.

— ლუი წმიდას რჯული უყვარდა და ეთაყვანებოდა უფალს. მე რაღა მიყვარდა? — ხმადაბლა თქვა ფილიპ ლამაზმა.

— სამართალი, სირ, სამართალი, საჭირო საერთო კეთილდღეობისათვის. ეს სამართალი სჯიდა ყველას, ვინც არღვევდა სამყაროს ზოგად განრიგს.

— ჩემი ზეობის დროს მრავალნი არ იცავდნენ სამყაროს ზოგად განრიგს. მომავალშიც მრავალნი იქნებიან და არ იქნება გარჩეული ერთი საუკუნე მეორისაგან.

იგი ათვალიერებდა ნოგარეს ჩანაწერებს და დასტა-დასტად ალაგებდა მაგიდაზე.

— მწარე რამაა ძალაუფლება, — ბრძანა ხელმწიფემ.

— სიდიადე ვინა თქვა, სირ, შიგ ნაღველი არ ეროიოს, — მიუგო მარინმ, — ქრისტე ღმერთმა იცოდა ეს. თქვენი მეფობა დიადი იყო. თქვენ სამეფო გვირგვინს შემატეთ შარტრი, ბოჟანსი, შამპანი, ბიგორი, ანგულემი, მარშა, დუე, მონპელიე, კონტე-ფრანში, ლიონი და გიენის ნაწილი. თქვენ გაამაგრეთ სამეფოს ქალაქები, რაზედაც მამათქვენი ფილიპ მესამე ოცნებობდა. გამაგრებულ ქალაქებს ველარ დაძლევდა მტერი. ძველი რომაული სამართლის მიხედვით შექმენით კანონები. წესი განუჩინეთ პარლამენტს, რათა სამართლიანი განაჩენის გამოტანა შესაძლებელი გამხდარიყო. ბევრ ქვეშევრდომს ტახტის მოქალაქის წოდება მიანიჭეთ, ყმები დაიცავით და სასამართლოდან და სენეშალისაგან გაანთავისუფლეთ. არა, სირ, ნუ იფიქრებთ, რომ ამაოდ დაშვერით, დაშლილი სამეფო გააერთიანეთ და ერთი გული ჩაუდგით.

ფილიპ ლამაზი წამოდგა. კოაჯიუტორის ნაჭედმა სიტყვამ მხნეობა შემატა, ამ მხნეობამ შეაძლებინა შებრძოლებოდა იმ სისუსტეს, რაც უცხო იყო მისი ბუნებისათვის.

— შეიძლება, თქვენ მართალს ამბობთ, ანგერან. ვთქვათ, წარსული გაკმაყოფილებთ, რას იტყვით აწმყოზე? გუშინ სენ-მერის ქუჩაზე ხალხის დაშოშმინება მხოლოდ ხელშუბიანებმა შესძლეს. წაიკითხეთ, რას გვწერენ მოხელეები შამპანიდან, ლიონიდან, ორლეანიდან, ყველგან გაჰკივიან, ყველგან სწუხან ხორბლის გაძვირებასა და შემოსავლის სიმცირეს. ვინც ყვირის, ანგერან,

ვერ გაიგებს, რომ მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებას და ჩემი სურვილის ასრულებას დრო სჭირდება. ისინი დავიწყებას მისცემენ ჩემს გამარჯვებებს და მხოლოდ ჩემს ბრალს მოიგონებენ, ვერ დაგვაპურაო.

მარინი უსმენდა და ახლა მეფის ლაპარაკი უფრო აღელვებდა, ვიდრე წინანდელი სიჩუმე. მას არასოდეს მოუსმენია ამგვარი ეჭვი და სასოწარკვეთა მეფისა.

— სირ, — თქვა კოაჯიუტორმა, — რამდენიმე საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი.

ფილიპ ლამაზმა კიდევ ერთი წამით გადაავლო თვალი მაგიდაზე მიმოფანტულ საბუთებს, მერე გაიმართა და თითქოს თავის თავს უბრძანაო, თქვა:

— დიახ, ანგერან, გადასაწყვეტი გვაქვს.

ძლიერი ადამიანების სიძლიერე ის კი არაა, რომ მათთვის უცხოა ეჭვი და ყოყმანი, ესოდენ დამახასიათებელი ადამიანის ბუნებისათვის ზოგადად, არამედ მხოლოდ ის, რომ ამ გრძნობათა დაძლევა უფრო სწრაფად შეუძლიათ.

IV

ᲛᲔᲤᲘᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ

ნოგარეს სიკვდილის შემდეგ ფილიპ ლამაზს განმარტოების ჟამი დაუდგა, თითქოს ცალკე სამყაროში ჩაიკეტა, სადაც ვერავინ შეუყვებოდა.

გაზაფხული სითბოს აფენდა მიწასა და სახლებზე. პარიზი მზეს გაეცისკროვნებინა, მაგრამ მეფე თითქოს შინა ზამთარს შეხიზნოდა. დიდი მაგისტროსის წინასწარმეტყველება ერთი წუთით არ ავიწყდებოდა.

ხშირად ქალაქგარეთ სამყოფელოში მიდიოდა და დიდხანს ნადირობდა. ნადირობა მისი ერთადერთი გართობა იყო, მაგრამ მშფოთვარე მოხსენებანი უხმობდა პარიზს. საკმაოდ ცუდად იყო სურსათის საქმე; ცხოვრება გაძვირდა. ნაყოფიერი მხარეები თავის ნამატს ღარიბ რაიონებს არ უზიარებდნენ. ხალხი ამბობდა: „სერჟანტები არ გვაკლია, ქერია ცოტაო“, გადასახადის გადახდაზე უარს ამბობდნენ და მოსამართლეები და ფულის შემკრებნი გაწბილებული რჩებოდნენ. გაჭირვებამ შეამჭიდროვა ძირძველი ბარონები, რათა თავიანთი ძველი ფეოდალური უფლებები დაეცვათ. რობერ დ'არტუამ მშვენივრად გამოიყენა მეფის რძლების საქვეყნო სირცხვილი და საერთო უკმაყოფილება და მაო ბურგუნდიელის მამულებში ისევ მოაწყო გამოსვლები.

— ცუდი გაზაფხული უდგას ჩვენს ქვეყანას, — უთხრა ფილიპ ლამაზმა ერთ დღეს მონსენიორ დე ვალუას.

— საუკუნის მეთოთხმეტე წელიწადია, ძმაო ჩემო, — მიუგო ვალუამ, — ეს წელი ოდითგანვე უბედურებად დაგვეკვება.

ამით შეახსენა ის უსიამოვნო ამბები, რაც ყველა საუკუნის მეთოთხმეტე წელს ახლდა. 714 — მუსლიმანთა შემოსევა ესპანეთიდან; 814 — კარლოს დიდის სიკვდილი და მისი იმპერიის დაშლა; 914 — უნგრელთა შემოსევა და დიდი შიმშილი; 1114 — ბრეტანის დაკარგვა; 1214 — ოტონ IV კოალიცია; ძლივს მოპოვებული გამარჯვება ბუვინში. მხოლოდ 1014 წელი გადაურჩა დრამას.

ფილიპ ლამაზმა ისე შეხედა ძმას, თითქოს ვერ ხედავსო, მერე ხელი ლომბარდ მწევრის კისერზე დაუშვა და ბალანს ააყოლა აღმა.

— რაც შეეხება ახლანდელ უბედობას, სულ თქვენი ცუდი მრჩევლების ბრალია, — განაგრძო შარლ დე ვალუამ, — ზომა არ იცის მარინიმ. თქვენს ნდობას იყენებს და გატყუებთ, ცდილობს იმ გზაზე მოგაქციოთ, რომელიც პირადად მისთვისაა ხელსაყრელი. აი, თქვენ რომ ფლანდრიის საკითხში ჩემი რჩევა ყურად გეღოთ...

ფილიპ ლამაზმა ისე აიჩეჩა მხრები, თითქოს ამბობდა: — „თავს ზევით ძალა არაა“. დროდადრო ფლანდრიასთან ურთიერთობა რთულდებოდა. შემოურიგებელი მდიდარი ბრიუგე კომუნებს ამხედრებდა. ფლანდრიის ქვეყანა ზოგად კანონს არ ემორჩილებოდა. მტკიცე ზავი ვერ დამყარდა ფლანდრიასა და საფრანგეთს შორის. ფლანდრიის საგრაფო ხან ერთგულად იცავდა ზავის პირობებს, ხან აღვევდა. ხან სავაჭრო კავშირის მომხრე იყო, ხან ჯანყისა... ფლანდრიის საკითხი მოურჩენელ წყლულად აწვა საფრანგეთის სამეფოს. რაღა შემორჩათ მონსანპეველის გამარჯვებიდან? კიდევ ერთხელ უნდა მიემართათ ძალისათვის.

მაგრამ ბრძოლის დაწყება სახსრებს მოითხოვდა და ახალი ლაშქრობის წამოწყება ხაზინას უდავოდ მეტი დაუჯდებოდა, ვიდრე 1399 წლისა, რომელიც მეხსიერებამ შემოინახა, როგორც ყველაზე ძვირი ლაშქრობა სამეფოს ისტორიაში. მილიონ ექვსას ორმოცდაცხრა ლივრის დანახარჯი, დაახლოებით სამოცდაათი ათასი ლივრის დეფიციტით. ხოლო რამდენიმე წელი ჩვეულებრივი შემოსავალი დაახლოებით ხუთასი ათასი ლივრი იყო. როგორ უნდა დაეფარათ განსხვავება?

მარინიმ შარლ დე ვალუას აზრის საწინააღმდეგოდ მოქალაქეთა ასამბლეა მოიწვია 1314 წლის პირველ აგვისტოს. მან ადრეც რამდენჯერმე შეკრიბა ამგვარი თათბირი, მაგრამ მაშინ იგი ამ თათბირებს მეფის ხელისუფლებასა და პაპს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების თავიდან ასაცილებლად იწვევდა. ამის შედეგი იყო სწორედ, რომ ბურჟუაზიამ ენა ამოიდგა. ახლა კი უკვე ხალხს საფინანსო საკითხში სთხოვდნენ დასტურს.

მარინიმ ძალიან კარგად მოამზადა ეს კრება, ქალაქებში შიკრიკები და მდივნები დაგზავნა, გაახშირა შეხვედრები და დაპირებანი.

ასამბლეა შეიკრიბა დიდ სადახლო ტალანში; დუქნები იმ დღეს დაკეტილი იყო. ამაღლებულ ადგილზე დიდი ფიცარნაგი აღემართათ და იქ დაბრძანდნენ მეფე, მისი საბჭო, სამეფოს პერები და ყველაზე გავლენიანი ბარონები.

ფეხზე მდგომელმა მარინიმ სიტყვა აიღო. ის ახლო იდგა თავის მარმარილოს გამოსახულებასთან და მისი ხმა უფრო დამარწმუნებლად ჟღერდა, ვიდრე ჩვეულებრივ. თავადაც თითქოს სჯეროდა, რომ სამეფოს ჭეშმარიტებას გამოხატავდა. მუქი ტანსაცმელი ეცვა. ორატორს დიდებული თავდაჭერა და მიხვრა-მოხვრა ჰქონდა, მისი სიტყვა ფორმით მიმართული იყო ხელმწიფისაკენ, მაგრამ ისე ხალხს მიმართავდა და ხალხიც თავს მბრძანებლად გრძნობდა. ორთალიან უშველებელ ტალანში საფრანგეთის ყოველი კუთხიდან ჩამოსული ასიოდე კაცი უსმენდა მარინის.

მარინიმ თქვა, სურსათმა იკლო, ფასმა იმატა, მაგრამ ეს არ უნდა გვიკვირდესო, რადგან ფილიპ მეფის მიერ დამყარებულმა მშვიდობამ ხელი შეუწყო ქვეშევრდომთა რიცხვის ზრდას. ხორბალი იმდენივე მოგვდის, მაგრამ მეტნი

ვართ და გაყოფა გვიჭირს, მაშ მეტი უნდა დავთესოთ და რომ დავთესოთ, საჭიროა მთელ საფრანგეთში სუფევდეს მშვიდობა, დავემორჩილოთ მეფის ბრძანებებს და ყოველმა მხარემ მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს აყვავებაში.

მაგრამ ვინ ემუქრება მშვიდობას? — ფლანდრია. ვინ ამბობდა უარს საერთო კეთილდღეობისათვის ხელის შეწყობაზე? — ფლანდრია. ვინ ინახავდა ხორბალსა და ფართალს, ვინ ამჯობინებდა მათ უცხოეთში გაყიდვას, ვინ არიდებდა თავს სამეფოს შინა ბაზარს? ვის არ უნდოდა წამლად დადებოდა ქვეყნის გაჩანაგებას? — ფლანდრიას. რაკი ხელშეკრულებას უარყოფდნენ, ფლანდრიის ქალაქები განზრახ აბრკოლებდნენ თანაბარ განაწილებას. ფლანდრიამ უნდა დათმოს, ნებით იქნება თუ იძულებით, მაგრამ ამისათვის ფულია საჭირო. ასამბლეაზე წარმოდგენილი ქალაქების ბურჟუებმა, თუ საკუთარი ინტერესები უღირთ რამედ, კვერი უნდა დაუკრან გადასახადთა არნახულ გადიდებას.

— ასე გამოჩნდება, — დაამთავრა მარინიმ, — ვინ ამოგვიდგება მხარში და შეებრძოლება ფლანდრიელებს.

გაისმა გუგუნი, რომელიც დაფარა ეტიენ ბარბეტის ხმამ.

ბარბეტი, პარიზის ზარაფხანის უფროსი, ქალაქის თავი და ვაჭრების თავკაცი, საკმაოდ ხელმომთბარი ფართლეულისა და ცხენების ვაჭრობით, მარინის მოკავშირე იყო. მისი გამოსვლა წინასწარ იყო მომზადებული. სამეფოს პირველი ქალაქის სახელით ბარბეტმა აღუთქვა მხარდაჭერა. მან სხვებიც აიყოლია და ორმოცდასამი „კარგი ქალაქის“ დეპუტატები მიემხრნენ ერთსულოვნად მეფეს, მარინის და ბარბეტს.

თუ ასამბლეა გამარჯვება იყო, მისი შედეგი მაინცდამაინც ვერაფერი შვილი გამოდგა. არმიის ჩაურევლად სახსრების სრულად შეგროვება ვერ მოხერხდა.

მეფეს და კოაჯიუტორს ხალხის დაშინება უფრო უნდოდა, ვიდრე ნამდვილი ომის გაჩაღება. ლაშქრობა ძლევამოსილი სამხედრო გასეირნება იყო. როგორც კი ჯარი გზას დაადგა, მარინიმ აცნობა მტერს, მზად ვარ მოლაპარაკება დავიწყოთო და სექტემბრის დამდეგსავე სასწრაფოდ მარკეტის ხელშეკრულება დადო.

მაგრამ როცა ჯარი წავიდა, ლუი დე ნეველმა — რობერ დე ბეტიუნის ვაჟმა, ფლანდრიის გრაფმა ხელშეკრულება დაარღვია. ეს მარინის დამარცხებას ნიშნავდა. ვალუას გაუხარდა ეს მარცხი, რაკი კოაჯიუტორს აყენებდა ჩრდილს: იგი საჯაროდ ბრალს სდებდა მარინის, ფლანდრიელებზე გაგვიყიდაო. ლაშქრობის ხარჯი გადასახდელი იყო; სამეფო ოფიცრები პროვინციებში იმ გაუგონარი გადასახადის აკრეფას აგრძელებდნენ, რაიც განზრახული იყო უკვე მარცხით დამთავრებული საქმის წარმატებისათვის. ხაზინა დაცარიელდა და მარინის ახალი გზები უნდა დაესახა. ებრაელთა გაძარცვა უკვე ორჯერ მოასწრეს. მათი ახალი გაკრეჭვა დიდ მატყლს ვერ მოიტანდა. ტამპლიერები აღარ იყვნენ, ხოლო მათი ოქრო რა ხანია გადაედნოთ. ლომბარდებიღა დარჩენილიყვნენ.

ჯერ კიდევ 1311 წელს გამოიცა მათი განდევნის დეკრეტი, თუმცა ნამდვილად მათი გადასახლება კი არ ეწადათ, არამედ მხოლოდ ის უნდოდათ, რომ ლომბარდთათვის საფრანგეთში ცხოვრების უფლება რაც შეიძლება გაეძვირე-

ბინათ. ამჟამად საქმე აღარ ეხებოდა საფრანგეთში ყოფნის უფლების შესყიდვას. ლომბარდთათვის მთელი ქონება უნდა ჩამოერთმიათ და დედაწულიანად უნდა აეყარათ საფრანგეთიდან — ამას ვარაუდობდა მარინი. საბაბად მარინის გამოადგებოდა ის ვაჭრობა, რასაც ლომბარდელები ფლანდრიასთან ეწეოდნენ მეფის მითითებათა საწინააღმდეგოდ და ის დახმარება, რასაც მეამბოხე სენიორებს უწევდნენ.

მაგრამ ლომბარდელობა ადვილად ჩასაყლაპი ლუკმა არ იყო, იტალიელმა ბანკირებმა და ვაჭრებმა, მეფის ბურჟუებმა მოახერხეს მტკიცე კავშირებად შეკვრა. ყოველ ასეთ კავშირს არჩეული ჰყავდა „გენერალური კაპიტანი“, ვინც განაგებდა კრედიტებს, მიმოსვლის საშუალებებს, კერძო ფოსტას და კრეფდა გადასახადებს. მათი მოვალენი იყვნენ ბარონები, ქალაქები, მეფეები, მოწყალების გაცემაც იცოდნენ, როცა საჭირო იყო.

მარინიმ რამდენიმე კვირა მოანდომა, რომ თავისი გეგმა წესრიგში მოეყვანა. იგი ჯიუტი კაცი გახლდათ და აუცილებლობა სტიმული იყო მისთვის.

მაგრამ აღარ იყო ნოგარე, თანაც პარიზის ლომბარდები საქმეშიც კარგად ჩახედული, გამოცდილი, გამოწრთობილი ადამიანები იყვნენ. ფულს არ ზოგავდნენ, რომ როგორმე სახელმწიფო საიდუმლოებანი გაეგოთ.

არ ეძინა ცალთვალმოხუჭულ ტოლომეის.

V

ფული და ძალაუფლება

შუა ოქტომბრის ერთ საღამოს ოცდაათიოდე მამაკაცი შეკრებილიყო მესიერ სპინელო ტოლომეისთან. ყველა კარი ჩაერაზათ.

ამათგან ყველაზე ახალგაზრდა ჯუჩიო ბალიონი იყო, სპინელოს დისწული, თვრამეტი წლის ჭაბუკი. ყველაზე უფროსს სამოცდათხუთმეტ წლისათვის გადაებიჯებინა. ეს გახლდათ ბოცანეგრა — ლომბარდიელი, კომპანიების გენერალური კაპიტანი. რაოდენი განსხვავებაც არ უნდა ყოფილიყო ასაკისა თუ სახის ნაკვთების მიხედვით, მაინც ყველა ერთმანეთს ჰგავდა ქცევითა და მიხვრა-მოხვრით.

დიდი სანთლები ანათებდა იქაურობას და მაგიდის გარშემო შეკრებილი მამაკაცები ქმნიდნენ ერთ ოჯახს და ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ. მეომარ ტომსაც ჰგავდნენ, რომლის ძლიერება ტოლს არ უდებდა დიდებულ გვარიშვილთა თუ მოქალაქეთა ასამბლეების ძლიერებას.

აქ იყვნენ პერუჩები, ალბიცები, გვარდები, ბარდები, ბარდთა მთავარი კომივოიაჟერი ბოკაჩო. იყვნენ პუჩები, კაზინელები — ყველანი ფლორენციელები, როგორც მოხუცი ბოცანეგრა; იყვნენ გენუელები: სალიმბენები, ბუონსინიორები, ალერანები, ზახარიები. აგრეთვე სკოტები პეაჩენცადან, იყო სიენელების კლანი, ტოლომეი რომ განაგებდა. ისინი ერთმანეთს ექიშპებოდნენ სახელ-დიდებისათვის, მეტოქეობას უწევდნენ ვაჭრობის ჟამს, მაგრამ საფრთხის გამოჩენა — და მათი ძმური შეკავშირება ერთი იყო.

ტოლომეიმ დინჯად იამბო, რა სახიფათო ვითარება შეიქმნა; ეს არავისათვის ყოფილა მოულოდნელი. ამ ბანკის კაცებში ცოტა იყო წინდაუხედავი. უმრავლესობას საფრანგეთის საზღვრებს მიღმა გადაემალა თავისი საუნჯის

ერთი ნაწილი. მაგრამ ისეთი ნივთებიც ხომ არსებობენ, რომელთა წაღებას ვერ მოახერხებ და ყოველი მათგანი წუხილით, ჯავრით და გულის ხეთქვით ფიქრობდა იმაზე, რაც მისატოვებელი გაუხდებოდა: ლამაზი ბინა, ადგილ-მამული, მაღაზიის საქონელი, მდგომარეობა, მუშტრები, ჩვევები, მეგობრები, ლამაზი საყვარელი, უკანონო ვაჟი.

— იქნებ ჩემს ხელთ იყოს მარინის ალაგმვა, თუ მთლად მოცელვა არა.

— მაშინ ნულარ ყოყმანობთ, ammazzala! [1] — თქვა ბუენსინიორიმ, გენუის ყველაზე დიდი ამქრის უფროსმა.

— მაინც ისეთი რა საშუალება გაქვს? — შეეკითხა სკოტების წარმომადგენელი.

ტოლომეიმ თავი გაიქნია.

— მე ჯერ ვერ ვიტყვი.

— ცხადია, საქმე ვალს ეხება, — კვერი დაუკრა ზახარიამ, — მერე რა, განა ამ ჯურის ხალხს ეგ შეაჩერებს? პირიქით, რაკი საფრანგეთიდან განგვდევნიან, სწორედ ჩინებული შემთხვევა ექნებათ საიმისოდ, რომ სამუდამოდ დაივიწყონ, რა მართებთ ჩვენი.

ზახარია ენამწარე კაცი იყო; ის მხოლოდ პატარა ამქარს განგებდა და შურდა, რომ ტოლომეის დიდგვაროვანი მუშტრები ჰყავდა. ტოლომეი მიუბრუნდა და დიდი თავდაჯერებით უთხრა:

— ვალი რა სათქმელია, ზახარია, ჩემს ხელთ მოწამლული იარაღია და ამ საწამლავის აორთქლება არ მინდა. მაგრამ ის რომ ვიხმარო, თქვენ ყველანი მჭირდებით, ჩემო მეგობრებო. კოაჯიუტორთან მოლაპარაკება ისე უნდა გავმართო, რომ დიდკაცის ძალას ჩემი ძალა დავუპირისპირო. ჩემს ხელთაა მუქარა. უნდა შევძლო და ამ მუქარას გვერდით გარკვეული წინადადება ამოვუყენო, რათა მარინის არჩევანი ჰქონდეს, — ან ურთიერთგაგება, ან ბრძოლა.

შემდეგ ტოლომეიმ განაგრძო: — თუკი ლომბარდების გაძარცვა იმიტომ სურთ, რომ ფინანსური დეფიციტი შეავსონ — მარინიმ რადაც არ უნდა დაუჯდეს, ხაზინა გააძლიეროს — ლომბარდები თავს ისე დაიჭერდნენ, როგორც კეთილი ქვეშევრდომები და ძალდაუტანებლად შესთავაზებდნენ მნიშვნელოვან თანხას მცირე სარგებლით. თუკი მარინი ამაზე უარს იტყოდა, ტოლომეი ქარქაშიდან ხმალს ამოიღებდა.

— ტოლომეი, უნდა გავარკვიოთ, — შეესიტყვა ბარდების თავკაცი, — რა არის ეს იარაღი, რაზედაც ამდენს ლაპარაკობ.

წუთიერი შეყოვნების შემდეგ ტოლომეიმ თქვა: — თუკი ასეა, მე ეს მხოლოდ ჩვენს კაპიტანს შემიძლია გავუმხილო და სხვას არავის.

ჩურჩული გაისმა, ერთმანეთს თვალით დაეთათბირენ.

— Si, d'va bene... facciamo cosi! [2]

ტოლომეიმ გაიხმო ბოცანგერა ოთახის ერთ კუთხეში. სხვები თვალს არ აშორებდნენ მოხუცი ფლორენციელის პირისახეს, მის თხელ ცხვირს, ჩავარდნილ ბაგეს, მოღლილ თვალებს. მხოლოდ ორ სიტყვას მოჰკრეს ყური: fratello..... arcivescovo [3].

---

1 დასცხე (იტალ.).

2 კეთილი... ეგრე იყოს (იტალ.).

3 ძმა... არქიეპისკოპოსი...

— სარფიანი ორი ათასი ლივრი... — წაიჩურჩულა ბოლოს ტოლომეიმ, — ვიცოდი, ერთხელაც იქნებოდა, დიდ სამსახურს გამიწევდა.

გაისმა ბოცანეგრას ბებრული სიცილი, მერე ისევ თავის ადგილს მიაშურა და დამსწრეებს ტოლომეიზე მიუთითა.

— Abbieta fiducia [1].

მაშინ ტოლომეი დაფითა და პატარა ხანჯლით შეიარაღდა და თითოეულ მათგანს ჰკითხა, რა თანხის გაღება შეგიძლიათო.

პირველი ბოცანეგრა ჩაეწერა. საკმაოდ დიდ თანხას ჩამოვიდა... ორი ათასი და ცამეტი ლივრი.

ცამეტი ლივრი რაღაა, — ჰკითხეს.

— Per portar lozo scarogna [2].

— პერუჩი, რამდენი შეგიძლია? — ჰკითხა ტოლომეიმ.

პერუჩიმ დათვლა დაიწყო.

— ცოტა დამაცადე, გეტყვი, — უპასუხა მან.

— შენ, სალიმბენე?

გენუელებს, სალიმბენესა და ბუონსინიორის გარშემო შეკრებილთ, ისეთი იერი ჰქონდათ, თითქოს ხორცს აგლეჯენო. ისინი თავარიდების ოსტატებად იყვნენ ცნობილი. ტყუილად ხომ არ ამბობდნენ: „თუკი გენუელმა შენს ქისას შეხედა, ფულს გამოეთხოვეო“. ზოგიერთმა დამსწრემ ასეთი აზრი გამოთქვა:

— თუკი ახლა ტოლომეიმ დაგვიხსნა, ადრე იქნება თუ გვიან, ბოცანეგრას ადგილზე ის დაჯდება.

ტოლომეი მიუახლოვდა ორ ბარდის, ისინი ხმადაბლა ელაპარაკებოდნენ ბოკაჩოს:

— თქვენი ამქარი რამდენს გაიღებს?

უფროსმა ბარდიმ გაიღიმა.

— რამდენსაც შენ, სპინელო.

სიენელმა მთლად გაახილა მარცხენა თვალი.

— მაშ ორჯერ მეტი უნდა გადაიხადო, ვიდრე ვარაუდობ!

— ყველაფრის დაკარგვას მაინც აჯობებს, — თქვა ბარდიმ და მხრები აიჩეჩა. — მართალს არ ვამბობ, ბოკაჩო?

ბოკაჩომ თავი დახარა, მერე წამოდგა, რომ გვერდზე გაეყვანა ჯუჩიო, რომელსაც ლონდონის გზაზე შეხვედრის შემდეგ დაუახლოვდა.

— ნუთუ შენს ბიძას მართლა აქვს საშუალება კისერი მოუგრიხოს ანგერანს?

ჯუჩიომ უჩვეულოდ სერიოზული იერით უპასუხა:

— არასოდეს გამიგია, რომ ბიძაჩემს ნათქვამი არ შეესრულებინოს.

როდესაც შეკრება დაიშალა, ეკლესიაშიც წირვა გამოვიდა და პარიზს ღამე ეწვია, ტოლომეის სადგომიდან ოცდაათი ბანკირი გამოვიდა: მსახურები უნათებდნენ გზას და როცა ლომბარდთა უბანი გადაჭრეს, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ბნელ ქუჩაში მიაბიჯებდა უცნაური პროცესია დამფრთხალი სიმდიდრისა, პროცესია ოქროს თაყვანისმცემელთა.

---

1 ენდეთ (იტალ.).

2 იქნებ დაითარსონ (იტალ.).

თავის კაბინეტში სპინელო ტოლომეი და ჯუჩიო შეკრებილ თანხას ისე აჯამებდნენ, როგორც ბრძოლის წინ იციან ხოლმე ჯარის რაოდენობის გათვალისწინება. როცა თვლას მორჩნენ, სპინელომ გაიღიმა. ცალთვალდახუჭულმა დოინჯი შემოიყარა და შეხედა ცეცხლს, სადაც ის იყო მუგუზლები ნაცრად უნდა ქცეულიყო. მერე ჩურჩულით თქვა:

— მესირ დე მარინი, ჯერ გამარჯვება შორსაა, — და შემდეგ ჯუჩიოს მიმართა: — თუ გავიმარჯვებთ, ახალ უფლებებს მოვითხოვთ ფლანდრიაში.

თუმცა საშინელი აწიოკების საფრთხე ემუქრებოდა, ტოლომეი მაინც იმას ფიქრობდა, თუ გადავრჩით, რა მოგებას ვნახავთო. ბოლოს მობრუნდა და სკივრი გახსნა.

— ხელწერილი, რომელსაც არქიეპისკოპოსის ხელრთვა აქვს, — თქვა მან და საბუთი აიღო, — თავს რომ დაგვესხან და ისე მოგვექცნენ, როგორც ტამპლიერებს? ჯობს მესირ ანგერანის სერჟანტებმა აქ არ იპოვონ. ცხენს მოახტი და ნოფლში გასწიე. ბანკის ფილიალში დამალე ეს საბუთი, შენც იქ დარჩი.

ბერიკაცმა თვალი გაუსწორა ჯუჩიოს და დასძინა:

— თუ რაიმე უბედურება შემემთხვა...

თითები ერთმანეთზე **გადააჯვარედინეს და ხეს** შეახეს.

— შენ ამ ხელწერილს მონსენიორ დ'არტუას გადასცემ, ის გრაფ დე ვალუას მიუტანს და იმას ეცოდინება, როგორ გამოიყენოს იგი. სიფრთხილე გმართებს, ხელშუბიანები შეიძლება მიწვდნენ ნოფლის ბანკს.

— ბიძაჩემო, ბიძაჩემო, — ცოცხლად მიუგო ჯუჩიომ, — მე ერთი აზრი მომივიდა. ბანკი იქეთ იყოს. კრესიში წავალ. იქაური მებატონენი ჩვენი მოვალენი არიან. ამას წინათ ხელი გავუმართე და ჩვენი სჯერათ. მე ვფიქრობ, რომ მეპატრონის ქალი, თუ არაფერი შეცვლიდა, უარს არ მეტყვის დახმარებაზე.

— კარგი აზრია, — მიუგო ტოლომეიმ, — დავაქკაცებულხარ, ჩემო ბიჭო. ბანკირის გულკეთილობაც რაღაც მიზანს უნდა ისახავდეს. ეგრე იყოს. რაკი ის ხალხი გვჭირდება, საჩუქარიცაა საჭირო. რამდენიმე წყრთა ფართალი წაიღე. ბრიუგეს მაქმანი ქალებს მიართვი. ორი ვაქკაციაო — მითხარი, იმათ ნადირობა უყვართ? ორი შევარდენი წაიყვანე, მილანიდან რომ გამოგვიგზავნეს.

მერე ისევ სკივრს მიუბრუნდა.

— აი, მონსენიორ დ'არტუას რამდენიმე თამასუქი... დახმარებაზე უარს არ გეტყვის, თუკი დაგჭირდა, მაგრამ ხელის გამართვა უფრო ნაღდი იქნება, თუ ერთი ხელით თხოვნას გაუწვდი, მეორეთი — თამასუქებს... ეს მეფე ედუარდის ნდობის წიგნია... არ ვიცი, ჩემო დისწულო, ეს საბუთი სიმდიდრეს შეგძენს თუ არა, მაგრამ სხვებისთვის საშიში ნამდვილად გახდები. მაშ ნულარ აყოვნებ, ცხენი შეკაზმე და სამგზავროდ მოემზადე. მხოლოდ ერთი მსახური წაიყვანე, რომ არავინ შეგამჩნიოს. ისე კი მსახურს უბრძანე, შეიარაღდეს!

სპილენძის ყუთში ჩააცურა საბუთები და ჯუჩიოს გადასცა ოქროთი სავსე პარკთან ერთად.

— ჩვენი ამქრების ბედი ამიერიდან სანახევროდ შენს ხელთაა, სანახევროდ ჩემს ხელთ. ეს არ დაგავიწყდეს.

ჯუჩიომ ბიძას გრძნობით აკოცა. ამჟამად ეს თამაში აღარ იყო. ეს უკვე ნამდვილი საქმე გახლდათ.

ერთი საათიც და ჯუჩიომ ლომბარდის ქუჩა დატოვა. მაშინ მესირ სპინელო ტოლომეიმ ჩაიცვა ბეწვის საყელოიანი პალტო, რაკი გრილი ოქტომბერი

იდგა, მსახური მოიხმო, ხელში მაშხალა და ხანჯალი დააჭერინა და მარინის სადგომს მიაშურა.

კარგა ხანი შეყოვნდა, ჯერ კონსიერჟერიში, მერე მცველთა დარბაზში, რომელიც მისაღების მაგივრობას ეწეოდა. კუაჯიუტორი მეფურად ცხოვრობდა და გვიანობამდე მის სახლში დიდი მისვლა-მოსვლა იყო. მესირ ტოლომეი მომთმენი კაცი გახლდათ, რამდენჯერმე მოაგონა თავი მდივანს და დაჟინებით მოითხოვა, კოაჯიუტორს პირადად უნდა ველაპარაკოო.

— მობრძანდით, მესირ, — უთხრა ბოლოს მდივანმა.

ტოლომეიმ სამი დიდი დარბაზი გადაჭრა და ანგერან დე მარინის წინ აღმოჩნდა: კოაჯიუტორი ვახშამს ამთავრებდა და თან მუშაობდა.

— თქვენი სტუმრობა მოულოდნელია, — თქვა მარინიმ ცივად, — რა საქმე გაგიჩნდათ ჩემთან?

ტოლომეიმ ასეთივე ცივი ხმით უპასუხა:

— სამეფო საქმე, მონსენიორ!

მარინიმ სავარძელზე მიუთითა.

— ამიხსენით!

— რამდენიმე დღეა, ხმა დაირხა, მონსენიორ, სამეფო საბჭოში ისეთი ლონისძიება მზადდება, რაც ლომბარდელ ამქართა უფლებებს შეეხებაო. ეს ხმა გვაღელვებს და ჩვენს აღებ-მიცემობას აფერხებს. ნდობა ქრება, მყიდველები აღარ გვეკარებიან, მომწოდებლები ნაღდს გვთხოვენ.

— ეგ სამეფო საქმე არ გახლავთ! — უპასუხა მარინიმ.

— როგორ გითხრათ, მონსენიორ! ბევრი ადამიანი, აქაურიცა და შორეებელიც, ღელავს, საფრანგეთის გარეთაც ლაპარაკობენ.

მარინიმ ნიკაპზე და ღაწვებზე ხელი მოისვა.

— ზედმეტად ლაპარაკობენ. თქვენ გონიერი კაცი ხართ, მესირ ტოლომეი, და ამ ხმებს არ უნდა აჰყვეთ, — თქვა მან და მშვიდი თვალით შეხედა იმ კაცს, ვის მოცელვასაც აპირებდა.

— თუკი ამას დამიდასტურებთ, მონსენიორ. მაგრამ ფლანდრიასთან ომი საკმაოდ ძვირი დაჯდა და ხაზინას შეიძლება ოქრო შემოაკლდეს. ჩვენ ერთი აზრი დაგვებადა.

— გიმეორებთ, თქვენი აღებ-მიცემობა მე არ მეხება.

ტოლომეიმ ხელი ასწია, თითქოს უნდა ეთქვა: მოთმინება იქონიეთ, თქვენ ხომ ყველაფერი არ იცითო — და განაგრძო:

— თუ ჩვენ დიდ ასამბლეაზე სიტყვა არ გვითქვამს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გულით არა გვწადია დახმარება გავუწიოთ ჩვენს უსაყვარლეს მეფეს. ჩვენ განზრახული გვაქვს დიდი სესხი მივცეთ მეფეს და ამ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ლომბარდელთა ყველა ამქარი. ეს უვადო და მცირე სარგებლიანი სესხი იქნება: მე აქ იმიტომ მოვედი, ეს ამბავი გაუწყოთ.

მერე ტოლომეი დაიხარა და რაღაც ციფრი წაიჩურჩულა. მარინი შეკრთა, მაგრამ მაშინვე გაიფიქრა: „თუკი ისინი მზად არიან ამოდენა თანხა ნებით გაიღონ, ოცჯერ მეტის ამოქაჩვა შეგვიძლია“.

ამდენი კითხვითა და უძილო ღამეებით თვალი დაღლოდა და ქუთუთოები დაწითლებოდა.

— ეს კარგი აზრია, საქებარი საქმე განგიზრახავთ, მადლობელი ვარ, — თქვა მან მცირე დუმილის მერე, — მაგრამ ჩემი გაოცება უნდა გამოვხატო...

ჩემამდე ხმა მოვიდა, ზოგიერთმა ამქარმა ოქროს მარაგი იტალიის გზას გაუყენაო... ოქრო ხომ ერთდროულად ვერ იქნება იქაც და აქაც.

ტოლომეიმ მთლიანად მოხუჭა მარცხენა თვალი.

— თქვენ გონიერი კაცი ბრძანდებით, მონსენიორ, და ამ ხმებს არ უნდა აჰყვეთ, — ზუსტად გაიმეორა ბანკირმა კოაჯიუტორის სიტყვები, — განა ჩვენი წინადადება არ კმარა ჩვენი კეთილგანწყობის საბუთად.

— დიდად სასურველია დაგიჯეროთ ნათქვამი. ეს რომ არა, საფრანგეთის ხელმწიფე ვერ აიტანდა ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის უცხოეთში გატანას და ამას ბოლოს მოუღებდა.

ტოლომეიმ თვალიც არ დაახამხამა. მოჯადოებული წრე იქმნებოდა. ლომბარდებს იმიტომ გაჰქონდათ თავიანთი სიმდიდრე საფრანგეთიდან, რომ დარბევისა ეშინოდათ, მარინი კი ამ ამბავს ხელზე დაიხვევდა, მათი გაძარცვა რომ გაემართლებინა.

— როგორც ვხედავ, ვაჭრობის საქმე სამეფო საქმედ მიგაჩნიათ, — უპასუხა ბანკირმა.

— სათქმელი უკვე ითქვა, მესიო ტოლომეი, — დაასკვნა მარინიმ.

— ცხადია, მონსენიორ, — მიუგო ტოლომეიმ.

ტოლომეი ადგა, ერთი ნაბიჯი გადადგა, მერე მობრუნდა, თითქოს უცებ რაღაცა მოაგონდაო.

— მონსენიორ, სანსის არქიეპისკოპოსი ქალაქშია? — იკითხა მან.

— დიახ, აქაა.

ჩაფიქრებულმა ტოლომეიმ მხრები აიჩეჩა.

— თქვენ უფრო ხშირად გაქვთ მისი ნახვის შესაძლებლობა. იმდენად თავაზიანი ხომ არ იქნებით, რომ გადასცეთ, ხვალვე დავიწყებ მასთან მოლაპარაკებას, რა დროც არ უნდა იყოს. მან იცის, რა საკითხზეც. ჩემს აზრს მისთვის მნიშვნელობა ექნება.

— მაინც რა გაქვს მისთვის სათქმელი? მე არ ვიცოდი, რომ მას თქვენთან რაიმე საერთო ჰქონდა.

— მონსენიორ, — თქვა ტოლომეიმ და მოიხარა, — ბანკირის პირველი ღირსება დუმილია. თუმცა რაკი სანსის არქიეპისკოპოსი თქვენი ძმა ბრძანდება, შემიძლია გაგანდოთ, რომ საქმე ეხება მის კეთილდღეობას, ჩვენს და ჩვენი უწმინდესი ეკლესიის კეთილდღეობას.

მერე, რაკი უკვე გასვლა დააპირა, ცივად გაიმეორა:

— ხვალვე, თუკი შეიძლება.

VI

ᲢᲝᲚᲝᲛᲔᲘ ᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲡ

მართალი რომ ითქვას, ტოლომეის ამ ღამით არ უძინია. „ნეტავი თუ შეატყობინა მარინიმ თავის ძმას, — ფიქრობდა გუნებაში, — და არქიეპისკოპოსმაც თუ აღიარა, რა იარაღი მომცა ხელთ, ხომ არ აჩქარდებიან, რომ მეფის განკარგულება მიიღონ და მე დამასწრონ, ან იქნებ იმაზე ბჭობენ, როგორ მომიღონ ბოლო“.

ძილგამკრთალი ლოგინში ტრიალებდა, მწარე ფიქრები აღძროდა თავისი მეორე სამშობლოს გამო, რომელსაც არც ჯაფა დააკლო, არც ფული. რაკი აქ

გამდიდრდა, საფრანგეთი უფრო ეცხო გულს, ვიდრე მშობლიური ტოსკანა. თავისებური, მაგრამ ჭეშმარიტი სიყვარული აკავშირებდა აქაურობასთან. როგორღა არ ეგრძნო თავისი ლანჩების ქვეშ ლომბარდის ქუჩის ქვაფენილი, როგორ აღარ უნდა მოესმინა ნოტრ-დამის ზარების საშუადღეო გუგუნი, როგორ აღარ ესუნთქა სენის სურნელება, როგორ აღარ დასწრებოდა მოქალაქეთა სათათბირო შეკრებულებას. გულს სტკენდა ყოველივე ამაზე უარის თქმა. „წავიდე და ამ დროულმა კაცმა სხვაგან დავიწყო სიმდიდრის დაუნჯება.. დამიტოვებენ კი საიმისო სიცოცხლეს, რომ თავიდან წამოვიწყო?“

მხოლოდ გათენებისას ჩათვლიმა, მაგრამ მალე გააღვიძა კარის ჩაქუჩის ხმამ და ნაბიჯების ხმაურმა. იფიქრა, ჩემს დასაჭერად მოვიდნენო და ტანსაცმელი გადაიცვა. გამოჩნდა დამფრთხალი მსახური.

— მონსენიორ არქიეპისკოპოსი გეახლათ, — თქვა მან.

— ვინ ახლავს?

— ოთხი ანაფორიანი მსახური, უფრო საპოლიციო სერჟანტებს გვანან, ვიდრე სამღვდელო პირებს.

ტოლომეი დაიღრიჯა.

— ჩემი კაბინეტის დარაბები გააღე.

მონსენიორ ჟან დე მარინი უკვე კიბეზე ამოდიოდა. ტოლომეიმ წინკართან დაუცადა. ეპისკოპოსი, რომელსაც მკერდზე ჯვარი უტოკავდა, ბანკირს შეეჩეხა.

— რას ნიშნავს, მესიერ, ეს უცნაური შემოთვლა, ჩემმა ძმამ რომ წუხელ საღამოს გადმომცა?

ტოლომეიმ, დამშვიდდითო, და ხელი ასწია. — თქვენს ასაღელვებელს არაფერს, შეწუხებად არ ღირს, მონსენიორ, მე თვითონაც გეახლებოდით, თქვენო უსამღვდელოესობავ, საეპისკოპოსო სასახლეში... ხომ არ შემობრძანდებით ჩემს კაბინეტში?

მსახური ის იყო მორჩა შიდა, მოხატული დარაბების ჩამოხსნას. კერის მუგუზლებზე პატარა ფიჩხი დაადო და მათი ალი ტკაცატკუცით ავარდა. ტოლომეიმ სკამი მიუწია სტუმარს.

— თქვენ ამალით მობრძანდით, მონსენიორ, განა ეს საჭირო იყო, განა არ მენდობით? განა ხიფათი მოგელოდათ? უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ სხვა დამოკიდებულებას შემაჩვიეთ...

ცდილობდა გულიანი ხმით ელაპარაკა, მაგრამ ტოსკანული კილო უფრო ეტყობოდა, ვიდრე ჩვეულებრივ.

ჟან დე მარინი ცეცხლის პირს დაჯდა და ბეჭდიანი ხელი მიუშვირა ალს.

„ამ კაცს თავის რწმენა არა აქვს და არც ის იცის, როგორ დამიწყოს საუბარი. დიდი აურზაურით მოვიდა, თითქოს ყველაფერი უნდა დაამტვრიოსო და ახლა თავის ფრჩხილებს შესცქერის“.

— სწორედ გითხრათ, ამაღელვა თქვენმა სურვილმა ჩემი საჩქაროდ ნახვისა, — თქვა ბოლოს არქიეპისკოპოსმა, — მე მერჩია თვითონ დამენიშნა სტუმრობის დრო.

— ეს დრო თქვენი დანიშნულია, მონსენიორ, თქვენი დანიშნული... თქვენ ალბათ გახსოვთ, რომ ჩემგან ავანსად მიიღეთ ორი ათასი ლივრი... საკმაოდ ძვირფასი საგნებისათვის, რომლებიც ტამპლის საუნჯეს განეკუთვნებოდა და თქვენ გასაყიდად მომანდეთ.

— მერე, გაყიდეთ? — ჰკითხა არქიეპისკოპოსმა.

— ნაწილი, მონსენიორ, კარგა დიდი ნაწილი, საფრანგეთის გარეთ გაიგზავნა ჩვენი შეთანხმებისამებრ, რადგან მათი აქ გასაღება არ შეგვეძლო. საბოლოო ანგარიშს ვუცდი. ვიმედოვნებ, თქვენ კიდევ მიიღებთ გარკვეულ თანხას.

ტანსრული ტოლომეი მშვენიერ გუნებაზე იყო. ხელები მუცელზე დაეწყო და კეთილად აქნევდა თავს.

— ჩემი ხელრთვიანი საბუთი ხომ აღარ გჭირდებათ?

არქიეპისკოპოსი ცდილობდა დაეფარა თავისი აღელვება, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა.

— ხომ არ გცივათ, მონსენიორ, სახე მთლად გაგიფითრდათ, — თქვა ტოლომეიმ და დაბლა დაიხარა, რათა ცეცხლისათვის კუნძი შეეკეთებინა. მერე, თითქოს დაავიწყდაო არქიეპისკოპოსის შეკითხვა, განაგრძო:

— იმ საკითხზე რას ფიქრობთ, მონსენიორ, ამ კვირას რომ განიხილეს საბჭოში? ვითომ მართალია, რომ ქონების წართმევას, გაღატაკებას, გაძარცვასა და სიკვდილს გვიპირებენ?

— მაგაზე ვერაფერს გეტყვით, — თქვა არქიეპისკოპოსმა, — ეს სახელმწიფო საქმეებია.

ტოლომეიმ თავი გააქნია.

— მე გუშინ მონსენიორ კოაჯიუტორს ერთი წინადადება შევთავაზე და ასე მეჩვენა, რომ მან ამ წინადადების სარფა ვერ შეამჩნია. ეს დასანანია. ჩვენს გასაძარცვავად ემზადებიან, რაკი სამეფოს ფული აკლია. ჩვენ გადავწყვიტეთ — დიდი სესხი მივცეთ სახელმწიფოს — და თქვენი ძმა ხმას არ იღებს. თქვენთვისაც არაფერი უთქვამს. ეს დასანანია. მართლაც რომ ფრიად დასანანი.

ჟან დე მარინიმ ადგილი მოინაცვლა.

— მე უფლება არა მაქვს საპაექროდ გავხადო მეფის გადაწყვეტილება.

— ეს ჯერ კიდევ გადაწყვეტილება არაა, — შეეპასუხა ტოლომეი, — არ შეგიძლიათ ჩააგონოთ კოაჯიუტორს, ლომბარდები უკან არ დაიხევენ, მეფისთვის თავსაც გასწირავენ და ოქროსაც გაიღებენ, მით უფრო, რომ ისედაც ორივე ხელმწიფეს ეკუთვნის. ამის საფასურად მხოლოდ სიცოცხლის შენარჩუნებას თხოულობენ. იქ დაგვტოვეთ, სადაც ვცხოვრობთო. ოქრო ძალით უნდათ წაგვართვან, ჩვენ კი ჩვენი ნებით ვაძლევთ. რატომ არ უნდა მოგვისმინონ? აი, ამიტომ მსურდა, მონსენიორ, თქვენი ნახვა.

ჩამოვარდა სიჩუმე. ჟან დე მარინი უძრავად იჯდა, თითქოს კედლის მიღმა იყურებაო.

— ახლახანს რა ბრძანეთ? — წამოიწყო ტოლომეიმ, — დიახ... ხელწერილიო.

— თქვენ მას დამიბრუნებთ, — თქვა არქიეპისკოპოსმა.

ტოლომეიმ ტუჩები მოილოკა.

— რას იზამდით, მონსენიორ, ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავით? წარმოიდგინეთ ერთი წამით... ცხადია, ეს უცნაური წარმოსადგენია... მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გაკოტრებას გიქადიან და თქვენს ხელთაა რაღაც... ავგაროზი... დიახ, ეს ასეა — ავგაროზი, რომელსაც შეუძლია გაკოტრებისაგან გიხსნათ...

ბანკირი ფანჯრისაკენ გაემართა, რადგან ეზოდან ხმაური შემოესმა. მტვირ-

თავებს ყუთები და ფართლის დიდი ფუთები გამოჰქონდათ. ტოლომეიმ ანგარიშმიუცემლად გამოთვალა ის სარფა, რაც დღეს ამ ნავაჭრისაგან უნდა მიეღო, და ამოიოხრა:

— დიახ... გაკოტრებისაგან დამხსნელი ავგაროზი, — ჩაიჩურჩულა მან.

— თქვენ იმის თქმა ხომ არ გინდათ...

— დიახ, მონსენიორ, მე ამის თქმა მინდა და ამას ვამბობ, — ცხადად თქვა ტოლომეიმ, — ეს ხელწერილი დასტურია იმისა, რომ თქვენ ხელყავით ტამპლის ქონება — მეფის საუნჯის ნაწილი. ხელწერილი დასტურია, რომ თქვენ ქურდობა ჩაიდინეთ, თქვენ მეფე გაქურდეთ.

მან თვალებში შეხედა არქიეპისკოპოსს: „სათქმელი უკვე ითქვა. ეგ პირველი მოიხრის ქედს“.

— თქვენც ჩემს თანამზრახველად ჩაითვლებით.

— ჰოდა, ორივე მონფოკონში ვიქანავებთ, როგორც ორი ქურდბაცაცა. — უპასუხა ტოლომეიმ ცივად, — მარტო მე არ ვიქნები სახრჩობელაზე.

— თქვენ ნამდვილი არამზადა ხართ, — წამოიყვირა ჟან დე მარინიმ.

ტოლომეიმ მხრები აიჩეჩა: — მე არქიეპისკოპოსი არ გახლავართ, მონსენიორ. მე ხელი არ მომიკიდია იმ ზარდახშისათვის, სადაც ტამპლიერები ქრისტეს ხორცს ინახავენ. მე მხოლოდ ვაჭარი ვარ და ახლა ჩვენ გარიგება უნდა გავაფორმოთ, სულ ერთია ეს ხელს გაძლევთ თუ არა. ესაა ჩვენი საუბრის თავი და ბოლო. არ იქნება ლომბარდების იავარყოფა და თქვენც არ მოგეჭრებათ თავი. მაგრამ თუ მე დავემხობი, თქვენც დაემხობით და უფრო დიდი სიმაღლიდან. თქვენი ძმაც, რომელსაც სიმდიდრე და მეგობრები არ აკლია, თქვენს ამბავს გადაყვება.

არქიეპისკოპოსი წამოდგა, ტუჩები მთლად გაფითრებოდა, ნიკაპი, ხელები, მთელი სხეული უთრთოდა.

— დამიბრუნეთ ხელწერილი, — უთხრა მან და მხარში ჩაავლო ხელი ტოლომეის.

ბანკირმა წყნარად დაიხსნა თავი.

— არა, — უპასუხა მან.

— მე თქვენ დაგიბრუნებთ ორი ათას ლივრს, მე რომ მომეცით, — თქვა მარინიმ, — ნივთების საღირალიც თქვენი იყოს.

— არა.

— მე თქვენ იმავე ფასის სხვა ნივთებს მოგცემთ.

— არა.

— ხუთი ათასი ლივრი იყოს! მე თქვენ იმ ხელწერილში ხუთი ათას ლივრს მოგცემთ.

ტოლომეიმ გაიცინა.

— სად იშოვით ამდენ ფულს? ისევ მე უნდა გასესხოთ.

მუშტშემართულმა ჟან დე მარინიმ გაიმეორა:

— ხუთი ათასი ლივრი. მე ვიშოვი, ჩემი ძმა დამეხმარება.

— ის დახმარება გაგიწიოთ, რასაც მე გთხოვთ. — თქვა ტოლომეიმ და ხელები გაასავსავა, — მე მხოლოდ ჩემს წილად ჩვიდმეტ ათას ლივრს ვთავაზობ სამეფო ხაზინას.

არქიეპისკოპოსი მიხვდა, რომ საჭირო იყო ტაქტიკის შეცვლა.

— თუკი ჩემი ძმის მეოხებით მივაღწევ, რომ პირადად თქვენ სიიდან

ამოგშალონ? თქვენ ნებას მოგცემენ წაიღოთ მთელი თქვენი სიმდიდრე, თქვენგან შეიძენენ მთელ თქვენს უძრავ ქონებას?

ტოლომეი ერთი წამით ჩაფიქრდა. მხოლოდ მას აძლევდნენ გადარჩენის საშუალებას. ყოველი ჭკუათმყოფელი, ვისაც კი ამ წინადადებას შესთავაზებენ, მას ასწონ-დასწონის და თუკი მერე უარყოფს, ღირსება შეემატება.

— არა, მონსენიორ,—უპასუხა მან, — მე ჩემიანების ბედს გავიზიარებ, არ მინდა სხვაგან წავიდე. საამისო მიზეზი არა მაქვს. მე ისევე ვეკუთვნი საფრანგეთს, როგორც თქვენ. მე მეფის მოქალაქე ვარ. მე მინდა დავრჩე ჩემს აშენებულ სახლში, დავრჩე პარიზს. აქ გავატარე ჩემი ცხოვრების ოცდათორმეტი წელიწადი, ღვთის ნებით, აქვე მინდა დავასრულო ჩემი სიცოცხლე... თანაც, სურვილი რომ მქონდეს თქვენი ბარათის დაბრუნებისა, ვერ შევძლებდი. ხელი არ მაქვს.

— თქვენ ცრუობთ, — დაიყვირა არქიეპისკოპოსმა.

— არა, მონსენიორ.

ჟან დე მარინი თავის ჯვარს წაეტანა და ისე მოუჭირა ხელი, თითქოს მისი დამსხვრევა სწადიაო. მან ჯერ თვალი შეავლო ფანჯარას, მერე კი კარებს შეხედა.

— თქვენ შეგიძლიათ მხლებლები მოიხმოთ და ჩემი სადგომი გაჩხრიკოთ, — თქვა ტოლომეიმ, — ისიც შეგიძლიათ, ფეხებში ცეცხლი შემინთოთ, როგორც საინკვიზიციო ტრიბუნალს სჩვევია. ამას დიდი აყალმაყალი მოჰყვება, მაგრამ მკვდარი ვიქნები თუ ცოცხალი, როგორც მობრძანდით, ისე წაბრძანდებით. თუკი შემთხვევით მოვკვდი, ამით ვერაფერს მოიგებთ, რადგან ჩემს სიენელ ნათესაობას ნაბრძანები აქვს, თუ მე დროზე ადრე გავუდექი საიქიოს გზას, ეს ხელწერილი მეფესა და დიდ ბარონებს უჩვენონ.

გული გამალებით უცემდა და წელი მთლად ოფლით მოენამა.

— სიენაშიო, — უთხრა არქიეპისკოპოსმა, — მაგრამ თქვენ ხომ დამარწმუნეთ, რომ ეს ქაღალდი თქვენი სკივრიდან არ გავიდოდა.

— არც გასულა, მონსენიორ, მე და ჩემი ოჯახი ვინ გაგვყო.

არქიეპისკოპოსმა ქედის მოხრა გადაწყვიტა. სწორედ იმ დროს იგრძნო ტოლომეიმ, რომ მან ბრძოლა მოიგო და ამიერიდან სურვილისამებრ წარმართავდა საქმეს.

— მაშ? — იკითხა მარინიმ.

— მაშ, — წყნარად უპასუხა ტოლომიემ, — სათქმელი აღარაფერი დამრჩა, გარდა იმისა, რაც ესაა ახლა მოგახსენეთ. მოელაპარაკეთ კოაჯიუტორს და სცადეთ, სანამ დროა, ჩემი შემოთავაზებული წინადადება მიაღებინოთ. თუ არა...

ბანკირმა შუაზე გაწყვიტა სიტყვა, კარისაკენ გაემართა და გააღო.

როცა იმავ დღეს პირისპირ შეიყარნენ არქიეპისკოპოსი და მისი ძმა, ეს შეხვედრა საშინელი იყო. ერთმანეთს წარუდგა ორი უნიღბო მარინი. აქამდე ერთი გზით მიდიოდნენ, ახლა კი ერთმანეთს შეერკინენ.

ზიზღი და უთვალავი საყვედური მიაგო თავის უმცროს ძმას კოაჯიუტორმა. არქიეპისკოპოსი თავს იცავდა, როგორც კი შეეძლო.

— რა თქმა უნდა, შეგიძლიათ პირისაგან მიწისა აღმგავოთ, — წამოიყვირა მან, — მაგრამ თქვენ თვითონ საიდან მოიპოვეთ ამდენი სიმდიდრე? — ყელგამოღადრული ებრაელებისაგან, ცეცხლზე შებრაწული ტამპლიერებისაგან? მე

მხოლოდ თქვენ მოგბაძეთ. საკმაოდ მოვემსახურე თქვენს ხრიკებს. ახლა თქვენი ჯერია.

— მე რომ მცოდნოდა, ვინ იყავით, არქიეპისკოპოსად არ დაგსვამდით.

— სხვა ვერავინ ნახეთ, ვინც დიდი მაგისტროსის დასჯას დათანხმდებოდა.

დიახ, კოაჯიუტორმა იცოდა, რომ ხელისუფლება აიძულებს ადამიანს დამამცირებელ შეთანხმებაზე წავიდეს, მაგრამ მაინც თავზარი დაეცა, როცა ამის შედეგი საკუთარ ოჯახში დაინახა. ადამიანი, რომელმაც სინდისი მიტრაში გაცვალა, ღალატსაც შესძლებდა და ქურდობასაც. ეს ადამიანი მისი ძმა იყო. ეს არის და ეს...

ანგერან დე მარინიმ აიღო პროექტი ლომბარდების საწინააღმდეგო ბრძანებისა და გაშმაგებით ისროლა ღუმელში.

— რამდენმა გარჯამ ჩაიარა ამაოდ, — თქვა მან, — რამდენმა გარჯამ!

VII

ჯუჩიოს საიდუმლო

ბედნიერ ხილვად შემორჩენოდა ჯუჩიოს მეხსიერებას გაზაფხულის შუქით განათებული კრესი, მისი ნაზი ფოთლოვანი ტყე, მოდრის ვერცხლისფერი ლივლივი. მაგრამ იმ დილით, როცა ჭაბუკი რაინდი დამფრთხალი სულ უკან იხედებოდა, ხელშუბიანები ხომ არ მომდევენო, წამით თავს ჰკითხა, შეცდომა ხომ არ დავუშვიო. შემოდგომას თითქოს დაეპატარევებინა კარ-მიდამო. „განა ასეთი დაბალი კოშკები იყო? — უკვირდა ჯუჩიოს, — ნუთუ ექვს თვეს ძალუძს ასე ყველაფერი შეცვალოს ჩვენს მეხსიერებაში?“ ეზო ტლაპოდ ქცეულიყო და შიგ ცხენი ეფლობოდა. „ყოველ შემთხვევაში აქ ვერ მიპოვნიან“, მსახურს აღვირი გადაუგდო.

— ცხენი თივით გამიწმინდონ და საჭმელიც მისცენ.

კარ-მიდამოს ჭიშკარი გაიღო და მარი დე კრესი გამოჩნდა.

აღელვებამ აიძულა ქალი, კარის სახელურს დაყრდნობოდა.

„რა მშვენიერია, — გაიფიქრა ჯუჩიომ, — და მე ისევ ვუყვარვარ“. მაშინ კედლების ნაბზარები გაქრა და კოშკებიც წინანდებურად დიდი გამოჩნდა ჯუჩიოს თვალში.

მარი სახლისკენ მიბრუნდა და იქ მყოფთ შეჰყვირა:

— დედა, მესიო ჯუჩიო დაბრუნდა.

ქალბატონი ელიაბელი დიდი სიხარულით შეხვდა სიენელს. ორივე ლოყა დაუკოცნა და ბარაქიან მკერდზე მიიკრა. ხშირად სწვევია ჯუჩიოს ხატება ღამღამობით. სტუმარს ხელი მოჰკიდა, დასვა და ბრძანა, სიდრი და პაშტეტი მოგვართვითო.

ჯუჩიო ხალისით შეხვდა ასეთ მასპინძლობას. წესრიგი უნდა დავამყარო ბანკის ფილიალში, რომელსაც უხეირო გამგებლობა ჰყავსო, მოხელეები დროულად ვერ კრეფენო ვალს. ასე ახსნა თავისი ჩამოსვლის მიზეზი. ქალბატონი ელიაბელი მაშინვე აღელდა.

— თქვენ ერთი წლის ვადა მოგვეცით, — თქვა მან, — ჭირნახული ცოტა მოვიწიეთ, ახლა კი ზამთარიც მოგვადგა კარს. ჩვენ ჯერ ვერ...

ჯუჩიოს გარკვეული არაფერი უთქვამს. კრესის მეპატრონეები მისი მეგობრები იყვნენ და იმათი შეწუხების ნებას ვის მისცემდა. უბრალოდ გაახსენდა მათი დაპატიჟება. ამაზე ქალბატონმა ელიაბელმა გაიხარა. ვერსად ამ ქალაქში უკეთესად ვერ იგრძნობდითო თავს, — არწმუნებდა იგი სტუმარს, — ვერც უკეთეს საზოგადოებას გადაეყრებოდითო. ჯუჩიომ თავისი ბოხჩა მოიკითხა.

— შიგ რამდენიმე ნაჭერი მაქვს. იმედია, მოგეწონებათ. პიერსა და ჟანს კი ორი გაწვრთნილი შევარდენი ჩამოვუყვანე, უკეთ ინადირებენ.

ფართალმა, მაქმანმა, შევარდნებმა აღტაცება მოჰგვარა ოჯახს და მადლობის შეძახილები გამოიწვია. ძმებმა, რომელთა სამოსს მიწის, ცხენის და ნანადირევის სუნი ასდიოდა, შეკითხვები დააყარეს ჯუჩიოს. ზეცამ სწორედ დროზე მოუვლინა მათ ეს სტუმარი, რადგან ამინდი ფუჭდებოდა და არ იცოდნენ, დრო როგორ მოეკლათ. ამიტომაც უფრო თავაზიანი და ღირსეული მოეჩვენათ, ვიდრე პირველი სტუმრობის დროს. კაცი იტყოდა, ერთმანეთს რა ხანია იცნობენო.

— როგორა გრძნობს თავს ჩვენი მეგობარი პრევო პორტეფრუი? — იკითხა ჯუჩიომ.

— ისევ ხალხსა ძარცვავს, მაგრამ ჩვენ კი მოგვეშვა. ღვთისა და... თქვენი წყალობით.

მარი ოთახში დაგოგმანებდა. ხან ცეცხლს აღვივებდა, თანაც თივა შეასწორა იმ ლოგინებზე, სადაც მის ძმებს ეძინათ. ხმას არ იღებდა, მაგრამ ჯუჩიოს თვალს არ აშორებდა. როგორც კი მარტონი დარჩნენ, ვაჟმა ხელი მოჰკიდა და მიიზიდა.

— ჩემი თვალები არაფერს გეუბნებიან? — თქვა მან. ეს სიტყვები საარაინდო რომანიდან ისესხა, ახლახანს რომ წაეკითხა.

— დიახ, მესიო! — უპასუხა მარიმ აკანკალებული ხმით, — რა შორსაც არ უნდა ყოფილიყავით, მე სულ აქ გხედავდით. მე არაფერი არ დამვიწყნია.

ჯუჩიომ მობოდიშება სცადა, რომ არ ჩამოვიდა და არც ამბავი შეატყობინა. მაგრამ მისდა გასაოცრად მარიმ არათუ საყვედური არ უთხრა, მადლობაც კი გადაუხადა, უფრო სწრაფად მოხვედით, ვიდრე მე გელოდითო.

— აკი მითხარით, ამ წლის მიწურულს მოვაკითხავო საოგებელს. უფრო ადრე თქვენი მოსვლის იმედი არა მქონდა. მაგრამ სულაც რომ არ გამოჩენილიყავით, მე მთელი სიცოცხლე დაგელოდებოდით მაინც.

კრესიდან ჯუჩიომ წამოიღო მსუბუქი სინანული დაუსრულებელი სიყვარულისა, რაზედაც გამოტეხილი რომ ითქვას, მაინცდამაინც არ უფიქრია. აქ ჩამოსულს აღფრთოვანებული სიყვარული დახვდა, ამ გაზაფხულ-ზაფხულის დროს მცენარეებივით რომ აეყარა ტანი.

„რა ბედი მაქვს, — გაიფიქრა ჯუჩიომ, — მას ხომ შეეძლო ჩემი დავიწყება, გათხოვება“.

არიან მამაკაცები, რომლებიც თუმცა ერთგულებით არ გამოირჩევიან, მაინც სიყვარულში ფრიად თავმოდრეკილნი არიან, როგორი თავდაჯერებულნიც არ უნდა იყვნენ. ჯუჩიო, რაკი სხვებს თავისი ადლითა ზომავდა, აღფრთოვანებული იყო, ეს რა იშვიათი და ძლიერი გრძნობა ჩავუნერგე ამ ქალს, თუმცა განსაკუთრებით თავი არ გამომიდვიაო.

— არც მე მომშორებიხართ თვალთაგან, მარი, და ვერაფერი საშველი ვუ-

პოვე ჩემს თავს, — თქვა ჯუჩიომ იმ გზნებით, რასაც ესოდენ დიდი ტყუილი მოითხოვდა.

პირისპირ იდგნენ ერთნაირად აღელვებულნი და დარცხვენილნი თავისი სიტყვითა და საქციელით.

— მარი, — წარმოთქვა ჯუჩიომ, — აქ არც ვალს მოუყვანივარ, არც ბანკის საქმეს. მაგრამ მე არაფრის დამალვა არ შემიძლია. ეს იქნება ჩვენი სიყვარულის შეურაცხყოფა. ახლა ერთი საიდუმლო უნდა გაგანდოთ, მასზე ბევრი ადამიანის სიცოცხლეა დამოკიდებული. ჩემი საკუთარიც. ბიძაჩემმა და მისმა გავლენიანმა მეგობრებმა დამავალეს სანდო ადგილას გადავმალო წერილობითი საბუთები, მნიშვნელოვანი, როგორც სამეფოსთვის, ისე მათი გადარჩენისათვის. ახლა უკვე მეძებენ ხელშუბიანები.

არც ახლა დათმო ჩვევა და თავისი პიროვნების გაბუქვას შეუდგა.

— ოცოდე ადგილი მქონდა, სადაც შეიძლებოდა თავშესაფარი მეპოვნა, მაგრამ მე თქვენთან მოვედი, მარი. ჩემი სიცოცხლე თქვენს დუმილზეა დამოკიდებული.

— მე ვარ დამოკიდებული თქვენზე, — მიუგო მარიმ, — მე მხოლოდ ღმერთი მწამს და ის, ვინც პირველად ჩამიკრა გულში. თქვენი სიცოცხლე ჩემი სიცოცხლეა, თქვენი საიდუმლოება ჩემი საიდუმლოებაა. მე დავმალავ იმას, რაც თქვენ უნდა დამალოთ. მე იმას არ ვიტყვი, რაც თქვენ არ გინდათ თქვათ, და თქვენ საიდუმლოს მიწაში ჩავიტან.

ცრემლებმა იელვეს მუქ ცისფერ თვალებში.

— რაც მე უნდა დავმალო, აქაა, ამ პატარა სპილენძის ზარდახშაში. მოიძებნება საამისოდ ადგილი?

მარი მცირე ხნით დაფიქრდა.

— ძველი აბანოს ღუმელში შეიძლება, — თქვა მან, — არა, მე უკეთესი ადგილი ვიცი... სამლოცველოში ხვალ დილით წავიდეთ. ჩემი ძმები უთენია სანადიროდ წავლენ, დედაც იმათ გაჰყვება, ქალაქშია წასასვლელი. ჩემი წაყვანა რომ მოინდომოს, ყელის ტკივილს მოვიმიზეზებ. თქვენ კი თავი ისე დაიჭირეთ, თითქოს ძილს დიდხანს აპირებთ.

ჯუჩიოს ბინა იქვე მიუჩინეს, დიდ, სუფთა და ცივ ოთახში, სადაც ადრე გაათენა ღამე. ის დაწვა, მახვილი გვერდით მოიდო, ხოლო ყუთი თავქვეშ ამოიდო. მან არ იცოდა, რომ ჟან და ანგერან მარინებს უკვე დაესრულებინათ თავიანთი საბედისწერო მოლაპარაკება და ლომბარდების საწინააღმდეგო ბრძანება უკვე გაქარწყლებული იყო.

დილით ძმების გამგზავრებამ გამოაღვიძა. ფანჯარას მიუახლოვდა, დაინახა, როგორ ამხედრებულიყვნენ ჯაგლაგებზე პიერ და ჟან კრესები, როგორ დაესვათ ხელზე შევარდნები. მათი წასვლის შემდეგ კარები ჩაკეტეს. ცოტა მოგვიანებით ქალბატონ ელიაბელს მოუყვანეს საკმაოდ დაჯანდაგებული ცხენი და ისიც გაემგზავრა კოჭლი მსახურის თანხლებით. მაშინ ჯუჩიომ ფეხთ ჩაიცვა და დაიცადა. რამდენიმე წუთის შემდეგ მარიმ ამოსძახა პირველი სართულიდან. ჯუჩიო ჩავიდა და ყუთი ჩაიტანა.

სამლოცველო — პატარა მომრგვალებული ოთახი იყო, მისი კედლები კირით იყო შეთეთრებული.

მარიმ სანთელი აანთო და იგი იოანე მახარობლის საკმაოდ უხეშად გამო-

ჩორკნილი ხის ქანდაკების წინ დადგა. კრესების ოჯახში უფროს ვაჟს ყოველთვის ამ მახარობლის სახელი ერქვა.

მარიმ ჯუჩიო საკურთხევლის მხარეს გაიყვანა.

— ეს ქვა იწევა, — მიუთითა მან პატარა ოთხკუთხა ქვაზე, რომელსაც დაჟანგული რგოლი კეტავდა.

ჯუჩიოს ცოტა გაუჭირდა ამ ფილის გადაწევა. სინათლის შუქზე დაინახა თავის ქალა და ძვლის რამდენიმე ნატეხი:

— ვინ არის? — იკითხა და თითებით რქები გამოსახა.

— წინაპარი, მაგრამ რომელი, არ ვიცი.

ჯუჩიომ ამ ნახვრეტში მოათავსა სპილენძის ყუთი, შემდეგ ფილა ისევ დახურა.

— ჩვენს საიდუმლოს ღვთის წინაშე ადევს ბეჭედი, — ჯუჩიომ გულში ჩაიკრა ქალი და კოცნა მოუნდომა.

— არა, აქ არა, — თქვა მარიმ შიშნარევი ხმით, — სამრეკლოში არ იქნება.

დიდ დარბაზს მიაშურეს, სადაც მოახლე სუფრას შლიდა, რძე და პური მოჰქონდა დილის საუზმისთვის. ჯუჩიო ღუმელს იყო მიყრდნობილი, სანამ მოახლე გავიდოდა და მარი მიუახლოვდებოდა.

ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს; მარი მხარზე მიეყრდნო ჯუჩიოს და კარგა ხანი იყო ასე. ცდილობდა გაეგო, მაინც ვინაა ეს მამაკაცი, ვისი კუთვნილებაც უნდა გავხდე ღვთის ნებითო.

— მე მუდამ მეყვარებით, თუნდაც გული აიცრუოთ ჩემზე.

მერე ცხელი რძე ჯამებში ჩაასხა და შიგ პური ჩაატეხა. ყოველი მისი მოძრაობა ბედნიერებით იყო აღვსილი.

ოთხმა დღემ განვლო. ჯუჩიო ძმებს სანადიროდ დაჰყვებოდა და სიმარჯვე გამოიჩინა. რამდენჯერმე მიაკითხა ნოფლის ფილიალს, რათა თავისი ჩამოსვლა გაემართლებინა. ერთხელ პრევო პორტეფრუის შეხვდა. პრევომ იცნო და მდაბლად დაუკრა თავი. ამ თავის დაკვრით ინიშნა, რომ რაიმე ბრძანება ლომბარდთა წინააღმდეგ არ ყოფილა გამოცემული. თორემ პრევო ასეთ თავაზიანობას არ გამოიჩენდა. „თუკი ჩემი დაჭერა დაავალეს, — გაიფიქრა ჯუჩიომ, — წამოღებული ოქროთი შეიძლება გული მოვუქონო“.

ქალბატონ ელიაბელს ეჭვი არ აუღია მარისა და სიენელი ჭაბუკის მიჯნურობაზე. ჯუჩიო ამაში დაარწმუნა იმ საუბარმა, რომელსაც ერთ საღამოს მოჰკრა ყური. სასახლის პატრონი თავის უმცროს ვაჟს ელაპარაკებოდა. ჯუჩიო თავის ოთახში იყო. ქალბატონი ელიაბელი და პიერ დე კრესი დარბაზში საუბრობდნენ ცეცხლის პირას. მათი ხმა საკვამურს ამოჰქონდა ზევით.

— რა სამწუხაროა, რომ ჯუჩიო კეთილშობილი არაა, — თქვა პიერმა, — ის კარგი მეუღლე იქნებოდა ჩემი დისათვის, თვალადია და ტანადი, განათლებული, საზოგადოებაში კარგი მდგომარეობა აქვს. გუნებაში ვამბობ, ხომ არ ღირს ამ საკითხზე დაფიქრება.

ქალბატონი ელიაბელი ცივად შეხვდა ამ წინადადებას.

— არასოდეს, — წამოიყვირა მან, — ფულმა აგიბნია თავგზა, ჩემო შვილო, ამჟამად ღარიბები ვართ, მაგრამ ჩვენი გვარიშვილობა უკეთესი ქორწინების იმედს გვაძლევს. როგორ გავატან ჩემს ქალს მდაბიო წარმოშობის ვაჟს და ისიც არა ფრანგს. ეს ყმაწვილი უდავოდ სასიამოვნო ადამიანია, მაგრამ გულშიც კი ვერ უნდა გაიტაროს მარისთან გაარშიყება. მე ამას თვალს გავადევნებ.

რაც არ უნდა იყოს, მაინც ლომბარდია. თუმცა ის ჩემს ქალზე არც ფიქრობს. ჩემი წლოვანება არ მაჩერებდეს, იმასაც ვიტყოდი, მე უფრო მიყუჟუნებს-მეთქი თვალს და არა მარის და აქაც ამ მიზეზითაა ჩამოსული.

მართალია, ჯუჩიოს გაელიმა კრესის მეპატრონე ქალის ნათქვამზე, მაგრამ შეურაცხყოფილიც იყო. ეს რა ქედმაღლურად იხსენიებს ჩემს ხელობას და წარმოშობასო. „ეს ხალხი ფულს ჩვენგან სესხულობს, რომ თავი გაიტანოს, ვალის გადახდაზე თავს არ იწუხებენ და კიდევ აბუჩად გიგდებენ. ერთი მანახვა, ლომბარდელები რომ არა, როგორ მოიქცეოდით, კეთილო ქალო, — თქვა გუნებაში გულდაწყვეტილმა ჯუჩიომ, — გაურიგეთ თქვენი ქალიშვილი დიდ სენიორს, ნახავთ, თუ დაიყოლიებთ“.

თანაც სიამაყეს გრძნობდა, რომ კეთილშობილი ქალიშვილი მოხიბლა და სწორედ იმ საღამოს გადაწყვიტა, უნდა შევირთო, რადაც არ უნდა დამიჯდესო.

ვახშამზე მარის უყურებდა და ფიქრობდა: „ის ჩემია, ჩემი“. ქალი მთელი არსებით, პირისახით, გრძელი წამწამებით, ოდნავ გაპობილი ბაგით პასუხობდა... „მე თქვენი ვარ“, — და ჯუჩიოს უკვირდა, როგორ ვერ ხედავენო ამას სხვები.

მეორე დღეს ჯუჩიომ ბიძისაგან ნოფლში მიიღო ცნობა. ბიძა იტყობინებოდა, ხიფათმა უკვე ჩაიარაო, და შინ იწვევდა დისწულს.

ახალგაზრდა ვაჟს სხვა რა გზა ჰქონდა, მასპინძლებს გამოუცხადა, პარიზში გადაუდებელი საქმე მიხმობსო. ქალბატონმა ელიაბელმა, ჟანმა და პიერმა დიდი სინანული გამოთქვეს. მარიმ არაფერი თქვა და ისევ ქარგვა გააგრძელა. მაგრამ როცა ისა და ჯუჩიო მარტონი დარჩნენ, ძალიან შეწუხდა, რამე უბედურება ხომ არ მოხდა, ჯუჩიოს ხომ არაფერი ემუქრებაო.

ჯუჩიომ პირიქით დაარწმუნა — ჩემი და თქვენი წყალობით, ადამიანები, რომელთაც უნდოდათ იტალიელი ფინანსისტების დაღუპვა, დამარცხდნენო.

მაშინ მარი აქვითინდა, რადგან ჯუჩიო უნდა წასულიყო.

— თქვენ მე მტოვებთ და ეს ჩემს სიკვდილს ნიშნავს.

— როგორც კი შევძლებ, მოვბრუნდები, — უთხრა ჯუჩიომ.

თან კოცნით დაუფარა პირისახე მარის. ნაკლული სიხარულით უხაროდა ლომბარდული ამქრების გადარჩენა. ისურვებდა ხიფათი გაგრძელებულიყო.

— მე დავბრუნდები, მშვენიერო მარი, გეფიცებით, თქვენთან ყოფნას არაფერი მირჩევნია.

ამჯერად გულწრფელი იყო. თავშესაფრის მძებნელად ჩამოვიდა და გულსრულ მიჯნურად ტოვებდა იქაურობას.

ბიძას არაფერი უცნობებია საბუთების თაობაზე. ჯუჩიომაც ისე დაიჭირა თავი, თითქოს კრესიში უნდა დაეტოვებინა ბიძის გამოტანებული. ეს იქნება სამომავლო საბაბი კრესიში დაბრუნებისა.

VIII

პონ-სენტ მაქსანის ტყეში

ნოემბრის ოთხს ფილიპ ლამაზს პონ-სენტ მაქსანის ტყეში უნდა ენადირა. ღამე კლერმანის სასახლეში გაათენა. დათქმული ადგილიდან ორი ლიეს მანძილზე. თან ახლდნენ პირველი კამერჰერი იუგ დე ბუვილი, მდივანი მაიარი და რამდენიმე შინაური კაცი.

რა ხანია მეფე ასეთ კარგ ხასიათზე არ ყოფილა. სამეფო საქმეთაგან თავისუფალი იყო. ლომბარდთა ნებაყოფლობითმა სესხმა შეავსო ხაზინა. ზამთრის მოახლოებამ დააშოშმინა შამპანის მშფოთვარე სენიორებიცა და ფლანდრიის კომუნებიც.

ღამით თოვლი მოვიდა, ზამთრის პირველი, ნაადრევი და უცნაურად მოულოდნელი თოვლი. გათენებისას თეთრ ფქვილად შეფრქვეოდა ყანებსა და ტყეებს, მთელ მიდამოს უშველებელ დათრთვილულ სივრცედ აქცევდა და არემარეს იერს უცვლიდა. ბამბის ქულასავით იშლებოდა ჰაერში ადამიანების, ძაღლებისა და ცხენების ამონასუნთქი.

ლომბარდი ნელი ნაბიჯით მისდევდა მეფის ცხენს. თუმცა კურდღლების მწევარი იყო, ირმის გამორეკვაც იცოდა და ხშირად მეძებრების ხროვას სწორ გზაზე აყენებდა. ცნობილია, რომ მწევრებს თუმცა თვალი უჭრით და სწრაფად დარბიან, გეშის აღება არ ეხერხებათ. ლომბარდი კი ყნოსვითაც არ ჩამოუვარდებოდა პოატიურ მეძებარს.

დათქმულ ტყის პირას შეჩერდა მეფე ერთი ხანი... იყო ერთი ყეფა, ცხენთა ჭიხვინი, მათრახების ტკაცუნი, თვალი ვერ მოაშორა ფილიპ ლამაზმა თავის შესანიშნავ ხროვას, მერე ძუკნების ამბავი მოიკითხა და ძაღლებს დაუწყო ლაპარაკი.

— ო, ჩემო მშვენიერნო, ოლა, ჩემო მშვენიერებო, აუ, აუ!

მონადირეთუხუცესი ეახლა, რათა ეუწყებინა, ნადირი ტყეში შერეკესო. რამდენიმე ირემი მორეკეს, ერთი ათრქიანი იყო, დაახლოებით თორმეტი წლისა. აქ ამაზე კეთილშობილ ცხოველს ვერ ნახავდით. თანაც ჩანდა, რომ ეს ირემი „ყარიბი ირემი“ იყო, ტყე-ტყე მარტო მოხეტიალე და ამ სიმარტოვით უფრო ძლიერი და გარეული.

— აბა, დავიწყოთ, — თქვა მეფემ.

ძაღლები დაფანჩეს, სანიშნო ტოტისაკენ წაიყვანეს და იქ დააყენეს. მონადირენი მიმოიფანტნენ. იქითკენ წავიდნენ, საიდანაც შეიძლება ირემი გამოჩენილიყო.

— ჰაუ! ჰაუ! — გაისმა ხმა.

დაინახეს ირემი, ტყე ძაღლების ყეფით აივსო, გაისმოდა საყვირის მოწოდება, ცხენთა თქარათქური, დამსხვრეული ტოტების ხმა.

ჩვეულებრივ ირმები ფეხს არ იცვლიან შეგულებული ადგილიდან. ტყეში ტრიალებენ, ეშმაკობენ, ახალგაზრდა ირმის კვალზე მიაგდებენ ძაღლებს, რათა ალღო დააკარგვინონ და თვითონ თავდასხმის ადგილს უბრუნდებიან.

ირემმა გააკვირვა მონადირენი, დაბლა კი არ ჩავიდა, — ჩრდილოეთისაკენ აიღო გეზი. როცა ხიფათი იგრძნო, ანგარიშმიუცემლად გაეშურა არდენის შორეული ტყისაკენ, საიდანაც მოდიოდა...

ასე გავიდა ერთი საათი, მერე მეორე. ირემს ფეხი არ შეშლია, არ დაბნეულა, ძაღლებს ახლო მისვლის საშუალება არ მისცა. როცა იგრძნო, რომ ხროვა დაიღალა, ნაბიჯს უმატა და თვალს მიეფარა.

ფრიად გახალისებულმა მეფემ მოკლეზე მოჭრა, რათა ტყის პირს გასულიყო და იქ მოეცადა. მაგრამ ისე სწრაფად ვერაფერს დაკარგავ, როგორც შენიანებს ნადირობის დროს. კაცი ფიქრობს, მწევარ-მეძებრებისაგან შვიდ წყრთაზე მეტი მანძილით არა ვარ დაშორებული, რაკი მათი ხმა გარკვევით მესმისო, და წუთის უსწრაფესად სრულიად მარტო აღმოჩნდება ყოვლის მომცველ სიჩუ-

მეში. ხეთა ჯარი გარტყია გარს და არც კი იცი, სად გადაიკარგა ძაღლების ხროვა, ასე ხმამაღლა რომ ყეფდა, ან რომელმა ფერიამ, რომელმა ჯადოქარმა გააქრო შენი თანამონადირენი...

თანაც იმ დღეს ხმა ცუდად ისმოდა და ძაღლებს უჭირდათ ნადირობა, ხოლო მიწას მოდებული ჭირხლის გამო ადვილი იყო კვალის დაკარგვა.

მეფეს გზა დაებნა. მის თვალწინ დიდი თეთრი ველი გადაშლილიყო, და მთელ ამ მიდამოს ცის დასალიერამდე — ღობეებით დასერილ მდელოებს, ნაწვერალებს, სოფლის სახურავებს, შორეულ ტყეს მბზინავი ბურუსი გადაჰფენოდა. მზემ ღრუბელთაგან დაიხსნა თავი და გამოანათა.

უცებ მეფემ უცხოდ იგრძნო თავი და თავბრუ დაეხვა. უნაგირზე შეტოკდა. ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ჭარმაგი კაცი იყო და ძალას არასოდეს არ უღალატნია მისთვის.

ახლა სხვა არაფერი ახსოვდა, მხოლოდ ის უნდოდა გაეგო, ჩემი ირემი გამოვიდა თუ არაო. ტყის პირს გაჰყვა, ცდილობდა მიწაზე გაერჩია ირმის კვალი. „ამ თრთვილში უფრო ადვილად უნდა დავინახო“, — ამბობდა გუნებაში.

უეცრივ გზად მიმავალ გლეხს მოჰკრა თვალი.

— ჰეი, ადამიანო!

გლეხი მობრუნდა და მისკენ წამოვიდა. ორმოცდაათიოდე წლისა იქნებოდა, ფეხებზე ხამი ტილოს პაჭიჭები ეცვა და მარჯვენა ხელში კომბალი ეჭირა. ქუდი რომ მოიხადა, შეჭაღარავებული თმა გამოუჩნდა.

— თვალი ხომ არ მოგიკრავს დიდი ირმისათვის? — ჰკითხა მეფემ.

კაცმა თავი დაუქნია და უთხრა:

— როგორ არა, ჩემო ბატონო! თქვენ რომ ბრძანეთ, იმ ირემმა სწორედ ცხვირწინ გამირბინა, ენაგადმოვარდნილი მირბოდა ქორბუდა. ალბათ თქვენი ირემი იყო. ბევრი დევნა აღარ დაგჭირდებათ, უთუოდ წყალს ეძებდა, ფონტენის გუბესთან იპოვით.

— ძაღლები მისდევდნენ?

— ძაღლები არ ყოფილან, სირ! მაგრამ იმ ირმის კვალს ამ წიფლის გვერდით ნახავთ, გუბურასაკენ მიდის.

მეფემ გაკვირვებით შეხედა.

— შენ ისე გეტყობა, აქაურობაც იცი და ნადირობის ყადრიც.

გლეხკაცს სახე კეთილმა ღიმილმა გაუნათა. მუქი თაფლისფერი, ეშმაკური და პატარა თვალები დააშტერა მეფეს.

— აქაურობასაც ვიცნობ და ცოტა ნადირობის ყადრიც გამეგება. ღმერთმა ქნას, რომ თქვენნაირმა დიდმა ხელმწიფემ კარგა ხანს ისიამტკბილოს ნადირობით.

— მიცანი განა?

გლეხმა თავი დააქნია და ამაყად მიუგო:

— სხვა დროსაც მინახიხართ, სხვა ნადირობისას, თქვენი ძმაც მინახავს — მონსენიორ დე ვალუა. ყმების განთავისუფლების საქმეზე მოვიდა აქ.

— შენ აზატი ხარ?

— თქვენი წყალობით, მეფეო. ყმად დავიბადე და ახლა თავისუფალი ვარ, ჩემი საქმე ვიცი და თუ საქმემ მოითხოვა, ანგარიშიც არ შემეშლება!

— კარგია თავისუფლება?

— ეგრეა... ცხადია, რადგან თავისუფალი ხარ, თავს სხვანაირად გრძნობ,

ზეზეულად მკვდარი არა ვარ. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ამას თქვენ ბრძანებულებებს უნდა ვუმადლოდეთ. ლოცვად მიგვიჩნევია თქვენი სიტყვები: „ყოველი ძე-ხორციელი, ღვთის ხატად და მსგავსებად შექმნილი, თავისუფალი უნდა იყოს, ასეთი წესი ბუნებრივია“, ამის მოსმენა ძალიან საამოა, თუკი მთელი სიცოცხლე თავი პირუტყვად მიგაჩნდა.

— რა დაგიჯდა აზატობა?

— სამოცდახუთი ლივრი.

— გქონდა ამოდენა თანხა?

— მთელი სიცოცხლე წელებზე ფეხს ვიდგამდი და დავაგროვე, სირ.

— რა გქვია?

— ანდრე, ანდრე ტყისპირელს მეძახიან, რადგან აქ ვცხოვრობ.

ჩვეულებრივ ფილიპ ლამაზი გულუხვი არ იყო, მაგრამ ახლა მოესურვა რაღაც მიეცა ამ კაცისათვის — წყალობა კი არა, საჩუქარი.

— ყოველთვის ერთგულად ემსახურე ქვეყანას, ანდრე ტყისპირელო, და ჩემდა სახსოვრად ეს შეინახე.

მეფემ საყვირი მოიხსნა — სპილოს ძვლის საუცხოო ნივთი, ოქროთი მოვარაყებული, რომელსაც გაცილებით მეტი ფასი ედო, ვიდრე ამ კაცის აზატობას.

გლეხს ხელები აუკანკალდა სიამაყისა და მღელვარებისაგან.

— ო, ჩემო ბატონო, — წაიჩურჩულა მან, — ღვთისმშობლის ქანდაკების ქვეშ დავდებ, დაე ჩვენი ოჯახის მფარველი იყოს. ღმერთი შეგეწიოს, მეფევ ბატონო!

მეფე განშორდა გლეხს. ისეთი სიხარულით იყო აღვსილი, რა ხანია რომ აღარ განეცადა. აქ, ამ ტრიალ მინდორში ფილიპ ლამაზს ელაპარაკა კაცი, ვინც მისი მეფური მოწყალებით თავისუფალი და ბედნიერი იყო. ერთი ხელის მოსმით შეუმსუბუქდა ძალაუფლების თუ წელთა მძიმე ტვირთი. მან კარგად აღასრულა თავისი მეფური ვალი. „მაღალ ტახტზე მჯდომელი ყოველთვის უცდენელად გრძნობ, ვის ხვდება შენი ხელი, — ფიქრობდა გუნებაში მეფე, — მაგრამ ის კი არასოდეს იცი, შენგან განზრახული სიკეთე თუ ასრულდა ან ვის მოუტანა შვება“. ხალხის გულიდან მომდინარე ეს შეფასება, ესოდენ მოულოდნელად რომ ეწვია, მისთვის გაცილებით უფრო ძვირფასი და სასურველი იყო, ვიდრე კარისკაცთა ხოტბა და დიდება. „კარგი იქნებოდა მთელი გლეხობა გამეაზატებინა. ანდრე ტყისპირელს ბავშვობიდანვე რომ მიეღო განათლება, კარგი პრევო თუ კაპიტანი დადგებოდა და სხვებს აჯობებდა“.

ფიქრით მისწვდა ყველა ტყისპირელ ანდრეებს, — მთისა და ბარის ანდრეებს, ყანების ჟანებს და პატარა სოფლების ჟაკებს. ამათი შვილები, ყმობისაგან თავდახსნილები, სამეფოს შეუქმნიან ძალას. „მე და ანგერანმა ერთხელ კიდევ უნდა გადავხედოთ ბრძანებულებებს“.

ამ დროს მარჯვნიდან, ყრუ, აჩქარებული წკავწკავი შემოისმა. ეს ლომბარდის ხმა იყო.

— აბა, ჩემო ლამაზო მწევარო! აბა, გაისარჯე! — დაიყვირა მან.

ლომბარდი კვალში ედგა ნადირს. თავისი გრძელი ფეხებით მირბოდა. ცხვირი რამდენიმე გოჯით ჰქონდა დაცილებული მიწას. თურმე მეფეს კი არ აბნეოდა გზა, არამედ მთელ მის მხლებლებს. ფილიპ ლამაზმა ჭაბუკური სიამოვნება იგრძნო, მარტო მე და ლომბარდი მოვინადირებთო ქორბუდას.

მან ცხენი გააჭენა, აღარც დროს მიხედა და აღარც მიჯნა-სამანებს, მისდევდა ლომბარდს. დაცხა, ოფლი წურწურით დაედინა სახეზე.

უცებ მუქ ცხოველს მოჰკრა თვალი. თეთრ მინდორზე გარბოდა იგი.

— აჰაუ! — დაიღრიალა მეფემ, — წინ, ლომბარდ, გასწი!

მეფე სწორედ ამ ირემს მისდევდა. დიდი, შავი ცხოველი ისე ფიცხლად ვეღარ გარბოდა, როგორც ნადირობის დაწყებისას. ქედზე, იმ გლეხის თქმისა არ იყო, რქები ბუდედ ედგა. დიდი დაღლა ეტყობოდა: ჩერდებოდა, უკან იცქირებოდა და მერე მძიმედ მიუყვებოდა გზას.

ლომბარდმა ყეფას უმატა, რადგან ახლა უკვე თვალით ხედავდა ნადირს. ქორბუდამ საღერღელი აუშალა მეფეს. დროდადრო იმ რქებში რაღაც ბრწყინავდა, შემდეგ ქრებოდა. ამ ირემს ზღაპრისა არაფერი ეცხო და სრულებით არ ჰგავდა წმინდა უპერტის ირემს, შუბლზე რომ ჯვარი ჰქონდა გამოსახული. ეს იყო მხოლოდ დიდი, დაღლილი ცხოველი, შიშით ატანილი, უჭირდა თავდაცვა, გრძნობდა, საცაა ძაღლები წამესევიან და მაჯობებენო. ლომბარდი უკვე წვივებზე მიეტანა, როცა იგი წიფლის ჭალაში შევარდა და გაუჩინარდა. მალე ლომბარდმა უფრო გაბმით და ხმამაღლა დაიწყო ყეფა. ასეთი ხმა ძაღლებს მაშინ აქვთ, როცა ნადირს ჩიხში მოიმწყვდევენ ხოლმე.

მეფეც ჭალაში შევიდა. ტოტებში სითბოს მოკლებული სხივები ელავდნენ და ვარდისფრად აფერადებდნენ თოვლს.

მეფე შეჩერდა, თავისი დაშნის ამოღება უნდოდა. მუხლებშუა ცხენის გულისფეთქვას გრძნობდა. თვითონაც ქოშინებდა მეფე, ცივი ჰაერი ჩაისუნთქა ერთბაშად. ლომბარდის ყეფა არ შეწყვეტილა. დიდი ირემი ხეს მიყუდებოდა, თავი დაეხარა და თითქმის მიწაზე დაებჯინა ცხვირ-პირი. მის სველ ქათიბს ოხშივარი ასდიოდა. უეცრივ მეფემ რქებში ჯვარი დალანდა, მერე საშინელმა შიშმა აიტანა, ტანი აღარ დაემორჩილა. ვერც ჩამოქვეითდა. ფეხი ვერ გამოიღო უზანგიდან. ფეხები მარმარილოს ჩექმებად ექცა. სადავე მიუშვა და უღონოდ ჩამოუვარდა ხელები. სცადა საშველად მოეხმო ვინმე, ხმა ვერ ამოიღო.

ენაგამოგდებული ირემი სევდიანი თვალებით უყურებდა, მის დატოტვილ რქებში ჯვარი ჩაქრა, მერე ისევ აენთო. ხემ, მიწამ და მთელმა სამყარომ სახე იცვალა მეფის თვალში და ფილიპ ლამაზმა თავში შემზარავი ჭახანი იგრძნო. იგრძნო, როგორც მოიცვა იგი ბნელმა.

როცა რამდენიმე წუთის შემდეგ ჩამორჩენილებიც წამოეწიენ, საფრანგეთის ხელმწიფე თავისი ცხენის ფერხთით იწვა. ლომბარდი დიდ, მარტოხელა ირემს უყეფდა. მონადირეებმა მის რქებში შეამჩნიეს ორი ხმელი ტოტი, ეტყობა, სირბილის დროს გამოსდებოდა.

მაგრამ ირმისათვის ვისღა ეცალა. იმ დროს, როცა რამდენიმე ცხენოსანი ძაღლების ხროვას აკავებდა, ცოტა გონსმოსულმა ნადირმა მოკურცხლა, მხოლოდ რამდენიმე გაშმაგებული ძაღლი დაედევნა და გვიან ღამემდე სდია.

მეფესთან ჩაჩოქილმა იუგ დე ბუვილმა წამოიყვირა:

— მეფე ცოცხალია!

დაშნებით ორი ხე მოსჭრეს სასწრაფოდ, ერთიმეორეს თოკებით და ქამრებით მიამაგრეს. ასე გააკეთეს საკაცე და ზედ მეფე დააწვინეს. მეფე მხოლოდ ოდნავ შეინძრა, გული აერია და კუჭშიაც გახსნა. იხვებს მოსდით ასე, როცა ახრჩობენ. შუშის თვალები მხოლოდ სანახევროდ დაეხუჭა.

ასე წაიყვანეს კლერმონამდე, სადაც ღამით ორიოდე სიტყვის თქმა შეძლო. მოწვეულმა ექიმებმა სასწრაფოდ გაუხსნეს ხელი.

მეფემ თვალი მიაპყრო ბუვილს და ლუღლუღით უთხრა:

— ჯვარი... ჯვარი...

ბუვილმა იფიქრა, მეფეს ლოცვა სურსო და წავიდა ჯვარის მოსატანად. ფილიპ ლამაზმა თქვა:

— მწყურია.

გათენებისას ძლივს წარმოთქვა, ფონტენებლოს წამიყვანეთ, იქ, სადაც დავიბადეო. პაპ კლემან მეხუთემაც, როცა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, მოითხოვა, რომ იქ წაეყვანათ, სადაც დაიბადა.

გადაწყვიტეს, რომ მეფეს მდინარით გამოამგზავრებდნენ, რათა ნაკლებად გალახულიყო. დიდ ბრტყელ ნავში ჩააწვინეს და უაზის წყალს მიანდვეს. შინაურები, მსახურები და ხელშუბიანთა ამალა სხვა ნავებით მისდევდნენ თუ ცხენით მიუყვებოდნენ ნაპირ-ნაპირ.

ახალი ამბავი წინ უსწრებდა ამ უცნაურ მსვლელობას. გზის პირის მემამულეები გამორბოდნენ, რათა ენახათ, როგორ მიჰყავდათ დამხობილი ქანდაკება. როცა გლეხები შემოხვდებოდნენ, ქუდს იხდიდნენ, თითქოს ლიტანიაო. ყოველ სოფელში ხელშუბიანები მუგუზლებით სავსე ვარცლს შოულობდნენ, რათა ის ნავში ჩაედოთ და მეფის გარშემო ჰაერი დაეთბოთ. ზეცა მთლად განაცრისფერებულიყო და თოვლის მაუწყებელი ღრუბლები დასწოლოდა.

ვორეალის დიდებული მოეახლა კორტეჟს, რათა მეფისთვის თაყვანი ეცა. მას მოეჩვენა, რომ ფილიპ ლამაზს მკვდრისფერი ედო. მეფემ მხოლოდ წამწამებით უპასუხა. სადღა იყო ის დევგმირი, ორ მეომარს მხრებზე რომ დააწვებოდა და წელში მოდრეკდა.

მოკლე დღე მიიწურა. ნავებზე დიდი მაშხალები გაეჩაღებინათ, მათი წითელი, ლიცლიცა სინათლე ნაპირიდან ჩანდა და ეს ღამეული მსვლელობა ალმოდებულ გამოქვაბულს ჰგავდა.

მიუახლოვდნენ სენის შესართავს და იქიდან პუაისზე აიღეს გეზი. მეფე სასახლეში შეიყვანეს.

თორმეტიოდე დღე დაჰყო აქ და ბოლოს თითქოს მომჯობინდა, ენა დაუბრუნდა, ფეხზე წამოდგომაც კი შეძლო, თუმცა მოძრაობა უჭირდა. დაჟინებით მოითხოვა, ფონტენებლოსაკენ გავწიოთო. თავს ძალა დაატანა და ცხენი მოითხოვა. დიდი სიფრთხილით მიაღწია ესონს, მაგრამ მეტი ველარ შესძლო, სხეული ველარ დაიმორჩილა ნებისყოფამ.

მგზავრობა ტახტრევანით დაამთავრა. ისევ თოვდა. თოვლში ეფლობოდათ ცხენებს ფეხი. ფონტენებლოში უკვე შეყრილიყო სამეფო კარი. სასახლის ყველა ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა.

როცა მეფე დარბაზში შევიდა, ესლა წაიჩურჩულა:

— მზე, ბუვილ... მზე...

IX
მწუხრის ზეწარი გადაეფარა სამეფოს

თორმეტიოდე დღის განმავლობაში ისე ბორგავდა, როგორც გზადაკარგული მგზავრი. დროდადრო საქმეებში ჩაებმებოდა ხოლმე ფიცხლად, მაგრამ მალე იღლებოდა. აინტერესებდა სამეფოს საქმეები, ანგარიშებს თხოულობდა,

უნდოდა შეემოწმებინა, მეფური მოუთმენლობით ბრძანებდა, ყველა წერილი და ბრძანება წარმომიდგინეთ ხელის მოსაწერადო. სხვა დროს არასოდეს ჰქონია ხელრთვის ასეთი ტრფიალი. მერე უეცრივ ისევ გაოგნება ეუფლებოდა. მაშინ უაზროდ და დაულაგებლად იწყებდა ლაპარაკს. შუბლზე გადაისვამდა ხოლმე მოდუნებულ ხელს, თითებს ველარ შლიდა. კარზე ამბობდნენ, გონს ვერ არის ხელმწიფეო. სინამდვილეში სააქაოს აღარ იყო. ეს ორმოცდაექვსი წლის კაცი ავადმყოფობამ სამ კვირაში მოხუცად აქცია. პირისახე ჩამოუფხავდა, ფონტენებლოს ერთ ოთახში ხვდებოდა სიცოცხლის მიწურულს. და თანაც ეს გამუდმებული წყურვილი სულს უხუთავდა, სულ ერთთავად წყალს თხოულობდა.

ექიმები ირწმუნებოდნენ, ვერ გადარჩებაო, და ასტროლოგმა მარტენმაც ფრიად ფრთხილად გამოაცხადა, თვის მიწურულს დასავლეთის ერთ-ერთ ძლიერ მონარქს მძიმე განსაცდელი მოელის და ეს განსაცდელი მზის დაბნელებას დაემთხვევაო. „და ამა დღესა შინა, — წერდა მეტრ მარტენი, — მწუხრის ზეწარი გადაეფარება სამეფოს“.

და უცებ ერთ საღამოს ფილიპ ლამაზმა კეფაში ის საშინელი ჯახანი იგრძნო და ბნელში დანთქმა, რაც უკვე განიცადა ერთხელ პოინ-სენტა მაქსანის ტყეში. ამჟამად აღარ იყო არც ირემი, არც ჯვარი. იყო მხოლოდ დიდი, უსულო სხეული და მას ამ ქვეყნისა აღარაფერი გაეგებოდა.

როდესაც იგი ამ სიბნელიდან ამოვიდა, ვერ შესძლო განესაზღვრა, რამდენ ხანს გაგრძელდა უკუნი — ერთ საათს თუ რამდენიმე დღეს. პირველი, რაც მეფემ გაარჩია, ეს იყო სქელი, თეთროსანი კაცი, თავს რომ შავი გვირგვინი ედგა და მისკენ დახრილიყო. ხმაც კი გაიგონა.

— ო, ძმაო რენო, — სუსტი ხმით თქვა მეფემ, — მე კარგად გიცანით, მაგრამ თითქოს ბურუსი გახვევიათ.

მაშინვე დაუმატა:

— მწყურია!

ძმა რენომ, პუასელმა დომინიკელმა, უმალვე ნაკურთხი წყლით დაუსველა ავადმყოფს ტუჩები.

— ეპისკოპოს პიერს თუ შეატყობინეს? მოვიდა? — იკითხა მეფემ.

ხშირად მომაკვდავს გონება შორეულ მოგონებებში გადაიყვანს ხოლმე. ასე დაემართა მეფესაც. იგი დაჟინებით იხმობდა სიკვდილის სარეცელთან სიყრმის მეგობარს — პიერ დე ლატილს, შალონის ეპისკოპოსსა და მისი საბჭოს წევრს. ამის მიზეზს ეძებდნენ და ფარულ ზრახვათა ამოცნობას ცდილობდნენ მაშინ, როცა ეს მეხსიერების ერთი გამოსხივოსნება იყო მხოლოდ.

— დიახ, სირ, დავიბარეთ! — უპასუხა ძმა რენომ.

მართლაც გაგზავნა შალონს შიკრიკი, მაგრამ ძალიან გვიან, იმ იმედით, ცოცხალს ვერ მოუსწრებსო. რადგან ძმა რენოს თავისი ადგილი ჰქონდა მომაკვდავი მეფის სარეცელთან და ამ ადგილს სხვა სასულიერო პირს ვერ დაუთმობდა. მართლაც მეფის აღმსარებელი იმავე დროს საფრანგეთის დიდი ინკვიზიტორიც იყო, ორივეს სინდისზე იყო მძიმე საიდუმლოებანი. მეფე ვერ დაიბარებდა მეგობარს და ვერ დაასწრებდა თავის გარდაცვალებას.

— დიდი ხანია მელაპარაკებით, ძმაო რენო, — ჰკითხა მეფემ.

ძმა რენოს ხორციანი ნიკაპი ჰქონდა და დაკვირვებული თვალი. ახლა

ღვთის განგება დაედო საბაბად და ცდილობდა მეფისაგან ის მიელო, რასაც ცოცხლები კიდევ გამოელოდნენ მისგან.

— სირ, — თქვა მან, — ღმერთი გიწინამძღვრებთ, თუკი სამეფო საქმეებს წესრიგში დატოვებთ.

ერთი წამით მეფემ არაფერი უპასუხა.

— ძმაო რენო, განა აღსარება უკვე ვთქვი? — იკითხა მან.

— რა თქმა უნდა, სირ.... გუშინწინ ბრძანეთ, — მიუგო დომინიკელმა. — მშვენიერი აღსარება ბრძანეთ. ჩვენ ყველას აღტაცება მოგვგვარა. ამასვე იგრძნობენ თქვენი ქვეშევრდომები. თქვენ მოინანიეთ, რომ ილაჯი გაუწყვიტეთ თქვენს ხალხს და მეტადრე ეკლესიას დიდი გადასახადებით; თქვენ ისიც ბრძანეთ, რომ არაფერი გაქვთ მოსაბოდიშებელი იმათთან, ვინც თქვენმა სამართალმა შეიწირა, რადგან რწმენა და სამართალი ერთმანეთს უნდა აძლევდნენ მხარს.

დიდმა ინკვიზიტორმა ხმა აიმაღლა, რათა იქ მყოფთ კარგად გაეგოთ ეს.

— ეგრე ვთქვი განა? — იკითხა მეფემ.

არ იცოდა, მართლა თქვა ეს სიტყვები თუ არა. ძმა რენო ახლა თხზავდა ამ შეგონებას, ყველა დიდ ადამიანს რომ მოერგება. უბრალოდ წაიჩურჩულა:

— მკვდრები.

— თქვენ უნდა ჩაგვაგონოთ, სირ, თქვენი უკანასკნელი სურვილი, — გაუმეორა ძმა რენომ.

იგი ცოტა განზე მიდგა და მეფემ შეამჩნია, რომ ოთახი სავსე იყო.

— ოჰ, — თქვა მან, — ყველას კარგად გცნობთ, ვინც აქა ხართ.

თვითონვე უკვირდა, როგორ შემრჩა ხალხის ცნობის უნარიო.

სულ აქ მოეყარათ თავი. აქ იყვნენ ექიმები, მისი კამერჰერი, მისი ძმა შარლი, წარმოსადეგი ტანადობის კაცი, მისი მეორე ძმა ლუი, რომელსაც თავი დაეხარა, იყო ანგერან დე მარინი და ფილიპ ლე კონვერიმისი ლეგისტი. აგრეთვე მისი მდივანი მაიარი — მხოლოდ მაიარი იჯდა პატარა მაგიდასთან, ყველანი უმოძრაოდ იდგნენ გაშეშებულნი და ჩაფერფლილნი, თითქოს სამუდამჟამო არყოფნას შერწყმიანო.

— დიახ, დიახ, — გაიმეორა მეფემ, — მე თქვენ ყველას გიცნობთ.

ეს მოშორებით მდგომი გოლიათი, ყველას რომ ზემოდან დაჰყურებს, რობერ დ'არტუაა — მისი დაუდგრომელი ნათესავი. ეს მაღალი ქალი, მეანესავით რომ სახელოებს იკაპიწებს, მაო ბურგუნდიელია. მისმა დანახვამ მსჯავრდებული რძლები გაახსენა.

— პაპი აირჩიეს? — იკითხა მეფემ.

— არა, სირ.

ხელმწიფის მოღლილ გონებაში რამდენიმე საკითხი ირეოდა, ერთმანეთს ერკინებოდა. ყოველი ადამიანი ასე თუ ისე ფიქრობს, სამყარო ჩემთან ერთად გაჩნდაო, და ამიტომაც სიცოცხლის მიწურულს სწუხს, რომ სამყარო დაუმთავრებელი დატოვა. ცხადია, სხვებზე მეტად ასე ფიქრობს მეფე.

ფილიპ ლამაზმა თვალით მოძებნა თავისი უფროსი ვაჟიშვილი, ლუი ნავარელი. ფილიპ დე პუატიე და შარლ დე ფრანსი სასთუმალთან იდგნენ, თითქოს ერთმანეთს შერწყმიანო მომაკვდავი მშობლის წინაშე. მეფემ თავი დაბლა დახარა, რომ ისინი დაენახა.

— გაითვალისწინეთ, ლუი, გაითვალისწინეთ, რას ნიშნავს საფრანგეთის მეფობა. რაც შეიძლება, ადრე გაიგეთ თქვენი სამეფოს მდგომარეობა.

მაო ბურგუნდიელი ცდილობდა მიახლოებოდა მეფეს. ყველამ კარგად იცოდა, რა წყალობა თუ პატიება უნდა ამოეგლიჯა მეფისათვის.

ძმა რენომ გრაფ დე ვალუას მზერა ესროლა, რაც ნიშნავდა: „მონსენიორ, ჩაერიეთ“.

ლუი ნავარელი რამდენიმე წუთში საფრანგეთის მეფე გახდებოდა და ყველამ იცოდა, რა გავლენა ჰქონდა მასზე ვალუას. მეფის ძმის გავლენა წუთიწუთზე იზრდებოდა. ამიტომაც მას მიმართავდა დიდი ინკვიზიტორი, როგორც ნამდვილ მბრძანებელს.

ვალუამ გზა გადაუჭრა მაოს და მეფესთან არ მიუშვა.

— ჩემო ძმაო, არაფერი გაქვთ შესაცვლელი თქვენს ანდერძში, რომელიც 1311 წელს შეადგინეთ?

— ნოგარე მოკვდა, — მიუგო მეფემ.

ვალუამ თავი სევდიანად გააქნია და დიდ ინკვიზიტორს შეხედა, რომელმაც ასევე სევდიანად გაშალა ხელები, თითქოს სწუხდა, რა დიდი ხანი დავაყოვნეთო. მეფემ დასძინა:

— ის იყო ჩემი სურვილის აღმსრულებელი.

— მაშინ უნდა გვიკარნახოთ დანართი, რათა დაასახელოთ თქვენი ნების ახალი აღმსრულებელი, ჩემო ძმაო.

— მწყურია, — ჩურჩულით თქვა ფილიპ ლამაზმა.

მცირეოდენი ნაკურთხი წყალი აპკურეს ბაგეზე.

ვალუამ განაგრძო:

— მე ვფიქრობ, თქვენი სურვილის ამსრულებლად ჩემი დატოვება გინდათ.

— ცხადია... და თქვენც, ლუი, ჩემო ძმაო, — თქვა მეფემ და გრაფ ევრეს შეხედა.

მაიარმა დაიწყო წერა, ხმადაბლა გამოთქვამდა სამეფო ანდერძის დადგენილ სიტყვებს.

ლუი დ'ევრეს შემდეგ მეფემ ანდერძის სხვა ამსრულებლებიც ჩამოთვალა. თვალის ჩინი ჩაუბინდდა და ამით უფრო შთამბეჭდავი გახდა. ასე დაასახელა ფილიპ ლე კონვერი, პიერ დე შამბლი, შუათანა ვაჟის ახლობელი, და კიდევ იუგ დე ბუვილი.

მაშინ ანგერან დე მარინი წინ წამოვიდა და ისე დადგა, რომ მისი ახოვანი ტანი კარგად დაენახა მომაკვდავს.

კოაჯიუტორმა იცოდა, რომ მთელი ორი კვირა შარლ დე ვალუამ მარინის არა ერთი ბრალდება ჩააწვეთა დასუსტებულ მეფეს: „მარინია მიზეზი თქვენი სატკივარისა, მარინია მიზეზი ხაზინის გამოცარიელებისა, მარინია მიზეზი ფლანდრიასთან უპატიოსნო შეთანხმებისა, მარინმ გირჩიათ დიდი მაგისტროსის დაწვა“.

ყველა მოელოდა, რომ ფილიპ ლამაზი თავისი ნების აღმსრულებელთა შორის დაასახელებდა მარინის და დაუდასტურებდა თავის ნდობას.

კალამაწეული მაიარი თვალს არ აშორებდა მეფეს, მაგრამ ვალუამ საჩქაროდ დასძინა:

— ჩემი აზრით, რაოდენობა საკმარისია, ჩემო ძმაო.

მბრძანებელმა თვალი მიაპყრო მაიარს და ამით ანიშნა, სია შეივსოო.

გაფითრებულმა მარინიმ ქამარზე დაიდო დამუშტული ხელები და ხმამაღლა თქვა:

— სირ... მე ყოველთვის ერთგულად გემსახურებოდით... გთხოვთ რეკომენდაცია გამიწიოთ თქვენს ვაჟთან.

ორი მეტოქე იდგა მეფის წინაშე — ვალუა და მარინი, მეფის ძმა და პრემიერ-მინისტრი. ორივე ცდილობდა ფილიპ ლამაზის გონებას დაპატრონებოდა. წუთით შეყოყმანდა მეფე, ეს რა ბევრს ფიქრობენ თავის თავზე და რა ცოტას ჩემზეო.

— ლუი, — ხმამაღლა თქვა მეფემ, — ნურავინ დაჩაგრავს მარინის, თუკი დაამტკიცებს, რომ ერთგული იყო.

როცა მარინიმ დაინახა, რომ მეფემ ასე გაწირა, მიხვდა, რომ ცილისწამებას მიზნისათვის მიეღწია და გუნებაში გაიფიქრა, ოდესმე მაინც თუ ვუყვარდიო ფილიპ მეფეს.

მაგრამ მარინიმ კარგად იცოდა, რომ ძალაუფლება ეპყრა ხელთ. იგი განაგებდა ადმინისტრაციას, ფინანსებს, არმიას. მან იცოდა სამეფოს ასავალ-დასავალი და უიმისოდ ფონს ვერ გავიდოდნენ. გულხელი დაიკრიფა, განიერი ნიკაპი წინ წამოზიდა და ვალუასა და ლუი ნავარელს შეხედა, იმ საწოლს იქით რომ იდგნენ, სადაც სულს ღაფავდა საფრანგეთის გამგებელი. შეხედა და თითქოს გამოწვევა ესროლა ახალ მეფეს.

— სხვა სურვილი ხომ არ გაქვთ, სირ? — ჰკითხა მეფეს ძმა რენომ.

— რატომ ბნელა ასე? — იკითხა მეფემ, — ჯერ ისევ ღამეა, დღე არ დამდგარა?

თუმცა შუადღე იყო, რაღაცა უჩვეულო და შემაძრწუნებელი სიბნელე ეფინებოდა სამეფოს. დაიწყო ნაწინასწარმეტყველი მზის დაბნელება, ახლა ჩრდილი დააწვა ქვეყანას.

— მე ჩემს ქალს იზაბელს მისგანვე ნაჩუქარ ბეჭედს ვუტოვებ, რომელშიც ახლა ალუბლად წოდებული ლალი დევს, — თქვა უცებ.

წამით შეჩერდა და მერე იკითხა:

— პიერ დე ლატილი არ მოსულა?

არავინ გამოპასუხებია და მეფემ დასძინა:

— იმას ჩემს მშვენიერ ზურმუხტს ვუტოვებ.

მერე შეწირვებზე გადავიდა, გაიხსენა ეკლესია, ბულონის ნოტრ-დამის ტაძარი, რადგან იქ მისმა ქალმა დაიწერა ჯვარი. სენ-მარტენ დე ტურის, სენ-დენის ტაძარს ოქროს შროშნები შესწირა — ათასი ლივრის საფასური, — დააზუსტა მან.

ძმაო რენო დაიხარა დ ყურში უთხრა:

— არ დაგავიწყდეთ ჩვენი პუასის სამრევლო ეკლესია.

ფილიპ ლამაზს ფერმიხდილ სახეზე გაბრაზების იერი დაეტყო.

— ძმაო. რენო, თქვენს მონასტერს მე ვწირავ ჩემივე ხელით კომენტირებულ ბიბლიას. ის ფრიად სასარგებლო იქნება თქვენთვისაც და საფრანგეთის მეფეების აღმსარებლებისათვისაც.

დიდი ინკვიზიტორი მეტს მოელოდა, მაგრამ იმედგაცრუება დაფარა.

— პუასის სენ დომინიკის მონაზვნებს ტამპლიერების დიდ ჯვარს ვუტოვებ. და ჩემი გულიც იქ დაავანონ.

მეფემ შეწირულობათა ნუსხა დაამთავრა. მაიარმა ხმამაღლა წაიკითხა ეს დანართი. როდესაც მიადგა ბოლო სიტყვებს — „ნებითა ხელმწიფისათა“, ვალუამ მიიზიდა ტახტის მემკვიდრე, მხარში ხელი ჩაავლო და თქვა:

— დაუმატეთ „და თანხმობითა ნავარის მეფისათა“.

ფილიპ ლამაზმა თითქოს შეუმჩნევლად დასწია თავისი ნიკაპი ბედს შეგუებული კაცის თანხმობის ნიშნად, მისი მეფობა დასრულდა.

მარჯვენა დაუჭირეს, რომ პერგამენტისათვის ხელი მოეწერა, მან წაიჩურჩულა:

— სულ ესაა?

არა, საფრანგეთის მეფის ბოლო დღე ჯერ არ იყო დამთავრებული.

— ახლა საჭიროა, სირ, თქვენს ვაჟს გადასცეთ სამეფოს იდუმალება, — თქვა ძმა რენომ.

იქ მყოფთ შესთავაზა, გარეთ გაბრძანდითო, რათა მეფეს თავისი ვაჟისათვის ის იდუმალი ძალა გადაეცა, რასაც მეფის პიროვნება ფლობდა და რასაც შეეძლო საყმაწვილო სენის განკურნება.

ბალიშებზე გადასვენებულმა ფილიპ მეფემ დაიკვნესა:

— ძმაო რენო, აი შეხედეთ, რა ფასი აქვს სამყაროს, შეხედეთ საფრანგეთის მეფეს. ახლა ის კვდება და მისგან კიდევ ერთს თხოულობენ, ძალა მოიკრიფეთ და მემკვიდრე აღჭურვეთ სახადისა თუ მსუბუქი სენის მორჩენის ნამდვილი თუ ცრუ უნარითო.

ფილიპ ლამაზმა ვერ წარმოთქვა იდუმალების შელოცვა. ახლა აღარაფერი ახსოვდა. ძმა რენო შეეშველა. დაიჩოქა ლუი ნავარელმა მამის სარეცელთან, გახურებული ხელებით წაეტანა მამის გაყინულ ხელებს და ასე ეზიარა იდუმალ უნარს.

ამის შემდეგ დიდებულები ისევ შემობრძანდნენ და ძმა რენომ განსასვენების ლოცვა დაიწყო. კარის დიდებულები ერთხმად იმეორებდნენ: „In manus tuas, Domine“ — „შემოგავედრებ, უფალო, სულსა ჩემსა“. ამ დროს კარი გაიღო.

მოვიდა პიერ დე ლატალი — მეფის სიყრმის მეგობარი. ყველამ მას მიაპყრო თვალი, ხოლო ბაგეებით კი ბუტბუტებდნენ.

ეპისკოპოსი სხვებთან ერთად იმეორებდა:

— In manus tuas, Domine.

საწოლისაკენ იბრუნეს პირი და ლოცვა ყელში გაეჩხირათ. რკინის მეფე მომკვდარიყო.

ძმა რენო მიეახლა მეფეს, რათა თვალი დაეხუჭა მისთვის, მაგრამ ის დაუხამხამებელი წამწამები თავისთავად ასწეოდა ზემოთ. ორჯერ სცადა დიდმა ინკვიზიტორმა დაეხარა ისინი. სახვევიც მოიშველიეს, მაგრამ ამაოდ.

თვალღია დაადგა გრძელჟამიერი ქვეყნის გზას საფრანგეთის მეფე.

□

ტუდორ არგეზი

ლექსები

თარგმნა გივი ალხაზიშვილმა

გემუდარები, გამიღე კარი

რა სიბნელეა...
თვლემს უკუნის მძიმე ქაოსი...
მომიკაკუნა კარზე ვინმემ თუ მეჩვენება,
ნუთუ ხეების შრიალია, ყურს რომ აოცებს —
ანდა ვინ არის სიბნელეში შეუჩერებლად,
უჩირაღდანოდ რომ მოარღვევს ღამეულ ფარდას,
ვინ ეხეტება, ვინ ათრთოლებს იდუმალ კალთას,
ნეტა ვინ არის მარტოსული ჩაკეტილ კართან?

გაპარტახებულ სავანეში დღეს სულერთია,
რომ ეხეტები,
მიპასუხე, ვის ეძებ ნეტა,
უკუნეთია, ამაზრზენი უკუნეთია,
ჩუ, ნუთუ შენი ხმა ისმის, დედა?!
იქ, სამარეში იმალება წარსულის ჩქამი,
ო, თუმცა აქაც ვერ იპოვნი გარდასულ დღეთა,
დაკარგულია ყოველივე ამ უღრან ღამით,
დაკარგულია დღეს შენთან ერთად.
გაჰქრა მავანი, აღარ ყეფს ძაღლი,
გადახრუკულა, გადამხმარა ხეები თუთის,
ცარიელია ბებერი სახლი,
აღარ დაფრინავს მერცხლების გუნდი.

დგას კენტი ალვა და ასწლეული
მაღალ ტოტებზე ბიბინებს ხავსად,
არც ჩქამი ისმის ანაზდეული —
დასასრულია...
არავინ არსად!
— ეს ვინ აღვიძებს ცარიელ ბაღებს,
უჩინო როგორც ზღაპრული ლანდი,
რისთვის მოხვედი, კარს რატომ აღებ,
ოცი წელია არავინ დადის
ამ უსიცოცხლო მდუმარებაში.
ირგვლივ რიყეა, ქვიშა, ბალახი,
ჩამქრალი ზარი, მკვდარი კარები.
რაისთვისაა, ღმერთმა დალახვროს,
დღეს ყოველივე სიკვდილნარევი...
და ის, ვინც ბაღში შემოპარულა
უჩუმრად მოდის, ჰგავს საოცრებას —
იქნება იგი უმზერს მალულად
ჩემს ფიქრებს, ეჭვებს, ანდა ოცნებას.

— ეჰეი, ვინ ხარ,
ვინ ხარ მავანი,
მიტოვებული და უსახლკარო,
რად მიკაკუნებ მარტომავალი,
იმ მიყუჩებულ ტკივილს — დაფარულს
რისთვის მიღვიძებ, მიუსაფარო.
წყურვილი მტანჯავს, თუმცა აქამდის
თითქოსდა პირში მაყრიდნენ ნაცარს,
წყურვილი მტანჯავს,
აჰა, ნაკადი
უღლელი სისხლის — მადლობის ნაცვლად.
— გამოვექეცი ჯვარსა და ჯვარცმას,
აქაც სიცივე, ბინდი და ქარი,
გემუდარები, გამიღე კარი,
გამიღე კარი და შემიფარე.

არქეოლოგია

გადახლართულა გარდასულთან ფიქრი ფესვებით,
ვეხები წარსულს
მდუმარების ცივი თითებით,
საუკუნეთა მძიმე ფერფლით ჩუმად მევსება
მშფოთვარე სულის ლაბირინთები.

დავდუმებულვარ სიყვარულის მქადაგებელი,
როგორც მიწაში მიკარგული ლანდი მეფური,
როგორც ქვესკნელში უძველესი ქანდაკებები
და საფლავები მივიწყებული.

ო, იქ გუგუნებს უთვალავი ეპიტაფია
და წარწერების მკვდარი ქაოსი,
დრო გაყინულა — იქ სიბნელე ისე მძაფრია,
როგორც სიჩუმე სასაფლაოსი.

მაგრამ მოისმის ცისკენ წასული
კვამლის შრიალი,
ო, ასე წყნარად
მიირწეოდა თვალწინ წარსული —
ვიდრე სივრცეებს არ შეეფარა.

გაოცებული წლების ნამქერით
და უხილავის შორი ძახილით,
საუკუნეთა კიბეს გავცქერი
და ფხიზელი ვარ,
როგორც მახვილი.

ფსალმუნი

მარტოსული ვარ, მკაწრავს ეკალი,
უდაბნოს ხე ვარ კენტი,
დაღლილი —
მოხეტიალე და მოდრეკილი,
მწარე ნაყოფით ტოტებდახრილი.

მტანჯავს დუმილი —
ცისა ციალო,
რად არ აშუქებ მოწყენილ ჩეროს?!
ფრინველმა მაინც შეიფრთხიალოს,
დუმილი წამით რომ შეაჩეროს.

გამთენიაზე ფრინველთა ქორო
და სიწყნარეში შაშვის გალობა
გვედრებ, ჟამი-ჟამ კვლავ გამაგონო,
ეს მდუმარება ვინ მიწყალობა?!

უსურნელოა, ვაგლახ ადრეულს —
ჩემი ყვავილი ვერ გაგახსენებს,

მერქანდაკოჟრილს,
ფოთლებამღვრეულს
დღეს სევდიანი ცვარი მასველებს.

ჩირაღდანია თითქოს ვეება —
ბებერი მთვარე დასალიერთან,
სულგანაბული დგანან ხეები,
თითქოს სამყარო დაცარიელდა.

ო, ნუთუ კმარა ასე მოღლილი,
რომ მე ვანთივარ წმინდა სანთლებით,
შენი ბრძანებით, წელშიმოხრილი
ბნელში ფესვებით რომ ვიხლართები.

რისთვის დამაგდე,
რისთვის დამღალე —
ურვას და სევდას აწ შეჩვეული,
როდის მომხედავ, ცაო მაღალო,
როდის მეწვევა შენი რჩეული —
მნათობის შუქზე ფრთააწეული,
კეთილი რჩევით რომ გამახაროს.

MORGENSTIMMUNG

შემოიპარე ჩემში სიმღერით,
როს დაგმანული ზამთრის ფანჯრები
შემოაღო ძლიერმა ქარმა
და მოზეიმე დღის კვალდაკვალ
გაისმა შენი მღელვარე ხმა,
სიცარიელის უარმყოფელი.
მონატრებული ხმა უეცრად
მოედო ოთახს,
მტვრიან ყუთებს ააგლიჯა საკეტურები,
კარადებში გაიწკრიალა...
იდგა ჩემი მონასტერი,
როგორც ქარით გახსნილი ყუთი.

ვინ იცის, იქნებ არც მომხდარიყო...
გაყინული სულის სიმების აჟღერება
რომ არ გეცადა,
რომ არ შეგეხო კლავიშისთვის
დუმილის თითი —
ზეციური ფრინველების გამოსახმობად.

ყოფიერების ნაცრისფერ წრეში
ველური ჟინით აქანავდა გრიგალის ფრთები,
შემოახედა ჩემს ფანჯრებში
ზეცას, ტყეებს,
ტბის ცისფერ თვალებს.
ხუხულასავით ინგრეოდა
ჩემი ნაქები ციხე-სიმაგრე,
შევცქეროდი გაოგნებული და დაბნეული.

რამ აგამღერა?
შენი სიმღერა რად გავიგონე?

მე მოვდიოდი შენსკენ ციდან,
შენ კი მიწიდან იზიდებოდი,
შენმა სიმღერამ გამაცოცხლა, გამომაღვიძა,
ახლა იქ, ზევით —
როგორც კლდის ქიმთან
უთეთრესი წყვილი ღრუბელი —
ჩვენ ერთმანეთში ნებიერად გადავიზარდეთ.

■



ბლეზ პასკალი

აზრები

ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძე*

307. განა სასაცილო არ არის, რომ ამდენმა ხალხმა უარყო უფლისა თუ ბუნების კანონები და მათ ნაცვლად საკუთარი კანონები შექმნა, რომლებსაც მონურად ემორჩილება, როგორც მაგალითად, მაჰმადის ჯარისკაცები, ქურდები, მწვალებლები და ა. შ. იგივე ითქმის ლოგიკოსების მიმართ. ასე გგონია, მათ თავნებობას ჭეშმარიტად არა აქვს ზღვარი, იმდენი სამართლიანი და იმდენი წმინდა კანონი დაარღვიეს და ფეხით გათელეს.

308. ყველა საწყისი ჭეშმარიტია — პირონისტებისაც, სტოელებისაც, ათეისტებისაც, მხოლოდ დასკვნებია მცდარი, ვინაიდან ყველა საპირისპირო საწყისიც ჭეშმარიტია.

309. ინსტინქტი. გონება. — ჩვენ თითქმის არაფრის დამტკიცება არ შეგვიძლია, და ამ უძლურების წინაშე უკუიქცევა ყოველგვარი დოგმატიზმი. ჩვენ დაბადებითვე თან დაგვყვება ჭეშმარიტების ცნება, და ამ ცნების წინაშე უკუიქცევა ყოველგვარი პირონიზმი.

310. ადამიანი ორი რამის მეშვეობით შეიცნობს თავის თავს: ინსტინქტისა და ცდის მეშვეობით.

---

* დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1, № 2.

311. ადამიანის სიდიადე ისაა, რომ თავის უბადრუკობას გრძნობს. ხე არ გრძნობს თავის უბადრუკობას.

მაშასადამე, მხოლოდ უბადრუკი გრძნობს საკუთარ უბადრუკობას, მაგრამ მისი სიდიადეც ესაა სწორედ.

312. ადამიანის უბადრუკობა მხოლოდ მის სიდიადეს ამტკიცებს: ის უბადრუკია, როგორც დიდებული, როგორც ტახტიდან ჩამოგდებული მეფე.

313. დანგრეული სახლი თავს არ გრძნობს უბადრუკად, რადგან გრძნობისა და ცნობის უნარი არ გააჩნია. მხოლოდ კაცი გრძნობს საკუთარ უბადრუკობას. Ego vir videns.[1]

314. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲓᲘᲐᲓᲔ. — ჩვენ ისე დიდი წარმოდგენა გვაქვს ადამიანის სულზე, რომ ვერ ვიტანთ, როცა ვინმეს ვძულვართ, ანდა როცა ვისიმე სული ჩვენდამი ზიზღითაა სავსე. ადამიანი ბედნიერია, როცა გრძნობს, რომ მას აფასებენ.

315. ᲓᲘᲓᲔᲑᲐ. — ცხოველები აღტაცებულნი არ არიან ერთიმეორით. ცხენს არ აღაფრთოვანებს მეორე ცხენი. რა თქმა უნდა, ასპარეზზე ისინიც ერთმანეთს ეჯიბრებიან, მაგრამ ესაა და ეს: თავლაში ყველაზე უბადრუკი და უშნო ჯაგლაგიც კი არავის დაუთმობს თავის წილ შვრიას, ხოლო ადამიანი რომ ყოფილიყო, — უნდა დაეთმო. ცხოველებმა არ იციან, რომ მათი ღირსება ჯილდოს იმსახურებს.

316. ადამიანი დიადია თვით თავისი ანგარებითაც, რადგან სწორედ ამ თვისებიდან შესძლო მან გამოეყვანა ქცევის სანიმუშო წესები, შეედგინა ქველმოქმედების განრიგი და ცხრილის მიხედვით დაეწესებინა მოწყალების გაცემა.

317. ᲡᲘᲓᲘᲐᲓᲔ. — თვით მიზეზ-შედეგობრიობაც, გარკვეული აზრით, ადამიანის სიდიადეს მოწმობს: ანგარება — ქველმოქმედების მიზეზი.

318. ᲞᲐᲢᲘᲕᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐ — აი, ადამიანის ყველაზე მდაბალი თვისება და იმავდროულად, მისი სიდიადის ყველაზე უტყუარი ნიშანი, რადგან თვით უზარმაზარი ადგილ-მამული, შესაშური ჯანმრთელობა, აურაცხელი ავლა-დიდება არ აკმაყოფილებს მას, თუკი მოყვასთა პატივისცემით არ არის გარემოსილი. ყველაზე მეტად ის აფასებს ადამიანის სულს და, რაგინდ საპატიო ადგილიც უნდა ეჭიროს ცხოვრებაში, მაინც უკმაყოფილო იქნება, თუ ასეთივე ადგილი არ უჭირავს მოყვასის სულში. ესაა ყველაზე მშვენიერი ადგილი ამ ქვეყნად და ვერავინ ვერასოდეს ვერ აღმოფხვრის კაცის გულიდან მისკენ ლტოლვისა და მისი დაუფლების სურვილს.

თვით ისიც კი, ვისაც ყველაზე მეტად ეზიზღება ადამიანი და ცხოველთან აიგივებს მას, თავისდა უნებურად მისი სიყვარულისა და პატივისცემის მოხვეჭას ცდილობს. მას არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს თავის ყოვლისმძლე ბუნებას, რომელიც უფრო დაბეჯითებით უმტკიცებს ადამიანის სიდიადეს, ვიდრე გონება — მის სიმდაბლეს და უბადრუკობას.

319. ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐ. — სიამაყე ყოველგვარ ნაკლს აწონასწორებს. ის ან ჩქმალავს ამ ნაკლს, ანდა, თუ ამხელს, ამაყობს თავისი გამჭრიახობით და გამბედაობით.

---

[1] მე ვარ კაცი მხედველი (ლათ.).

320. სიამაყე ყოველგვარ ნაკლს აწონასწორებს. აი, უცნაური ურჩხული, აშკარა ცთომა. შეხედეთ უადგილოდ დარჩენილ კაცს: რა გაშმაგებით დაეძებს თავის ადგილს ამ ცხოვრებაში. ადგილს დაეძებს ყველა. ვნახოთ, ვინ იპოვის.

321. როცა ბოროტება თავის მხარეს იბირებს გონებას, სიამაყით ივსება და მთელი ბრწყინვალებით წარმოგვიჩენს თავის მომხრეს და მოკავშირეს. ასევე ამაყობს ის, როცა უმკაცრესი თავშეკავება თუ უმძიმესი არჩევანი ხელმოცარული რჩება ჭეშმარიტი სიკეთისაკენ ლტოლვისას და, ამრიგად, ჩვენი ბუნებრივი უმწეობა იმარჯვებს.

322. ბოროტება ადვილი მისაღწევია, ბოროტება ათასგვარია, მაშინ როდესაც სიკეთე თითქმის ერთგვაროვანია და ერთსახოვანი. მაგრამ არსებობს ერთგვარი ბოროტება, ისევე იშვიათი, როგორც სიკეთე, და ამიტომ ხშირად სიკეთის სახელს არქმევენ ბოროტების ამ სრულიად თავისებურ გვარს. მეტიც, ამნაირი ბოროტების ჩადენას სულის ისეთივე სიდიადე სჭირდება, როგორც სიკეთის ქმნას.

323. ა დ ა მ ი ა ნ ი ს ს ი დ ი ა დ ე. — ადამიანის სიდიადე იმდენად აშკარაა, რომ თვით მისი უბადრუკობითაც დასტურდება. რადგან იმას, რაც ბუნებად ითვლება ცხოველში, ადამიანში ჩვენ ვუწოდებთ უბადრუკობას; ამით ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ადამიანის ბუნება, რომელიც დღეს თითქმის არაფრით განსხვავდება ცხოველური ბუნებისაგან, ოდესღაც, ესე იგი, დაცემამდე, უბიწო და უხრწნელი იყო.

რადგან ვინ თვლის თავს უბედურად იმის გამო, რომ მეფე არ არის, თუ არა ტახტიდან ჩამოგდებული მეფე? ვინ თვლიდა პავლუს ემილიუსს უბედურად იმის გამო, რომ კონსულობის ვადა გაუვიდა? პირიქით, ბედნიერად მიაჩნდათ, იმიტომ, რომ კონსული იყო, რადგან კონსულის წოდება მხოლოდ დროებით ენიჭება კაცს. მაგრამ, აი პერსევსს კი უბედურ კაცად თვლიდნენ, ვინაიდან მეფობა რომ არ წაერთმიათ, შეეძლო სიკვდილამდე მეფე ყოფილიყო; დიახ, უბედურ კაცად თვლიდნენ და უკვირდათ, რატომ თავი არ მოიკლაო. ვინ იტანჯება იმის გამო, რომ მხოლოდ ერთი პირი აქვს? მაგრამ, აბა, ცალთვალას ჰკითხეთ, როგორია თვალის დაკარგვა? ვინა სწუხს იმას, რატომ მესამე თვალი არ მაქვსო, მაგრამ ვის არ ანატრებინებს სიკვდილს ორივე თვალის დაკარგვა?

324. ჩვენი არსებობის მთელი სიმწრის, მთელი ჩვენი უბედობის მიუხედავად, რომელიც წალეკვას და განადგურებას გვიქადის, მაინც ვინარჩუნებთ ერთგვარ მხსნელ ინსტინქტს, წარუხოცელსა და ამამაღლებელს.

325. გონებისა და ვნებების გაშმაგებული ბრძოლა ადამიანში. მარტო გონება რომ ჰქონდეს და არა ვნებები... მარტო ვნებები რომ ჰქონდეს და არა გონება... მაგრამ რაკი ერთიცა აქვს და მეორეც, ამიტომ გამუდმებით ეომება საკუთარ თავს, რადგან გონებას მხოლოდ მაშინ უზავდება, როცა ვნებებს ებრძვის, ანდა პირუკუ. ამრიგად, ის ყოველთვის გაორებულია, გათიშული, შინაგანი წინააღმდეგობებით გაწამებული.

326. გონებისა და ვნებების ამ შინაგანი ურთიერთბრძოლის გამო მშვიდობის მოსურნე ხალხი ორ სექტად გაიყო. ერთმა ნაწილმა მოინდომა უარი ეთქვა ვნებებზე და ღმერთებად ქცეულიყო; მეორე ნაწილმა გადაწყვიტა ზურგი აქცია გონებისათვის და პირუტყვებს დამსგავსებოდა (დე ბარო). მაგრამ მათი ძალის-

ხმევა ფუჭი აღმოჩნდა: გონება უწინდებურად აგინებს ვნებებს მათი სიმდაბლის, სიბილწის თუ უსამართლობის გამო, და, ამრიგად, ამღვრევს და აშფოთებს ვნებების ამყოლთ, ვნებები კი კვლავინდებურად მძვინვარებენ იმათ სულში, ვისაც მათი დათრგუნვა სურს.

327. ყველა შეშლილია და შეშლილობა იმდენად გარდუვალია და აუცილებელი, რომ, დავუშვათ და, კიდევაც რომ გამოგვეჩხრიკა ვინმე შეუშლელი, ისიც თავისებურ შეშლილად უნდა შეგვერაცხა.

328. ადამიანის ბუნება შეიძლება ორი თვალსაზრისით განიხილო: ან საბოლოო მიზნის მიხედვით, და მაშინ ადამიანი დიადია და შეუდარებელი, ან მისი თვისებების მიხედვით, როგორც განიხილავენ, მაგალითად, ცხენისა თუ ძაღლის ბუნებას მათი სისწრაფის, ან animum arcendi-ს[1] გათვალისწინებით; და მაშინ ადამიანი ბილწია და მდაბალი. აი, ორი სხვადასხვა თვალსაზრისი, რომლებმაც აზრთა ამდენი სხვადასხვაობა გამოიწვია ფილოსოფოსთა შორის.

ერთი აბათილებს მეორის აზრს და ამტკიცებს: „ადამიანი არ არის ამ მიზნისთვის დაბადებული, ვინაიდან მისი სიმდაბლე მისსავე დანიშნულებას ეწინააღმდეგება“. მეორე კი, თავის მხრივ, ჯიუტად იცავს საკუთარ აზრს: „ეს სიმდაბლე მხოლოდ აშორებს ადამიანს საბოლოო მიზნისაგან“.

329. სიდიადე და უბადრუკობა. — რაკი ადამიანის უბადრუკობაზე მისი სიდიადის მიხედვით მსჯელობენ, ხოლო მისი სიდიადე მისივე უბადრუკობიდან გამოჰყავთ, ამიტომ ზოგმა საბოლოოდ დაასკვნა, რომ ადამიანი უბადრუკია, და ეს დასკვნა მით უფრო ურყევი ჰგონია, რაც უფრო მეტად გამომდინარეობს იგი ადამიანის სიდიადიდან; ზოგი კი, პირიქით, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ადამიანი დიადია, და თავისი დასკვნა მით უფრო უცილობლად მიაჩნია, რაც უფრო მეტად გამომდინარეობს იგი ადამიანის უბადრუკობიდან. ასე რომ, ყოველივე ის, რითაც ერთნი ადამიანის სიდიადეს ამტკიცებენ, მეორეთათვის სხვა არა არის რა, თუ არა ადამიანის უბადრუკობის უტყუარი საბუთი, ვინაიდან რაც უფრო დაბლა დაეცა ადამიანი, მით უფრო უბადრუკია და პირიქით. მოკლედ, ისინი, ერთმანეთს რომ უარყოფენ, იმავდროულად ერთიმეორეს ემყარებიან და ასე იკვრება ბიწიერი წრე. ასეა თუ ისე, უეჭველია მხოლოდ ერთი რამ: მათი აზრით, ადამიანი დიადია ან უბადრუკი, იმის მიხედვით, თუ რამდენად ძლიერია მასში ბუნებრივი ნათელი. ერთის სიტყვით, ადამიანი გრძნობს, რომ უბადრუკია, მაგრამ სწორედ ეს გრძნობაა მისი სიდიადის წყარო: ადამიანი დიადია იმიტომ, რომ საკუთარ უბადრუკობას გრძნობს.

330. ადამიანის ბუნების გაორება იმდენად აშკარაა, რომ ზოგიერთი იმ დასკვნამდეც კი მივიდა, თითქოს ჩვენ ორი სული გვაქვს. მათი აზრით, მარტივი და ერთგვაროვანი ბუნება შეუძლებელია განიცდიდეს განწყობილებათა ასე მძაფრსა და ანაზდეულ ცვალებადობას — წარმოუდგენელი ქედმაღლობიდან გულისგამყინავ ძრწოლამდე.

331. სახიფათოა დაარწმუნო ადამიანი იმაში, რომ ზედმიწევნით ცხოველსა ჰგავს და იმავდროულად არ უჩვენო მისი სიდიადე. არანაკლებ სახიფათოა დაარწმუნო სიდიადეში და დაუმალო სიმდაბლე. კიდევ უფრო სახიფათოა არც

[1] აკრძალვის ინსტინქტი (ლათ.).

ერთი გაუმჟღავნო და არც მეორე. სასიკეთოა მხოლოდ ერთი რამ: უჩვენო ადამიანური ბუნების ორჭოფობა და ორადობა.

ადამიანი თავს არ უნდა უტოლებდეს არც ცხოველს, არც ანგელოსებს; მისთვის დაფარული არ უნდა იყოს საკუთარი ბუნების არც ერთი მხარე; დაე, ერთსაც იცნობდეს და მეორესაც.

332. თუ თავს იქებს, მე მას ვამდაბლებ; თუ თავს იმდაბლებს, მე ვაქებ. ასე ვეწინააღმდეგები მანამ, სანამ არ მივახვედრებ, რომ ის გონებამიუწვდომელი ურჩხულია.

333. მე თანაბრად ვგმობ იმასაც, ვინც მხოლოდ აქებს და ადიდებს ადამიანს, იმასაც, ვინც აგინებს მას და იმასაც, ვისაც სასაცილოდ არ ჰყოფნის იგი. მე მის მხარესა ვარ, ვინც მწარე გმინვით დაეძებს ჭეშმარიტებას.

334. დიადი წამი, როცა ჭეშმარიტი სიკეთის ფუჭი ძიებით დაღლილი სული ხელს აღაპყრობს თავისი მხსნელის მიმართ.

335. წინააღმდეგობა. მას შემდეგ, რაც ნაჩვენები იქნა ადამიანის სიდიადე და სიმდაბლე. — დაე, ადამიანმა შეიცნოს თავისი ფასი! დაე, უყვარდეს თავისი თავი, ვინაიდან მის არსებაში ჩადებულია სიკეთის დვრიტა, მაგრამ, დაე, ამის გამო ნუ გახდება შემწყნარებელი სიმდაბლის მიმართ, რომელიც აგრეთვე ნიშნეულია მისთვის; დაე, ეზიზღებოდეს თავისი თავი, ვინაიდან მისი სიკეთე ხშირად ფუჭია და უნაყოფო, მაგრამ ნუ შეიზიზღებს თვითონ სიკეთეს. დაე, ერთდროულად, უყვარდეს და ეზიზღებოდეს თავისი თავი: მას შესწევს ძალი ჭეშმარიტების შეცნობისა და ბედნიერების მოპოვებისა, მაგრამ მისი ჭეშმარიტება ყოველთვის არასაკმარისია და არამყარი.

მე ვისურვებდი ვნებების ტყვეობისგან დამეხსნა და ყოვლისმომცველი ჭეშმარიტების ძებნად წარმემართა ადამიანი, რათა განწმენდილი და განთავისუფლებული გაჰყოლოდა სიმართლის გზას და, ამრიგად, შეეცნო, როგორ უმღვრევენ ვნებები სულს. მე ვისურვებდი, ბრძა ანგარება ჩამეხშო მასში, რათა თვალი არ დავსებოდა გზის არჩევისას და უმწეოდ არ შემდგარიყო არჩევის შემდეგ.

336. ყველა ამ წინააღმდეგობას, რომლებიც, ერთის შეხედვით თითქოს მაშორებენ ჭეშმარიტ რწმენას, სინამდვილეში უმოკლესი გზით მივყავარ მისკენ.

337. მეორე ნაწილი. იმისათვის, რომ ურწმუნო კაცი ვერც ჭეშმარიტ სიკეთეს შეიცნობს და ვერც ჭეშმარიტ სამართლიანობას. — ყველა კაცი მიელტვის ბედნიერებას; უკლებლივ ყველა კაცი. მათი საშუალებები სხვადასხვაა, მიზანი — ერთი. ყველა თავისებურად მიელტვის მას. ბედნიერების საძებნად ერთი თუ ომში მიდის, მეორე შინ ჯდომას არჩევს: ერთი და იგივე სურვილი, ორი სხვადასხვა თვალსაზრისი. ადამიანის ნება მხოლოდ ამ მიზნისკენ სწრაფვითაა განსაზღვრული. ესაა ნებისმიერი ადამიანის ნებისმიერი ქცევის მოტივი, იმისაც კი, ვინც თავის ჩამოხრჩობას აპირებს.

მაგრამ ბედნიერებისაკენ ამ მარადიული ლტოლვის მიუხედავად, რწმენის გარეშე ვერავინ მიაღწია მიზანს. ყველა თავის ხვედრს უჩივის — ბატონი თუ ყმა, დიდებული თუ მდაბიო, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ძლიერი თუ უძლური,

მეცნიერი თუ უმეცარი, ჯანმრთელი თუ სნეული, — ყველა უკლებლივ, მიუხედავად იმისა, თუ სად, როდის, როგორ ან რამდენ ხანს ცხოვრობს ამ ქვეყნად.

ესოდენ ერთფეროვან, ხანგრძლივსა და უწყვეტ მცდელობას, ბოლოს და ბოლოს, უნდა დავერწმუნებინეთ იმაში, რომ ჩვენდა თავად ვერასოდეს მოვიპოვებთ ბედნიერებას, მაგრამ ვაი რომ მაგალითი არას გვარგია: მომდევნო არასოდეს ისე ზედმიწევნით არა ჰგავს თავის წინამორბედს, რომ ოდნავ მაინც არ განსხვავდებოდეს მისგან, რაც რწმენას გვმატებს და გვაიმედებს, რომ ჩვენი მცდელობა ამჯერად მაინც არ ჩაივლის ფუჭად. და აი, აწმყოზე ხელჩაქნეულნი, იმედგაცრუებულნი და გულგატეხილნი მივლასლასებთ უბედურებიდან უბედურებამდე, სანამ არ მივეახლებით სიკვდილს, სამუდამო დასასრულს ყოველგვარი უბედობისა.

მაგრამ რას მოწმობს ბედნიერების ეს შმაგი წყურვილი და მისი დაცხრომის შეუძლებლობა, თუ არა იმას, რომ ადამიანი ოდესღაც ჭეშმარიტად ბედნიერი იყო, და რომ ამ ბედნიერების სახსოვრად მას დარჩა მხოლოდ ლიტონი სურვილი, აღუვსებელი საწყაული, რომლის ავსებასაც ამაოდ ცდილობს ყოველივე იმით, რაზედაც ხელი მიუწვდება, რაც გარს არტყია, მაგრამ რაკი ხელმისაწვდომი არ აკმაყოფილებს, რაკი მიღწეულით ვერ იკლავს წყურვილს, ხარბად მიელტვის მიუღწეველს თუ მიუწვდომელს, და კვლავ უშედეგოდ, და კვლავ ამაოდ, ვინაიდან უსასრულო სიცარიელის ავსება შეიძლება მხოლოდ რაღაც უსასრულოთი და უცვლელით, ესე იგი, ღმერთით.

მხოლოდ მასშია ჩვენი ჭეშმარიტი სიკეთე, მაგრამ ვაი რომ დავკარგეთ ის და მას მერე ამაოდ ვეძებთ მის მაგიერს, ამაოდ ვცდილობთ რაიმეთი შევცვალოთ იგი: ვარსკვლავებით, ცით, დედამიწით, სტიქიონებით, მცენარეებით, კომბოსტოთი, პრასით, ცხოველებით, მწერებით, კუროებით, გველებით, ციებ-ცხელებით, ჭირით, ომით, შიმშილობით, ბიწიერებით, გარყვნილებით, სისხლის აღრევით. ჭეშმარიტი სიკეთის დაკარგვის შემდეგ ადამიანს შეიძლება ყველაფერი სიკეთედ მოეჩვენოს, ასე განსაჯეთ, საკუთარი თვითმოსპობაც და თვითგანადგურებაც, თუმცა არაფერი ასერიგად არ ეწინააღმდეგება ღმერთს, გონებას, სამყაროს ბუნებას.

ზოგი სიკეთეს და ბედნიერებას ძალაუფლებაში ეძებს, ზოგი ოკულტურსა თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში, ზოგიც განცხრომასა და დროსტარებაში. მხოლოდ ზოგიერთმა შეიცნო ყველაზე უკეთ სიკეთის ნამდვილი არსი, მხოლოდ ზოგიერთი მიხვდა, რომ ყველასათვის სასურველი საყოველთაო სიკეთე არ შეიძლება ამოიწურებოდეს იმ ფასეულობით, რომელიც ან განუყოფლად ეკუთვნის ერთ რომელიმე კერძო პირს, ან, სხვადასხვა პირს შორის გაყოფილი და განაწილებული, იმდენად მისი კუთვნილი ნაწილით არ ახარებს მფლობელს, რამდენადაც ამწუხრებს მისი ურგები წილით. დიახ, ისინი მიხვდნენ, რომ ჭეშმარიტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის სიკეთე, რომელსაც ყველა თანაბრად და ერთდროულად ფლობს, უკლებლად და უშურველად, და რომელსაც არავინ არ დაკარგავს, თუკი მისი დაკარგვა არ სურს...

338. ჭეშმარიტი ბუნების დაკარგვის შემდეგ ყველაფერი მისი ბუნება ხდება. ჭეშმარიტი სიკეთის დაკარგვის შემდეგ ყველაფერი მის ჭეშმარიტ სიკეთედ იქცევა.

339. ადამიანმა არ იცის, ვის მიაკუთვნოს თავი. ის გრძნობს, რომ დაიკარგა, დაეცა, დაივიწყა ჭეშმარიტი სამშობლო და ველარ აგნებს უკან დასაბ-

რუნებელ გზას, თუმცაღა მთელი სიცოცხლე ბრმასავით დაბორიალობს განუჭვრეტელ უკუნეთში და — სასოწარკვეთილი — ალალბედზე, ხელის ფათურით დაეძებს მას.

340. თუ ცდა ბუნების მეშვეობით ღმერთის არსებობის დადასტურებისა სისუსტის ნიშანია, ნუ შეიზიზღებთ ამის გამო საღმრთო წერილს; თუ ამ დაპირისპირებულთა შეცნობა ძალის ნიშანია, თაყვანი ეცით საღმრთო წერილს.

341. ადამიანის სიმდაბლე: ცხოველების წინაშე ქედის მოდრეკა, მათი გაღმერთება.

342. ადამიანის სიდიადე და უბადრუკობა ყოველთვის აშკარაა და თვალში საცემი; ამიტომ ჭეშმარიტი რელიგია აუცილებლად უნდა გვასწავლიდეს, რომ ადამიანში არსებობს როგორც სიდიადის, ისე უბადრუკობის მკვეთრად გამოხატული ორი საწყისი. მან უნდა აგვიხსნას ამ განსაცვიფრებელ ურთიერთსაპირისპირო საწყისთა თანაარსებობა ადამიანის სულში.

მხოლოდ ერთი რამ განაპირობებს ადამიანის ბედნიერებას: რელიგიამ უნდა უჩვენოს მას, რომ არსებობს ღმერთი; რომ მისი ვალია უყვარდეს იგი; რომ ჩვენი ჭეშმარიტი ბედნიერება მისი სიახლოვეა, ჩვენი ერთადერთი უბედურება კი მისი სიშორე; რელიგიისთვის დაფარული არ უნდა იყოს, რომ ჩვენი სული სიბნელითაა სავსე, რაც ხელს გვიშლის შევიცნოთ და გვიყვარდეს ღმერთი, რომ თვით ჩვენი დანიშნულება გვიწესებს და ურყევ მცნებად გვისახავს მის სიყვარულს, ჩვენი სიბილწე კი გვიკრძალავს ამას და ამიტომ ჩვენ უკეთურნი ვართ და უსამართლონი; მან უნდა აგვიხსნას, რატომ ვუპირისპირდებით ასე ჯიუტად ღმერთსაც და ჩვენს ბედნიერებასაც; მან უნდა გვასწავლოს ამ უმწეობის წამალი და მისი მიკვლევის გზაც. გადახედეთ ამ თვალსაზრისით ყველა მსოფლიო რელიგიას, და თქვენ დარწმუნდებით, რომ არცერთი არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, ქრისტიანული რელიგიის გარდა.

თავად განსაჯეთ, რას გვარგიან ფილოსოფოსები, რომლებიც ერთადერთ სიკეთედ ჩვენსავე სიქველეს გვისახავენ? განა ესაა ჭეშმარიტი სიკეთე? განა ესაა ჩვენი უბედობის წამალი? განა შეიძლება ქედმაღლობისგან განვკურნოთ ადამიანი მხოლოდ იმით, რომ ღმერთს გავუტოლებთ? განა სიბილწისაგან გვიხსნიან ისინი, ვინც მხეცებს გვადარებენ, ან კიდევ მაჰმადიანები, რომლებიც საუკუნო ცხოვრების ნეტარებას მიწიერ სიამესთან აიგივებენ? რომელი რელიგია გვასწავლის, როგორ განვიკურნოთ ქედმაღლობისა და სიბილწისაგან? და ბოლოს, რომელი რელიგია გვიჩვენებს ჩვენს ჭეშმარიტ სიკეთეს, ჩვენს მოვალეობას, ჩვენს სისუსტეს, რომლის გამოც საკუთარ თავს ვღალატობთ, ამ სისუსტის მიზეზს და მისი დათრგუნვის გზას, ხერხსა თუ საშუალებას?

ვერცერთმა რელიგიამ ვერ შეძლო ეს. ახლა ვნახოთ, რას გვიბრძანებს სიბრძნე უფლისა.

„ნუ მოელით, — ამბობს ის, — ნურც ჭეშმარიტებას და ნურც ნუგეშს ადამიანებისაგან. მე შეგქმენით თქვენ და მხოლოდ მე შემიძლია გითხრათ ვინა ხართ და რანი ხართ. მაგრამ თქვენ უკვე აღარა ხართ ის, რაც შესაქმისას იყავით. მე შევქმენი ადამიანი წმინდა, უბიწო, სრულყოფილი, სინათლით სავსე, გონებით სრული; ღირსი ვყავ იგი ჩემი დიდებისა და ჩემი სასწაულმოქმედებისა. ადამიანი უშუალოდ ჭვრეტდა მაშინ სიდიადეს შემოქმედისა. მისთვის უცხო იყო წყვდიადი, რომელიც ახლა ასე აბრმავებს, უცხო იყო სიკვდილი და უსახოვნა, რო-

მელიც ახლა ასე აძრწუნებს. მაგრამ მან ვერ გაუძლო ამ სიდიადეს და ცუდმედიდი გახდა. მან მოისურვა თავად გამხდარიყო თავისი თავის ცენტრი და არად ჩაეგდო ჩემი შემწეობა. ის გამიდგა და, რაკი ისურვა თავის თავშივე ეპოვა საკუთარი ბედნიერება, მეც გავწირე და თავისი თავის ანაბარა მივატოვე; მე ავუმბოხე ქმნილებები, რომლებიც მანამდე ემონებოდნენ, და მტრებად ვუქციე ისინი. ასე რომ, კაცი მხეცს დაემგვანა და იმდენად დამცირდა მე, რომ მბჟუტავ სანთლადღა შემორჩა მოგონება შემოქმედისა: ისე ჩაქრა, ისე ჩაიშრიტა მისი სულიერი ნათელი და გონების სხივცისკროვნება. გონებისაგან თავდახსნილმა და სხვირად გონებისავე მბრძანებელმა გრძნობამ შვებისა და განცხრომის ძებნად მიაქცია იგი. ყველაფერი ორგუნავს, ყველაფერი აძრწუნებს, ყველაფერი აცთუნებს მას; ყველაფერი ან თავისი ძალმოსილებით სრესს, ან თავისი ხიბლით ჩხიბავს, ხოლო ესაა უსასტიკესი უღელი და უმძიმესი ტვირთი უსიხარულო მონობისა.

აი, რა დღეშია ამჟამად ადამიანი. მას შემორჩა მხოლოდ ბრმა ინსტინქტი, მბჟუტავი სხივნა თავისი ოდინდელი ბედნიერებისა და დასაბამიერი ბუნებისა. ის მთლიანად შთაინთქა სიმწარეში, მთლიანად ჩამყაყდა სიბრმავესა და სიბილწეში, რომელიც მის მეორე ბუნებად იქცა.

ჩემს მიერ გამჟღავნებული ამ საწყისიდან თქვენთვის აშკარა უნდა გახდეს ამდენი შინაგანი წინააღმდეგობის მიზეზი, რომელიც ასე აცვიფრებს ადამიანებს, და სხვადასხვა გრძნობის მიხედვით, ამდენ სხვადასხვა ჯგუფად ყოფს, აქუცმაცებს და აცალკევებს მათ. მაშ, დაუკვირდით დიდებისა და სიდიადის ამ მძაფრ წყურვილს, რომლის ჩახშობაც ვერ შესძლო ესოდენ მწარე გამოცდილებამ, და თქვენ დარწმუნდებით, რომ ამის მიზეზი სხვა არა არის რა, თუ არა ადამიანის ბუნება"...

„ო, რა ამაოდ დაეძებთ, ადამიანებო, თქვენსავე თავში თქვენი უბედობის საშველს. მოუხმეთ მწედ თქვენი სულის ბუნებრივ ნათელს, მაგრამ მხოლოდ იმას დაინახავთ, მხოლოდ იმას შეიცნობთ, რომ თქვენსავე თავში ვერასოდეს ჰპოვებთ ჭეშმარიტებას და სიკეთეს. ფილოსოფოსები აღგითქვამდნენ, ჩვენ გაპოვნინებთო, მაგრამ აღთქმა აღთქმადვე დარჩა. მათთვის თანაბრად დაფარულია როგორც თქვენი ჭეშმარიტი სიკეთე, ისე თქვენი ჭეშმარიტი მდგომარეობა. როგორღა გაპოვნინებენ თქვენი უბედობის საშველს, თუკი თავიანთი უმეცრებისთვისაც ვერ უშველიათ? ორი რამ გღუპავთ თქვენ: ქედმაღლობა, რომელიც ღმერთს გაშორებთ და სიბილწე, რომელიც მიწას გაჯაჭვავთ. ფილოსოფოსები კი არათუ გკურნავენ, არამედ თქვენი დამღუპველი ამ ორი სნეულებიდან, სულ ცოტა, ერთ-ერთს მაინც ამძაფრებენ. თუ ცდილობენ ღმერთის მიმართ მიგაქციონ, მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მეტად წააქეზონ თქვენი ქედმაღლობა: ისინი შთაგაგონებენ, რომ თქვენი ბუნებით, ღვთისდარნი ხართ და ღვთისნიერნი. ხოლო ამ ფუჭი ქედმაღლობის მგმობნი, პირიქით, მეორე უკიდურესობისკენ გიბიძგებენ: ისინი დაჟინებით გინერგავენ იმ აზრს, რომ თქვენი ბუნება არაფრით არ განსხვავდება ცხოველური ბუნებისაგან და ამიტომ სიკეთეს და ბედნიერებას მხოლოდ პირუტყვული ჟინისა და პირუტყვული ვნებების დაცხრომის გზით ეზიარებით. მაგრამ განა ეს განგკურნავთ თქვენი უსამართლობისა თუ უკეთურობისაგან, რომელიც თქვენმა ბრძენმოძღვრებმა ვერც კი შეიცნეს? მხოლოდ მე შემიძლია თვალი აგიხილოთ და დაგანახოთ, რანი ხართ თქვენ"...

ადამი, იესო ქრისტე.

თუ თქვენ გაერთებენ ღმერთთან, ბუნების კი არა, მადლის წყალობით გაერთებენ; თუ თქვენ გამდაბლებენ, ბუნების კი არა, სინანულის წყალობით გამდაბლებენ.

ამრიგად, ეს ორმაგი ნიჭი...

თქვენ უკვე გამოხვედით შესაქმის მდგომარეობიდან.

მას შემდეგ, რაც გაგიმჟღავნეს ეს ორი მდგომარეობა, თქვენ აღარ შეგიძლიათ არ აღიაროთ ისინი. მიხედეთ თქვენი სულის მოძრაობას, დაუკვირდით თქვენსავე თავს და ნახავთ, თუ არ აღმოაჩენთ თქვენსავე სულში ამ ორი ბუნების ნაკვალევს. განა შეიძლება ამდენი შინაგანი წინააღმდეგობის თანაარსებობა მარტივსა და ერთგვაროვან არსში?

გონებამიუწვდომელი გეჩვენებათ? ის, რაც გონებამიუწვდომელია, ყოველთვის გონებამიუწვდომელია. უსასრულო რიცხვი. უსასრულო სივრცე, სასრულის ტოლი.

წარმოუდგენელი გგონიათ, რომ ღმერთმა თავი გაგვიყადროს და შეგვიერთდეს? ეს თვალსაზრისი ჩვენი ბუნების სიმდაბლიდან იღებს დასაბამს. მაგრამ თუ თქვენ გულწრფელად იზიარებთ მას, მაშინ, ჩემთან ერთად, თანმიმდევრულად განავრცეთ იგი, და თქვენ ნახავთ, რომ ჩვენ მართლაც ისე მდაბალნი ვართ, ისე უბადრუკნი და უკეთურნი, რომ არ შეგვიძლია ჩვენდათავად შევიცნოთ, შეუძლია თუ არა უფლის გულმოწყალებას თავის დიდებას გვაზიაროს და აგვამაღლოს. რადგან მე ერთი სული მაქვს, როდის გავიგებ, ვინ მისცა ამ სუსტსა და უმწეო ცხოველს იმის უფლება, რომ უფლის გულმოწყალება გაზომოს და, თავისი ჟინის მიხედვით, ზღვარი დაუდოს მას. საკვირველია, ღმერთმანი: თავისი თავი ვერ შეუცვნია და ღმერთის შეცნობას ცდილობს: საკვირველი კი არა და, საკვირველზე მეტია: საკუთარი უბადრუკობით შემკრთალი და შეძრწუნებული, თავხედურად აცხადებს, რომ ღმერთს არ შეუძლია თავის დიდებას გვაზიაროს.

მაგრამ მე ასე ვკითხავდი მას: სხვა რა სურს ღმერთს, გარდა იმისა, რომ ადამიანს უყვარდეს და არა მარტო უყვარდეს, ცდილობდეს კიდეც შეიცნოს იგი? რატომ ჰგონია, რომ ღმერთს არ შეუძლია მისი სიყვარულისა და შემეცნების საგნად იქცეს, რაკიღა ადამიანს ბუნებით თან დაჰყვება სიყვარულისა და შემეცნების უნარი? მართლაცდა, ხომ წამითაც არ ეჭვობს იგი, რომ არსებობს და ვიღაცა ან რაღაცა უყვარს? მაშასადამე, თუ ადამიანი ხედავს რაღაცას მის გარემომცველ უკუნეთში, თუ ამქვეყნიურ საგანთა შორის თავისი სიყვარულის საგანს პოულობს, ვითომ რა ღმერთი გაუწყრება, რატომ ვერ შესძლებს, თუკი უფალი თავისი შუქმოიეფე არსის ერთ სხივს მაინც მიაფენს, შეიცნოს და შეიყვაროს იგი, შეიცნოს და შეიყვაროს იმდენად, რამდენადაც ღმერთი თავის არსს გაუმჟღავნებს? ასე რომ, ყველა ამნაირი ტვინის ჭყლეტა უთუოდ აუტანელი ქედმაღლობის შედეგია, თუმცა მას ქედმოდრეკილობა უდევს საფუძვლად; მაგრამ ეს ქედმოდრეკილობა ყალბია, მოჩვენებითი და არაგულწრფელი, თუ არ გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ, რაკი ჩვენსავე თავს არ ვიცნობთ, ვერასოდეს შევძლებთ თვითშემეცნებას უფლის შეწევნის გარეშე...

„არსებობს საკმარისი ნათელი იმისთვის, ვისაც ჭეშმარიტების დანახვა სურს, და საკმარისი წყვდიადი იმისთვის, ვისი მზერაც სიყალბისკენაა მიმართული“.

343. სხვამ ვერავინ ვერ შესძლო იმის შეცნობა, რომ ადამიანი ბუნების

ყველაზე დიდებული ქმნილებაა. ზოგმა, მართალია, შეიცნო მისი ჭეშმარიტი სიდიადე, მაგრამ სიმდაბლედ და უმადურებად შერაცხა ქვენა გრძნობები, რომლებიც ასე ბუნებრივია ადამიანისათვის. ზოგმა კი შეიცნო ამ სიმდაბლის მთელი ძალმოსილება და ამიტომ ბრიყვულ ქედმაღლობად მიიჩნია ადამიანის სიდიადის ყოველგვარი აღიარება, სიდიადისა, რომელიც აგრეთვე ბუნებრივია მისთვის.

— აღაპყრეთ თვალნი ღმერთის მიმართ, — ამბობენ ერთნი; — იხილეთ ის, ვინც ხატად თვისად და თაყვანისცემად თვისად შეგქმნათ; თქვენ შეგიძლიათ მას დაემსგავსოთ, სიბრძნე დაგამსგავსებთ თქვენს შემოქმედს, თუკი ისურვებთ მისდიოთ მის კვალს. „მაღლა ასწიეთ თავები, სამყაროს თავისუფალო მოქალაქენო“, — ამბობს ეპიქტეტე... მაგრამ მოდი სხვებსაც ვუსმინოთ: „დაბლა დახარეთ თვალები, — ამბობენ ისინი, — დააშტერდით მიწას, უმწეო მატლნო; ხედავთ ცხოველებს? ისინი თქვენი მსგავსნი არიან“.

რა ბედი ელის ადამიანს? ვის გაუტოლდება: ღმერთს თუ ცხოველებს? რა საშინელი მანძილია! რანი ვართ და რად ვიქცევით ჩვენ? ყოველივე ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ადამიანმა დაჰკარგა თავისი ოდინდელი სიდიადე, დაეცა, დამდაბლდა და ახლა, სასომიხდილი, ამაოდ ცდილობს დაიბრუნოს დასაბამიერი ნეტარება და ბედნიერება. ვინ დაგვიბრუნებს? ჩვენმა ყველაზე დიდმა მოძღვრებმა ვერ შესძლეს ეს.

344. მას შემდეგ, რაც შეცნობილ იქნა კაცის ბუნება. — მხოლოდ ის რელიგიაა ჭეშმარიტი, რომელიც იცნობს ჩვენს ბუნებას. მან უნდა შეიცნოს ადამიანის სიდიადე და სიმდაბლე, როგორც ერთის, ისე მეორის მიზეზი. მაგრამ რომელმა რელიგიამ შეიცნო ეს ქრისტიანულის გარდა?

345. აი, პირონისტების ყველაზე მთავარი ძალა, ყველაზე არსებითი საბუთი (მე არ ვეხები არაარსებითს): ჩვენ არ გაგვაჩნია პირველსაწყისთა ჭეშმარიტების არავითარი საზომი, რწმენისა და გამოცხადების გარდა, თუ გამოვრიცხავთ იმას, რომ, საკუთარი ბუნების წყალობით, ჩვენსავე თავში ვგრძნობთ და ვპოულობთ კიდეც მათ. მაგრამ ეს ბუნებრივი გრძნობა არ გამოდგება მათი ჭეშმარიტების უტყუარ საბუთად, ვინაიდან არ არსებობს არავითარი სანდო წყარო, არავითარი სანდო საზომი, გარდა რწმენისა, როცა საქმე ეხება საკითხს: ვინ შექმნა ადამიანი — კეთილმა ღმერთმა, ბოროტმა დემონმა თუ შემთხვევითობამ? ასე რომ, იბადება ეჭვი: ჭეშმარიტია, ყალბია თუ არც ერთია და არც მეორე, ჩვენი წარმოშავლობისდა მიხედვით, ბუნების მიერ ბოძებული ყველა ეს პირველსაწყისი? მეტიც, რწმენის გარეშე ვერავინ იტყვის დაბეჯითებით, ღვიძავს თუ სძინავს, ვინაიდან ძილის დროს ჩვენ ისევე მტკიცედ გვწამს, რომ ვფხიზლობთ, როგორც ღვიძილის დროს: ჩვენ ვხედავთ სახეებს და სანახებს, ვგრძნობთ, როგორ გადის დრო და არა მარტო ვგრძნობთ, ვზომავთ კიდეც მას, ერთის სიტყვით, მძინარენი ზუსტად ისე ვიქცევით, როგორც მღვიძარნი. მაშასადამე, ჩვენივე საკუთარი აღიარებით, მთელი ჩვენი სიცოცხლის ნახევარი ძილში გადის, რომლის დროსაც არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს (თუმცაღა სულ სხვაგვარად გვესახება საქმე) ჭეშმარიტებასა და სინამდვილეზე, ვინაიდან ყველა სიზმარეული განცდა, ყველა სიზმარეული ჩვენება ილუზიაა; მაგრამ, ვინ იცის, იქნებ, ჩვენი სიცოცხლის მეორე ნახევარი, რომლის განმავლობაშიც, ჩვენის აზრით, ვფხიზლობთ, თავის მხრივ, სხვა არა არის რა, თუ არა მეორე სიზმარი, ოდნავ განსხვავებული პირველისაგან, სიზმარი, რომელსაც ცხადში ვხედავთ და რომლის-

განაც ვფხიზლდებით მხოლოდ მაშინ, როცა, ჩვენის აზრით, გვძინავს და გვგონია, რომ პირველ სიზმარს ვნახულობთ?

(ჩვენ რომ ერთად ვხედავდეთ სიზმრებს, რომლებიც, დავუშვათ და, არაფრით არ განსხვავდებიან სიცხადისაგან, ხოლო სიფხიზლით ცალ-ცალკე ვფხიზლობდეთ, ვის შეეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ მთელი სინამდვილე შებრუნებულია, რომ დროის ჩარხი უკუღმა ტრიალებს და რომ ყველაფერი პირუკუ ხდება? და ბოლოს, რაკი სიზმარი სიზმარსა ცვლის, რაკი სიზმარი სიზმარს მოსდევს, რა არის ჩვენი დღეების თანმიმდევრობა, თუ არა სიზმარეულ ჩვენებათა მონაცვლეობა? რა არის თვით ჩვენი სიცოცხლე, თუ არა უწყვეტი სიზმარი, რომელსაც მხოლოდ უკანასკნელი ამოსუნთქვა წყვეტს და რომლისგანაც გვაფხიზლებს მხოლოდ სიკვდილი? მკვდარს კი ზუსტად ისეთივე წარმოდგენა აქვს სიკეთისა და ჭეშმარიტების ყველა საწყისზე, როგორც მძინარს. იქნება, ჩვენი აზრებიც, ეს ჩვენი მტანჯველი აზრებიც, სხვა არა არის რა, თუ არა ფუჭი ილუზიები, ასერიგად რომ გვაგონებენ დროის სიზმარეულ დინებას და ჩვენი სიზმრების კოშმარულ ფანტასმებს?).

აი, პირონისტებისა და დოგმატიკოსების მოძღვრებათა ყველაზე ურთიერთსაპირისპირო მომენტი.

მე არ ვეხები ნაკლებ არსებითს, როგორც, მაგალითად, პირონისტების მსჯელობას, რომელიც, სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით, ჩვევის, აღზრდის, ზნეჩვეულების და სხვა მისთანათა სხვადასხვაგვარ ზემოქმედებას უარყოფს, მოკლედ, ყოველივე იმას, რაც, მართალია, ასერიგად აინტერესებს ადამიანთა უმრავლესობას, ვისი დოგმატური მსჯელობაც მხოლოდ და მხოლოდ ამ ფუჭ საფუძველს ემყარება, მაგრამ რასაც ხუხულასავით ანგრევს პირონისტების ერთი სულის შებერვა. საკმარისია ჩახედოთ მათ წიგნებს: ვინც უნდოდ ეკიდება პირონიზმს, სულ მალე ნდობით განიმსჭვალება მის მიმართ და, შესაძლოა, ზედმეტი ნდობითაც.

რაც შეეხება დოგმატისტებს, მე განვიხილავ მათი მოძღვრების მხოლოდ ერთადერთ ძირითად მომენტს, კერძოდ, იმას, რომ თუ გულწრფელად ვიმსჯელებთ, არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ ბუნებრივ საწყისთა ჭეშმარიტებაში. ამის პასუხად პირონისტები იმოწმებენ ჩვენი წარმომავლობის იდუმალებით მოცულ საკითხს, რაც, თავის მხრივ, იდუმალების ბურუსში ხვევს ჩვენს ბუნებასაც. დოგმატისტებმა სამყაროს შექმნის დღიდან ვერ გამოძებნეს ამ მათი მსჯელობის გამაბათილებელი აზრის პასუხი.

აი, აშკარა ბრძოლა კაცთა შორის, ბრძოლა, რომელშიაც თვითეული ჩვენგანი ვიღაცას უნდა მიემხროს და, ამრიგად, ან დოგმატისტი უნდა გახდეს, ან პირონისტი. რადგან ვინც მიუმხრობლობის გზას აირჩევს, სულერთია, მაინც პირონისტი იქნება უპირატესად. სწორედ ეს მიუმხრობლობაა მათი მოძღვრების ნამდვილი არსი: ვინც მათ წინააღმდეგ არაა, მათ მხარესაა. პირონისტები ხომ თავადაც არ ემხრობიან თავიანთ თავს: ისინი ყველაფრის მიმართ გულგრილნი არიან, მიუმხრობელნი და მთელი სამყაროსაგან, მეტიც, თვით საკუთარი თავისგანაც განდგომილნი.

მაშ, რა ქნას საბრალო კაცმა? ყველაფერს ეჭვის თვალით უყუროს? ყველაფერმა დაეჭვოს? — იმანაც, რომ სძინავს; იმანაც, რომ ჩქმეტენ; იმანაც, რომ სწვავენ? ყველაფერი ეჭვის საგნად აქციოს? — ისიც, რომ ეჭვობს; ისიც, რომ არსებობს? არ შეიძლება ამ ზომამდე მისვლა. და მე გარწმუნებთ, რომ არსად,

არასდროს არ არსებულა ბოლომდე თანმიმდევრული პირონისტი. ბუნება მხარში უდგას უმწეო გონებას და არ აძლევს იმის ნებას, რომ ეჭვებს შეაჭმევინოს თავი.

მაგრამ, მეორეს მხრივ, ნუთუ ის, პირიქით, იტყვის, რომ ჭეშმარიტება მისთვის სრულიად უეჭველია, ცხადი, ნათელი? რომ არ გააჩნია ამის საბუთი? ამიტომ, რაგინდ დანდობითაც უნდა უტევდნენ, იძულებული იქნება უკუიქცეს და ლაჩრულად მიატოვოს ბრძოლის ველი.

რა საზარელი ქიმერაა ადამიანი! რა ენიგმა, რა ურჩხული, რა ქაოსი, წინააღმდეგობების როგორი ხლართი, რა სასწაული! სამყაროულ არსთა მსაჯული, მიწის ბრიყვი მატლი, ჭეშმარიტების საცავი, ეჭვებისა და შეცდომების აღუვსებელი საწყაული, სიბილწის ბუდე, სამყაროს დიდება, ბუნების უბადრუკი ნაშთი და ნარჩენი.

ვინ გახსნის ამ ხლართს, ვინ ამოხსნის ამ ამოცანას? ბუნება ჩიხში ამწყვდევს პირონისტებს, გონება — დოგმატიკოსებს. რა გეშველება, ადამიანო, შენი ბუნებრივი ნიჭით, შენი საბრალო გონებით ამაოდ რომ ცდილობ შეიცნო ამა სოფლის ცრუ გამოცანა? შენ თავს ვერ დააღწევ ვერცერთ ამ სკოლას, მაგრამ, მეორეს მხრივ, ვერცერთში ვერ გაძლებ, არცერთში არ დაგედგომება.

მაშ, შეიცან, მზვაობარო, რა პარადოქსი ხარ შენსავე თვალში. მოიდრიკე ქედი, უმწეო გონებავ; დადუმდი-მეთქი, ბრიყვო ბუნებავ! იცოდე, ადამიანი უსასრულოდ აღემატება ადამიანს; ყური მიუგდე შენს მბრძანებელს და შეიცან ის, რაც სამუდამოდ დაფარული დარჩა შენთვის: შეიცან შენი ჭეშმარიტი მდგომარეობა; უსმინე ღმერთს!

რადგან ადამიანის ბუნება რომ არასოდეს დაცემულიყო, ის გულდანდობილად დატკბებოდა, თავის უბიწოებაში, ჭეშმარიტებითა და ბედნიერებით; ხოლო ადამიანის ბუნება რომ ყოველთვის დაცემული ყოფილიყო, მას არავითარი წარმოდგენა არ ექნებოდა ჭეშმარიტებასა და ნეტარებაზე. მაგრამ მთელი ჩვენი უბედობის მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ყოფისთვის, შესაძლოა, სრულიად უცხო იყოს ყოველგვარი სიდიადე, ჩვენ მაინც ვიცით, რა არის ჭეშმარიტი ბედნიერება, თუმცაღა ვერასოდეს ვეზიარებით მას; ჩვენ ვგრძნობთ ჭეშმარიტების წმინდა ხატებას, თუმცაღა ფლობით მხოლოდ სიცრუეს და სიყალბეს ვფლობთ. ჩვენ არც ის შეგვიძლია არაფერი არ ვიცოდეთ, არც იმისი ძალი შეგვწევს, ყველაფერი დაბეჯითებით ვიცოდეთ, — იმდენად აშკარაა, რომ ოდესღაც ჩვენ ვიდექით სრულქმნილებისა და სრულყოფილების მაღალ საფეხურზე, საიდანაც, ჩვენდა სავალალოდ, ჩამოვვარდით, დავეცით, დავმდაბლდით!

განა საოცარი არ არის, რომ ჩვენი ცნობიერებისათვის ყველაზე მიუწვდომელი საიდუმლო, ცოდვის მემკვიდრეობითობის საიდუმლოა სწორედ ის, რის გარეშეც ვერასოდეს შევიმეცნებთ ჩვენსავე თავს?! რადგან ჩვენს გონებას ყველაზე მეტად აოგნებს იმის მტკიცება, რომ პირველი ადამიანის ცოდვამ ყველას უწია და ცოდვილად აქცია ყველა, ვისაც ცოდვის წყაროსაგან უზარმაზარი დროული დისტანცია აშორებს და ამიტომ, ერთის შეხედვით, თითქოს წარმოუდგენელია წილი ედოს პირველ ცოდვაში. ცოდვის ეს მემკვიდრეობითობა არა მარტო შეუძლებელი გვეჩვენება, არამედ უკიდურესად უსამართლოც, და მართლაც, რა ეწინააღმდეგება უფრო მეტად ჩვენი უბადრუკი სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებულ წესებს, ვიდრე ის, რომ სამარადისოდ შეაჩვენო უმანკო ჩვილი, რომელსაც საკუთარი ნება არც კი გააჩია, შეაჩვენო იმ ცოდვების გამო, რო-

მელშიაც მას მხოლოდ იმდენად მიუძღვის ბრალი, რომ მისი ჩადენიდან ექვსი ათასი წლის შემდეგ დაიბადა? ღმერთმანი, არაფერი არ გვთრგუნავს ისე, როგორც ეს სასტიკი მოძღვრება, და მაინც, მისტერიათაგან ამ ყველაზე გონებამიუწვდომელი მისტერიის გარეშე, ჩვენთვის სამუდამოდ გონებამიუწვდომელი დარჩებოდა ჩვენივე თავი. ჩვენი არსებობის უსიხარულო ხლართი უსახო რგოლებად იგრაგნება უფსკრულის ფსკერზე და ადამიანი უფრო გაუგებარია ამ საიდუმლოს გარეშე, ვიდრე ეს საიდუმლოა გაუგებარი ადამიანისათვის...

346. ჩვენ ხარბად დავეძებთ ჭეშმარიტებას, მაგრამ მხოლოდ ბუნდოვნებას ვპოულობთ ჩვენში.

ჩვენ დავეძებთ ბედნიერებას, მაგრამ მხოლოდ სიმწარეს და სიკვდილს ვპოულობთ.

ჩვენ არ შეგვიძლია არ გვსურდეს ჭეშმარიტება და ბედნიერება, მაგრამ არ შეგვიძლია ვეზიაროთ ჭეშმარიტ ცოდნას და შეუმღვრეველ ბედნიერებას. ეს სურვილი დასასჯელად და შესაჩვენებლად კი არ შემოგვრჩა, არამედ — უფრო იმიტომ, რომ გვახსოვდეს, როგორ დავემხეთ, როგორ დავეცით და რა დავკარგეთ.

347. თუ კაცი მართლა ღმერთისათვის არ არის შექმნილი, რატომაა ბედნიერი მხოლოდ და მხოლოდ ღმერთში? თუ კაცი მართლა ღმერთისათვის არის შექმნილი, რატომ ასე ეურჩება ღმერთს?

348. დ ა ც ე მ უ ლ ი ბ უ ნ ე ბ ა. — ადამიანი არ მოქმედებს თავისი გონების, ესე იგი, თავისი ჭეშმარიტი არსის თანახმად.

349. კაცის ჭეშმარიტი ბუნება, ჭეშმარიტი სიკეთე, ჭეშმარიტი სიქველე, ჭეშმარიტი სარწმუნოება, — ყველა ამ ჭეშმარიტების შეცნობა მხოლოდ ერთობლივადაა შესაძლებელი.

350. იმას, რისი შეცნობაც მხოლოდ ყველაზე დიდმა ხალხმა — მეცნიერების ყველა უშრეტმა ლამპარმა შესძლო, ჩვენი სარწმუნოება თავის ბავშვებს ასწავლის.

351. დასაბამიერი ცოდვა სიშლეგეა ადამიანთა თვალში, მაგრამ მას სწორედ სიშლეგედ ასაღებენ. მაშ, ნუ მისაყვედურებთ, რატომ გონივრულად არ ასაბუთებ ამ მოძღვრებასო; მე ვთვლი, რომ ის არავითარ გონივრულ დასაბუთებას არ ექვემდებარება. მაგრამ ეს სიშლეგე ადამიანთა მთელ სიბრძნეზე უფრო ბრძნულია. sapientius est hominibus [1]. რადგან ამის გარეშე რა იქნებოდა ადამიანი? მისი არსებობა მთლიანად ამ გონებამიუწვდომელ საიდუმლოზეა დამოკიდებული და როგორ შეიმეცნებს მას მხოლოდ გონებით, თუკი ის გონებაზე მაღლა დგას და თუკი გონება, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი ძალისხმევით მიაკვლიოს მის ახსნას, უსასრულოდ შორდება ამ საიდუმლოს, შორდება ყოველთვის, როცა ცდილობენ წვდომის საგნად დაუსახონ იგი.

352. როგორ გგონიათ, იმის თქმა, რომ სამართლიანობა მიწიერი არსებობის ნაწილია, ნიშნავს იმას, თითქოს ადამიანებმა შეიცნეს დასაბამიერი ცოდვის ბუნება? — Nemo ante obitum beatus est [2]; ესე იგი, მათ შეიცნეს, რომ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ იწყება მარადიული და ჭეშმარიტი ნეტარება?

---

[1] ადამიანებზე უფრო ბრძენია (ლათ.).

[2] არავინაა ნეტარი გარდაცვალებამდე (ლათ.).

353. (მიტონი) ხედავს, რომ ადამიანის ბუნება დაცემულია და რომ ისინი უპატიოსნოდ იქცევიან; მაგრამ მან არ იცის, რატომ არ შეუძლიათ უფრო მაღლა ფრენა.

354. წ ე ს რ ი გ ი — „დაცემის“ შემდეგ თქვი: „სამართლიანობა მოითხოვს, რომ ყველა დაცემული აშკარად გრძნობდეს თავის დაცემას: ისიც, ვინც ტკბება დაცემით და ისიც ვინც ეწამება; მაგრამ სამართლიანი არ არის, რომ ყველა ხედავდეს ხსნას“.

355. ვინც ვერ გრძნობს, რომ სიამაყით, პატივმოყვარეობით, უსამართლობით, სიმწრით, სისუსტით, სიბილწით, და, საერთოდ, ათასგვარი ბიწით არის სავსე, ჭეშმარიტად ბრმაა. ხოლო თუ გრძნობს, მაგრამ არ ცდილობს თავი დააღწიოს ბიწიერებას, რა გვეთქმის მის მიმართ?..

მაშ, რას უნდა ვგრძნობდეთ, მოწიწების გარდა, ჭეშმარიტი სარწმუნოების მიმართ, რომელიც ასე კარგად იცნობს ადამიანთა ნაკლს? რა უნდა გვსურდეს, გარდა იმისა, რომ შევიცნოთ სარწმუნოების ჭეშმარიტება, რომელიც გვიჩვენებს ბიწისაგან თავის დაღწევისა და საუკუნო ნეტარების გზას?

356. ადამიანებს ერთმანეთი სძულთ; რა ქნან, ასეთია მათი ბუნება. და თუმცა ხანდახან მაინც ცდილობენ საზოგადო სიკეთეს დაუქვემდებარონ თავიანთი ანგარება, ყველა ამნაირი ცდა სხვა არა არის რა, თუ არა პირფერობა, გულმოწყალობანას თამაში, ყალბი ქველმოქმედება, ვინაიდან თავი და თავი მაინც ურთიერთსიძულვილია.

357. სიბრალული გლახაკთა და დავრდომილთა მიმართ არ გამორიცხავს ანგარებას და გაუტანლობას. ჩვენ გვიყვარს თანაგრძნობის გამოთქმა, ლმობიერებით თავმოწონება; მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებია; საქმით კი, ღმერთმა დაგვიფაროს, რამე გავცეთ, რამე მოვიკლოთ.

358. ანგარებაზე დააფუძნა ადამიანმა მოყვასთან ურთიერთობის დიდებული წესები, ზნეობრივი ქცევის კანონები, სამართლიანობის ცნებები; და მაინც ეს საფუძველი, ეს ჩვენი ბილწი საფუძველი, ეს figmentum malum [1], რაც იყო, იმადვე დარჩა; ის მხოლოდ დაფარულია, არა დაძლეული.

359. უ ს ა მ ა რ თ ლ ო ბ ა. — მოყვასთა მიმართ ძალადობა, — აი, საკუთარი ანგარების დაცხრომის ერთადერთი გზა და საშუალება.

360. ჩემი „მე“ ზიზღის ღირსია; შენ, მიტონ, მხოლოდ მალავ, მაგრამ არ უარყოფ ამას და, მაშასადამე, თავადაც ზიზღის ღირსი ხარ. — ცდები, მე ისე თავაზიანად ვექცევი ყველას, რომ შეუძლებელია ვინმეს ვეზიზღებოდე. — მართალი იქნებოდი, ზიზღის ღირსი რომ იყოს „მე“-ს მხოლოდ ის შრე, რომელიც მოყვასთა გაღიზიანებას იწვევს. მაგრამ მე მეზიზღება ის იმიტომ, რომ უსამართლოა, იმიტომ, რომ ჰგონია, თითქოს მთელი სამყარო მის ირგვლივ ბრუნავს; დიახ, მე მეზიზღება ის და არასდროს არ აღმეძვრის სხვა გრძნობა მის მიმართ.

ერთი სიტყვით „მე“-სათვის ნიშნეულია ორი რამ: ჯერ ერთი, ის უსამართლოა თავისთავად, ვინაიდან ყველაზე და ყველაფერზე მაღლა აყენებს საკუთარ თავს, და მეორეც, აუტანელია მოყვასთათვის, ვინაიდან ცდილობს ყველა და-

[1] ბოროტის ხატება (ლათ.).

იმონოს და დაიმორჩილოს. რადგან თვითეული ჩვენგანის „მე“ არა მარტო მტერია, არამედ ტირანიც ყველა სხვა „მე“-ს მიმართ. შენი ქცევა არბილებს ამ აუტანლობას, მაგრამ არა უსამართლობას და ამიტომ ვერ შესძლებ თავი შეაყვარო მას, ვისაც, საერთოდ, ეზიზღება ყოველგვარი უსამართლობა. შენ შეგიძლია თავი შეაყვარო მხოლოდ უსამართლოს, რომელსაც თავის მტრად არ მიაჩნიხარ. ასე რომ, შენ უსამართლო ხარ და შეიძლება მოსწონდე მხოლოდ შენსავე მსგავსს.

361. ხალხის ტვინი ისეა გამრუდებული, რომ არ არსებობს ამ ქვეყნად კაცი, რომელიც თავის თავს ყველაზე მაღლა არ აყენებდეს და თავის კეთილდღეობას, ბედნიერებას და სიცოცხლეს უფრო მეტად არ აფასებდეს, ვიდრე ყველა დანარჩენი მოკვდავის კეთილდღეობას, სიცოცხლეს და ბედნიერებას ერთად აღებულს.

362. კაცისთვის ყველაფერია თავისი თავი, ვინაიდან სიკვდილთან ერთად ყველაფერი კვდება, ყველაფერი მთავრდება მისთვის. ამიტომ ფიქრობს, თითქოს ის ყველასთვისაც ყველაფერია. მოდი, ვიმსჯელოთ ბუნებაზე ჩვენი მიხედვით კი არა, არამედ თვით ბუნების მიხედვით.

363. ამ ქვეყნად ყველაფერი ან სიბილწეა ხორცის, ან სიბილწეა თვალის, ან სიამაყეა არსებობისა: libido sentiendi, libido sciendi, libido dominandi.[1] უბედურია წყეული მიწა, რომელსაც ცეცხლის ეს სამი მდინარე კი არა რწყავს, არამედ წალეკვითა და გადაბუგვით ემუქრება. ბედნიერია, ვინც არ ჩაიძირა ამ შმაგ ნაკადში და თავი არ მისცა მძვინვარე ტალღებს, არამედ მტკიცედ გამაგრდა მყუდრო ადგილას, გულმშვიდად მოიკალათა დაბალსა და მკვიდრ საკარცხლულზე, და ზის ასე გარინდებული, სანამ არ იფეთქებს წმინდა ნათელი, სანამ არ გადმოიფრქვევა ზეცით მარადიული განთიადის უხრწნელი შუქი; და მაშინ, განწმენდილი და განახლებული, ხელებს აღაპყრობს მის მიმართ, ვინც უნდა აღადგინოს, აღამაღლოს და სამარადისოდ დაამკვიდროს წმინდა იერუსალიმის კარიბჭესთან, სადაც სიამაყე ვეღარ შესძლებს რისხვად დაატყდეს თავს, შემუსროს და დაამხოს იგი; მანამ კი ის ზის, ზის და ტირის, არა იმიტომ, რომ ხედავს, როგორ მიაქანებენ შმაგი ტალღები ხრწნად საგნებს, წამიერ არსებებს, მწუხრისფერ ლანდებს, არამედ იმიტომ, რომ საუკუნო წამებად გაჭიმულ, მაგრამ, არსებითად, წამიერ ტყვეობაში გამუდმებით იგონებს თავის ძვირფასსა და დაუვიწყარ სამშობლოს — ზეციურ იერუსალიმს!

364. ჭეშმარიტი სიკეთის ძიებაში. — ადამიანთა უმრავლესობა ჭეშმარიტ სიკეთეს კეთილდღეობაში, განცხრომასა და ფუფუნებაში ხედავს. ყველა ფილოსოფოსი ერთსულოვნად ამტკიცებდა, რომ ეს ამაოებაა, მაგრამ ყველა სხვადასხვანაირად განმარტავდა ჭეშმარიტი სიკეთის არსს.

365. ფილოსოფოსები. — მათ სწამთ, რომ მხოლოდ ღმერთია სიყვარულისა და განცვიფრების საგანი; იმავდროულად კი სურთ თვითონ იქცნენ კაცთა სიყვარულისა და განცვიფრების საგნად; ისინი ვერ გრძნობენ თავიანთ სიმდაბლეს. თუ სწამთ, რომ ღმერთის სიყვარულით გულსავსენი არიან, თუ მის თაყვანისცემაში ხედავენ სიხარულის ერთადერთ წყაროს, დაე, სიკეთით მოიწონონ თავი, — ღმერთმა ხელი მოუმართოთ! მაგრამ თუ თავს ღვთის მოძულე-

[1] გრძნობის წყურვილი, ცოდნის წყურვილი, მბრძანებლობის წყურვილი (ლათ.).

ებად თვლიან, თუ მხოლოდ იმისთვის იღწვიან, რომ როგორმე მოიხვეჭონ სახელი ხალხის თვალში, თუ ყოველგვარი სრულქმნილების ნაცვლად მხოლოდ იმას მიელტვიან, რომ კაცთა ნებაზე ძალდაუტანებლად აიძულონ ისინი მხოლოდ მათ სიყვარულში ჰპოვონ სიმშვიდე და ბედნიერება, მე ვიტყოდი, რომ სრულქმნილების მიღწევის ამგვარი გზა საზარელია. როგორ?! მათ შეიცნეს შემოქმედი და არა ხურთ მხოლოდ ის, რომ კაცნი თაყვანს სცემდნენ შემოქმედს, არამედ სურთ თვითონვე იქცნენ მათ კერპებად და ღვთაებებად, რათა ხალხი ნებაყოფლობით ხედავდეს მათში ბედნიერების ერთადერთ საგანს?!

366. ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ე ბ ი. — ჩვენ აღვსილნი ვართ სურვილებით, რომლებიც ჩვენს თავში განმარტოების ნებას არ გვრთავენ და გარეთ გვეწევიან, გარე სამყაროსაკენ გვეზიდებიან.

რაღაც იდუმალი გრძნობა დღენიადაგ გვეჩურჩულება, რომ მხოლოდ ჩვენს გარეთ უნდა ვეძებოთ ბედნიერება. ვნებები გარეთ გვეზიდებიან, მაშინაც კი, როცა არაფერი აცთუნებთ; გარე სამყაროს საგნები გვატყუებენ, გვაღორებენ, თავბრუს გვახვევენ, მაშინაც კი, როცა მათზე არ ვფიქრობთ. ამაოა ფილოსოფოსების შეგონება: „განმარტოვდით თქვენსავე თავში, თუ გსურთ ეზიაროთ ბედნიერებას“. მათ არავინ არ უსმენს, თავქარიანთა და გონებაჩლუნგთა გარდა.

367. სტოიკოსები ამბობენ: „ჩაიკეტეთ თქვენსავე თავში; მხოლოდ თქვენში ჰპოვებთ სიმშვიდეს“. და ეს შეცდომაა.

სხვები ამბობენ: „ნუ ჩაიკეტებით თქვენსავე თავში; გამოდით გარეთ; მხოლოდ გართობა მოგანიჭებთ ბედნიერებას“. მაგრამ ესეც შეცდომაა: სნეულება გარდუვალია.

ბედნიერება არც ჩვენშია და არც ჩვენს გარეთ; ის ღმერთშია; ჩვენშია და ჩვენს გარეთაა.

368. მე ვგრძნობ, რომ შეიძლებოდა არც გავჩენილიყავი ამ ცოდვილ ქვეყნად; ჩემი „მე“ სხვა არა არის რა, თუ არა აზროვნების უნარი, მაგრამ მე — მოაზროვნე — ვერასოდეს ვიხილავდი მზის ნათელს, დედაჩემი რომ მანამდე მოეკლათ, სანამ მე ჩავისახებოდი. მაშასადამე, ჩემი არსებობა არც აუცილებელია, არც უსასრულო და მარადიული. მაგრამ მე მწამს, მე მჯერა, რომ სამყაროში არის ვიღაც აუცილებელი, უსასრულო და მარადიული.

369. „სასწაული რომ გვეხილა, — ამბობენ ისინი, — მოვიქცეოდით“. როგორ შეუძლიათ გულდაჯერებით სწამდეთ ის, რაც არ იციან? მათ ჰგონიათ, რომ ეს მოქცევა და თაყვანისცემა ღმერთის მიმართ ერთგვარი საქმოსნური გარიგებაა ან ბანალური საუბარი. ჭეშმარიტი მოქცევა სხვა არა არის რა, თუ არა სრული თვითწაშლა და თვითდამცირება იმ ყოვლისმომცველი არსის წინაშე, რომელსაც ამდენხანს არისხებთ და აღიზიანებთ და რომელსაც შეუძლია ყოველწამს დაგღუპოთ და სამართლიანადაც დაგღუპოთ. ჭეშმარიტი მოქცევა — ესაა იმის აღიარება, რომ თქვენდა თავად არაფერი არ შეგიძლიათ და არც არაფერი დაგიმსახურებიათ, უფლის მსახვრალი რისხვის გარდა. ჭეშმარიტი მოქცევა — ესაა იმის შეგნება, რომ თქვენსა და ღმერთს შორის არსებობს დაუძლეველი წინააღმდეგობა, და რომ შუამავლის გარეშე ვერასოდეს ეზიარებით უფალს.

370. ნება, თავისთავად, მაინც არ დაცხრება, თუნდაც ერთბაშად მიაღწიოს ყველაფერს, რაც სურს. მაგრამ საკმარისია დაიურვო ვნება და წამსვე დათ-

რგუნავ ყოველგვარ სურვილს. თავნებას არასოდეს არაფერი არ ჰყოფნის; თვინიერი ყოველთვის და ყველაფრით კმაყოფილია.

371. წარმოიდგინეთ სხეული, რომლის ყველა ასო აზროვნებს.

372. ასოები, აქედან უნდა დავიწყოთ. — თავმოყვარეობას რომ თავისი ადგილი მივუჩინოთ, უნდა წარმოვიდგინოთ სხეული, რომლის ყველა ასო აზროვნებს, რადგან ჩვენ სამყაროს ასოები ვართ, და ვნახოთ, როგორ უნდა უყვარდეს თვითეულ ასოს თავისი თავი.

373. ხელებს და ფეხებს რომ საკუთარი ნება ჰქონდეთ, ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში არ დაარღვევდნენ ორგანიზმის არსებობისათვის აუცილებელ მწყობრ წესრიგს, თუ საკუთარ ნებას მთელი სხეულის წარმმართველ პირველად ნებას დაუქვემდებარებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდუვალი იქნებოდა უწესრიგობა და უბედურება. მაგრამ სხეულის სასიკეთოდ რომ იღვწიან, ისინი, იმავდროულად, თავიანთ სასიკეთოდაც იღვწიან.

374. უნდა გიყვარდეს მხოლოდ ღმერთი და გძულდეს მხოლოდ შენი თავი.

ფეხს რომ არასოდეს სცოდნოდა, რომ ის ეკუთვნის სხეულს, რომ არსებობს სხეული, რომელზედაც ისაა დამოკიდებული, მას რომ სცოდნოდა და ყვარებოდა მხოლოდ თავისი თავი, რა სინანული მოიცავდა, როცა გაიგებდა, რომ სხეულს ეკუთვნის და სხეულზეა დამოკიდებული; როგორ შერცხვებოდა თავისი წარსულის, როცა უსარგებლო იყო სხეულისათვის, რომელმაც მიანიჭა სიცოცხლე და რომელსაც შეეძლო ბოლო მოეღო მისთვის, თუკი ისევე განუდგებოდა და მოიკვეთდა, როგორც თავად მოიკვეთა იგი! რა გულმხურვალედ შესთხოვდა შეწყალებას! რა მორჩილად მოიდრეკდა ქედს სხეულის ნების წინაშე, და თუ საჭირო იქნებოდა, თვითმოკვეთაზეც არ იტყოდა უარს! არადა, თავის დანიშნულებას უღალატებდა: ყოველი ასო მზად იყოს თავი გასწიროს სხეულის გულისთვის, რადგან ყველაფერი მხოლოდ სხეულისთვის არსებობს.

375. სცდება ის, ვისაც სწამს, თითქოს მოყვასთა სიყვარულის ღირსია; უსამართლობას სჩადის ის, ვინც ამ სიყვარულის მოხვეჭას ცდილობს. ჩვენ რომ დაბადებითვე თან დაგვყვებოდეს გონიერება და გულგრილობა, ჩვენ რომ კარგად ვიცნობდეთ საკუთარ თავსაც და ჩვენს მოყვასთაც, სამუდამოდ დავთრგუნავდით ჩვენი ნების ამ უკუღმართ მიდრეკილებას. მაგრამ ჩვენ სწორედ ამნაირი მიდრეკილებით ვიბადებით ამ ქვეყნად, ესე იგი, ვიბადებით უსამართლონი, იმიტომ რომ თვითეული ჩვენგანი მხოლოდ თავისი თავისთვის ზრუნავს. მაგრამ ეს ყოველგარ გონივრულ წესრიგს ეწინააღმდეგება: ყველა ყველასათვის უნდა ზრუნავდეს. ყოველგვარი უწესრიგობა — სახელმწიფო მმართველობაში, ომის მსვლელობაში, საზოგადოებრივ ურთიერთობასა თუ კერძო პირის ცხოვრებაში — თავმოყვარეობისაგან იღებს დასაბამს. მაშასადამე, თავმოყვარეობა ბიწიერია.

ბუნებრივი თუ სამოქალაქო საზოგადოებებისა და გაერთიანებების წევრები თავიანთი გაერთიანებების სასიკეთოდ უნდა იღვწოდნენ, ხოლო გაერთიანებები — იმ საზოგადო ერთობისა, რომელშიაც ისინი შემადგენელი ნაწილების სახით შედიან. ყველა უნდა ზრუნავდეს მხოლოდ საზოგადო სიკეთისათვის. მაშასადამე, ჩვენ დაბადებითვე უსამართლონი ვართ, უკუღმართნი და ნებამრუდნი.

376. როდესაც გვსურს ღმერთზე ვიფიქროთ, ხომ არის რაღაც, რაც ხელს გვიშლის და სხვა რამისკენ მიაქცევს ჩვენს აზრს? ყოველივე ეს ბოროტებაა, — თანდაყოლილი, ჩვენთან შობილი.

377. იყო ასო, ნიშნავს გქონდეს სიცოცხლე, არსებობა, მოძრაობა მხოლოდ და მხოლოდ სულის მიერ, რომელიც არის სხეულში და სხეულისათვის.

ცალკე ასო, რომელიც ვეღარ ხედავს სხეულს, უნდა დაჭკნეს და დაიღუპოს. მას კი — ნაწილს — თავისი თავი მთელი ჰგონია და, რაკი ვეღარ ხედავს სხეულს, რომელზედაც დამოკიდებულია, თვლის, თითქოს მხოლოდ თავის თავზეა დამოკიდებული და სურს თვითონვე იქცეს ცენტრად და სხეულად. მაგრამ რადგან სასიცოცხლო საწყისი არ გააჩნია, მხოლოდ ცდება და გაოგნებული აღიქვამს საკუთარი არსებობის ბუნდოვანებას, ვინაიდან აშკარად გრძნობს, რომ სხეული არ არის, მაგრამ მაინც ვერ ხედავს, რომ მხოლოდ და მხოლოდ სხეულის ასოა. და ბოლოს, თვითშემეცნების ზღვარს მიღწეული, თითქოს უბრუნდება საკუთარ თავს, და თუ თავისი თავი უყვარს, უყვარს მხოლოდ სხეულის გულისთვის. ის სინანულით იგონებს გარდასულ ცთომას.

ბუნებით მას არ შეუძლია სხვაგვარად უყვარდეს რამე, თუ არა თავისთვის, რათა დაიმონოს და დაეუფლოს, რადგან ყველაფერს თავისი თავი უყვარს ყველაზე მეტად. მაგრამ სხეული რომ უყვარს, ამით საკუთარი თავი უყვარს, რადგან მხოლოდ სხეულში, მხოლოდ სხეულით და სხეულისთვის არსებობს: qui adhaeret Deo unus spiritus est.[1]

სხეულს უყვარს ხელი; და ხელსაც, საკუთარი ნება რომ ჰქონდეს, ისევე უნდა უყვარდეს თავისი თავი, როგორც სულს უყვარს ის. ყოველგვარი სიყვარული, რომელიც ამ ზღვარს სცილდება, უსამართლოა.

Adhaerens Deo unus spiritus est. მას თავისი თავი უყვარს მხოლოდ იმიტომ, რომ მაცხოვრის ასოა, მხოლოდ იმიტომ, რომ მაცხოვარი — სხეულია, თვითონ კი — ასო. ყველაფერი ერთია, ერთი და იგივეა, ერთი იგივეა, რაც მეორე, როგორც სამი სახე, როგორც სამება.

378. ამრიგად, ერთადერთი ჭეშმარიტი სიქველე — ესაა ზიზღი საკუთარი თავის მიმართ (ვინაიდან ყველა ზიზღის ღირსია მათი ანგარების გამო) და იმნაირი არსების ძებნა, ვის შეყვარებასაც შევძლებდით, იმიტომ რომ ჭეშმარიტად იმსახურებს ჩვენს სიყვარულს. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გვიყვარდეს ის, ვინც ჩვენს გარეთაა, ჩვენს გარეშეა; ამიტომ უნდა შევიყვაროთ ის, ვისი გაიგივებაც არ შეიძლება ჩვენს არსებასთან და ვინც, ამისდა მიუხედავად, თვითეულ ჩვენგანში ცოცხლობს. მაგრამ ასეთია მხოლოდ ერთი — ყოვლადი არსი. უფლის სუფევა თვით ჩვენშია: ჩვენშია ყოვლადი სიკეთე; ის — ჩვენა ვართ, და იმავდროულად, არცა ვართ ჩვენ.

379. ... მაგრამ შეუძლებელია, რომ ღმერთი დასასრული იყოს, თუკი დასაბამი არ არის. კაცი ცას შეჰყურებს, მაგრამ ქვიშას ეყრდნობა: მიწა გასკდება და შიგ ჩაიტანს ცის მიმართ მზირალს.

380. თუ ყველაფრის საწყისი ერთია, თუ ყველაფრის საბოლოო მიზანი ერთია, — ყველაფერი მის მიერია და ყველაფერი მისთვის არსებობს, მაშასადა-

[1] ხოლო რომელი შეეყოს უფალსა, ერთ-სულ-არს უფლისთანა (ლათ.) — პავლე, კორინთ VI, 17.

მე, ჭეშმარიტმა სარწმუნოებამ უნდა გვასწავლოს თაყვანს ვცემდეთ მხოლოდ მას და გვიყვარდეს მხოლოდ ის; მაგრამ რაკი არ შეგვიძლია თაყვანს ვცემდეთ იმას, რასაც არ ვიცნობთ და გვიყვარდეს სხვა რამე, გარდა საკუთარი თავისა, ამიტომ სარწმუნოებამ, რომელიც ჩვენს მოვალეობას გვიხსნის, ჩვენი უძლურების მიზეზი და მისი დაძლევის გზაც უნდა გვასწავლოს. ის გვაუწყებს, რომ ადამიანის წყალობით ყველაფერი დაიკარგა, გაწყდა კავშირი ღმერთსა და კაცს შორის და ადამიანისავე წყალობით ეს კავშირი აღდგა.

ჩვენ დაბადებითვე ისე ვეწინააღმდეგებით ამ სიყვარულს შემოქმედის მიმართ, რომ აქედან აუცილებლობის ძალით გამომდინარეობს დასკვნა: ან ჩვენ ვიბადებით ბრალეულნი, ანდა ღმერთი უსამართლოა.

381. ვისაც არ ეზიზღება საკუთარი თავმოყვარეობა და თვითგაღმერთების ყოვლისმძლე სურვილი, ღმერთმანი, ბრმაა. ვინ არ იცის, რომ არაფერი ასერიგად არ ეწინააღმდეგება სამართლიანობას და ჭეშმარიტებას? არც ერთი ჩვენგანი არ არის იმის ღირსი, რომ აღმერთებდნენ და თაყვანს სცემდნენ. ვერც ვერვინ შესძლებს ხორცი შეასხას ამ უღირს სურვილს, ვინაიდან ყველას უკლებლივ, იგივე სურს. ამრიგად, დაბადებითვე უღირსნი ვართ, უსამართლონი, და, ბევრიც ვეცადოთ, ვერსად წაუვალთ, ვერ გავექცევით ამ უსამართლობას და უკუღმართობას, თუმცა, სადაც სამართალია, აუცილებლად უნდა გავექცეთ.

382. თუ საზარელია იმის სიბრმავე, ვინც არ ცდილობს შეიცნოს თავისი თავი, რამდენად უფრო საზარელია იმისი სიბრმავე, ვისაც სწამს ღმერთი და მაინც სიავესა და სიბილწეში ცხოვრობს.

383. რაკი ქედმაღლობა და მცონარება ჩვენი ცოდვების ორი წყაროა, ღმერთმა, ჩვენდა განსაკურნად, გაგვიმჟღავნა ორი თვისება — თავისი გულმოწყალება და თავისი სამართლიანობა. სამართლიანობისათვის ნიშნეულია ქედმაღლობის შემუსვრა, რაგინდ წმინდაც უნდა იყოს იმისი საქმე, et non intres in judicium [1], და ა. შ.; გულმოწყალებისთვის კი ნიშნეულია მცონარების შემუსვრა კეთილი საქმისკენ მოწოდების წყალობით, როგორც ამას გვიმოწმებს შემდეგი ადგილი: „ღმერთი მონანიებისაკენ მოგვიწოდებს“; ამასვე გვიდასტურებს ნინეველთა მეფის სიტყვები: „მოვინანიოთ, ეგების შეგვიწყალოს უფალმა“. ამრიგად, გულმოწყალება არამცთუ დაუდევრობის ნებას არა გვრთავს, პირიქით, დაუნდობლად ებრძვის სწორედ ამ ბიწს. ასე რომ, ნაცვლად მსჯელობისა: „ღმერთის გულმოწყალება რომ არა, მთელი ჩვენი ძალა უნდა მოხმარებოდა სიქველისაკენ სწრაფვას“, — გარკვევით უნდა ითქვას: „რაკი ღმერთი გულმოწყალეა, სწორედ ამიტომ მთელი ჩვენი ძალა უნდა მოვახმაროთ სიქველისკენ სწრაფვას“.

385. ფილოსოფოსებმა წმინდა ჰყვეს ბიწი, რომელიც თვითონ ღმერთს მიაწერეს; ქრისტიანებმა წმინდა ჰყვეს სიქველე.

386. ყველაფერს შეუძლია მოგვაკვდინოს, თვით იმასაც კი, რაც ჩვენს სახმარად არის შექმნილი. ასე მაგალითად, ჩვენ გვკლავენ სახლის კედლები და კიბის საფეხურები, თუ წინდაუხედავად დავადგამთ ფეხს.

არავითარი მოძრაობა უკვალოდ არ ქრება, არ იკარგება ბუნებაში; მთელ ზღვას სახეს უცვლის შიგ ჩაგდებული კენჭი; ზუსტად ასევე, მადლის ქმნა და

[1] და ნუ შეხვალ სამსჯავროდ (ლათ.).

გულმოწყალება ერთნაირ გამოძახილს პოულობს ყველა ჩვენგანის სულში. ამრიგად, სამყაროში არაფერია უმნიშვნელო და უფასური.

სანამ რაიმეს მოიმოქმედებდე, უნდა გულდასმით აწონ-დაწონო არა მარტო შენი მოქმედება, არამედ ჩვენი აწმყო, ჩვენი მომავალი, ჩვენი წარსული, ისევე როგორც ამ მოქმედებიდან გამომდინარე ყველა შესაძლო შედეგი და ყოველივე ეს ურთიერთკავშირში უნდა წარმოიდგინო. ასეთია ჭეშმარიტი წინდახედულობის არსი.

387. ადამიანი ღმერთის ღირსი არ არის, მაგრამ მას დიახაც შეუძლია ღმერთის ღირსი გახდეს.

ღმერთისთვის უღირსია შეუერთდეს უბადრუკ ადამიანს, მაგრამ სულაც არაა უღირსი, უბადრუკობისგან დაიხსნას იგი.

388. რჩეულთათვის დაფარულია მათი სიქველე, ბრალეულთათვის — თავიანთი ცოდვის სიმძიმე: „უფალო, ჩვენ რომ გვცოდნოდა, რომ შენ გშია, რომ შენ გწყურია და ა. შ.?..“

389. კანონი გვავალებს იმას, რასაც არ გვაძლევს. მადლი გვაძლევს იმას, რასაც გვავალებს.

390. არ არსებობს უფრო ადამიანური მოძღვრება, ვიდრე ის, რომელიც ადამიანს მის ორმაგ ნიჭს — მადლის მიღებისა და მადლის მიხდის ნიჭს უმჟღავნებს, ვინაიდან ჩვენ გამუდმებით გვემუქრება ორმაგი საფრთხე: სასოწარკვეთა და სიამაყე.

391. ფილოსოფოსებმა ვერ გაგვიმჟღავნეს ამ ორი მდგომარეობის შესატყვისი გრძნობები.

ისინი გვინერგავდნენ მხოლოდ და მხოლოდ სიდიადის გრძნობას, მაგრამ ეს გრძნობა არ შეეფერება ადამიანს.

ისინი გვინერგავდნენ მხოლოდ და მხოლოდ სიმდაბლის გრძნობას, მაგრამ ეს გრძნობა არ შეეფერება ადამიანს.

სიმდაბლის გრძნობა საჭიროა, მაგრამ არა ბუნებით, არამედ სინანულით განპირობებული; არა იმიტომ, რომ სიმდაბლეში ჩავმყაყდეთ, არამედ სიდიადემდე ასამაღლებლად. სიდიადის გრძნობა საჭიროა, მაგრამ არა დამსახურებით, არამედ მადლით განპირობებული, და საჭიროა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანმა უკვე განვლო სიმდაბლის ბჭე, უკვე გაარღვია სიმდაბლის რკალი.

392. უბედურება გვინერგავს სასოწარკვეთას; სიამაყე გვინერგავს ცუდმედიდობას. განკაცება უჩვენებს კაცს მისი უბედურების მთელ სიდიადეს, იმ საშუალების სიდიადის წყალობით, რაც საჭირო გახდა მის დასახსნელად.

393. ღმერთის შეცნობა მისი სალმობის გარეშე სიამაყის წყაროა. ღმერთის სალმობის შეცნობა ღმერთის შეცნობის გარეშე სასოწარკვეთის წყაროა. მაცხოვრის შეცნობა ორსავე ამ გრძნობას აღვიძებს, ვინაიდან მხოლოდ აქ ვხვდებით ჩვენს ღმერთსაც და ჩვენს სალმობასაც.

394. მაცხოვარია ღმერთი, რომელსაც უახლოვდები სიამაყის გარეშე და რომლის წინაშეც მდაბლდები სასოწარკვეთის გარეშე.

395. ერთხელ ერთმა არსებამ მითხრა — აღსარების შემდეგ სიხარულითა და ნდობით ვარ სავსეო. მეორე კი გამენდო — აღსარების შემდეგ შიში მიპყ-

რობსო. მე დავფიქრდი და გულში ვთქვი, რომ ორივესგან ერთად შეიძლება რაღაც გამოსულიყო, ვინაიდან თვითეულს აკლდა ის განცდა, რაც ჰქონდა მეორეს. მსგავსი რამ ბევრ სხვა შემთხვევაშიც ხდება.

396. კაცობრიობა ორ ნაწილად იყოფა: ალალ-მართლებად, რომლებსაც ცოდვილები ჰგონიათ თავი, და ცოდვილებად, რომლებიც ალალ-მართლებად გვაჩვენებენ თავს.

397. ჩვენ მხოლოდ უნდა ვუმადლოდეთ იმას, ვინც დაუნდობლად ამხილებს ჩვენს ნაკლსა და მანკიერებას, ვინაიდან მანკი მომაკვდინებელია. მისი წყალობით ვხვდებით იმას, რომ ხალხს ვეზიზღებით. ჩვენ იმდენი ნაკლი გვაქვს, რომ, ცხადია, მოყვასთა ზიზღისაგან ვერ დაგვიფარავს, მაგრამ ის მაინც შეუძლია, რომ მის მიერ მხილებული ნაკლის გამოსწორებასა და მანკიერების აღმოფხვრაში შეგვიწყოს ხელი.

398. უცნაურია ქრისტიანობა: უბრძანებს ადამიანს აღიაროს, რომ ზიზღის ღირსია, მეტიც, აღიაროს, რომ ბილწია, და, იმავდროულად, უბრძანებს გამუდმებით მიელტვოდეს იმას, რომ ღმერთს დაემსგავსოს. ურთიერთსაპირისპირო ვნებათა ეს წონასწორობა რომ არა, ამაღლება შემზარავად ცუდმედიდს გახდიდა ადამიანს, ხოლო დამდაბლება — შემაძრწუნებლად ბილწს.

399. რა ცოტა სიამაყე ახლავს ქრისტიანის რწმენას, რომლითაც მას სწამს, რომ ღმერთს უერთდება! რა ცოტა სიბილწე ახლავს მის სიმდაბლეს, რომლითაც ის მიწის მატლს უტოლებს თავს!

რა თვინიერად იღებს იგი სიცოცხლეს და სიკეთეს, რა უდრტვინველად ეგებება სიკვდილს და ბოროტებას!

400. რა განსხვავებაა, მორჩილების მხრივ, ჯარისკაცსა და კარტეზიანელ მონაზონს შორის? ისინი ერთნაირად მორჩილნი და დამოკიდებულნი არიან, ერთნაირად ასრულებენ თავის ძნელ საქმეს. მაგრამ ჯარისკაცს ყოველთვის იმედი აქვს, უფროსი გავხდებიო, თუმცა ვერასოდეს ვერ გახდება, ვინაიდან მხედართმთავრები და თვით ერისმთავრებიც მონები და დამოკიდებულნი არიან. მაგრამ მას მაინც უფროსობის იმედი აქვს და გამუდმებით მიელტვის ამ მიზანს. კარტეზიანელი კი აღთქმას დებს ყოველთვის მორჩილი იყოს. ასე რომ, მონობის მხრივ, ისინი არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ განსხვავდებიან იმედის მხრივ: ერთს ყოველთვის იმედი აქვს, მეორეს — არასოდეს.

401. წ ი ნ ა თ ქ მ ა. — ღმერთის არსებობის დამამტკიცებელი მეტაფიზიკური არგუმენტები იმდენად დაშორებულნი არიან კაცთა ჩვეულებრივი განსჯისა და მსჯელობის წესს, რომ ნაკლებ ზემოქმედებას ახდენენ ჩვენზე, ან თუ ახდენენ მხოლოდ მანამ, სანამ თვალწინ გვიდგას ისინი; მაგრამ სულ მალე კაცს შიში იპყრობს ვაითუ მოვტყუვდიო.

quod curiositate cagnoverunt superbia amiserunt.[1]

ეს იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა მაცხოვრის, ესე იგი შუამავლის გარეშე შეგვიცნოთ ღმერთი, შუამავლის გარეშე ვეზიაროთ მას. ხოლო ვინც შუამავლის მეშვეობით შეიცნო ღმერთი, მან თავისი უბადრუკობაც შეიცნო.

402. მაცხოვრის გარეშე კაცი ყოველთვის ბიწიერებასა და უბედურებაში იქნება დანთქმული. მაცხოვრის წყალობით კაცი თავს აღწევს ბიწიერებას და

[1] რაც ცნობისმოყვარეობით შეიძინეს, ქედმაღლობით დაკარგეს (ლათ.).

უბედურებას. მასშია მთელი ჩვენი სიქველე და ბედნიერება. უმისოდ მხოლოდ ბიწიერებაა, უბედურება, ცთომა, წყვდიადი, სიკვდილი, უსასოება.

403. მე მიყვარს ყველა კაცი, როგორც ჩემი ძმები, იმიტომ რომ მან იხსნა ისინი. მე მიყვარს სიღატაკე, იმიტომ რომ მას უყვარს იგი. მე მიყვარს სიმდიდრე, იმიტომ რომ საშუალებას გვაძლევს გავიკითხოთ უპოვარნი. მე ყველას ერთგული ვარ და ჩემს ბოროტისმყოფელს ბოროტებით არ მივაგებ სანაცვლოს, მაგრამ ვუსურვებ კია, რომ მისი სული ჩემსას დაემსგავსოს, რომელიც მოყვასთაგან აღარ იღებს არც სიკეთეს და არც ბოროტებას. მე ვცდილობ ვიყო მართალი, სამართლიანი, გულწრფელი და ერთგული ყველა კაცის მიმართ, და ჩემი გულის მთელი სინაზე, უწინარეს ყოვლისა, ეკუთვნის იმათ, ვისთანაც ღმერთმა ყველაზე მჭიდროდ დამაკავშირა. და სულერთია, უჩუმრად ვმოქმედებ თუ სააშკარაოდ, ყველა ჩემი მოქმედების საბოლოო მიზანი არის ღმერთი, რომელმაც უნდა განმსაჯოს და რომელსაც ყველაფერი შევწირე, ყველაფერი ვანაცვალე.

აი როგორია ჩემი გრძნობა, და მე დღემუდამ ვლოცავ მაცხოვარს, რომელმაც ეს გრძნობა ჩამინერგა და სისუსტით, უბადრუკობით, ბილწი ვნებებით, სიამაყით და ცუდმედიდობით სავსე კაცი, თავისი მადლის წყალობით, ყველა ამ ბიწისაგან განმწმინდა, მადლისა, რომელსაც უნდა ვუმადლოდე მთელს ჩემს დიდებას, ვინაიდან, ჩემდა თავად, არა გამაჩნია რა, ცთომისა და სისაწყლის გარდა.

404. ... სხვისგან თუ არა, მაცხოვარი თავისი სამი უძვირფასესი მეგობრისგან მაინც ელის ნუგეშს, მაგრამ მათ სძინავთ; სთხოვს მათ, ცოტახანს იფხიზლეთო ჩემთან ერთად, მაგრამ ისინი, ისე ნაკლებ იზიარებენ მის ტანჯვას, რომ გულგრილად სტოვებენ და წუთითაც ვერ იკავებენ თავს ძილისაგან. ამრიგად, მაცხოვარი მარტოკა, ღვთის ნების ანაბარა რჩება მიწაზე.

*

მაცხოვარი ერთადერთია დედამიწაზე, რომელიც არამარტო გრძნობს და განიცდის თავის ტანჯვას, არამედ ერთადერთია, რომელმაც იცის ეს ტანჯვა: ცა და ის ამ ტანჯვის ერთადერთი მოწმენი არიან.

*

მაცხოვარი იუდაში თავის მტერს კი არ ხედავს, არამედ ღვთის ნების აღმსრულებელს, და, ამრიგად, აღიარებს მას, რაკი თავის მეგობარს უწოდებს.

*

მაცხოვრის სულთმობრძაობა გაგრძელდება ქვეყნის აღსასრულამდე: ძილში არ გაგვეპაროს ეს დრო.

*

მაცხოვარი წუხს. ის ხედავს, რომ ყველა მის მეგობარს სძინავს, ყველა მისი მტერი კი ფხიზლობს, და მთლიანად ანდობს თავს მამის ნებას.

*

მაცხოვარი ბაღშია, მაგრამ არა ნეტარების ბაღში, სადაც ადამმა დაღუპა თავისი თავიც და კაცთა მთელი მოდგმაც, არამედ ტანჯვის ბაღში, სადაც ის იხსნის თავის თავსაც და კაცთა მთელ მოდგმასაც.

*

სულთმობრძაობის წინ მაცხოვარი შორდება თავის მეგობრებს და მოწაფეებს. უნდა მიბაძო მას, უნდა განეშორო შენს ახლობლებს და ნაცნობ-მეგობრებს.

*

ჩვენ ვევედრებით უფლის გულმოწყალებას არა იმიტომ, რომ სიმშვიდე მოგვანიჭოს ჩვენს ბიწიერებაში, არამედ იმიტომ, რომ ამ ბიწიერებისაგან დაგვიხსნის.

*

„ნუ გეშინის, შენ არ დამიწყებ ძებნას, თუ უკვე არ გიპოვნივარ“.

*

„ჩემს სულთმობრძაობაში მე ვფიქრობდი შენზე; მე შენთვის დავსთხიე სისხლი“.

*

„ნუთუ შენ მთხოვ, რომ სისხლი დავსთხიო კაცთა სახსნელად, შენ კი ცრემლიც არ გსურს დაღვარო“.

*

„ეჭიმები ვერ გიშველიან, რადგან ბოლოს მაინც მოკვდები. მხოლოდ მე განგკურნავ და უკვდავყოფ შენს ხორცს“.

*

„დაითმინე კირთება და ხორცის მონობა; მე შენ ამჯერად მხოლოდ სულიერი მონობისგან გათავისუფლებ“.

*

„მე უფრო ახლო მეგობარი ვარ შენი, ვიდრე ყველა სხვა მეგობარი, ვინაიდან მათზე მეტი სიკეთე გიყავ: ისინი ვერ დაითმენდნენ იმას, რასაც მე ვითმენ შენს გამო, და არ მოკვდებოდნენ შენი გულისთვის, ურწმუნო, უნდო და გულხენეშო, როგორც მე მოვკვდი, მზადა ვარ მოვკვდე და კვლავაც მოვკვდები რჩეულთათვის“.

*

მე ვხედავ ჩემი სიამაყის, ცნობისწადილის, სიბილწის უფსკრულს. რაა საერთო ჩემსა და ღმერთს შორის, ან ჩემსა და მაცხოვრის სიმართლეს შორის? მაგრამ ის ცოდვილად შერაცხეს და ყველა თქვენი შოლტი მის ტანზე აღიბეჭდა სისხლიან ზოლად. ის ჩემზე მეტად დაამცირეს, და მაინც, არამცთუ არ ვეზიზღები, არამედ დიდ პატივადაც თვლის, თუ მე ვისწრაფვი მისდა საშველად.

მან თვით განკურნა თავისი თავი და, მით უმეტეს, განმკურნავს მე.

მის წყლულებს უნდა შევუერთო ჩემი წყლულები და, ამრიგად, შევერწყა მას. ის თავს იხსნის და მეც დამიხსნის. მაგრამ სამერმისოდ ჩემი ჭრილობები აღარ უნდა დავუმატო მის სისხლგამდინარე ჭრილობებს.

405. „სხვას ნუკი ედრები, მე შემედარე. თუ მე ვერ მპოულობ იმაში, ვისაც თავს ადრი, მაშასადამე, ბილწს ედარები, ხოლო თუ მპოულობ, — შეედარე. მაგრამ მაინც რას შეადარებ? შენს თავს შეადრი თუ ჩემს თავს შენში? თუ შენს თავს, ესე იგი, ბილწს ადარებ; თუ ჩემს თავს, ესე იგი, ჩემს თავსვე მადრი. მე ვარ ღმერთი, ყველაში და ყველაფერში დავანებული...“

406. მართალია ის აზრი, რომ ყველაფერი უმჟღავნებს კაცს მის ჭეშმარიტ მდგომარეობას, მაგრამ სწორად უნდა გვესმოდეს ეს: არც ისაა მართალი, თითქოს ყველაფერი ამჟღავნებს ღმერთს, და არც ის, თითქოს ყველაფერი ფარავს ღმერთს. მართალია ორივე ეს თვალსაზრისი: ღმერთი დაფარულია იმისთვის, ვინც მას სცდის და გამოცხადებულია იმისთვის, ვინც მას დაეძებს. რადგან კაცთა მთელი მოდგმა ღმერთის უღირსია, თუმცა ძალი კი შესწევს შეიცნოს ღმერთი: უღირსია — თავისი დაცემის გამო, ღმერთის შეცნობის შემძლეა — თავისი დასაბამიერი ბუნების წყალობით.

407. რას დავასკვნით მთელი ჩვენი სიბნელიდან, თუ არა ჩვენს უღირსობას?

408. ამ ქვეყნად ყველაფერი ან კაცის უბედურებას გვიმოწმებს, ანდა უფლის გულმოწყალებას; ყველაფერი გვიჩვენებს ან კაცის უძლურებას უღმერთოდ, ან კაცის ძლიერებას ღმერთით.

409. დაე, სარწმუნოების ჭეშმარიტება გაგიმჟღავნოთ თვით სარწმუნოების წყვდიადით მოცულმა არსმა, თვით იმ სუსტმა ნათელმა, რომელიც მისგან გვეფინება, თვით ჩვენმა გულგრილობამ მისი სიწმინდის შეცნობის მიმართ.

410. ჩვენ ვერაფერს ვერ გავუგებთ ღმერთს, თუ საწყისად არ ვაღიარებთ იმას, რომ მან ინება დაებრმავებინა ერთნი და გაენათლებინა მეორენი.

411. ორი ურთიერთსაპირისპირო აზრი. სწორედ ამით უნდა დავიწყოთ: უამისოდ ვერაფერს ვერ შევიცნობთ, უამისოდ ყველაფერი მწვალებლურია. და თვით ყოველი ჭეშმარიტების დასასრულს უნდა დავსძინოთ, რომ ჩვენ გვახსენდება საპირისპირო ჭეშმარიტება.

412. ყველაფერი რჩეულთა სასიკეთოდ მოიქცევა, თვით საღმრთო წერილის ყველა ბნელი და ბუნდოვანი ადგილიც, რადგან რჩეულნი თაყვანს სცემენ მათ სხვა ადგილთა ღვთაებრივი სიცხადის გამო. ყველაფერი უკეთურთა საზიანოდ მოიქცევა, თვით სიცხადეც კი, რადგან ისინი ჰგმობენ სიცხადეს მისი თანმხლები სიბნელის გამო, რომლის წვდომაც მათ ძალ-ღონეს აღემატება.

413. ბუნების სრულქმნილება გვიჩვენებს, რომ ის უფლის ხატია, მისი ნაკლოვანება კი გვიჩვენებს, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ ხატია.

414. ღმერთს უფრო ჩვენი ნების დაუფლება სურს, ვიდრე ჩვენი გონების. სრული ნათელი სასარგებლო იქნებოდა გონებისათვის, მაგრამ ავნებდა ნებას. უნდა დაითრგუნოს ცუდმედიდობა.

415. თვით ჭეშმარიტებასაც კი კერპად აქცევენ; რადგან ჭეშმარიტება სიყვარულის გარეშე ღმერთი კი არ არის, არამედ მხოლოდ მისი ხატია და გოროზი კერპი, რომლის სიყვარული და, მით უმეტეს, თაყვანისცემა არ მართებს კაცს. რაღა თქმა უნდა, მით უფრო ნაკლები სიყვარულისა და თაყვანისცემის ღირსია ის, რაც მას უპირისპირდება, ესე იგი, სიყალბე.

მე დიახაც შემიძლია მიყვარდეს სრული სიბნელე. მაგრამ თუ ღმერთი ამ სიბნელეს გამინახევრებს, მე აღარ მომწონს ეს ნაკლულევანი სიბნელე, და რაკი მასში სრული სიბნელის ღირსებას ვერ ვხედავ, ათვალწუნებით ვუყურებ ამ ნახევარბნელს. ეს კი ნაკლია და უტყუარი ნიშანი იმისა, რომ მე სიბნელისაგან კერპს ვქმნი, არსთა გამრიგის სამყაროული წესრიგისაგან განკერძოებულ კერპს. მაგრამ უნდა გვიყვარდეს და თაყვანს ვცემდეთ მხოლოდ ამ წესრიგს.

416. რაოდენ უკეთურია ის, ვინც იცის ჭეშმარიტება, მაგრამ მხოლოდ მანამდე იცავს მას, სანამ ეს მისთვის ხელსაყრელია; ხოლო როგორც კი ჭეშმარიტება მისი ანგარების ფარგლებს გასცდება, დაუყოვნებლივ ზურგს აქცევს და ურცხვად უკუიქცევა მისგან.

417. დაპირისპირებულობა: სარწმუნოების უსასრულო სიბრძნე და უსასრულო სიშლეგე.

418. როდესაც ვხედავ კაცთა სიბრმავეს და სისაწყლეს, როდესაც ვუმზერ მუნჯ სამყაროს და ნათლისაგან განძარცულ, თავისი თავის ამარა შთენილ და სამყაროს ამ უბადრუკ კუთხეში ჩაკარგულ მოყვასს, რომელმაც არ იცის, ვინ მოიყვანა აქ, რისთვის მოვიდა, ან რა ელის სიკვდილის შემდეგ, — თავზარდაცემული ვძრწი, როგორც კაცი, რომელიც მძინარე ასწიეს და უკაცურსა და უდაბურ კუნძულზე გადაიყვანეს, და რომელიც გამოღვიძების შემდეგ გონს ვერ მოსულა: აღარ იცის, სად არის, რა სჭირს, ანდა როგორ დაიხსნას თავი. და მე მიკვირს, სასოწარკვეთილებას რომ არ ეძლევა ამ უბედურებაში დანთქმული ხალხი. მე ვხედავ ირგვლივ ჩემი ბუნების მოზიარეთ, ჩემს მსგავსთ, ჩემს მოყვასთ; მე ვეკითხები მათ, იქნებ იცით-მეთქი, რაიმე ჩემზე მეტი? მაგრამ — არაო, — მესმის პასუხად. და აი, ამ უბედურ დღეში მყოფმა გზადაკარგულმა და საბრალო ხალხმა, ირგვლივ რომ მიმოიხედა, დაინახა რამდენიმე თავშესაქცევი საგანი, ქედი მოიდრიკა მათ წინაშე და მთელის არსებით მიეტმასნა მათ. მაგრამ მე არ შემიძლია მივბაძო მოყვასთ, ვინაიდან ვგრძნობ, რაოდენ სავარაუდოა, რომ არსებობს სხვა რაღაც და არა მარტო ის, რასაც მე ვხედავ, და ამიტომ მთელის არსებით დავეძებ, ხომ არ დასტოვა სამყაროში ღმერთმა თავისი ნაშთი და ნაკვალევი.

მე ვხედავ რამდენიმე ურთიერთსაპირისპირო რელიგიას და, ამდენად ყველა ყალბია, გარდა ერთისა. თვითეული მოითხოვს, რომ სწორედ ის იწამონ მისი გავლენის გამო და შეჩვენებით ემუქრება ურწმუნოთ. სწორედ ამიტომ არა მწამს ისინი: ყველას შეუძლია თქვას ეს, ყველას შეუძლია წინასწარმეტყველად

დასახოს თავი. მაგრამ ქრისტიანულ რელიგიაში მე ვხედავ წინასწარმეტყველებასაც და მის აღსრულებასაც, რაც უკვე აღარ შეუძლია ყველას.

419. წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა. — დიადი პანი მოკვდა.

420. წინასწარმეტყველნი წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ თავად არ ყოფილან ნაწინასწარმეტყველები. წმინდანები ნაწინასწარმეტყველები იყვნენ, მაგრამ თავად არ წინასწარმეტყველებდნენ. მაცხოვარი ნაწინასწარმეტყველებიც იყო და წინასწარმეტყველებდა კიდეც.

421. პირველად მოსვლის დრო ნაწინასწარმეტყველები იყო, მეორედ მოსვლისა კი — არა, ვინაიდან პირველად მოსვლა დაფარული უნდა იყოს, მეორედ მოსვლა კი — ისე ბრწყინვალე და ისე აშკარა, რომ თვით მისმა მტრებმაც უნდა სცნონ და აღიარონ იგი.

422. წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს წ ყ ა რ ო. — ღმერთი შეგინებული, დამცირებული, ჯვარზე გაკრული; მესია მძლეთა-მძლე, დიდებამოსილი, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი. მაცხოვრის ორი ბუნება, ორი მოვლენა, ადამიანის ბუნების ორი სხვადასხვა მხარე.

423. ამ ქვეყნად მას წილი უძევს მხოლოდ ტანჯვაში, არა განცხრომაში. მას უყვარს თავისი მოყვასნი, მაგრამ მისი სიყვარული უსაზღვროა და ერთნაირად ვრცელდება ჯერ თავის მტრებზე, ხოლო შემდეგ — უფლის მტრებზეც.

424. ის მოვიდა, რათა დააბრმავოს თვალხილულნი და ხედვის ნიჭი უბოძოს ბრმებს; რათა განკურნოს სნეულნი და სასიკვდილოდ გასწიროს ჯანსაღნი; რათა სინანულად მოუხმოს და გაამართლოს შემცოდენი და თავიანთი ცოდვების ანაბარა დასტოვოს მართალნი; რათა აავსოს უპოვარნი და დაავსოს მორჭმულნი.

425. ყველა ცდება და მით უფრო სახიფათოდ ცდება, რომ თვითეული თავის საკუთარ ჭეშმარიტებას მისდევს. მათი შეცდომა ის კი არ არის, რომ სიყალბეს მისდევენ, არამედ ის, რომ სხვა ჭეშმარიტებას არ სცნობენ.

426. რელიგიის სამი ნიშანი: უწყვეტობა, კეთილი სიცოცხლე, სასწაული. უწყვეტობას ისინი ანგრევენ თავიანთი ალბათობით; კეთილ სიცოცხლეს — თავიანთი მორალით; სასწაულს — თავიანთი ჭეშმარიტებით.

427. ჩვენს წყეულ დროში ჭეშმარიტება ისე დაფარულია და მიჩქმალული, ხოლო სიცრუე და სიყალბე ისე ღრმად ფესვგადგმული და გალაღებული, რომ ჭეშმარიტების მიკვლევა მხოლოდ მის გულმხურვალე ტრფიალს თუ ძალუძს.

428. ის, ვინც ჭეშმარიტებას გვიჩვენებს, იმავდროულად, მის მიმართ რწმენასაც გვიმტკიცებს, მაგრამ ის, ვინც მინისტრთა უსამართლობას გვიჩვენებს, ვერ ახერხებს მათ გამოსწორებას. სიყალბის მხილება ადამიანის სინიდისს წმენდს და წარწყმედისაგან იხსნის სულს, მაგრამ უსამართლობის მხილება ვერ იხსნის ქისას.

429. არასოდეს ისე თამამად და თავისუფლად არ ავკაცობს ადამიანი, როცა შეგნებულად ავკაცობს.

430. განა შეიძლება ბოროტების ამოძირკვა ბოროტებითვე? ეს ხომ ბოროტის გამრავლებას ნიშნავს. Vince in bono malum [1].

431. თუ ისინი არ უარყოფენ თავიანთ ვარაუდს, მათი კეთილი მცნებებისთვის ისევე ნაკლებ ნიშნეული იქნება სიწმინდე, როგორც ბოროტთათვის, რადგან ერთნიც და მეორენიც კაცთა ავტორიტეტზეა დაფუძნებული. ამრიგად, თუ ისინი უფრო მართალნი არიან, უფრო გონივრულნიც იქნებიან, მაგრამ არა უფრო წმინდანი. მათ სცხიათ რაღაც იმ ველური ღეროსი, რომელზედაც ერთიმეორის მიყოლებით არიან ასხმულნი.

თუ ის, რასაც მე ვამბობ, არ გამოდგება თქვენს გასანათლებლად, ხალხს ხომ მაინც გამოადგება.

თუ ისინი დუმილს არჩევენ, ქვები ალაპარაკდებიან.

კაცისთვის ხმის ჩამორთმევა და დუმილის მისჯა ყველაზე სასტიკი დევნაა: წმიდანები არ დუმდნენ. რა თქმა უნდა, საჭიროა მოწოდება, მაგრამ კონსილიუმის მსჯავრი როდი წყვეტს, მოწოდებულია თუ არა კაცი ჭეშმარიტების მქადაგებლად, არამედ — მხოლოდ აუცილებლობა. ხოლო მას შემდეგ, რაც რომმა თავისი აზრი გამოსთქვა და დაადასტურა, რომ ინკვიზიციამ დაჰგმო ჭეშმარიტება, მას შემდეგ, რაც აიკრძალა წიგნები, რომლებიც ინკვიზიციის წისქვილზე არ ასხამს წყალს, მით უფრო ხმამაღლა გვმართებს ყვირილი, რაც უფრო უსამართლოა ეს განაჩენი და რაც უფრო უკანონოდ ცდილობენ ჩაახშონ მართალი სიტყვა, სანამ საქმეში არ ჩაერევა პაპი, რომელიც მოუსმენს ორივე მხარეს და სათათბიროდ მიმართავს წარსულს, რათა მართალი სამართალი აღასრულოს. თვით კეთილი პაპებიც კი დარწმუნდებიან რომ ეკლესია დრტვინავს.

ინკვიზიცია და იეზუიტთა ორდენი — ჭეშმარიტების ორი ჯალათი.

რატომ არიანობაში არა სდებთ ბრალს? რადგან ისინი ამტკიცებენ, რომ იესო ქრისტე — ღმერთია: შესაძლოა, ბუნებით კი არ თვლიან მას ღმერთად, არამედ მხოლოდ იმ აზრით, რომლითაც ითქვა: Dii estis [2].

თუ ჩემი „წერილები“ დაგმობილ იქნა რომში, მაშინ ის, რასაც მე მათში ვგმობ, დაგმობილია ცაში: Ad tuum, Domine Iesu, tribunal appello [3].

თქვენ თვითონაც ხომ ხრწნადნი ხართ.

მე შემეშინდა, ცუდად ხომ არ დავწერე: მაშ, რატომ შემაჩვენეს-მეთქი? მაგრამ ამდენი მშვენიერი წიგნის აკრძალვა საპირისპირო აზრს მიდასტურებს. უკვე ალარავის მიეტევება კარგად წერა, იმდენად გახრწნილია ინკვიზიცია, ან უმეცარი!

„უმჯობესია ეშინოდეთ ღმერთს, ვიდრე ადამიანებს“.

მე არაფრის არ შეშინია, მე არაფრის იმედი არ მაქვს. ეპისკოპოსები — სხვა საქმეა. პორ-როიალს ეშინია და ეს ცუდი პოლიტიკაა — გათიშო ისინი, ვინაიდან ნაცვლად იმისა, რომ თვითონ ეშინოდეთ, პირიქით, სხვებს დასცემენ შიშის ზარს.

მე თვით თქვენი საგანგებო ცენზურისაც არ მეშინია, თუკი ის ტრადიციულ წესებს არ ემყარება. ნუთუ მართლა გგონიათ, რომ ყველაფერს ამიკრძალავთ? როგორ?! თვით პატივისცემასაც იმის მიმართ, რასაც პატივს ვცემ? ვე-

[1] კეთილით სძლიე ბოროტს (ლათ.).

[2] ღმერთები ხართ (ლათ.).

[3] შენს მსჯავრს მოვუხმობ, უფალო იესო (ლათ.).

რა! მაშ, კეთილ ინებეთ და გაგვაგებინეთ, მაინც რას კრძალავთ, თორემ ვერაფერს ვერ მიაღწევთ, თუკი არ გვეტყვით, რა არის, თქვენის აზრით, ცუდი და რატომ არის ცუდი. მაგრამ სწორედ ამის თქმა გიჭირთ ყველაზე მეტად...

რა მოიგეთ იმით, რომ ბრალად დამდეთ, თითქოს ყველაფერ წმინდას დავცინი? ვერც იმით მოიგებთ რამეს, თუ ცილისმწამებლად გამომაცხადებთ.

მე ჯერ კიდევ არ მითქვამს ყველაფერი, მალე თავად დარწმუნდებით ამაში...

432. ... თქვენ ამბობთ, რომ მე მწვალებელი ვარ? ენას ძვალი არა აქვს, ჭეშმარიტად! თუ კაცთა სამართლისა არ გეშინიათ, ღმერთის სამართლის მაინც გეშინოდეთ.

თქვენ იგრძნობთ ჭეშმარიტების ძალას და ქედს მოიხრით მის წინაშე...

არის რაღაც ზებუნებრივი თქვენს სიბრმავეში. Digna necessitas [1].

ყალბი ღვთისმოსაობა, ორმაგი ცოდვა.

მე მარტო ვარ ოცდაათი ათასის წინააღმდეგ? ფრთხილად! თქვენია მსჯავრი, თქვენს ხელთაა ცილისწამება; ჩემს ხელთ — მხოლოდ ჭეშმარიტება და სიმართლე: ესაა მთელი ჩემი ძალა. თუ მას დავკარგავ, ველარაფერი ველარ მიშველის. მე არც მდევნელი დამელევა და არც ბრალმდებელი, მაგრამ სიმართლე ჩემს მხარესაა და ვნახოთ, ვის მიანიჭებს ძლევას ღმერთი.

მე არა ვარ იმისი ღირსი, რომ დავიცვა სარწმუნოება, მაგრამ არც თქვენ გაქვთ იმის უფლება, რომ დაიცვათ შეცდომა და უსამართლობა. დაე, უფლის გულმოწყალებამ თვალი აარიდოს იმ ბოროტებას, რომელიც არის ჩემში და მოწყალე თვალით გადმოხედოს მხოლოდ იმ სიკეთეს, რომელიც თქვენშია. დაე, მან თანაბრად მოგვაგოს მადლი, რათა სიმართლე არ გამისხლტეს ხელიდან და რათა სიცრუემ არ...

433. უნდონი, ურწმუნონი, უკეთურნი, უსამართლონი, ორგულნი, ორპირნი, — მსგავსნი იმ ორბუნებოვანი ზღაპრული ურჩხულისა, თევზის ტანი რომ ჰქონდა და ფასკუნჯის თავი...

მეფეებს და მთავრებს სჭირდებათ თქვენი პატივისცემა და ხიყვარული; ამიტომ, დაე, ანგარიში ჩაგაბარონ, დაე, აღსარება გითხრან თქვენ!

□

[1] ღირსი აუცილებლობა (ლათ).

ჯონსტანტინე ბალმონტი

ბალტიის წყლების დედოფალი

რუსულიდან

თარგმნა ზურაბ კუზნიანიძემ

ციკლიდან „ლიტვა. შვიდი ლეროსაგან დაწნული გვირგვინი"

ფერგაცრეცილი ბალტიის ზღვის ფსკერზე ოდესღაც
ალმართულიყო ქარვის სასახლე
ცისფერთვალება ზღვის დედოფალ იურატასი.
ჰქონდა კედლები მის დარბაზებს ხალასი ქარვის,
ზღურბლი ოქროსი და ფანჯრები მბრწყინავ ალმასის.
თევზის ქერეჭით მოჭიქული ჰქონდა გუმბათი,
იქ ეალთევზები ლიცლიცებდნენ, ცეკვავდნენ როცა;
ღრმა დარბაზებში ირხეოდა სიმღერა მათი
და ქალწულების მზერა ჰგავდა მხურვალე კოცნას.

ფერგაცრეცილი ბალტიის ზღვის სიღრმეში ერთხელ
დაგზავნა ყველა ქარიყლაპია.
და იურატამ ზღვის ქალღმერთებს უხმო ნადიმზე: —
თქვენთან მინდაო ერთ უსამართლო
და დიდ საქმეზე მოთათბირება.
შეკრბა დედოფლის სასახლეში ყველა ნატიფი,
ტურფა ქალღმერთი ძვირფას ფარჩით და მოსასხამით
და მთვარის შუქით განათებულ ზღვის ფსკერზე ღამით
ჰქონდათ ბჭობა და უხვი ნადიმი.

„მოგეხსენებათ, მეგობრებო, — თქვა იურატამ, —
რომ მამაჩემმა, — ცის და მიწის და ზღვათ მეუფემ,

ძლევამოსილმა პრაამჟიმასმა,
მე ჩამაბარა ზღვის სამეფო და მკვიდრნი მისი.
დღემდე საწყენი ჩემგან არვის არ შეხვედრია...
იცით, სუფევდა ჩემს წყნარ წყლებში სიმშვიდე სრული,
მაგრამ ცასტიტის — მებადური გამოჩნდა ერთი,
მდინარე სვენტას ნაპირებთან ზის და თავხედი
ბადეს შლის, თევზებს ემუქრება ის უბედური.

იცით, რომ თევზის დასაჭერად ხელს არ აღვმართავ,
უწყინარ ციცქნა ლიფსიტასაც კი არ მივირთმევ,
ვერ გამიბედავს მე სუფრაზე მათი მოტანა.
ქამბალა მიყვარს, კარგად იცით, მაგრამ იმასაც
მარტოდენ ცალ გვერდს მოვაციცქნი მორიდებულად.
მეორე გვერდით დაცურავს და არ იღუპება.
ის უბედური მებადური რაებსა ბედავს,
გავცურით, ახლოს მოვიტყუოთ, გავგუდოთ ერთად
და მერე სილით ამოვუვსოთ თვალთა უპენი.

ეს თქვა და სწრაფად ქარვის ასი ნავი გაცურდა,
რომ მებადურზე უმოწყალო შური იძიონ.
მიცურავენ და ქარვის ნავებს მზე აბრჭყვიალებს
და გამჭვირვალე ზღვის სიჩუმეს არღვევს ძახილი:
„ჰე, მებადურო! მებადურო! ჰეი, გვიფრთხილდი!“
აი, გამოჩნდა შესართავი წყალუხვ მდინარის,
მდინარის პირას მებადური აფენდა ბადეს,
უცებ მის თვალწინ აელვარდნენ და აკიაფდნენ
გასაოცარი ზურმუხტები სხივმომფინარე.

გაოცებული ხედავს: ასი ნავი მოცურავს
და იმ ნავებში სხედან ბროლის ყელმოღერებით
ასი ქალწული ერთმანეთზე ულამაზესი.
და მათ დედოფალს, ხელთ რომ ქარვის კვერთხი უპყრია,
როგორც ფირუზი მაღალი ცის, ვით ზღვის სინაზე,
ვით საფირონი, უელვარებს ლურჯი თვალები.
მებადურისკენ მოცურავენ ქარვის ნავებით,
მათი თვალები მოელვარე ქარვის ფერია,
თან სასურველად, ტკბილად მღერიან.

შემოგვხედე, მებადურო ლამაზო,
გადააგდე ბადე, მოდი ჩვენთან...
არ გსურს, მუდმივ სიხარულით აგავსოთ?!
არ გსურს, ლხენით რომ ვიცეკვოთ ერთად?!.

ჩვენთან მოდი, ხელი გამოგვიწოდე,
მოუთმენლად შენთან შეყრას ვნატრობთ.
შენ გაბდები ზღვის მეუფე, იცოდე,
და ნანატრი ჩვენი ტკბილი სატრფო.

მოაჯადოვა მებადური მაცდურმა ხმებმა
და ჰა, წამოდგა ზღვის ტალღებში გადასაშვებად.
მაგრამ, უეცრად იურატამ დაუშვა კვერთხი:
„შესდექ, გონებადაკარგულო, თუმც გიძღვის ბრალი,
მაგრამ შეგინდობ, რადგან ჩემთვის ხარ სასურველი,
ოღონდ შემფიცე, — გეყვარები მარად და მარად!“
„ვფიცავარ!“ — „მაშინ ჩემი ხარ და შენდა საამოდ
აქ მოვცურდები, მზის ჩასვლისას, ყოველ საღამოს!“
„— არ დაგავიწყდეს“. „— არა“, „— ხვალ — აქ“. „— მოცურდი ჩქარა“.

გავიდა წელი. იურატა ყოველ საღამოს
მდინარის პირას მებადურთან მიცურდებოდა...
ასე თვრებოდნენ ერთმანეთის ხვევნა-ალერსით.
მაგრამ გაიგო ეს პერკუნმა მეხისმტყორცნელმა;
განრისხდა იგი, რომ ქალღმერთმა როგორ გაბედა
ვილაც მოკვდავი შეიყვარა... ხელი ასწია
და მის სასახლეს სტყორცნა მეხი ელვისთვალება,
დაამხო ქარვის დარბაზები და ბრწყინვალება
მათი გაფანტა, ნამსხვრევებად გადააქცია.

მებადური კი, განგმირული პერკუნის მეხით,
პრაამჟიმასმა ზღვის სიღრმეში კლდეს მიაჯაჭვა.
მის წინ ლამაზი იურატა თოკით დაბა,
და იმ დღის მერე ბალტიის ზღვის ფსკერზე ქალღმერთი
მკვდარ სატრფოს უმზერს სიყვარულით გულდაფერფლილი...
ჰოდა, როდესაც ქარტეხილი ამოვარდება, —
ზღვის ქვეშეთიდან მწარე მოთქმა აღარ გვასვენებს;
როცა ჩადგება ქარიშხალი, უცხო ლანდები
ჩვენსკენ ისვრიან ქარვის ნამსხვრევებს.

□

დავით დავლიანიძე

მთვარის ნიშნით

(რობერტ მუზილის ნოველების „გრიჯიასა“ და „პორტუგალიელი ქალის“ გამო)

წინამდებარე ნომერში დასრულდა გამოჩენილი ავსტრიელი მწერლის რობერტ მუზილის ნოველათა ბეჭდვა კრებულიდან „სამი ქალი“. კრებულის პირველი ნოველის „ტონკას“ (იხ. საუნჯე, № 1, 1974) შავი ვარიანტი მუზილმა დაწერა დაახლოებით 1905 — 1908 წ.წ., ხოლო გამოაქვეყნა 1923 წელს. იმავე წელს ერთიმეორის მიყოლებით დაიბეჭდა „გრიჯია“ და „პორტუგალიელი ქალი“. 1924 წელს სამივე ნოველა გამოიცა საერთო სათაურით „სამი ქალი“. „ტონკას“, სადაც ავტობიოგრაფიული ელემენტი საკმაოდ ძლიერადაა გამოხატული, ავტორმა წიგნში ბოლო ადგილი მიაკუთვნა.

„გრიჯია“ (იხ. საუნჯე, № 5, 1975) და „პორტუგალიელი ქალი“ მიეკუთვნება მწერლის შემოქმედების ომის შემდგომ პერიოდს. ომის წლები (1914 — 1918) რობერტ მუზილმა სამხედრო სამსახურში გაატარა. იბრძოდა იტალიის ფრონტზე, იმ ადგილებში, სადაც ამ ნოველების მოქმედება ვითარდება. მთის მდუმარება, ბუნების სიდიადე და ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებული სიკვდილი — აი, ის შთაბეჭდილებანი, რაც მას მეხსიერებაში ჩაებეჭდა.

„სამ ქალში“ გამომსახველობითი საწყისი სჭარბობს ანალიტიკურს, შემეცნებითს, და სწორედ ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ეს კრებული არ ჰგავს მწერლის სხვა წიგნებს. მუზილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აქ თხრობის პლასტიკურ, გამომსახველობით მხარეს. „გრიჯია“ და „პორტუგალიელი ქალი“ რომანტიკულ ზღაპრებს ჰგვანან (მათთან შედარებით „ტონკა“ უფრო ლეგენდის მსგავსია. „პორტუგალიელი ქალიც“ შეიცავს ლეგენდის მსგავს ეპიზოდს, რომელიც ცინდალის მარტვილობას მოგვითხრობს). მიუხედავად იმისა, რომ „სამი ქალი“ განსხვავდება მუზილის სხვა ნაწარმოებთაგან, ამ წიგნში ბევრია ისეთი თემა, იდეა თუ მოტივი, რომელიც ხშირად გვხვდება მწერლის სხვა თხზულებებშიც.

წიგნში მოთხრობილია სამი მამაკაცის ისტორია. ქალთა სახეები მითიური ღვთაებებივითაა უძრავი: ისინი არ ვითარდებიან. თითოეული მათგანი, გლეხის ქალი გრიჯია იქნება, პორტუგალიელი არისტოკრატი თუ გამყიდველი ქალი ტონკა, თითქოს მთელ სამყაროს განასახიერებს, სადაც ერთიმეორის გვერდით არსებობენ: უბრალოება და იდუმალება, გრძნობადობა და შთაგონება, სიკეთე და ცბიერება, ძლიერება და მორჩილება, სიწმინდე და გრძნეულება. ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორ გარდაქმნის მამაკაცს

ქალთან სიახლოვე: ტონკას სიკვდილის შემდეგ ახალგაზრდა კაცი ხვდება, რომ არსებობს „გრძნობის ენა“ და არა მხოლოდ გონებისა; ფონ კეტენსაც თვალწინ გადაეშლება აქამდე უცნობი სამყარო, ამაღლებული ყოველდღიურ საქმიანობაზე, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი ფუსფუსი და ანგარება.

*

ერთმანეთს წააგავს პეიზაჟები, რომელთა ფონზე ვითარდება მოქმედება „გრიჯიასა“ და „პორტუგალიელ ქალში“. ჩვენ წინ გადაიშლება სამხრეთ ტიროლის ლანდშაფტი— მხარე, რომელიც კარგა ხანს იყო ქიშპობის საგანი ავსტრია-უნგრეთსა და იტალიას შორის.

გლეხები, ჰომო რომ ქირაობს, იმ გადასახლებულთა შთამომავალნი არიან, გერმანიიდან რომ ტრენტოს ძლევამოსილ ეპისკოპოსთა ბატონობის დროს მოვიდნენ (სწორედ ამ ეპისკოპოსებთან ჰქონდათ კეტენთა თაობებს შუღლი და მტრობა).

ქალაქელი ადამიანის—ჰომოს ცხოვრება — არაფრით არ გამოირჩეოდა სხვა ადამიანთა ცხოვრებისგან. არც ჰომოს აკლდა ჩვეულებრივი ყოველდღიური საზრუნავი და საფიქრალი. მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე თვითეული დღე თითქოს ერთ თარგზე იყო გამოჭრილი — წუთი წუთს ჰგავდა, დღე-დღეს. მაგრამ უცებ თითქოს დრო შეიცვალა. შემთხვევის წყალობით ჰომო თავს აღწევს „მსგავსის განმეორების“ (Seinesgleichen) ერთფეროვან რიტმს: ჰომო ცხოვრების ტალღამ აიტაცა და ისეთ ადგილზე მოისროლა, სადაც დრო უკვე წუთებითა და საათებით კი არ იზომება, არამედ საუკუნეებით.

ზღაპრული გმირის მსგავსად ჰომო აღთქმული საუნჯის მოსაპოვებლად გაემგზავრა, მაგრამ „საუნჯის“ ნაცვლად სიკვდილი ჰპოვა. ზღაპრულია ის ადგილიც, სადაც მიტოვებული საბადოებიდან ოქროს მოსაპოვებლად იგი უცნაური გვარის მქონე კაცმა მიიპატიჟა. ქალაქის უთავბოლო ყოფისაგან განსხვავებით გლეხების ყოფა-ცხოვრება თადარიგიანია. აქაურები მამაპაპისეულ ადათ-წესებს მისდევენ, ასეთი „ძველი ყაიდის“ ცხოვრება უცხოს არავის იკარებს და თითქოს საკუთარ თავშია ჩაკეტილი, თითქოს უხილავ წრეშია მოქცეული (შემთხვევითი როდია, რომ სოფლისა და მისი შემოგარენის აღწერისას ვხვდებით შედარებებს წრესთან, სიმრგვალესთან).

ყოველი ფეხის გადადგმაზე ზღაპრულ სიმდიდრეს ხედავს კაცი: ნაპრალებში იზრდება მთის ბროლი და ამეთვისტო, ჯადოსნური ტყის ნიადაგში თვლემენ იისფერი და თეთრი კრისტალები. იქნებ ეს მოჯადოებული სულებია, განთავისუფლებას რომ ითხოვენ?

ჰომო შინაგანად გარდაიქმნება. ახლა უკვე გაგონებაც არ უნდა იმ ძველი ცხოვრების, ახლად შეძენილი ნაცნობები რომ იხსენებენ. ჰომომ ყოფის სხვა სფეროში შედგა ფეხი: პირუტყვის გამოხედვაში რაღაც იდუმალ არსს ხედავს, დასაკლავი ბურვაკის ჭყვირილი სულს უშფოთებს. ბუნება მედიდურია და გულცივი. თუ მოდუნდები, აყვები დინებას — ხიფათს ვერ ასცდები. აი, ის გლეხიც, მდელოზე რომ დგას ცელით ხელში, სიკვდილს ახსენებს. როგორც კი ჰომო ჯადოსნულ სამყაროში ამოჰყოფს თავს, იმთავითვე აღარ ასვენებს წინათგრძნობა, რომ იგი სწორედ აქ დალევს სულს. კაცი გრძნობს, რომ ველარ ნახავს საყვარელ არსებას — ასე უწოდებს იგი თავის მეუღლეს.

ბუნების პირისპირ დარჩენილი ჰომო სულ უფრო მეტს ფიქრობს მეუღლეზე, ზოგჯერ ესაუბრება კიდეც ქალს და სწორედ ეს წარმოსახული ურთიერთობა უქმნის ფონს ჰომოსა და გრიჯიას არშიყს. მეუღლის სახე არანაკლებ მნიშვნელოვანია ნოველაში, ვიდრე გრიჯიასი. სიმეტრია მოთხრობაში საკმაოდ მკაცრადაა დაცული: ნაწარმოების პირველ ნახევარში მთავარ ადგილს ცოლის სახე იკავებს, გრიჯია კი მხოლოდ მეორე ნახევარში ჩნდება (რაკი ცოლის სახე მკაფიოდ არაა დახატული, შეიძლება მკითხველს მოეჩვენოს, რომ ავტორმა კომპოზიციის თვალსაზრისით შეცდომა დაუშვა — მხატვრულ ნაწარმოებში საკმაოდ იშვიათად ხდება, რომ მთავარი პერსონაჟი მხოლოდ შუაგულ მოთხრობაში ჩნდებოდეს. დიდი ავსტრიელი მწერალი ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი, ვისი გავლენაც შეიმჩნევა ნოველაში, „გრიჯიას“ ქებით იხსენიებდა, მაგრამ მისი აზრით მუზილმა ამ ნოველაში სათანადო ყურადღება არ მიაქცია თხრობის კონსტრუქციას. თავდაპირველად მუზილი არ დაეთანხმა ჰოფმანსტალის ამ შენიშვნას, მაგრამ მოგვიანებით მაინც გაიზიარა იგი. ამას მწერლის დღიურები მოწმობენ. მართლაც, ნოველა უფრო მოიგებდა, ცოლი რომ მეტი სიმკვეთრით ყოფილიყო წარმოდგენილი).

ერთხელ, მეუღლეზე ფიქრის დროს, ჰომო უეცრად შეიგრძნობს ქალის სიახლოვეს, ეს სიახლოვე თითქმის ფიზიკურიცაა: „ხელზე

ხაყვარელი არსების სითბო იგრძნო, ხმაც გაიგონა მისი, თითქოს პირველად ახლა შეეხნენ მის სხეულს, თითქოს სხვისი ხორცი შეესხა". ვიდრე ბავშვი ეყოლებოდათ, ჰომო და მისი მეუღლე მთლიანად ერთმანეთს ეკუთვნოდნენ. ბავშვის გაჩენამ მათ სიყვარულს თითქოს ბზარი გაუჩინა, მაგრამ ბუნების წიაღში, ასე შორს საკუთარი სახლ-კარისაგან, ეს სიყვარული ახალი ძალით იფეთქებს.

მანძილის დამძლევი სიყვარული ეს ის თემაა, რომელიც უკვე „შეერთებათა" („Vereinigungen", 1911) სახელწოდებით გამოსულ ორ ადრეულ ნოველაში გვხვდება. „შეერთება" — თუ შეიძლება ითქვას—ერთგვარი სასიყვარულო ექსპერიმენტია: შეყვარებულები აღწევენ გრძნობათა ისეთ გამძაფრებას, როცა შესაძლებელი ხდება სულთა სრული შერწყმა. ამ დროს იშლება „მე"-სა და „შენს" შორის განსხვავება. ასეთი სიყვარული უანგაროა, მას აღარაფერი აქვს მესაკუთრული. ფიზიკურ ღალატსაც კი არ შეუძლია დააშოროს „შეერთებულნი". ამიტომაა რომ ჰომოს ჰგონია, გრიჯიათი გატაცება კიდევ უფრო დამაახლოებსო მეუღლესთან: „ვერაფრით ვერ იტყოდა ჰომო, მართლა უყვარდა ქალი, თუ მხოლოდ სასწაულთან ჰქონდა საქმე, გრიჯიაც საიმისოდ ეჩვენებოდა მოვლენილი, რომ ჰომო და მისი საყვარელი ქალი ერთად მიეყვანა მარადისობასთან". მაგრამ ეს უკვე უნებურად ნაფიქრალია, ქვეცნობიერიდან ამოტივტივებული აზრია.

წარსულის დაბრუნება შეუძლებელია. ჰომო დინებას მიჰყვება. ახალი გარემო სულ უფრო აშორებს გმირს ძველ ჩვეულებებსა და მოვალეობებს. იგი ახალგაზრდა გლეხი ქალის საყვარელი ხდება და არ იცის, მისი ნებით მოხდა ეს თუ უნებლიეთ, თავისთავად.

გლეხის ქალს ლენე მარია ლენცი ჰქვია, მაგრამ ქალი რომ გაეჯავრებინა, ჰომომ მას ნაცარა ძროხის სახელი — გრიჯია შეარქვა. გრიჯიას ეროტიკული მიმზიდველობა ერწყმის ზრდილი ქალის თავმომწონეობასა და საკუთარი ღირსების შეგნებას. დიაცის ტუჩები მხიარულსა და უხეშ სიტყვებს წარმოთქვამენ. ქალი მხიარულიცაა, უდარდელიც, მაგრამ იმავე დროს შიშის მომგვრელი, ზეადამიანური, და იდუმალი ბუნების ანარეკლადაც გვევლინება. (იმ გვერდზე, სადაც ჩვენ პირველად ვხვდებით გრიჯიას, ასოციაციით ძროხის სახელთან „die Graue" — ნაცრისფერი — ჩნდება სიტყვა „das Grauen" — შიშის ზარი). პირველი შეხვედრისას ქალის ხელი მიწასავით შემოეფხვნება ჰომოს მარჯვენას. შემდეგშიაც, როცა გრიჯიასთან ერთად მოხვდება მიტოვებულ გვირაბში, ჰომოს ისევ ეუფლება გრძნობა, თითქოს გრიჯიასთან ხვევნით მიწას ეხუტება. წინათგრძნობა არ ატყუებს კაცს — მალე იგი კვდება.

რა არსება იმალება ამ უბრალო გლეხის ქალში? რომელი ღვთაება გააცილებს ჰომოს აჩრდილთა სამეფოში, მსგავსად ტაძიო-ჰერმესისა, ვენეციით მოხიბლულ ერთ განთქმულ მწერალს რომ წაუძღვა?

ძროხის რქებით ეგვიპტელები განასახიერებდნენ ღმერთქალს ისიდას — მთვარის მბრძანებელს. ისიდა იყო ცისა და მიწის ყოვლისშემძლე ღვთაება, ნაყოფიერების ქალღმერთი და განმგებელი ბედ-იღბლისა. მოგვიანებით, ელინიზმის ეპოქაში ისიდას მიწიერი, ხთონიური ნიშნები კიდევ უფრო გაძლიერდა, რითაც იგი მეტად დაემსგავსა დედობის სხვა ქალღმერთებს — იშტარს, დიდ დედასა და დემეტრეს (მუზილი თავის შემოქმედებაში არაერთხელ მიმართავს მითს ისიდასა და ოსირისზე. ამ თემაზეა დაწერილი მისი ერთ-ერთი ლექსი. რომანში „უთვისებო კაცი" ულრიხისა და აგატეს დამოკიდებულება კვლავ გვაგონებს ისიდასა და ოსირისს).

„გრიჯიასა" და „პორტუგალიელ ქალში" ღმერთქალის სხვადასხვა სახე წარმოგვიდგება: პირველ ნოველაში ეს სახე უფრო მიწიერია, მეორეში — ზეციური. მთვარე-ისიდას გამოჩენა შემთხვევითი არაა და განპირობებულია ნაწარმოებთა ზღაპრული, ჯადოქრული ატმოსფეროთი. გრიჯიასათვის ხთონიური ღვთაების ნიშნების მიკუთვნებით, ღვთაებისა, რომელიც ერთი მხრივ დაკავშირებულია ბუნების ნაყოფიერების ძალებთან, მეორეს მხრივ კი იმქვეყნიურ სამეფოსთან, მწერალს სურდა ქალი-სტიქიის, დიადი მთლიანობის სახის შექმნა, რომელშიც სიკვდილი და სიცოცხლე გვერდიგვერდ თანაარსებობს. თუმცა ნოველაში გრიჯია ერთი უბრალო გლეხის ქალია. ნოველა სწორედ იმის გამოა ასე საინტერესო, რომ თხრობა ერთდროულად ორ სიბრტყეში ვითარდება — რეალურსა და მითოლოგიურში. ნოველის მითოლოგიური სიბრტყე, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია, მაგრამ ნაწარმოებში მაინც მთავარი ისაა, რომ ჰომო საკუთარი უნებისყოფობის მსხვერპლია და არა ქალისა ან მთვარის გრძნეულებისა. ნოველის გმირი ფიქრობდა, რომ საზოგადოებიდან წასვლით, სხვა ადამიანების აქტიური სამსახურისადმი თავის არიდებით სიბრძნეს ეზიარე-

ბოდა. ასე ეგონა, თითქოს ნებისყოფისა და გონების უარყოფით ჩასწვდებოდა სამყაროს იდუმალ არსს და სულის სიდიადესაც ამ გზით მოიპოვებდა. მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარად აეწყო. სწორედ ამ იდუმალი არსის მსხვერპლი ხდება ჰომო: ძველი გვირაბის მყუდროებაში იგი ნელა მისრიალებს სიკვდილისაკენ.

*

ბატონი ფონ კეტენი მეომრული სულისა და მიზანსწრაფვის განსახიერებაა. სარფიანი საქმე ერთიც არ გამოეპარებოდა მის მახვილ მზერას. იგი ფხიზელი და მგზნებარედ სუბიექტურია. ხროვის წინამძღოლივით თავგადადებული ეკვეთება ხოლმე მტერს, თავის გზაზე სისხლის გუბეებს ტოვებს, თესავს სიკვდილს და ერთი შეხედვით სწორედ ეს უნდა იყოს კეტენის ჭეშმარიტი ბუნება. რისხვად ქცეული ყოველი მისი მოძრაობა ამ მამალ მგელს თავდავიწყებამდე აბრუებს, ათრობს. კეტენთა თაობები ტრენტოს ეპისკოპოსებს რაღაც სავარგულის გამო ებრძვიან, მაგრამ ამ სავარგულისათვის ქიშპობას კეტენები შეიძლება მხოლოდ საბაბად იყენებენ იმისათვის, რათა თავიანთი სული გამოავლინონ: ბრძოლის გარეშე მათ ცხოვრებას ხომ აზრიც დაეკარგებოდა! ერთი მიზნის სამსახურში საერთო ჯაჭვის რგოლებად ეწყობა იმათი ხანმოკლე სიცოცხლე (die Kette — გერმანულად ჯაჭვს ნიშნავს). ამ ჯაჭვის რგოლები ერთ ყალიბზეა ჩამოსხმული და ამდენად თვითეული მათგანის ცხოვრება სამაგალითო მოდელს წარმოადგენს. სწორედ ამიტომაა, რომ საკუთარი სახელი — მათი ერთმანეთისაგან განსხვავების ეს გარეგნული ნიშანიც—არც ერთ მათგანს არა აქვს ნოველაში. მხოლოდ საგვარტომო სახელით ეცნობა მკითხველი გმირს, რომელმაც ბოლოს და ბოლოს დაამარცხა ეპისკოპოსი. ამ კეტენმაც ბავშვობიდანვე შეითვისა წინაპრებისაგან მისთვის ნაანდერძევი როლი და სამყაროს ჭვრეტას მხოლოდ თოფის სამიზნედან შეეჩვია. თერთმეტი წლის წინ ჩაება იგი ომში.

ფონ კეტენი თავის მშვენიერ მეუღლესთან ერთად ბრუნდებოდა სამშობლოში, როცა შიკრიკმა მნიშვნელოვანი ამბავი აუწყა. კეტენის სახე—მზესავით რომ აელვარდებოდა ხოლმე, უცებ მოიღრუბლა, მოიქუშა და კედელივით უცხო გახდა.

წლების განმავლობაში გრძელდება ბრძოლა. ეპისკოპოსი ფონ კეტენზე მდიდარიცაა, უფრო გავლენიანიც. ფონ კეტენის ერთი მნიშვნელის მქონე ბუნებისაგან განსხვავებით ეპისკოპოსი საწინააღმდეგო თვისებებს აერთიანებს. იგი ერთსა და იმავე დროს მამაცივით უდრეკია, გულადი, ქალივით მოქნილი და შემპარავი.

დღის სინათლესავით ნათელია სამყარო, სადაც კეტენი ცხოვრობს. აქ გამეფებულია სამხედრო წესრიგი, გაიცემა ზუსტი ბრძანება. კეტენის გონება დანარჩენ სამყაროს თითქოს თოფის სამიზნედან გასცქერის და მხოლოდ იმ ნაწილს ხედავს, რაზედაც იმ წუთსაა გამახვილებული მისი ყურადღება.

ნოველის პირველ ნაწილში, სადაც მოთხრობილია კეტენისა და ეპისკოპოსის ბრძოლის ამბავი, პორტუგალიელი ქალი იშვიათად ჩნდება. ქალი ღრუბლების პირს მომდგარ მთვარესავით გამოახხივებს ხოლმე დროდადრო. ვიდრე ბრძოლაში ჩაებმებოდა, ქმარმა შესთავაზა სამშობლოში დაბრუნდიო. ქალი არ შეშინდა და დარჩა. თერთმეტი წლის განმავლობაში ცხოვრობს იგი კეტენთა საგვარეულო კოშკში და ზრდის ვაჟებს. მამალი მგლის ლეკვებს წააგავან ისინი.

მწერალი ქალს ქმრის თვალით გვიჩვენებს. ფონ კეტენი თავის მეუღლეს ჯადოქარს ადარებს (თავდაპირველად პორტუგალიელ ქალს მუზილმა სახელიც მისცა — ჯენოვევა, მაგრამ მისთვის იდუმალება რომ შეენარჩუნებინა, მერე ეს სახელიც ჩამოაშორა). ქალი ნაზიცაა, ძლიერიც. უცნობია ამ სიძლიერის წარმოშობა. კეტენი ალღოთი ხვდება, რომ ქალის ეს სიძლიერე თავისთავადია, თვითმსაზრდოებელია, ულევია. ქალი უშფოთველად იზიდავს კაცს თავის მაგიურ სამყაროში, რომელიც სრულიად არ ჰგავს კეტენისას. ერთგან ძალდაუტანებლად შეგიძლია იყო მშვენიერი და ნაზი; მეორეგან კი მხოლოდ უნდა იბრძოდე, შფოთავდე და მოძრაობაში ელვარებდე.

კეტენის ქმედით ხასიათთან პორტუგალიელი ქალის გამუდმებული სიმშვიდის შეპირისპირებით მუზილი უბრუნდება აზრს ადამიანის გრძნობად ცხოვრებაში ორი საწყისის არსებობის შესახებ. ამ აზრს მწერალი ანვითარებდა ჯერ კიდევ კრებულში „შეერთებანი". პოეტურ ფორმაში გამოხატული ამ ფსიქოლოგიური კონცეფციის თანახმად, ყოველ გრძნობაში ორი საწყისია შერეული—ცხოველური და მცენარეული. ცხოველური საწყისი — დინამიურია და აგრესიული, ეს საწყისი ადამიანს ობიექტის დასა-

თრგუნავად აქეზებს. ამ საწყისს უპირისპირდება მცენარეული — მშვიდი, უანგარო და ნათელი.

„პორტუგალიელ ქალში“ ეს ორი საწყისი გაწონასწორებულია. სწორედ ამიტომაა, რომ ქმარი მას შადრევანს ადარებს, ერთდროულად რომ მოძრავიცაა და უძრავიც. მაგრამ ქმარს ჯერ კიდევ მართებს ამ საწყისთა გაწონასწორება. ადვილი როდია შენი თავი იპოვნო: „... მისი ნამდვილი ბუნება კი ისე მიყუჟულიყო სადღაც, სანთლითაც რომ გეძებნა, მაინც ვერ მიაგნებდი“. ამასთანავე ჯერ ბრძოლაც არ დამთავრებულა. ბატონი ფონ კეტენი მამაპაპისეული ანდერძითაა შებოჭილი.

კეტენის გარდაქმნა ნოველის მეორე ნაწილში ხდება. მოულოდნელად გარდაიცვლება ეპისკოპოსი და კეტენიც დროულად სარგებლობს ამ გარემოებით. იგი ბოლოს და ბოლოს ასრულებს წინაპართა ნაანდერძევს: ამიერიდან სავარგულები — კეტენთა საკუთრებაა.

თითქოს ორად ჰყოფს ნოველას ფრაზა: „შინისაკენ მიაგელვებდა ცხენს, როცა რაღაც მწერმა უკბინა“. მას შემდეგ, რაც მიღწეულია მიზანი და ცხოვრებას დროებით აზრი ეკარგება, რომელიღაცა მწერის კბენაც კი საკმარისი აღმოჩნდება, რომ ძირს დასცეს მრისხანე მეომარი. ჩვილი ბავშვივით შეშარტული. იგი ციხე-სიმაგრეში მოჰყავთ, სადაც გმირს ახალ ადამიანად დაბადება მოელის.

ავტორი განზრახ აყენებს გმირს სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე. ზღაპრის კანონების თანახმად ბედნიერების მისაღწევად გმირმა დაუძლეველი უნდა დასძლიოს. და კეტენი მართლაც რომ რაღაც „სასწაულით“ აღწევს თავს ავადმყოფობას. ჯერჯეროობით კი იგი გამოფიტულია ფიზიკურადაც, სულიერადაც. სხვა დროს მუდამ ფხიზელი მისი გონება ახლა თვლემს, ქსოვს სიზმრებსა და ზმანებებს. ცოლთან ფონ კეტენს განრიდების კედელი აშორებს და, რაც მთავარია, თავის ნამდვილ „მე“-ს გმირმა ჯერ ვერ მიაგნო.

სამ ორეულს, სამ ზღაპრისეულ „შემცვლელს“ ხვდება კეტენი თავის გზაზე: მგელს, ცინდალსა და ცოლის მეგობარს. მისი პირველი გადამწყვეტი ნაბიჯია — მგლის მოკვლის ბრძანება. ასე თავისუფლდება კაცი „მგლისაგან საკუთარ თავში“ — როლისაგან, ბავშვობიდან რომ დაეკისრა. კეტენი ბოლოს და ბოლოს თავიდან იშორებს იმას, რაც მისი პიროვნების განვითარებას უშლიდა ხელს. მაგრამ ასეთი მოქმედებით იგი პორტუგალიელი ქალის წყრომას იმსახურებს. „მთვარეთლამეული ჯადოქრის“ სახე უეცრად შემზარავი მხრით ევლინება კეტენს (პორტუგალიელი ქალის მუქარას — „მგლად გადავიქცევიო“, ქალი არ გამოჰყავს მითოლოგიაში მთვარეზე არსებულ წარმოდგენათა ფარგლებიდან. ერთ-ერთი ნეგატიური ვარიანტის თანახმად მთვარე ღამღამობით სისხლისმწოველი ვამპირია).

ცოლის ფიცხელ ნათქვამზე უფრო საშიში მუქარაა ახალგაზრდა მეტოქის გამოჩენა. თავაზიანი და გალანტური, იგი ურთიერთობის სწორედ იმგვარ ფორმას სთავაზობს ქალს, რაც ამ უკანასკნელს ქმრისაგან აკლია. კეტენის მტანჯველ ავადმყოფობას ახალი სენი—ეჭვიანობა მიემატა. განსაკუთრებით კი ის გარემოება ტანჯავს, რომ მისი მეუღლე და ჩამოსული პორტუგალიელი რაინდი ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან. ფონ კეტენს სწორედ ეს ენიშნება იმათი დაახლოების უცილობელ წინაპირობად. ავადმყოფსა და ღონემიხდილს ძალა არ შესწევს თავიდან მოიშოროს მეტოქე. ფონ კეტენი მისანს მიმართავს, რათა განკურნების საშუალება გაიგოს, მისანის პასუხი ბუნდოვანია. სრული განკურნებისათვის კეტენმა რაღაც უნდა მოიმოქმედოს. მაგრამ რა? მისანი ამას არ ეუბნება. კეტენი მაინც ხვდება, რომ გადამწყვეტი ნაბიჯი საყვარელი არსებისა და საკუთარი თავის მოპოვებისათვის თავად მან უნდა გადადგას.

„შემცვლელების“ გამოჩენას მუდამ წინ უძღვის ზღაპრისეული „ერთხელ“. „ერთხელ გამოიღვიძა და თავზე წამომდგარ მგელს შეაფეთა მზერა“; მეორედ იყო, თვალი გაახილა — ქალის სიყრმის მეგობარი დაინახა. ერთ დღესაც სასეირნოდ წასულნი შინ ბრუნდებოდნენ, როცა ციხე-სიმაგრის კარიბჭესთან ცინდალი შეამჩნიეს.

ციხე-სიმაგრეში გამოჩენის დღიდან კატას რაღაც სენი შეეყრება. ტანჯვა ამ სულიერს ადამიანურ იერს აძლევს. სიყვარულითა და ეჭვიანობით შეკავშირებული სამი ადამიანის თვალწინ იტანჯება ცინდალი. ამ სამეულიდან თვითეული გრძნობს, რომ ამ ერთი ცოდა არსების მოწამეობას რაღაც კავშირი აქვს ყოველი მათგანის ბედთან, მაგრამ რაში მდგომარეობს ეს კავშირი? ამ უტყვ შეკითხვას ცოლ-ქმარი საკუთარ თავსაც უსვამს, როდესაც ერთმანეთს ეზოში შეხვდებიან იმ ადგილთან, სადაც ცინდალია ჩამარხული. თითქოს ამ შეკითხვაზე გაცემულ პასუხზეა დამოკიდებული მათი მომავალი, თითქოს ამ

გამოცანის გამოცნობით დაირღვევა ის სიჩუმე, ცოლ-ქმარს შორის კედლად რომაა აღმართული.

ცინდალმა ფონ კეტენის უკურნებელი სენი თავის ხვედრად იქცია. ამ უცნაური არსების წყალობით გმირი თანდათან გამოჯანსაღდება. სხვისი ტკივილით გატანჯული ეს უანგარო პატარა არსება ადამიანის ბუნების ის ნაწილია, რომელიც მგელში განსახიერებულს უპირისპირდება. მართალია, ტანჯვა-წამება უცხოა რაინდის არსებისათვის, მაგრამ ის, რაც მან გადაიტანა, კეტენს ხელს უწყობს სხვა ადამიანად გადაიქცეს (მეორე „შემცვლელის" ამგვარი გაგება არ გამორიცხავს ამ ეპიზოდის სხვა განმარტებას. რეალური და ზღაპრულ-მითოლოგიური „პორტუგალიელ ქალში" მჭიდროდ უკავშირდება ერთიმეორეს. თუმცა მითოლოგიური სიბრტყე მაინც რეალურ მოქმედებას ექვემდებარება — ნოველაში ერთმანეთის პირისპირ ხომ სისხლსავსე ადამიანები დგანან და არა მოსიარულე სქემები! მითოლოგიური პარალელები ნაწარმოებში შინაგანი მოქმედების კონცენტრირებულ გადმოცემას ემსახურება. ჩვენ მიზნად დავისახეთ გაგვეხსნა სიმბოლოები ნაწარმოების ლოგიკიდან გამომდინარე მწერლის იდეებისა და წარმოდგენათა გათვალისწინებით).

გადაწყვეტილების ხელაღებით მიღება ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი საქმე იყო უწინდელი კეტენისათვის, ახლა კი მან ვერა და ვერ გაბედა მეტოქის მოკვლა. კეტენს „ჰამლეტური ყოყმანი" მას შემდეგ დასჩემდა, რაც იგი ობიექტური გახდა — ჩაუფიქრდა საკუთარ მოქმედებათა მოტივებს.

ერთხელ, მისდა უნებურად, გმირი კლდის ძირას აღმოჩნდება. ამ კლდის თავზე დგას მისი საგვარეულო კოშკი. ბინდდება. ამოდის მთვარე. მოულოდნელად კაცი ხვდება, თუ რა უნდა მოიმოქმედოს: მან უნდა დასძლიოს დაუძლეველი.

კეტენი კლდეზე მიცოცავს. მთვარე კეთილ დასავით ეხმარება: უჩვენებს ღრმულებს პიტალო კლდეზე, სადაც კი ფეხის ჩამოდგმა ან ხელის ჩაჭიდება შეიძლება (ამ ეპიზოდში მუზილი კვლავ მიმართავს თავის საყვარელ მითს ისიდასა და ოსირისზე. მწერალს სურს ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ ამიერიდან მზისა და მთვარის, დღისა და ღამის მსგავსად განუყრელი იქნება კავშირი პორტუგალიელ ქალსა და კეტენს შორის. კეტენთა „მზიურ" საწყისთან სიახლოვე ნოველის თავშივეა აღნიშნული: თვითეული მათგანი ხომ ბაჯაღლო ოქროსავით ბრწყინავს, მზესავით ელვარებს... მთვარესთან შერიგებას კეტენი ნოველის დასასრულს ახერხებს, პიროვნების ჰარმონიულ მთლიანობას აღწევს).

კედლის დაძლევის შემდეგ კეტენი გაიგებს, რომ მეტოქე მთვარის ამოსვლისთანავე გამგზავრებულა. „შემცვლელი" უკვე აღარაა საჭირო, რადგან კეტენი გარდაქმნილია. აქტიური საწყისი მასში ეხამება სიმშვიდეს, ცხოველური — მცენარეულს; გონება არ თრგუნავს გრძნობას. ახლა ცოლ-ქმარი ერთმანეთს ავსებენ და მათი „შეერთებაც" შესაძლებელი ხდება.

როცა კეტენი ცოლს გამოეცხადება, ქალი პირველი არღვევს სიჩუმეს, კედლად რომ იყო მათ შორის აღმართული. იდუმალი და მრავლისმეტყველია მისი სიტყვები. ისინი თითქოს პასუხს გასცემენ კითხვას—რა აზრი ჰქონდა ცინდლის მარტვილობას. ეს ინტიმურობის, ერთმანეთისადმი ნდობის დასაბამია: ასე საუბრობენ შეყვარებულები — მინიშნებებით, უმალვე რომ უგებენ ერთმანეთს.

არ უნდა ჩავთვალოთ, თითქოს ამ ფრაზაში იყოს ნოველის დედაარსი შეჯამებული. პორტუგალიელი ქალის სიტყვები არ უნდა გავიგოთ როგორც კომენტარი, თავისებური „გასაღები" მთელი ნოველისათვის. ამ ფრაზის აზრი მიახლოებით შემდეგია: ღმერთს სურდა კეტენის განკურნება და ამიტომ მოახდინა სასწაული, როცა ცინდლის სახით მოევლინა მათ. მაგრამ ქალის ეს სიტყვები იმაზე მეტყველებს, რომ პორტუგალიელმა ქალმა არ იცის, თუ რისი წყალობით განიკურნა საბოლოოდ მისი ქმარი. იგი არ დგას მოქმედებაზე მაღლა, არ გადაჰყურებს მას ავტორისა და მკითხველის მსგავსად. ეს პერსონაჟის ხედვის პერსპექტივაა. პერსონაჟი მოქმედების მხოლოდ ერთ ნაწილს ხედავს. მკითხველმა კი იცის, თუ რამ განკურნა სინამდვილეში კეტენი: სიყვარულის ძალამ მოახდინა გარდაქმნის სასწაული*.

---

* მუზილის წიგნებში ღმერთი თითქმის ყოველთვის სიყვარულია. კრებულში „შეერთებანი" ათეისტურ ოჯახში აღზრდილმა მწერალმა გვიჩვენა კაპიტალიზმის კრიზისის ეპოქისეული ცნობიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება: რელიგიურ გრძნობას მოკლებულ ამ ცნობიერებაში ღმერთის ადგილს სიყვარული იკავებს. ამის შესახებ იხ. დავლიანიძე დ. ს., რობერტ მუზილის ადრინდელი ნაწარმოებები (დისერტაცია). თბილისი, 1973, გვ. 128—129.

მრავალმნიშვნელოვნება მხატვრული ნაწარმოების ერთ-ერთი ყველაზე დიდი ღირსებაა. ამით აიხსნება ერთი და იგივე წიგნზე არსებულ თვალსაზრისთა სხვადასხვაობა. ზოგი ლიტერატურათმცოდნე ამახვილებს ყურადღებას თვით ტექსტის კანონზომიერებებზე, სხვები განიხილავენ მას, როგორც მწერლის ბიოგრაფიის ილუსტრაციას. ბოლო დრომდე მკვლევარები მხოლოდ იშვიათ ავტობიოგრაფიულ შტრიხებს პოულობდნენ „პორტუგალიელ ქალში" — მაგალითად, კეტენი იმავე ასაკშია, ავტორი რომ იყო ნოველის შექმნის პერიოდში. მას შემდეგ, რაც მუზილის გამოუქვეყნებელ მემკვიდრეობაში იპოვეს „პორტუგალიელი ქალის" პირველი რედაქცია სათაურით „გობელენი" და ამ პერიოდის პირადი ხასიათის ჩანაწერები, შეიქმნა აზრი, თითქოს ნოველაში მხატვრული გარდასახვა იმ მოვლენებმა ჰპოვეს, ავტორს 1917 წელს ქალაქ ბოლცანოში რომ გადახდა. სწორედ აქ, ჰოსპიტალში ყოფნისას ნახა მან რეალური პროტოტიპი მოწამე ცინდლისა, ხოლო კეტენთა ციხე-სიმაგრე — რუნკელშტაინის კოშკია, ბოლცანოს შორიახლოს რომ მდებარეობს. რაც შეეხება მეორე ნოველას, „ავტობიოგრაფიული" ვერსიის მომხრეებმა მაგდალენა ლენციის—გრიჯიას პროტოტიპის ფოტოს შოვნაც კი მოახერხეს. მაგრამ როგორ არ ჰგავს ის ყბადამძიმებული მოხუცი მომხიბლავ სახეს ქალისას, ნაწარმოების წაკითხვისას რომ გვიდგება თვალწინ! მწერლის ბიოგრაფიული ფაქტების ცოდნა არ გვიხსნის, თუ რატომ გააჩნია ცხოველმყოფელობა ამა თუ იმ მხატვრულ სახეს.

*

რობერტ მუზილი არ ეკუთვნოდა იმ მწერალთა რიცხვს, რომლებიც ზურგს შეაქცევენ რეალურ სამყაროს წარმოსახვითის გულისათვის. მწერლის მიზანი არასოდეს ყოფილა გამაბრუებელი, ლამაზი ფიქციის შექმნა, რომელიც მკითხველს მახინჯ სინამდვილეს გადაავიწყებდა. პირიქით, მუზილი თვლიდა, რომ ლიტერატურა ადამიანთა სულიერ განთავისუფლებას უნდა ემსახურებოდეს.

თუკი „სამ ქალში" მან ლეგენდის, მითისა და ზღაპრის ენას მიმართა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სარჩულიდან ეჩვენებინა არასწორი, ირრაციონალური აზრი ქალის შესახებ, მწერლის თანამედროვეთა წარმოდგენაში რომ არსებობდა. მუზილმა არაერთხელ გაკიცხა ის შეხედულებანი, სადაც ვლინდება მამაკაცის სურვილი ქალის დათრგუნვისა. ქალის გაიდეალებითაც კი მამაკაცი მას განსაზღვრულ, თავისთვის სასურველ როლს აკისრებს. თანამედროვე ქალს არ სურს, რომ იგი უკიდურესი უმანკოებისა ან ბიწიერების განსახიერებად ჩათვალონ. ის ისეთივე ადამიანია, როგორც ის არსება, რომელიც თავს მასზე უფრო ძლიერად თვლის. მისი განცდა და მოქმედება ისევე მრავალფეროვანი და მდიდარია, ისევე არ ეტევა განსაზღვრულ ჩარჩოებში, როგორც მამაკაცისა. მწერალს მოსწონს თანამედროვე ქალის მაღალი თვითშეგნება, მისი სიფხიზლე და ჭკუა—თვისებები, მამაკაცი ყოველთვის თავისად რომ აცხადებდა. ქალი უარყოფს კერპებს და ცდილობს საკუთარი იდეალების შექმნას. მუზილის სიმპათიებიც მისკენაა.

ქალის სამ სახეს, ქალზე არსებულ სამ სხვადასხვა შეხედულებას ვხვდებით ჩვენ ამ წიგნში. წმინდა, კეთილ ტონკასა და გულგრილ, ცოდვილ გრიჯიას სახეთა მკვეთრი ურთიერთდაპირისპირებით მწერალმა თითქოს წარმოგვიდგინა შუასაუკუნეობრივი ანტითეზის ორი პოლუსი, ანტითეზისა, რომელიც ჯერ მთლად არ იყო დაძლეული მის თანამედროვეთა აზროვნებაში (ქალის შესახებ ერთ-ერთი შუასაუკუნეობრივი წარმოდგენის მიხედვით, ქალი ან უბიწო ქალწულია, ან მრუში კუდიანი). ამ შეხედულების გადმონაშთები ხელს უშლის ახალგაზრდა კაცს ნოველიდან „ტონკა" და ჰომოს „გრიჯიადან" შეხვდნენ ქალს, მხოლოდ კეტენისათვის შეიძლება ამ შეხვედრას კეთილი დასასრული ექნეს.

პორტუგალიელი ქალი არ არის ნივთი, რომელსაც ფლობ, ან ხატი, რომელსაც ხელს ვერ მიაკარებ. მამაკაცის წინ სრულფასოვანი არსებაა, მისი ტოლი — მეგობარი, ცოლი, და.

□

ბეჭან ბიორგაძე

სამი ქართველი ქალის ამბავი

XVII საუკუნის ფრანგი ანონიმი ავტორი 1695 წელს პარიზში გამოცემულ წიგნში: „ვეცნობით მსოფლიოს. აღმოსავლური მოგზაურობანი. ისტორიული ამბები. სულთნის მიერ შერისხული ქართველი რეტიმას, მისი პარამხანელი ამხანაგის მეგრელი რუსპიას, აგრეთვე სახელოვანი ჩერქეზი ქალის ზისბის თავგადასავალი“[1] სარწმუნო წყაროებს ეყრდნობა და აგვიწერს სამი ტყვე ყმაწვილი ქალის თავგადასავალს. ავტორის მონათხრობს ხატოვანება და მსატვრულობა აკლია, რადგან შეთხზულ ამბავს როდი გადმოგვცემს. ამ წიგნში გამოყვანილი სამი საბრალო ქალი იმდროინდელი საქართველოს ტიპიური წარმომადგენელი გახლავთ. წიგნში მოტანილი ფაქტები ნათლად გვიხატავენ, თუ როგორ იტაცებდნენ ბავშვებს მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოდან და როგორ ჰყიდდნენ მონებად მაჰმადიანურ ქვეყნებში.

თანახმად ისტორიული წყაროებისა, თურქების ხომალდებს საქართველოდან, მისიონერთა ცნობით, ყოველწლიურად სამი ათასი რჩეული გოგო-ბიჭი გაჰყავდა. შარდენის რწმუნებით ეს ციფრი ექვსი ათასამდე იზრდება, ხოლო ანონიმი ავტორის მოწმობით თერთმეტ ათასამდე აღწევს. ისინი საქართველოსთვის სამუდამოდ დაკარგული იყვნენ და ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზე დიდ ფასად იყიდებოდნენ. ასე ემატებოდნენ ქართული მოდგმის საუკეთესო წარმომადგენლები ისედაც მრავალრიცხოვან სხვა ხალხებს.

ამრიგად, ანონიმი ავტორის მიერ შემონახული სამი ყმაწვილი ქალის მძიმე ხვედრი ჩვეულებრივი მოვლენა გახლავთ ისტორიული სინამდვილისა.

XVII საუკუნეში ვერაგი მტრებისაგან გაუკაცრიელებულ საქართველოში ასი ათასი კაცი ძლივსღა გადარჩენილა ცოცხალი.

თორმეტ-ცამეტი წლის სამი ასული მძიმე ეპოქის მსხვერპლია და მათ თავზე დამტყდარი უბედურება სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა იმ განუკითხავ ხანაში. ამ წიგნის ცალკეული მაგალითები შედეგია იმ დიდი უბედურების, რამაც ჩვენი ქვეყანა გააჩანაგა და ერის რჩეული შვილები ხელიდან გამოაცალა. იმ დროს, როცა ევროპის სხვა ქვეყნები კულტურულ-ეკონომიური აღორძინების გზაზე იდგნენ და მრავლდებოდნენ, საქართველო თანდათან კნინდებოდა. ამის მიზეზი კი თურქეთისა და სპარსეთის ბარბაროსული ტირანია იყო.

თითქმის ყოველ ეპოქაში ევროპელები დიდ სურვილს იჩენდნენ, რათა ჩაწვდომოდნენ დიდი სულთნის საიდუმლოებით მოცული პარამ-

[1] la Connaissance du monde. Voyages orientaux. Nouvelles purement historiques, contenant l'histoire de Rhetima, Gèorgienne, sultane disgraciée; et de Ruspia, mingrelienne, sa compagne du serrail; avec celle de la fameuse Zisbi, Circassienne. Paris 1695.

ხანის ანუ სერალის კარჩაკეტილ ცხოვრებას.

ფრანგი ანონიმი ავტორი ბევრს ეცადა ეს საიდუმლოება შეეცნო და ნაწილობრივ კიდეც მიაღწია მიზანს. ამ წიგნის მიხედვით ანონიმი ავტორი სამხედრო საქმის ძალზე გამოცდილი და კარგი მცოდნე ჩანს. იმ დროს ავსტრია-უნგრეთსა და თურქეთს შორის ომი იყო გაჩაღებული. ავტორი ამ თავისებურ ვითარებაში ჩინებულად ერკვევა და, როგორც ამ ამბების მომსწრე, ომის ყველა წვრილმანს აშუქებს და აანალიზებს. ამიტომაც არ გასჭირვებია გაერკვია და სააშკარაოზე გამოეტანა საგულისხმო ისტორიული ამბები.

ანონიმმა ავტორმა კარგად გამოიყენა სარა შელბის ცნობები. ეს ის ქალია, ვინც მოახერხა შეეღწია სასახლეში და ამ გზით სულთნის კარის მრავალ საიდუმლოს ახადა ფარდა. განსაკუთრებით ნათლად არის გადმოცემული ჰარამხანის ამბები და მაჰმადიანური ადათ-წესები. სულთან მაჰმუდის კერძო ცხოვრებას ავტორი აღწერს რეტიმას, რუსპიას, სარა შელბისა და ანა ბონა გრაციას მონათხრობის მიხედვით. ესენი დაახლოებული იყვნენ სულთნის ტახტთან და ჰარამხანის ყოველ კუნჭულს იცნობდნენ. ავტორმა ძირფესვიანად შეისწავლა სტამბოლის კარის საქმიანობა ზემოთ ხსენებული ქალების დახმარებით, მერე ეს ყველაფერი დაწერა და ევროპაში უთვალავი მკითხველი გაიჩინა. ალბათ იმიტომ, რომ ყველა აღწერილი ამბავი სინამდვილეა და ჰარამხანის საიდუმლოებას ეხება, ავტორმა თავისი ვინაობა დაუმალა საზოგადოებას, რათა საკუთარი თავიცა და სხვებიც ხიფათისაგან გადაერჩინა. ეგებ ქალების სახელები და გვარებიც გამოგონილი იყოს სხვადასხვა მოსაზრების გამო, მაგრამ ერთი რამ ცხადია, აქ მოთხრობილი ამბავი ჭეშმარიტებაა. ჰარამ არაბულად ნიშნავს ხელშეუხებელს, წმინდას. ჰარამხანა მაჰმადიანების სახლის იმ ნაწილს ეწოდება, სადაც მამაკაცებისაგან განცალკევებით ცხოვრობენ ქალები. მუსულმანების შეხედულებით ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს, სასულიერო პირი იქნება ის თუ საერო, არც გარეშე მამაკაცებს, შინაურებსაც კი, გარდა სახლის პატრონისა და მისი შვილებისა, ნება არა აქვთ ჰარამხანის ზღურბლს გადააბიჯონ. გამონაკლისები არიან სულთანი და შაჰი. აღმოსავლეთში გავრცელებული თვალსაზრისით, სამეფო ტახტის მფლობელის ჰარამხანაში შესვლა ბედნიერების საწინდარია.

როგორც წესი, ჰარამხანის სარკმლები ეზოში გადიოდა და ხშირად მაღალი გალავნით შემოზღუდულ ბაღს გადაჰყურებდა. თვითეულ ცოლს, — მოგეხსენებათ, ჰარამხანაში ისინი მრავლად იყვნენ, — ცალკე ბინა ჰქონდა.

საუკუნეთა განმავლობაში კონსტანტინოპოლის სულთნის ჰარამხანაში უმეტესად ჩერქეზი და ქართველი ქალები იყვნენ. ქალებს ზანგი საჭურისები დარაჯობდნენ. მათ უფროსს კზლარ-აღასი ეწოდებოდა. სულთნის მთავარ შვიდ ცოლს კადუნები ერქვა. ჰარამხანაში რანგის მიხედვით კადუნებს მოსდევდნენ სულთნის მოსამსახურე ქალები ანუ გედიკლიკები, დანარჩენებს ოდალისკები ეწოდებოდათ. ჰარამხანაში უმაღლესი ხელისუფლება სულთნის დედას ანუ ვალიდეს ჰქონდა ჩაბარებული.

ანონიმი ავტორის მიერ მოტანილი სარწმუნო ცნობები და ისტორიული ფაქტები ნათელსა ხდიან წარსული ეპოქის სიდუხჭირესთან ერთად, თუ რაოდენ ბარბაროსულად ეპყრობოდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს ხელისუფალნი. უუფლებობა და უმწეო მდგომარეობა სასოწარკვეთილ ვითარებას უქმნიდა ყოველ მათგანს. რაღა მოეთხოვება გარეწარ აბრაგს, ცხოვრების ერთადერთ შემოსავლის წყაროდ ტყვეების მოტაცება და გაყიდვა რომ გაუხდია? განა მარტო XVII საუკუნეა ტრაგიზმითა და ყოველგვარი ბოროტებით სავსე, ამგვარივე იყო ადრეული და შემდგომი ხანაც.

სამი ქართველი ასულის გარდა ამ წიგნში აღწერილია სხვა ეროვნების ქალებიც; ისინი მოწმენი ყოფილან სხვათა ფატალური თავგადასავლისა და თავიანთი სიცოცხლეც ტრაგიკულად დაუსრულებიათ. ერთი იმათგანია იტალიელი გოგონა, ვისი სვე-ბედიც ძალზე მძიმე იყო.

იტალიელი მხატვრის ქალიშვილი, სახელად ანა ბონა გრაციელა, კატანიაში (სიცილია) დაბადებულა. მართალია, ულამაზო ყოფილა, მაგრამ მინიატურების ხატვის დიდი ნიჭი დაჰყოლია თურმე. თუმცა ის მამის შეგირდი გახლდათ, მაგრამ შემდგომ ბევრად სჯობნიდა მშობელს. თანაც ღვთაებრივი ხმა მიემადლებინა ბუნებას, რითაც ყველას აჯადოებდა. ზღვის სანაპიროდან ეს გოგონა ტრიპოლელმა მეკობრემ მოიტაცა სწორედ იმ დროს, როცა შეიარაღებულმა თურქებმა ქალაქი კანდია ალყაში მოაქციეს. ეს მოხდა 1680 წელს.

გოგონას გამტაცებელს ფულის სიხარბე უფრო ამოქმედებდა, ვინემ ავხორცული ყინი. ტყვე გოგონას, ვისაც ჯერ თხუთმეტი წელი არ შესრულებოდა, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია. უბედურებაში მყოფმა გონება იმდენად მოიკრიბა, რომ თავისი ბატონ-პატრონი კეთილად განაწყო. გოგონა ფიქრობდა, თუ

გაყიდვაა, კარგი პატრონის ხელში მაინც მოვხვდეო. ამიტომაც მოასმენინა თავისი მშვენიერი ხმა. მეკობრე იმდენად მოხიბლა გოგონას ხმამ, რომ თავის სუფრასთან დასვამდა ხოლმე და ცდილობდა მისთვის პირველი ტყვეობის ხვედრი შეემსუბუქებინა.

როცა გოგონა ტრიპოლში ჩაიყვანა, ყაჩაღმა ჰკითხა: რა ხელობა იცი, რომ თავი გაიტანოო.

გოგოს გაგონილი ჰქონდა, მაჰმადიანებს ეზიზღებათ ნახატებიო და ამიტომ არ გაამხილა, ხატვა რომ იცოდა. მეკობრემ იგი მიჰყიდა ტრაპიზონის სანჯაყს, თავისი ჯარით კანდიაში რომ მიდიოდა. სანჯაყი მეკობრისაგან განსხვავებით ავხორცი იყო, თანაც მდიდარი. მან ჯერ ქინი მოიკლა, შემდეგ გაიარა პირეა, ათენის ნავსადგური და კონსტანტინოპოლისკენ აიღო გეზი. ტყვე გოგონას ამ ხნის განმავლობაში ტყუპი ბავშვი ეყოლა და კინალამ მუცელს გადაჰყვა. სანჯაყს გოგო აღარ იზიდავდა და გემის ერთ-ერთ მეზღვაურს მიჰყიდა. მეზღვაურმა კონსტანტინოპოლს წაიყვანა ერთადერთი შვილის ძიძად, რადგან ბავშვის დედა იმხანობას მშობიარობას გადაჰყოლოდა.

ასე იქცა ჩვენი ტყვე გოგონა უბავშვო დედად და უქმრო ცოლად. იტალიელი გოგო ბავშვს უვლიდა, მაგრამ ბავშვმა დიდხანს ვერ იცოცხლა. ამიტომაც პატრონმა ზედმეტ ტვირთად ჩათვალა იგი.

ერთ დღეს სასახლის აივანზე გამოსულ ებრაელ ქალს ზღვაზე გადამდგარი ერთი უხეირო ბანიდან სიმღერა შემოესმა. ვილაც ისე მომხიბვლელად მღეროდა, მსმენელს მალამოდ ედებოდა გულზე. ებრაელმა ქალმა მაშინვე მოისაზრა, ეს გოგო გამომადგებაო. მისმა დიასახლისმა, ბერძენმა ქალმა, უამბო მას ამ ტყვე ქალის უბედური თავგადასავალი. მერე ორთავენი მივიდნენ, როგორც მეზობლები, მეზღვაურის ბინაზე და კარზე დააკაკუნეს. აივანზე გადმოდგა მომღერალი ტყვე ქალი. აქამდე არც ერთ მათგანს არ ენახა იგი. რადგან იტალიელ გოგონას უკვე შეესწავლა თურქული ენა, უპასუხა, ჩემი პატრონი შინ არ არის, მე კი დამწყდეული ვარ და, რომ მოვა, შემიძლია გადავცე თქვენი სურვილიო. მომღერალ ქალს ჰკითხეს, რა ყოფაში ხარო. იმანაც უპასუხა. ამ დროს მეზღვაურიც მოვიდა. მან პირდაპირ უთხრა: თუ იმდენს გადამიხდით, რაც ეს ქალი დამიჯდა, თქვენთვის დამითმიაო. მაშინვე შეთანხმდნენ. ებრაელმა ქალმა გოგო იმავ საღამოს წაიყვანა.

ეს ებრაელი ქალი უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა, ვიდრე მეზღვაური. მყისვე ივარაუდა, რომ ასეთი ხმის პატრონი სასახლეში ადვილად შეაღწევდა. ტყვე ქალმა, თითქოს განზრახვას მიუხვდაო, უთხრა: ჩემო პატრონო ქალბატონო, იქნებ როგორმე ხელი შემიწყოთ, რომ ადამიანს დავემსგავსო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არაფერს წააგებთო.

ებრაელი ქალი გაახარა მისმა გულახდილობამ. მან უამბო, რა საცოდაობაც ხდებოდა სულთნის სასახლის კარზე, უამბო მონაოდალისკების, კადუნებისა და იმ ტყვე ქალების ამბავიც, სულთანს რომ ემსახურებოდნენ; არც ის დაუმალავს, რომ ფრიად საშიში იყო იტალიელი ქალის იქ გამოჩენა. საფრთხე რომ აეცდინათ, ჭკვიანურად უნდა ემოქმედათ. იტალიელ გოგოს უნდა განეცხადებინა, მე ამ ქალის დისწული ვარ, წარმოშობით ებრაელიო. ამასობაში გოგონას ებრაული ადათწესებიც უნდა შეესწავლა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა იტალიელი ანა ბონა გრაცია ცოტათი მომჯობინდა, სრასასახლეში მივიდა, როგორც იმ ებრაელი ქალის დისწული. სარა შელბი ძალიან აქებდა თავისი დისწულის ღირსებას, მომხიბლავ ხმას და კარგ ყოფაქცევას. ამას იმ მიზნით აკეთებდა, რომ სასახლეში მყოფ ქალებს მოესურვებინათ, შესულიყო ანა სერალში, სადაც დიდი საჩუქრებით აავსებდნენ. ამ დროს სულთნის ჰარამხანაში შემოიყვანეს ორი ახალი მშვენება. ამათ შეძლეს მოეხიბლათ ყველაზე ანჩხლი საჭურისიც კი, ვისაც უამრავი ლამაზმანი ენახა.

ახლა საჭიროა გავეცნოთ, თუ როგორ მოხვდა სულთნის ჰარამხანაში ეს ორი უმშვენიერესი ქართველი ასული.

თურქების შემოსევებმა გააჩანაგა მთელი შავი ზღვის სანაპირო, მეოტიის ჭაობები დონისა და დუნაის მთელ სიგრძეზე, ასტრახანის ზემოთ ვოლგის შესართავამდე, მთელი ქართლი, იმერეთი, სამეგრელო და ჩერქეზთა მხარე. თუმცა აღნიშნული ქვეყნები იმ დროს ხარკისაგან თითქოსდა თავისუფალნი იყვნენ, მაინც უნდა გაელოთ მსხვერპლი, რჩეული ტყვეები უნდა წარეგზავნათ თურქეთის დიდი სულთნისათვის, ჯოლო სპარსეთის შაჰისათვის — ფული. ზოგჯერ კი პირუკუ — სულთნისათვის ფული და სპარსეთისათვის რჩეული ქალ-ვაჟები. ჩერქეზეთს თავზარი დასცა ამ უჩვეულო ხარკმა, სულთნის კარისათვის მიეცა მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ასულები, მზესავით რომ ნათობდნენ მთელ დედამიწაზე.

მართალია, იმხანობას კასპიის ზღვის მეკობრეების თარეში რამდენადმე შემცირდა ჩერქეზეთში, რადგან სხვა პროვინციებთან

შედარებით ის უფრო დაშორებული იყო შავ ზღვას. მეკობრეები ძნელად უდგებოდნენ ჩერქეზეთს, ამიტომ მისი ძარცვა-რბევა კასპიის ზღვის აბრაგებს მიანებეს.

თურქების თარეშმა ზისბის დედა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, რადგან მისი ქალი ჩერქეზეთის ულამაზეს ასულად ითვლებოდა. მან იცოდა, რომ თურქეთის დიდ სულთანს პირველ ზვარაკად მის ასულს შესწირავდნენ გაისად. ამის გამო გადაწყვიტა თავისი ქალი ზემო ქართლში წაეყვანა. ზაპოროჟიეს კაზაკები უფრო ხელგაბსნილები იყვნენ შავ ზღვაზე, ვიდრე კასპიის ზღვის მეკობრეები, რადგან ისინი შეეკვრნენ ორივე მხარის ზღვის აბრაგებს — გურია-იმერეთისა და სამეგრელოს ყაჩაღებს, მრავალ ლამაზ გოგოს რომ იტაცებდნენ. მათ ეს ამბავი შეატყობინეს კაზაკთა ატამანს დოროშენკოს, კონსტანტინოპოლის ძლიერი კარის მხარდაჭერას რომ ეძიებდა პოლონეთის სამეფოს წინააღმდეგ აჯანყებისათვის. სამაგიეროდ ჰპირდებოდა, კავკასიის ქვეყნებს — საქართველოსა და ჩერქეზეთს დაგიმორჩილებო. კაზაკთა მეთაურს დიდ სულთანთან დასაახლოებლად ძღვენი სჭირდებოდა და, რაკი იცოდა, რომ მისი ყმები მოხეტიალე აბრაგებად იქცნენ და კავკასიელ ყმაწვილებსა და მომხიბვლელი სილამაზის გოგოებს იტაცებდნენ, გამოგზავნა თავისი ხელქვეითი კუნიშკი. მას უნდა მოეკლა კაზაკთა გენერალი და მასთან მყოფნიც, გამოეტაცებინა გოგოები და დიდი სულთნისათვის საჩუქრად მიერთმია. ამასთან კუნიშკის სხვა საიდუმლო დავალებაც უნდა შეესრულებინა.

კუნიშკიმ ყირიმის სახანოს (მცირე სათათრეთის) პასპორტი მიიღო და დამშვიდებული გაუდგა გზას. თან მიჰყავდა სამი ლამაზი ტყვე გოგო. დარწმუნებული იყო, რომ მათ კონსტანტინოპოლში ჩაიყვანდა, მაგრამ მაინც შიშობდა, იცოდა, რაოდენ ძნელი იყო ისე მიეგვარა დიდი სულთნისათვის უმშვენიერესი ქალწულნი, ვინმეს არ მოეკრა თვალი ან არ გაეგო. ამიტომ გადაწყვიტა მგზავრობა ტრაპიზონიდან გაეგრძელებინა.

მალე ყირიმის ხანის უმცროსმა შვილმა, სულთანმა გალგამ ბრძანება მიიღო, თავად წასულიყო, შავი ზღვის მთელ სანაპიროზე აღეკვეთა ყირიმის თათრების თარეში და მათი ურდოებიც გაენადგურებინა, რადგან ხალხის ჩივილმა უკვე კონსტანტინოპოლს მიაღწია. გალგამ სასწრაფოდ განამზადა მცირე ხომალდი.

კაზაკები ვერაფრით ვერ მოახერხებდნენ სულთან გალგასათვის თავი აერიდებინათ. მის წინაშე უსათუოდ უნდა წარმსდგარიყვნენ. ხომალდის დარაჯად ერთი კაზაკი დატოვეს, სამნი კი სულთან გალგას ეახლნენ. სულთანს წინდაწინ შეატყობინეს, თუ ვის მალავდნენ ხომალდზე. გალგამ ცივად მიიღო კაზაკები. შემდეგ ჰკითხა: ვინ ხართ, ან საით მიდიხართო. მათ პასპორტები უჩვენეს, სხვა არაფერი უპასუხნიათ. სულთანმა გალგამ თქვა: თუმცა მამაჩემის მოხარკემ დოროშენკომ გამოგგზავნათ, მაინც უფლება არა გაქვთ ამ ქვეყნის გოგოები მოიტაცოთ და ოსმალეთის სამეფოს კანონიც შებღალოთო.

მათ უპასუხეს, ჩვენ ეს საქმე არ გვეხება, რადგან ვაჭრები არა ვართო. გალგამ ბრძანა, ხომალდი გაეჩხრიკათ. ასეც მოიქცნენ და—სამი ლამაზი ტყვე გოგო ნახეს. ისინი სულთან გალგას მიჰგვარეს. სულთანი გალგა გაოცებული უყურებდა, მთელი თხუთმეტი წუთი ხმა ვერ ამოელო, იმდენად მოაჯადოვა მათმა უჩვეულო სიტურფემ. როცა გონს მოვიდა, გაოგნებულმა ესლა იკითხა, სად იპოვნეთ ეს სამი უმშვენიერესი ასული, რომელთა მსგავსი ჯერ ჩემს თვალებს არ უხილავსო.

კაზაკებმა უპასუხეს, ორი გოგო ყაჩაღებმა მოიტაცესო იმერეთ-ქართლში, მესამე კი — სამეგრელოში. თავი იმართლეს, ჩვენ არ მოგვიტაცნია, ჩვენ მხოლოდ ვიყიდეთ ისინი, რათა დიდ სულთანს საჩუქრად მივგვაროთო.

მათ ეგონათ, რომ სულთან გალგას ეს პასუხი სავსებით დააკმაყოფილებდა. მაგრამ ცბიერმა სულთანმა ხერხი იხმარა და უთხრა: მოტაცებამდე უსათუოდ ეს გოგოები ტახტის მემკვიდრისათვის უნდა გეჩვენებინათო. კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ასულების სილამაზისაგან რეტდასხმულს თვითონაც არ გაეგებოდა, რას ლაპარაკობდა.

კაზაკებმა სულთან გალგას პირველად ჩერქეზი ასული მშვენიერი ზისბი აჩვენეს, მეორედ — მეგრელი გოგო ანა რუსპია, თერთმეტთორმეტი წლისა. მოგრძო პირისახეზე ვარსკვლავებივით უბრწყინავდა ცისფერი თვალები; ქერა თმა, ძალიან პატარა ბაგე-პირი და მარგალიტივით კბილები ჰქონდა, თეთრი მარმარილოსავით ყელი. წლოვანებასთან შედარებით დიდი ტანისა იყო. უზადო კანი ჰქონდა მთელ სხეულზე, სიარულის დროს ისე სასიამოვნოდ ირხეოდა, ზედ ეტყობოდა კეთილშობილური წარმოშავლობა. სულთანი გალგა დაყინებით შესცქეროდა პირველს, მეორე ნაუცბათევად შეათვალიერა, მხოლოდ ერთხელ ამოიოხრა, თან იმ მხარეს გასცქეროდა, საიდანაც მესამე შემოჰყავდათ.

ეს მესამეც ქართველი გოგო იყო, სახელად ფედე რეტიმა, თორმეტ-ცამეტი წლისა, უზა-

დო სიტურფის პატრონი. ისეთი დიდებული სახე ჰქონდა, ისეთი გამოხედვა, რომ თვით სულთანსაც კი რეტი დაასხა. მისი დიდრონი შავი თვალები ცეცხლს აფრქვევდა. ფედე რეტიმას თეთრი პირისკანი ჰქონდა და კუპრივით შავი თმა. არც ერთ კალამს არ ძალუძს მისი სილამაზის აღწერაო, განცვიფრებული ამბობს ანონიმი ფრანგი ავტორი, ვისაც პირადად ჰყავდა ნანახი ფედე რეტიმა.

როცა სულთანი გალგა თავს მოერია, ამოიოხრა და თქვა: ჰოი, დიდო ბატონო, ოსმალეთის იმპერიის დიდად ბედნიერო ხელმწიფევ, რომ იცოდე, როგორ მშურს შენი!

შემდეგ მიუბრუნდა კაზაკების წარმოგზავნილს და უთხრა: სიამოვნებით გრთავ ნებას წაიყვანოთ ესენი, ხოლო ეს, მან ზისბის დაადო ხელი, უმჯობესია ჩემთან დარჩეს, იგი ჯერ ცხრა წლისაც არ არის. თავისი სამშობლოს მაცოცხლებელ ჰაერზე იგი უკეთ შეინარჩუნებს თვალწარმტაც სილამაზეს, ვინ იცის, იქნებ სხვა ქვეყანაში ვერ გაიფურჩქნოს მისი მშვენება. გავა წლები, მომწიფდება და დიდ სულთანს შემდეგ ეახლებაო.

თუმცა კაზაკების გამოგზავნილები სულთან გალგას უმტკიცებდნენ, დიდი სულთნისათვის სხვადასხვა ასაკის ასულნი საგანგებოდ შევარჩიეთო, მან აინუნშიაც არ ჩააგდო მათი სიტყვა, ზისბი და დედამისი თავისთან დაიტოვა, ორი გოგონა კი აბრაგებმა იალქნიანი ხომალდით კონსტანტინოპოლისაკენ წაიყვანეს.

როგორც კი კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ, რუსპია და რეტიმა მაშინვე სასახლეში მიიყვანეს.

თვრამეტი თვე გაატარეს რუსპიამ და რეტიმამ სრასასახლეში და დიდ სულთანს ჯერ კიდევ არ ენახა ისინი. ეს საცოდავი არსებანი, არნახული სილამაზის მქონენი, განთქმული კადუნის მაიუმას ხელში მოხვდნენ. ეს ქალი დაბადებით ხიოსელი ბერძენი იყო, ძალიან კარგად მიღებული დიდი სულთნის კარზე. ორმოცდაორი წელი ერთგულად იმსახურა სრასასახლეში და ყველაზე უფრო მშრომელი კადუნი იყო სულთნის სერალში.

ახალი ტყვე გოგონების გამოჩენამ სულთნის ჰარამხანაში ცნობისმოყვარეობა აღუძრა იქ მყოფ ქალებს. ჰარამხანის გამგე ქალმა მაიუმამ სულთანს აცნობა ახალი ამბავი და აუწერა ჯერ კიდევ ნორჩი გოგოების არაჩვეულებრივი სილამაზეც. მაჰმუდმა მოითხოვა თავისი სასახლის ფანჯრიდან დაენახვებინათ ისინი. როცა მან თვალი მოჰკრა მრავალ ქალთა შორის სილამაზით გამორჩეულ რუსპიასა და რეტიმას, დიდხანს ვერ მოსწყვიტა მზერა, მაიუმას კი უბრძანა საგანგებოდ ეზრუნა გოგონებზე.

როგორც ითქვა, ანა რუსპია და ფედე რეტიმა ჯერ თორმეტ-ცამეტი წლისანი იყვნენ. ჰარამხანის წესდების მიხედვით კი ესენი სიმწიფის ასაკს მხოლოდ სამი წლის შემდეგ მიაღწევდნენ. სწორედ ამ ასაკში გაიფურჩქნებოდა სრულად მათი მშვენებაც.

იმხანობას საიდუმლოებით მოცული ჰარამხანის სასახლეში მაიუმას ნებართვით გზა ხსნილი ჰქონდა ებრაელ ქალს სარა შელბის და მასთან მყოფ იტალიელ გოგონას, ანა ბონა გრაციას. თუმცა ანა ბონა გრაცია ულამაზო იყო, სამაგიეროდ არაჩვეულებრივად მომაჯადოებელი ხმა და მხატვრობის ნიჭი მიემადლებინა ბუნებას. ამიტომ ყვავილებს ამოფარებული წკრიალა ხმით მომხიბვლელ იტალიურ სიმღერებს მღეროდა, თან სხვა ქალებისაგან მალულად ხატავდა ღვთაებრივი სილამაზის რუსპიასა და რეტიმას. გარეთ გამოტანილ სურათებს სარა შელბი ჩუმად ჰყიდდა ძალიან დიდ ფასში. იტალიელი ყმაწვილი ქალი ანა ბონა გრაცია რამდენჯერაც შეეიდოდა ჰარამხანაში, იმდენჯერ გაჩოჰქონდა ლამაზი რუსპიასა და რეტიმას სხვადასხვა სურათი, ახლო აღმოსავლეთის ყველა ბაზარზე სილამაზის მოტრფიალე მუშტარს რომ პოულობდა. ასე გრძელდებოდა ორი წელი. მაგრამ ერთხელაც ფედე რეტიმას პორტრეტი სარა შელბის ნათესავმა ალეპოს ფაშას უფეშქაშა. იგი იმდენად მოაჯადოვა ამ სურათმა, რომ განიზრახა სულთნის გულის მოგება და მას გაუგზავნა. სტამბოლის სულთანი მაჰმუდი ძალიან გააოცა ულამაზესი ასულის სურათმა და ნახატი დიდხანს გულისყურით ათვალიერა. სულთანს ეცნაურა ქალის ჰაეროვნება თუ სინატიფე და მის მრავალრიცხოვან ჰარამხანის მობინადრეთა შორის ფედე რეტიმას მიამსგავსა, მაგრამ მაინც ვერ დაიჯერა, რომ ულამაზესი რეტიმას სურათი ასე შორს, ალეპოს ფაშას ხელში შეიძლებოდა მოხვედრილიყო. თავისი ეჭვების შესამოწმებლად სულთანმა უხმო საჭურის ბაშს — მას ევალებოდა ქალებზე უხმო თვალყურის დევნება და ჰარამხანის საიდუმლოების დაცვა — და ჰკითხა საჭურისს: სურათზე გამოსახული ქალი ხომ არ გეცნობაო. კიო, უპასუხა საჭურისმა, ეს სწორედ ლამაზი ფედე რეტიმაა, ღვთის სწორი! — მერედა როგორ მოხვდა შორეულ ქვეყანაში ჩემს ჰარამხანაში მყოფი ქალიშვილის სურათი? — მძვინვარებდა სტამბოლის სულთანი მაჰმუდი.

შეძრწუნებულმა საჭურისმა სიკვდილისაგან თავის დასახსნელად გამოძებნა სიმართლეს-

თან მიახლოებული მიზეზი: სანამ რუსი კაზაკები თქვენი უდიდებულოსების ჰარამხანაში ამ ორ ოდალისკს მოიყვანდნენ, ალბათ მანამდე დაუხატიათ ეს სურათი და ფულის მოსაგებად მთელ ქვეყნიერებაზე გაუვრცელებიათო. ეს სურათიც ერთი იმ მრავალთაგანი იქნებაო.

ეჭვით შეპყრობილი სულთანი ცოტათი დამშვიდდა, მაგრამ მაინც ვერ მოისვენა. მოიპმო თავის ჰარამხანის უერთგულესი ქალი მაიუმა და მასაც იგივე კითხვა მისცა, რაც საჭურისს. სულთანმა სასახლის საიდუმლო ფანჯრიდან გადაახედა მაიუმა და უბრძანა: აბა შეხე იმ მშვენიერ რეტიმასა და ამ სურათს, ხომ სწორედ მისი ასლია და სხვა არავისიო! გულგახეთქილი მაიუმა, სიკვდილის მოლოდინში პირქვე დამხობილი, ეამბორებოდა სულთნის ფეხებს, აქვითინებული შესთხოვდა შეწყალებას და ეფიცებოდა, რომ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია და ჰარამხანის საიდუმლოება არსად არ გაუმჟღავნებია, არც მხატვარი შემოსულა ვინმე, რომ პირმშვენიერი რეტიმა დაეხატოსო. შესაძლებელია ვინმემ აქ მოყვანამდე დახატაო. სულთან მაჰმუდმა უთხრა: როცა ფედე რეტიმა მოიყვანეს, მაშინ ის თორმეტ-ცამეტი წლისა იყო, ამ სურათზე კი იგი უკვე თოთხმეტი-თხუთმეტი წლისაა და სილამაზითაც მზის სადარიო.

კადუნმა სიკვდილს რომ გადაურჩა, აუკრძალა ებრაელ ქალს სარა შელბის შემოეტანა სურათები (ესენი იყო დიდი ვეზირის, ევროპის უფლისწულების, სულთნის ჯარის სარდლებისა თუ ოფიცრების სურათები 25 წლის ასაკიდან 50 წლის ასაკამდე). მაგრამ ვაჭარი ებრაელი ქალი განა ასე ადვილად დაეხსნებოდა სარფიან საქმეს? ერთხელაც საჭურისმა ბაშმა შეამჩნია, რომ ებრაელ ქალს ჰარამხანაში შემოჰქონდა მამაკაცების პორტრეტები და მაშინვე დაიჭირა. ახლა კი მიხვდა იგი, რა გზით გადიოდა ჰარამხანიდან პირმშვენიერ ასულთა სურათები მსოფლიო ბაზარზე. ჰოდა, თავისი ერთგულების დასამტკიცებლად ჩვეული სისასტიკე გამოამჟღავნა. როცა დიდი სულთანი შიდა ანატოლიაში ნადირობით ერთობოდა, ღამის ორ საათამდე დაამწყვდია სარა შელბი სერალის ერთ გუმბათში ზღვის პირას. შუალამისას სამმა ბოსტანჯმა მიახრჩო ქალი და წყალში გადააგდო იმავე კარიდან, საიდანაც გაბრძანდებოდა ხოლმე დიდი სულთანი სრასასახლიდან ზღვის სანაპიროზე სასეირნოდ.

სარა შელმის ხელზე აღმოაჩნდა კონსტანტინოპოლის მამაკაცების უცნობი პორტრეტები, ევროპის გარეთ მყოფი უფლისწულებისა და დიდებულთა სურათები, რომიდან და სხვა ქალაქებიდან რომ უგზავნიდნენ, რათა სამაგიეროდ მასაც გაეგზავნა ბერძენ ლამაზ ქალთა სახელწოდებით ცნობილი რეტიმასა და რუსპიას პორტრეტები. სწორედ ეს პირველი ყუთი ჩაუვარდა ხელში საჭურისს, რაც გახდა მიზეზი ებრაელი ქალის დაღუპვისა. ამ გზით შეიძინეს თურქებმა სურათები ევროპის ყველა სახელოვანი პიროვნებისა და უფლისწულისა. მეორე ყუთში ეწყო საფრანგეთის დედოფლისა და მეფის პორტრეტები. ამ სურათებით იცნობდნენ რეტიმა და რუსპია თურქეთის იმპერიის პირველ ოფიცრებს. რუსპიას მოეწონა საპერცოგოს ფაშას ძმა, ვისი ცოლიც გახდა იგი შემდეგში. ყველა ამ პორტრეტთა შორის გამოირჩეოდა ყარა მუსტაფას სურათი, შემდეგში დიდი ვეზირი და ყაიმაყამი რომ შეიქნა. რეტიმას ის მოეწონა, მაგრამ რადგან ამაყი ბუნება ჰქონდა და თან ძალიან ლამაზი იყო, თავისი ბედი მას არ დაუკავშირა.

იტალიელი მომღერალი და მხატვარი ანა ბონა გრაციას სარა შელბის დაღუპვის დღიდან სერალში აღარ შეუშვიათ. ანა ბონა გრაციამ ქრისტიანული სარწმუნოება ებრაულზე გაცვალა და ებრაელზე გათხოვდა კიდეც.

დიდი სულთნის ხელისუფლებმა ანა ბონა ვრაციას ჯაშუშობა დასწამეს, ვითომცდა იგი სასახლეში ყოფნის დროს ცნობებს აწვდიდა ევროპის მთავრობებს ოსმალეთის სახელმწიფოს შინაგან ვითარებაზე, რისთვისაც ცოლ-ქმარი ჯურღმულში ჩააგდეს. ერთდროულად ებრაელთა სინაგოგის ხელმძღვანელებსაც დასწამეს ცილი, უცხოეთის დაზვერვას უწყობთო ხელს. ეს მეტად მძიმე ბრალდება მეჯლისში განიხილეს. სანამ განაჩენს გამოიტანდნენ, ებრაელთა თავკაცებმა ფული დაატრიალეს და ამგვარად საბედისწერო განაჩენი აღარ გამოატანინეს.

როცა დიდი სულთანი ანატოლიიდან დაბრუნდა, საჭურისმა ბაშმა მოახსენა სარა შელბის ჩადენილი დანაშაული, უამბო მისი დაპატიმრების, დახრჩობისა და სერალიდან ზღვაში გადაგდების ამბავიც, რის გამო დიდმა სულთანმა შეუქო საჭურის ბაშას ერთგულება და სამართალიც მოუწონა.

ამ ხნის განმავლობაში ქართველი გოგო ფედე რეტიმა უკვე თხუთმეტი წლისა შესრულებულიყო და დიდი სულთნის საყვარელი ცოლი გამხდარიყო. ებრაელებმა საიდუმლო გზებით მიმართეს რეტიმას, რათა მას ეშუამდგომლა დიდი სულთნის წინაშე და დაპატიმრებული და ჯურღმულში ჩაგდებული ცოლ-ქმარი შეეწყალებინა. რეტიმამ უაღრესი გულმოდგინებით შეასრულა მათი თხოვნა და ასე

მიმართა დიდ სულთანს: დიდო ხელმწიფევ! კარგად მოგეხსენებათ ებრაელთა საქმიანობა. ისინი დაინტერესებულნი არიან ფულის მოხვეჭით. თუ სასახლეში შემოჰქონდათ სურათები გასაყიდად და თან გაჰქონდათ დახატული პორტრეტები, ეს მხოლოდ ფულის სიხარბით მოსდიოდათ და არა რაიმე პოლიტიკური მიზნით. ამიტომ ჯურღმულში ჩაყრილი ცოლ-ქმარი ღირსი არ არიან ასეთი სასჯელისა. მათ მხოლოდ უნდა აეკრძალოთ სასახლეში შემოსვლა და აკრძალული სურათების შემოტანაო. სულთანს ჭკუაში დაუჯდა რეტიმას რჩევა და ბრძანა დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ ცოლ-ქმარი.

სულთნის სადედოფლოდ სერალში ქალებს ასე ამზადებდნენ: სულთანი მაჰმუდი საჭურის ბაშს უხმობდა და უბრძანებდა, რომ ჰარამხანიდან ორი ოდალისკი მოემზადებინა და ეჩვენებინა, რათა ერთ-ერთი მათგანი ამოერჩია საყვარლად და საცოლედ. ფედე რეტიმა და ანა რუსპია თმის დავარცხნით იყვნენ გართულნი, როცა საჭურისმა აცნობა, სულთანთან წარსადგენად მოიკაზმეთო. სანამ სულთანს პირისპირ შეხვდებოდნენ, მაჰმუდმა მოინდომა თავისი სასახლიდან დაენახა ორი ყმაწვილი ქალი, თხუთმეტი წელი რომ შეუსრულდათ. სულთანმა მაჰმუდმა მართლაც დაინახა სასახლის ბაღში მომავალი ორი ასული, ორივე ძალიან კოხტა და არაჩვეულებრივი სილამაზით ნათელმოსილნი, ელვარებას რომ აფრქვევდნენ მწვანე ხეივანში. რეტიმა აჩქარებით ესაუბრებოდა რუსპიას იტალიურ ენაზე, რათა სხვას არავის გაეგო მათი საიდუმლო ნალაპარაკევი. შეთანხმდნენ, ვისი ბედიც არ უნდა გადაწყვეტილიყო ახლა, შემდეგში ერთმანეთი არ დაევიწყებინათ და უსათუოდ მოენახულებინათ, რა მდგომარეობაშიც არ უნდა ჩავარდნილიყვნენ. ერთმანეთს მხურვალე სიყვარული და ერთგულება შეჰფიცეს. მათ საუბარს მაიუმა უსმენდა, თუმცა კარგა მანძილით იყო დაშორებული მათგან. მან იტალიური იცოდა. მაიუმა მოკლე გზით სულთანთან ადრე მივიდა და მაშინვე მოახსენა მათი ნალაპარაკევი.

როცა რეტიმა და რუსპია სულთანს პირისპირ წარუდგნენ, სულთანმა ჰკითხა: აქ მოსვლამდე გზაში ერთმანეთს რა უთხარითო. რეტიმამ პირველმა უპასუხა: როგორც კი თქვენი უდიდებულესობა ერთ ჩვენგანს ამოირჩევს საცოლედ, იმ წუთიდან ჩვენ ერთმანეთს სამუდამოდ ვშორდებით. ამიტომ, თქვენო უდიდებულესობავ, ერთმანეთს ერთგულება შევფიცეთ, რომ არასოდეს დაგვევიწყებინა ჩვენი საერთო ბედი.

მაჰმუდმა საცოლედ რეტიმა ამოირჩია. საჭურისმა ბაშმა რუსპია უმალვე წაიყვანა უკან, რომ მეორე დღესვე სერალის გარეთ გაეთხოვებინათ რომელიმე ოფიცერზე.

სერალის წესდების მიხედვით სულთანი განსაზღვრული დროის მანძილზე ქალს არ ეკარება. ამ ხნის განმავლობაში მისთვის ამზადებენ ქალიშვილს, რომ უდიდესი ზარ-ზეიმით შეუღლების შემდეგ მასთან მხოლოდ ათი დღე-ღამე გაატაროს, მერმე კი თავს ანებებს. ხოლო კარგა ხნის შემდეგ თავის ჰარამხანაში კვლავ ამოირჩევს ხოლმე რომელსამე ცოლყოფილს ან თხუთმეტი წლის ასულს და ყოველივე ისევ თავიდან მეორდება.

შვიდი თვის ფეხმძიმე რეტიმას სულთანმა უდიდესი სულიერი მღელვარება განაცდევინა, რის გამოც ქალმა ნაადრევად მოიმშობიარა და მკვდარი ბავშვი დაჰბადა.

საერთოდ, ჰარამხანის მრავალრიცხოვან ქალთაგან თითქმის ყველას სურს სულთანს მოეწონოს და როგორმე მისი ცოლი გახდეს, რომ ამით სხვებზე უპირატესი მდგომარეობა მოიპოვოს. ამიტომ ერთმანეთს ქიშპობენ და ინტრიგების ქსელს აბამენ.

ანონიმ ავტორს ჩაწერილი აქვს რეტიმასა და რუსპიას ნალაპარაკევი, არა აქვს გამოტოვებული არც ერთი წვრილმანი, საიდანაც ვიცით, თუ რა დიალოგი იმართება სულთანსა და ჰარამხანაში აღზრდილ ყმაწვილ ქალს შორის შეხვედრის პირველ ღამეს.

სულთანმა უბრძანა საჭურის ბაშს სასახლეში საქორწინო სარეცელი მოემზადებინა.

სულთანმა ასე მიმართა რეტიმას:

— მართალია, შენ დიდსულოვანი დაიბადე, მაგრამ შენ გჭირდებოდა ისეთი ვინმე, დედოფლად რომ გაგხდიდა.

რეტიმამ მედიდურად უპასუხა: მე შენთვის ვარ დაბადებული. შენ ღირსი ხარ, რომ მსოფლიოს მეუფებდე, მაგრამ გიცხადებ, რასაც მე გაჩუქებ, არა ნაკლებ ძვირფასია, ვინემ ის, რასაც შენ მე მიბოძებ.

სულთანი: შენ გგონია, რასაც შენ მჩუქნი, იმაზე ნაკლებია, რაიც შენ უნდა მიიღო? თუ ასეა, მაშინ მე უმადური ვყოფილვარ.

რეტიმა: რასაც შენ მიბოძებ დედოფლობისათვის, შენთვის არაფრად არა ღირს, მაგრამ რასაც მე შენთვის ვიმეტებ, ძვირი უნდა დამიჯდეს, შენ კი ამაში ოხვრასაც არ გაიმეტებ.

სულთანი: რასაც შენ დიდად აფასებ, მე მას მცირე ფასსა ვდებ, ხოლო ფასი არა აქვს იმას, რასაც შენ ჯეროვნად არ აფასებ.

სულთანმა მაჰმუდმა ფედე რეტიმა ორსული მიატოვა, სამაგიეროდ, პოლონელი ქალი დაიახლოვა. ამ ქალმაც მკვდარი ბავშვი შობა.

რეტიმას პოლონელი ქალის ჯავრი სჭირდა, რადგან პოლონელმა ქალმა რეტიმა სულთანთან დაასმინა, აქაოდა რეტიმა ებრაელი ქალის შემოტანილ მამაკაცების სურათებს იღებდაო. ამ უსიამოვნების გამო მოეშალა რეტიმას მუცელი.

ფედე რეტიმას არასოდეს შეუწყვეტია ურთიერთობა სერალის გარეთ გათხოვილ თავის ყველაზე საყვარელ ადამიანთან, ლამაზ რუსპიასთან და მასვე უზიარებდა თავის გულის ტკივილებს.

იმ დროს თურქეთს ომი ჰქონდა ავსტრია-უნგრეთთან. რადგან ანა რუსპიას ქმარი ომში მონაწილეობდა, ამიტომ თავისი ცოლ-შვილი კონსტანტინოპოლიდან თან წაიყვანა. რუსპიამ შვიდ წელიწადში სამი მშვენიერი ვაჟი და ერთი გოგო შესძინა თავის ქმარს. ჰერცოგოვინის ფაშამ ნოიპაასელის მიდამოებში ბრძოლების დროს პირველ ხანებში დიდი წარმატება მოიპოვა, მაგრამ მეორე წელს ავსტრიის ჯარებმა შეუტიეს და სძლიეს თურქეთის ჯარს. რუსპიას ქმარი პირველი ოფიცერი იყო, ბრძოლის ველზე რომ დაეცა. სასიკვდილო ჭრილობებით ორი დღე და ღამე იცოცხლა. იგი სხვას არას ნაღვლობდა, მხოლოდ თავის ძვირფას რუსპიაზე დარდობდა და მის ხელში გარდაიცვალა. ასეთი მაღალი რანგის ოფიცრის ცოლს ტყვეობიდან რომ დაეღწია თავი, არც ისე იოლი საქმე იყო. რუსპია რომ არ ეცნოთ და არ დაეტყვევებინათ, მან უბრალო ტანსაცმელი გადაიცვა და ხალხში გაერია. ადგილობრივმა ფაშამ მაჰმადიანები მეჩეთში შერეკა, რომ ან შიმშილით ამოეხოცა ან კიდევ ცეცხლში ჩაებუგა, რათა გამარჯვებულ ქრისტიანებს ტყვედ არ ჩავარდნოდნენ. ამ მეჩეთში უკვე ათას რვაასი ქალი და ქალიშვილი შეერეკათ. მათ შორის იყვნენ წარჩინებული არსებანიც.

ბავარიის დუკამ წინასწარ ყველა ღონე იხმარა მეჩეთში მყოფი ქალების გადასარჩენად, რადგან იცოდა, რომ თურქების წესის თანახმად ყველას უმოწყალოდ გაჟლეტდნენ, რათა თურქების ქვეშევრდომნი ქრისტიან მტერს ხელში არ ჩავარდნოდნენ.

ავსტრიის მეომრები ომში შეუბრალებლები იყვნენ: ვისაც კი ხელთ იგდებდნენ, ცოცხალს არა სტოვებდნენ და სხვა ბევრ საშინელებას ჩადიოდნენ დაპყრობილ ქვეყანაში.

ანონიმი ავტორი მოწმე და მონაწილეა ამ ბრძოლებისა. აი, რას გვიამბობს იგი: ასეთი ოროომტრიალის დროს მოულოდნელად ფეხებში ჩამივარდა ქალების ერთი ჯგუფი, ჩემგან შველას რომ ითხოვდნენ, მათ მუსლიმანთა რომელიღაც მუფტი ვეგონე. ამ ქალთა შორის იყო ერთი ახალგაზრდა მანდილოსანი, მშვენიერ იტალიურზე რომ ლაპარაკობდა, რამაც ძალიან გამაკვირვა. იგი ჩემი მსახურის ლაბადაში გავახვიე. ეს ქალი ბერძნულსაც ლაპარაკობდა, რაც, საერთოდ, უჩვეულოა თურქი ქალისათვის. ჩემმა მსახურმა შესანიშნავად იცოდა იტალიურ-ბერძნული ენა და სწორედ ის გვიწევდა თარჯიმნობას ორივეს. ეს ქალი ითხოვდა სასწრაფოდ წამეყვანა ჩემს კარავში, რათა ხელიდან გასხლტომოდა გერმანელებს, ყოველგვარ უმსგავსოებას რომ ჩადიოდნენ.

შევამჩნიე, რომ ამ ქალს მაგრად ჩაეჭიდა ხელი ცხრა-ათი წლის პატარა გოგონასათვის, დედაზე არა ნაკლებ ლამაზი რომ იყო. მსახურს ვუბრძანე, საიმედო ადგილას წაეყვანა ისინი, ქალს კი ქრისტიანის პატიოსანი სიტყვა მივეცი, რომ რასაც მოისურვებდა, იმას ავუსრულებდი.

ბოლოს ქალი დამშვიდდა, რაკი თავი სამშვიდობო ადგილას დაიგულა. უცებ მან საოცრად ჭუჭყიან ძონძებში გახვეული ორი ძვირფასი მარგალიტის ყელსაბამი გამოაჩინა და მისი შენახვა მანდო; ერთი ძვირფასი მინიატურული პორტრეტიც ჰქონდა თან (ეს იყო რეტიმას პორტრეტი), მთლად წვრილი ლალითა და ალმასებით შემკული. ტურტლიან და ოფლით გაპოხილ თმაში ჩაეწნა გაქონილი ძველი თოკი, რაშიც ოცზე მეტი მსხვილი და მშვენიერი ალმასი ჩაემალა.

ჩემი თავი სიზმარში მეგონა, როცა ვუყურებდი, რაოდენი სიმდიდრე დაემალა ერთ ქალს. რომ მეგონა, ყველაფერი დასრულდა-მეთქი, უცებ პატარა გოგონასაც აღმოაჩნდა ოქროს დუკატები. მათ მითხრეს, სამი დღე არაფერი გვიჭამიაო. ორი ლამაზად თლილი ლალი გოგონას ნაწნავებში აღმოაჩნდა. თვით გოგონამაც კი არა იცოდა რა ამაზე.

ამდენი ძვირფასეულობა ცხოვრებაში მას კარგად გამოადგებოდა. თავი მოვალედ ჩავთვალე, რომ მასზე მეზრუნა და გზაზე დამეყენებინა. უპირველესად შევეცადე ამ დანგრეულ ქალაქში საღმე გამომენახა მისი შესაფერისი ტანისამოსი. შემდგომ ამისა მშვენიერი რუსპია წავიყვანე გრაცში, ჩემი მეგობარი სოვდაგრის ოჯახში. პანსიონში თხუთმეტი თვე დარჩა. მთელი ეს ხანი ვზრუნავდი, რომ გამეთავისუფლებინა და ბელგრადში გადამეყვანა. ამ ქალაქში მან ბევრი სათავგადასავლო ამბავი მომითხრო.

რუსპიას ვუჩვენე ხიოს ფაშას მემუარები, ზისბის დედას, ლამაზსა და გმირ ქალს, კაზაკ კემისკის ცოლს რომ ეხებოდა. მას გაუხარდა, რომ ხელთ მქონდა მისთვის ძვირფასი ცნობები. რუსპიამ დაწვრილებით მიამბო სულ-

თნის სასახლის დაფარული საიდუმლოებანი. როცა ყველაფერი მითხრა, მის ძვირფას მეგობარ ქალ რეტიმაზე, ცრემლი მოერია და დასძინა, ძალიან კმაყოფილი დავრჩებოდი, მშვენიერებით განთქმული ზისბის თავგადასავალი რომ მცოდნოდაო.

თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ რუსპიას მონაყოლს, მაშინ უნდა დავიჯერო, რომ სწორედ ზისბის შევხვდი ვოლგა-დონის არხზე თავის კადუნთან ერთად. ზისბის მეზღვაურის ტანთსამოსი ეცვა. მე იგი მსახურად ავიყვანე, რათა ქრისტიანად მოქცეულიყო.

რუსპიამ დაჟინებით მთხოვა მომეძებნა ზისბი. მივწერე ნიკოპოლის ეპისკოპოსს, ჩემს ახლო მეგობარს, შეეტყობინებინა ზისბის ამბავი, თუ რამ იცოდა. მაგრამ უარით მიპასუხა.

ეპისკოპოსმა მხოლოდ ზოგი რამ შემატყობინა: ზისბიმ უკვე ბერძენთა სჯული მიიღოო, — ყირიმის სერალში იგი ხომ მუსულმანად აქციეს, — რადგან იგი უკვე გათხოვდა და ამჟამად დედაა, აღარ შეიძლება მისი აღგილსამყოფელის გამხელაო. სულთან გალგას სადაც არ უნდა აღმოეჩინა თავშეფარებული ზისბი, უკან დააბრუნებდა, ის ხომ ჯერაც ძალიან ლამაზი იყო. შურით აღვსილი ავხორცი ურჩხულები ქვესკნელშიც კი ჩაჰყვებოდნენ ამ უმშვენიერეს ქალს.

რუსპიას გავაგებინე, რომ მთელი ჩემი ცდა უშედეგო აღმოჩნდა, რომ მათ ვერაფერი ვერ მითხრეს, გარდა იმისა, რომ ზისბი ძალიან კარგადაა გათხოვილი, კმაყოფილია თავისი ოჯახით, კვლავ ძალიან ლამაზია და უკვე კათოლიკე გამხდარა.

რუსპიამ ამ უკანასკნელ სიტყვებზე ამოიოხრა.

დიდი დავიდარაბის შემდეგ რუსპია ჩავაბარე საიმედო ოფიცერს, მან მდინარეზე ნავით სამშვიდობოს გაიყვანა იგი. რუსპიას მივეცი ჩემი მისამართი ვენეციაში, რათა მოეწერა თავისი ამბავი ერთი ებრაელის მეშვეობით. შემდგომ გავიგე, რომ იგი მოუთავსებიათ კებონაჟში, ანუ საგანგებო სახლში, სადაც ათავსებდნენ ქვრივსა თუ ოჯახიდან დათხოვნილ ქალებს. იქ შეიძლებოდა მათი ნახვა და ცოლადაც შერთვა, თუკი ორივე მხარე ფულს გადაიხდიდა. მაჰმადიანთა წესით ყველა შვილი მამას ეკუთვნის. ბელგრადში ჩასულ რუსპიას მალე ბედმა გაუღიმა. იგი ცოლად შეირთო ერთმა ბეგლარბეგმა, აზიაში რომ ბრუნდებოდა. რუსპია წაჰყვა ქმარს აზიაში. იქაც მივწერე წერილი ერთი ებრაელის მეშვეობით, მაგრამ პასუხი ველარ მივიღე. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ვენეციიდან მალე გამოვბრუნდი და მეორეც, ის ებრაელი, შუამდგომლობას რომ გვიწევდა, თურმე მომკვდარიყო.

ჩერქეზი ქალის ზისბის საოცარი თავგადასავალი

პოლონეთის სამეფოს ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებულმა უბედურმა კაზაკმა კემისკიმ საქართველოს შეაფარა თავი და აქ დაქორწინდა ლამაზი ზისბის დედაზე. მაგრამ კაზაკი იძულებული გახდა დაშორებოდა თავის ცოლს და დედა-შვილი ჩერქეზეთში გაეგზავნა თავის დეიდასთან.

როცა კაზაკმა კემისკიმ შეიტყო, რომ ჩერქეზეთში დიდი ოჯახური უსიამოვნება სუფევდა დეიდამისსა და მის ცოლ-შვილს შორის, მოითხოვა, ცოლი და შვილი უკან დაბრუნებულიყვნენ.

ზისბის დედას უარი არ უთქვამს. თავისი მცირე ქონებითა და ტურფა ასულით მიატოვა ჩერქეზეთი, რათა თავი დაეღწია იმ ხარკისაგან, ეს ქვეყანა რომ უხდიდა ყოველწლიურად დიდ სულთანსა და სპარსეთის ხელმწიფეს, ისევე, როგორც საქართველო, ლამაზი ქალვაჟების სახით. მას უნდოდა ეცხოვრა დამოუკიდებლად და თავისუფლად ეღიარებინა ქრისტიანული სარწმუნოება. მარტოხელა ქალი კარგად ხედავდა, რომ მისი ქალიშვილი ღღეს თუ ხვალ ხარკის მსხვერპლი გახდებოდა. მან გადაწყვიტა გასცლოდა ჩერქეზეთს და გადასულიყო თავის მშობლიურ ქვეყანაში — საქართველოში, მაგრამ როგორ გაეყვანა თავისი ქალი ჩერქეზეთიდან? კანონი კრძალავდა მდედრობითი სქესის წარმომადგენლის ამ ქვეყნიდან გაყვანას. ჩერქეზი ქალები ხომ, სხვა ეროვნებასთან შედარებით, მრავალშვილიანობით არ გამოირჩევიან. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ჩერქეზეთში მამაკაცთა რაოდენობა თანდათან მცირდებოდა.

იგი ერთ საღამოს მივიდა ზღვის პირზე, სადაც ბედად ორი მეთევზე ნახა: მათ ბადე ჩახერგოდათ და ერთმანეთში ჩხუბობდნენ ათი აბაზის გულისთვის. ზისბის დედამ უთხრა: თუ თქვენ ერთ რამეს შემისრულებთ, მაშინ ორივეს დაგაკმაყოფილებთ და თვითეულს ახალ ბადეს გაჩუქებთო. ისინი ღარიბები იყვნენ და რასაკვირველია, დაეთანხმნენ ამ წინადადებაზე. ქალმა ასეთი პირობა წაუყენა: მე და ერთი ბავშვი (ის აღარ უთქვამს, ბიჭი თუ გოგო) საქართველოში უნდა გაგვიყვანოთ. თუ თანახმანი ხართ, წავალ და ბავშვსაც მოვიყვანო.

რადგანაც ჩერქეზეთიდან ბავშვების გაყვა-

ნა აკრძალული იყო, ისინი კარგა ხანს ყოყმანობდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც სძლიათ მოგების სურვილმა და დათანხმდნენ. ერთი მათგანი წაჰყვა ბავშვის წამოსაყვანად. ბავშვს პირისახე დაფარული ჰქონდა. ამ დროს მეორე მეთევზე ბერძნულ იალქანს შლიდა, მანძილი სწრაფად რომ გაევლოთ. ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ისინი მოვიდნენ სანაპიროზე და გადავიდნენ კაზაკ კემისკის სახლში.

კაზაკმა მაშინვე იაზრა, რომ გასაოცარი სილამაზის მისი პატარა ქალი საქართველოშიც არანაკლებ ხიფათში ჩავარდებოდა. რადგან კაზაკს მცირე სახელი და გავლენა ჰქონდა ამ სახელმწიფოში, როგორც უცხოელს, ამიტომ გადაწყვიტა საიდუმლოდ შეენახა მათი ჩამოსვლის ამბავი. მან დედასა და ქალიშვილს თავშესაფრად მიუჩინა ერთი გამოქვაბული. ეს გამოქვაბული ვენახის სიღრმეში იყო ჩამალული და ზღვას გადაჰყურებდა. ლამაზმა ლტოლვილებმა იქ შეაფარეს თავი. ზღვა პირველად ნახეს და არ იცოდნენ ზღვის მეკობრეების ამბავი. ერთხელ ისინი სასეირნოდ წავიდნენ ზღვის სანაპიროზე. უნდოდათ შემოგარენი დაეთვალიერებინთ. ზღვის ყაჩაღებმა მაშინვე შეამჩნიეს ეს ულამაზესი დედა-შვილი და ერთ საღამოს, როცა დედა თავის ქალთან ერთად ზღვის ნაპირას გამოსულიყო, მეკობრეები ხმელეთზე გადმოსხდნენ ციცაბო ნაპირას, იმავე დროს ხმელეთიდანაც გზა მოუჭრეს. დათქმულ ნიშანზე მისცვივდნენ და გაიტაცეს ქალები. ქალების მიტანილი მცირე ავლა-დიდება დარჩა კაზაკ კემისკის და ისევ უცოლოდ და უშვილოდ აღმოჩნდა. მან ვერავის ვერ გაუზიარა ეს ამბავი, რადგან შიშობდა, ვაითუ დამაბრალონ, უცხოელებთან ფარული ურთიერთობა გაქვსო. მით უფრო, რომ ამ ქვეყანაში არავის უყვარდა იგი.

ქალების გამტაცებელი ზღვის მეკობრე ქალთა მოყვარული რომ ყოფილიყო, დედასაც დაისაკუთრებდა და შვილსაც, როგორც ეს სჩვევიათ მუსულმანებს, მაგრამ მას ფული და მოგება უფრო აინტერესებდა და ამიტომ პირდაპირ კონსტანტინოპოლისაკენ გაემართა. იგი კარგა ხანს დაეხეტებოდა ზღვაზე, ხელთ კი ვერაფერი ვერ ჩაიგდო, რომ თავისთან მყოფი მეზღვაურები დაეკმაყოფილებინა. სწორედ ამ დროს გადააწყდა ერთ კაზაკს, კონსტანტინოპოლში რომ მიდიოდა, და თან ისეთ ნადავლს ეძებდა, რომ დიდი სულთნისთვის მიეგვარა და ამის წყალობით კეთილად მიეღოთ სასახლის კარზე.

მეკობრეებმა მოინდომეს ტყვეების გაყიდვა. მათ ნავი გაგზავნეს სანაპიროზე და შეატყობინეს იქ მყოფთ, რომ გემზე ამოსულიყვნენ და ეყიდათ ტყვე ქალიშვილი. ბოლოს ასე მორიგდნენ: ქალიშვილი ორი ათას პიასტრად შეაფასეს, დედა კი ქალიშვილს მომვლელად გააყოლეს.

მეკობრეებმა თავიანთი ხომალდიდან ქალები კაზაკების ხომალდზე გადაიყვანეს. კაზაკები ნელა გაუყვნენ გზას კონსტანტინოპოლისაკენ. დიდი გასამრჯელოს იმედი ჰქონდათ. ზღვის მეკობრეებმა ფული გაინაწილეს, მაგრამ სანაპიროზე გავიდნენ თუ არა, მაშინვე ხმა დაარხიეს, ჩვენს სიცოცხლეში არ გვინახავსო ასეთი ლამაზი ჩერქეზი ქალიშვილი. როცა ეს ამბავი შეიტყო პატაცკოვის ნათესავმა, ვინც ყირიმის ხანის შვილის სულთან გალგას ავანჩავანი იყო მის ავხორცულ სიამოვნებაში, დაუყოვნებლივ შეატყობინა ეს ამბავი სულთანს. ამ უკანასკნელს კი დავალებული ჰქონდა გაენადგურებინა მეკობრეები, რომლებმაც დააქციეს იმერეთი, სამეგრელო და ჩერქეზეთი. ხალხის ჩივილმა კონსტანტინოპოლის ლივაშიც კი მიაღწია. ყმაწვილმა სულთანმა გალგამ მოინდომა ენახა ეს საოცარი ქალიშვილი, სასწაულებრივ სილამაზეს რომ განასახიერებდა.

ჰოდა, სულთანი გალგა სასწრაფოდ გაეშურა შორი გზით. დარდანელის ყელში დაუდარაჯდა იგი იმ ხომალდს, ეს მზეთუნახავი ქალიშვილი რომ მიჰყავდა. მან დარწმუნებით გაიგო, რომ ხომალდს ჯერ არ გაევლო. ამიტომ გადაწყვიტა დალოდებოდა და შავი ზღვის სანაპიროს აჰყოლოდა, რათა უფრო ახლო დაჰკვირვებოდა ამ ზღვის ყაჩაღებს; სწორედ ამ დროს შეამჩნია შუაგულ ზღვაში კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალი კაზაკთა ხომალდი. მან კაცები აფრინა და ხომალდი ნაპირზე მოაყენებინა. რა იცოდნენ კაზაკებმა, რა მიზანი ამოძრავებდა სულთან გალგას.

როცა უცხოელები მიუახლოვდნენ ზღვის ნაპირს, მათ რამდენიმე კაცი გაგზავნეს სულთან გალგასთან მოსალაპარაკებლად. ამ კაცებმა მოახსენეს სულთანს, თუ რა მიზნით მიემგზავრებოდნენ და რა საბუთები გააჩნდათ. მაგრამ სულთანს სხვა მუცლის გვრემა ჰქონდა. მას ტყვე დედა-შვილის ნახვა უნდოდა.

ასე იგდო სულთანმა გალგამ ულამაზესი დედა-შვილი. დედა ქალიშვილს მხოლოდ წლოვანებით ჩამოუვარდებოდა. ავტორის ხელნაწერში ნათქვამია, სულთანმა გალგამ ჯერ დედა გაიხადა საყვარლად, და მერმე თავის ქალიშვილს მომვლელად მიუჩინაო, მაგრამ სხვა წყაროდან ისე ჩანს, რომ სულთანი გალგა

ერთდროულად ატარებდა დროს დედასთან და ქალიშვილთან, რადგან თურქებს არა აქვთ გარჩევის შეგრძნება. ისინი მხოლოდ ბუნებრივ წესსა და სარწმუნოებრივ ვალდებულებებს უწევენ ანგარიშს.

მაჰმადიანები გასაოცარი სისწრაფით ახერხებენ სიყვარულის შთანერგვას, მაგრამ რაც შეეხება სარწმუნოებას, ვერაფრით ვერ შეაცვლევინეს იგი ზისბის, სანამ დედა ცოცხალი ჰყავდა. დედა-შვილი ერთმანეთს დააშორეს. უბედურმა დედამ ვერ აიტანა შვილთან დაცილება და მალე გარდაიცვალა. მაგრამ ვერც დედის გარდაცვალების შემდეგ აისრულეს საწადელი — დიდხანს ვერ მიაღებინეს ზისბის მაჰმადიანობა, რადგან დედის ანდერძი არ აძლევდა ამის ნებას. ზისბიმ თავის ტყვეობაში ათი წელი შეინარჩუნა ქრისტიანობა.

ცამეტი წლის ზისბის სულთანმა გალგამ სიყვარული გაუმჟღავნა. ზისბი ამაყად შეხვდა მის ტრფიალს და თავისი წინადადებები წაუყენა. სულთანმა გალგამ დიდად იუკადრისა ეს ამბავი. ბოლოს ზისბიმ განიზრახა ათი წლის ტყვეობისათვის თავი დაეღწია და აქაურობას გაქცეოდა. დედის სიკვდილის შემდეგ მას მიუჩინეს ქალი, შვიდი წლის ასაკიდან ტყვეობაში რომ გაეტარებინა ცხოვრება. იგი წარმოშობით ბერძენი იყო, კანდიიდან. ლამაზი არ იყო, მაგრამ ენების შესწავლის დიდი ნიჭი ჰქონდა. ლაპარაკობდა ბერძნულიტალიურად, თათრულად, არაბულად. ჰარამხანაში ხუთი შვილი ეყოლა და მთელი თავისი ახალგაზრდობა სერალში გაატარა. ზისბიმ მას გაანდო თავისი მიზანი და უმალვე დაითანხმა ერთად გაპარულიყვნენ, რადგან ეს ქალიც ძალზე ნაწყენი და დაჩაგრული ჰყავდათ ჰარამხანაში. მანვე ასწავლა ზისბის იტალიური ენა. ქალებმა მეზღვაურების სამოსი გადაიცვეს და ერთი სომხის ხომალდით ყირიმიდან ტრაპიზონს ჩავიდნენ.

მათი ხელისშემწყობი ებრაელი ქალი სულთანმა გალგამ მოაკვლევინა. სომეხი ხომალდის პატრონი უკან დაბრუნებისას დაიჭირეს, უმალვე დაასაჭურისეს და თავისი ხომალდის ანძაზე ჩამოახრჩვეს. პატაცკოვი კი, ვინც მექალთანეობაში მეგობრობდა სულთან გალგას, შეშინებული და თავზარდაცემული მაშინვე ხომალდზე დაჯდა და ღრმად შევიდა შავ ზღვაში. სულთანმა გალგამ ორი ხომალდი გაგზავნა პატაცკოვის მოსაძებნად. შეიარაღებულნი თავს დაესხნენ მას და ცოცხალი მიიყვანეს უკან; უიარაღომ თავის მოკვლა ვერ მოასწრო. მიყვანისთანავე სულთანმა გალგამ დაასაჭურისებინა და სულთნის სასახლის ბებერ ქალებს მიუჩინა, რათა მათი დავალებით გაეწმინდა ხოლმე ყველაზე ბინძური ადგილები. ორმოცი დღის შემდეგ პატაცკოვი მოკვდა. მეორე ხომალდმა მიაღწია ტრაპიზონის ყურეს, მაგრამ ზისბის ასავალ-დასავალს ვერსად მიაგნეს. ბევრი ხიფათის შემდეგ ზისბი და კადუნი, მეზღვაურთა ტანსაცმელში გამოწყობილნი, კონსტანტინოპოლს გაემგზავრნენ. ხომალდზე შეხვდნენ ამ წიგნის ანონიმ ავტორს და მის ადიუტანტს. ეს ადიუტანტი იტალიურ-ბერძნულ თუ სხვა ენებზე ლაპარაკობდა. მათ ახლო გაიცნეს ზისბი და ბოლოს, როგორც იქნა, სამშვიდობოს გაიყვანეს. ზისბიმ ნიკოპოლის ეპისკოპოსთან შეაფარა თავი. ხუთი კვირის შემდეგ უმშვენიერესმა ზისბიმ, ოცდახუთი წლის ასაკში, ახალგაზრდა ბერძენ მღვდელთან იქორწინა. ერთი წლის თავზე ვაჟიშვილიც ეყოლა.

რუსპიამ და რეტიმამ მოისურვეს გაეგოთ ზისბის ამბავი და მისი ადგილსამყოფელი. ანონიმმა ავტორმა მისი კარგადმყოფობა კი აცნობა მათ, მაგრამ მისამართი არ გაუმხილა, რადგან შიშობდა, ყირიმის ხანის ყურამდე არ მიეღწია ხმას, ზისბი ცოცხალიაო, და უკან არ დაებრუნებინა თავის სერალში.

ამრიგად, ანონიმი ავტორის შემონახულმა ცნობებმა დამატებითი მასალა შესძინა ქართულ ისტორიოგრაფიას. ამ ცნობებით შესაძლებელი ხდება გავითვალისწინოთ ზოგიერთი საკითხი და სათანადო დასკვნა გამოვიტანოთ. ავტორის მიერ შეკრებილი დიდძალი საისტორიო მასალა ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გამოყენებული.

ფრანგი ანონიმი ავტორი იხსენიებს ხიოს ფაშას მემუარებს, ჩერქეზი ქალის ზისბის თავგადასავალს რომ შეეხებოდა, და ბევრ სხვა ამბავსაც. შესაძლებელია ევროპის რომელიმე ქალაქის არქივში აღმოჩნდეს მისი მემუარებიც. ხელთ რომ გვქონოდა ავტორის შრომის სრული კრებული, იგი ძვირფას ისტორიულ წყაროდ გამოგვადგებოდა XVII საუკუნის მიწურულის მღელვარებით სავსე პოლიტიკური ვითარების შესასწავლად.

ᲗᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲝᲗᲐᲠ ᲯᲘᲜᲝᲠᲘᲐ

ორი დიდი ცრემლით, უკანასკნელ ამოსუნთქვისას რომ გადმოუვარდა თვალთაგან, გამოეთხოვა ცხოვრებას, რომელიც ასე უყვარდა მუდამ მშფოთვარე, განუწყვეტლივ ძიებაში მყოფ ოთარ ჯინორიას.

მას ყველაფერი აინტერესებდა, არაფრისადმი ყოფილა გულგრილი, ყოველ საქმეს, თვით უმცირესსაც კი, უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა და ვერ ურიგდებოდა გულგრილსა და დამცინავ ადამიანებს.

მისთვის უცხო იყო გულისმღრღნელი გრძნობა შურისა. მას გულწრფელად ახარებდა ნიჭიერად დაწერილი ყოველი წიგნი თუ წერილი, ვისიც არ უნდა ყოფილიყო იგი და მკაცრად ებრძოდა უვიცობასა და საქმოსნობას.

მოვლენათა სიღრმეში წვდომის უნარი, ფართო და ღრმა განათლება, ლოგიკური მსჯელობა, გონებამახვილური დაკვირვება და მოსწრებული სიტყვა-პასუხი ოთარ ჯინორიას განუყრელი თვისება იყო.

ოთარ ჯინორიას ყველგან სიცოცხლე შეჰქონდა. ვიწრო წრეში თუ ფართო შეკრებილობაში, თითქმის ყოველთვის ის იყო წამომწყები გაცხოველებული კამათისა და სჯა-ბაასის.

მან კარგად იცოდა, რა სურდა და ჯიუტად მიდიოდა მიზნისკენ.

ფართო ჰორიზონტი, ღრმა ცოდნა და პრინციპულობა ედო საფუძვლად მის ავტორიტეტს. ეს იყო თავიდათავი მისი აღიარებისა ყველგან, სადაც მას იცნობდნენ. ამაზე მეტყველებს ის მილოცვაც, დაბადების სამოცი წლისთავზე რომ გამოუგზავნა გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდიუმმა, რომლის წევრიც გახლდათ ოთარი. „მინდა ხაზგასმით აღვნიშნო პასუხისმგებლობით, შეგნებითა და პარტიული პრინციპულობით აღსავსე თქვენი თანამშრომლობა პრეზიდიუმში, რომლითაც თქვენ ხელი შეუწყვეთ საზოგადოების ინტერნაციონალიზაციის პროცესს“, — წერს კარლ ჰაინც ჰანი — საზოგადოების თავმჯდომარე ამ მილოცვაში და იქვე დასძენს: „ვფიქრობთ, თქვენთვის გასაგებია, რაოდენი პატივისცემა გაქვთ მოპოვებული პრეზიდიუმში“.

ოთარ ჯინორია ყოველთვის იწვოდა: წიგნს კითხულობდა, ლექციას ატარებდა თუ წერდა. ყოველ სიტყვას წონიდა, ყოველ წინადადებას ფიქრობდა და მხოლოდ მაშინ მოისვენებდა, როცა დარწმუნდებოდა, შესაძლებელ ვარიანტთა შორის უკეთესს მივაგენიო და წერტილს დასვამდა. მერე ერთხელ კიდევ გადაიკითხავდა, კმაყოფილი გაიღიმებდა და იტყოდა: ესეც ასეო.

ორმოცი წელი ერთგულად, ბეჯითად, შეუპოვრად ემსახურებოდა იგი ქართული გერმანისტიკის საქმეს. მისი რედაქტორობით გამოცემული ლესინგის, გოეთეს, კელერის, თომას მანისა და ბრეხტის ნაწარმოებების ქართული თარგმანებისათვის დართული ვრცელი გამოკვლევები, ისევე როგორც კლასიკური და თანამედროვე გერმანული ლიტერატურის საკითხისადმი მიძღვნილი ნაშრომები, ქართული გერმანისტიკის საყურადღებო შენაძენია. მაგრამ განსაკუთრებით დიდია ოთარის ღვაწლი ქართველ გერმანისტთა ახალგაზრდათაობის აღზრდაში. მისი სახლის კარი და უმდიდრესი ბიბლიოთეკა ყოველთვის ღია იყო ცოდნასმოწყურებული ახალგაზრდობისათვის. ოთარი, რაგინდ დაკავებული არ უნდა ყოფილიყო, ყოველთვის პოულობდა მათთვის დროს და ყველაზე მოუცდელ წუთებსაც კი სწირავდა მათ. მოწოდებით ნამდვილი პედაგოგი, თავის სტუდენტებს ლიტერატურას კი არ ასწავლიდა მხოლოდ, საგნისადმი სიყვარულს უღვივებდა, აზროვნებას აჩვევდა, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარს უვითარებდა და რაც მთავარია, დიდ მოქალაქეობრივ გრძნობას აღვივებდა მათ შეგნებაში.

ასეთი იყო სიცოცხლის მოტრფიალე ჩვენი მეგობარი ოთარ ჯინორია, ვისი ცხოვრების მრწამსი ჭეშმარიტების ძიება იყო.

ამ უანგარო მაშვრალის ღვაწლი მუდამ პატივისცემით იქნება დაფასებული; მისი მეგობრები თუ სტუდენტები მუდამ მოკრძალებით გაიხსენებენ მის სახელს.

დავით ლაშქარაძე

□

ადოლფ ენდლერი

მოგითხრობთ საქართველოზე

„... პატარა ჩიტი ჩამოჯდა ჩვენს გემბანზე დასასვენებლად, კენკავდა პურის ნამცეცებს და ფინჯნიდან სვამდა წყალს. საღამო ჟამს მიგვატოვა და აღმოსავლეთისკენ გაფრინდა. მე თან გავატანე თხოვნა, მიესალმე-მეთქი კავკასიის მთებს, მდინარეთა დაბურულ ხეობებს, სადაც ვეფხვები იკლავენ წყურიელს, მიესალმე-მეთქი ქალაქ ტიფლისს და ჩერქეზეთის ლამაზ ასულებს“.

ჰანს ქრისტიან ანდერსენი

1. ქუთაისის მახლობლად, მონასტრის ეზოში მოლზე ვისხედით, ვჭამდით ხაჭაპურს და შევექცეოდით ალუბალს. როცა იქაურობას დავემშვიდობეთ, კარიბჭეში გამოსვლისას დავით აღმაშენებლის, XII საუკუნის „ოქროს ხანის“ საქართველოს დიდი მეფის სამარეზე გადავიარეთ. დავით მეფეს ანდერძად დაუტოვებია, როცა მოვკვდები, ხალხმა ჩემს სამარეზე იაროსო და ეს სურვილი აღუსრულებიათ: გელათის მონასტრის შესასვლელში სიგრძივ დაუსაფლავებიათ ამ რვაასი წლის წინათ. ხალხს დღემდე ახსოვს ამ ანდერძის სიმბოლური აზრი. ეს ხალხი მღერის ზოროასტროს უძველეს რელიგიურ მზის საგალობელს და „ინტერნაციონალსაც“, 1905 წელს რომ უთარგმნია აკაკი წერეთელს, „სულიკოს“ ავტორს.

2. ვიხსენებ იმ ფოტოსურათებს, ერთ დროს ჩვენს სახლში მდგომი შვაბი და შვარცვალდელი ჯარისკაცები ფრონტიდან რომ გვიგზავნიდნენ რაინზე. სანამ სურათები აღმოსავლეთიდან ჩვენამდე მოაღწევდა, ჯარისკაცები უკვე აღარ იყვნენ ცოცხლები. მოჰკლეს ქერა, აყლარწული ჭაბუკიც, გლეხის შვილი, მეტსახელად „გრძელ ჰანსს“ რომ ვეძახდით (ბავშვობაში ხშირად მიფიქრია, ომში

ალბათ დიდად სახარბიელო ვერ არის-მეთქი მაღალი ტანი), „პატარა ჰანსი“ კი, ახლა კარლსრუეს ტურისტულ ბიუროს რომ განაგებს, გვიგზავნიდა და გვიგზავნიდა ფოტოებს. ორმოცდაერთი-ორმოცდაორი წლების ამ ფოტოებზე გამოსახული იყო ჯგუფ-ჯგუფად ჩამომხრჩვალი ადამიანები, ჩამოკიდებულნი ალაყაფის თავხეზე, ხიდებქვეშ, ამა თუ იმ პიროვნების პატივსაცემად აგებულ ფიცრულ თაღებზე... ამ თაღებს ყვავილებით მორთულს უფრო იოლად წარმოიდგენდა კაცი... კარგად მახსოვს ის სურათებიც, საოჯახო ალბომებში თავის ადგილზე რომ აღარ ჩანან, აჩქარებით რომ ამოხიეს, როცა დასასრულის მოახლოება იგრძნეს. მახსენდება ისიც, რომ „პატარა ჰანსმა“ მოულოდნელად სულ სხვაგვარი ფოტოსურათების გამოგზავნა დაიწყო. ერთბაშად ჩამოდგა მშვიდობა, ამ სურათებს რომ შემოჰქონდათ სახლში: ჩაბნელებულ ხეობაში ლაპლაპებდა რკინიგზა, მთიდან მოჩქეფდნენ ნაკადულები, ეშურებოდნენ ყვავილებით მოფენილი ველ-მინდვრებისაკენ; პატარა სოფლის გასადევარზე ძროხებს მწყემსავდნენ ჯარისკაცები. ისინი გლეხის ბიჭებს უფრო მოგაგონებდნენ. ეს ის სამყარო იყო, სასკოლო არდადეგებზე ჩასულს რომ მინახავს, ოღონდ, ნეტა სად, — ტიურინგიაში, ზაუერლანდში თუ შვარცვალდში? დედამ კი მითხრა, ეგ კავკასია არისო. შვებულებით ჩამოსული სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ფოტოგრაფები ამ სურათებს რომ დახედავდნენ, ამბობდნენ: „იქ თავს ისე გრძნობ, თითქოს შინ იყო! მაგრამ ეგ არის, პარტიზანები არიან ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებულნი...“ მეორედ კავკასიას მე და ჩემი ძმა ჩვენი სახლის სხვენზე, დიდედაჩვენის აკინძული ჟურნალების გაყვითლებულ ფურცლებზე შევხვდით. ეს იყო ტიფლისი, იგივე თბილისი. მერე მყინვარწვერის კალთებიც ვნახეთ, ალპებს რომ გვაგონებდნენ, ვნახეთ მზით გარუჯული მონადირეებიც, (ო, ედელვაისო!), ზურგზე თხილამურმოკიდებულნი მძიმე-მძიმედ რომ მიაბიჯებდნენ მწვერვალისაკენ და ისე იღიმებოდნენ ფოტოაპარატის წინ, თითქოს ლიუზ ტრენკერის ტიროლურ ფილმში რომელიმე როლს ასრულებენო. აი, კიდევ ერთი სურათი: მყინვარწვერზე სვასტიკიანი დროშა ფრიალებს... მერე უკვე ფრონტიდან სურათებს აღარ გზავნიდნენ, წერილებიც უფრო და უფრო იშვიათად მოგვდიოდა. ზოგჯერ ისეთი გრძნობა მაქვს, მყინვარწვერზე სვასტიკიანი დროშის გამოჩენასა და რაიხსტაგზე წითელი დროშის აღმართვას შორის სულ რაღაც ერთი კვირა თუ ძევს-მეთქი. ნეტავი ეს დრო იმ გატანჯულ ჯარისკაცებსაც ასე მოკლე ეჩვენებოდათ, იმ უბრალო, რიგით ჯარისკაცებს, ალპებიდან შვარცვალდის გავლით ჯერ ჩრდილოეთში რომ გარეკეს, მერე კი ჩრდილო-დასავლეთისაკენ უკრეს თავი? ნეტა რამდენ ხანს იარა მყინვარწვერის სამხრეთით მოსახლე ქართველმა კაცმა რუს ეგოროვთან ერთად, რაიხსტაგის გუმბათზე წითელი დროშა რომ აღემართა? ეს უნდა გვეკითხა ქანთარიასათვის, როცა ამას წინათ ბერლინში იყო. მაგრამ ჩვენ მხოლოდ მის სახეს ვაკვირდებოდით, მუშის პირისახეს, პირისახეს კაცისა, ვინც ომის შემდეგ თავის სამშობლოში მესიმინდეთა ბრიგადირიც იყო და მაღაროელიც, დღეს კი — დურგალია. ამ კაცმა ჩემი მათემატიკის მასწავლებელი გამახსენა: მელოტი თავი, სუფთად გაპარსული პირისახე, დანაოჭებული შუბლი, ჭკვიანი, ნაღვლიანი თვალები, ფიცხელი მეტყველება. ქანთარიას სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა გერმანელები შემოხვეოდნენ და უსმენდნენ. ეს ხანშიშესული კოლხი კაცი ლაპარაკობდა ვრცლად, ცდილობდა ხელის ენერგიული მოძრაობითაც დაემტკიცებინა ის, რაც ამ ჯარისკაცებმა ისედაც უკვე მშვენივრად იცოდნენ...

3. „ლიკანი“, — წარმოთქვა მოხუცმა ქალმა ჩინური სიტყვის მსგავსი ეს სიტყვა და მარჯვენა ხელით შემოხაზა ორკილომეტრიანი პარკი, მტკვრის შხუილი რომ ავსებდა. „ლიკანი“ ახლა სანატორიუმია. ოდესღაც მეფის შთამომავალთა სამფლობელო ყოფილა. მისთვის სახელად ძველ ჩინელთათვის გამოცანადქცეული ქვეყნის სახელი „ლი-კანი“ უწოდებიათ. ჩინელებისათვის ლი-კანი ისევე, როგორც ბერძნებისთვის — კოლხეთი, მათი სამყაროს დასასრულს — ჰირკანიენს * ნიშნავდა. და მართლაც აქაურობა შესანიშნავი თავშესაფარია, აბეზარ მრჩევლებსა და ცნობისმოყვარეებს რომ განერიდო.

სანატორიუმის ბაღის მბრძანებელი — მოხუცი, ჭაღარა ქალი აღმოჩნდა. ყოვლისმხედველი თვალით იცავდა იგი ამ დიდი გემოვნებით გაშენებულ პარკს, მის გაზაფხულს. ვფიქრობდი, ნუთუ მხოლოდ მებაღეა-მეთქი ეს მხცოვანი მანდილოსანი, განუწყვეტლივ პაპიროსს რომ ეწევა და შავი ფერის ავტომანქანით ბაღის ხან ერთ კუთხეში გაჩნდება, ხან მეორეში, ანდა სკამზე რომ ზის და ფიქრებით ისევ პარკსა და ყვავილების კვლებს დასტრიალებს-მეთქი? არა, განგვიმარტეს ჩურჩულით, ეს ცნობილი თბილისელი მებაღე-არქიტექტორი არისო. თურმე იგი გეგმავს ყოველ გაზაფხულს ამ ბაღს, საკუთარი ხელისგულივით იცნობს მის ყოველ კუნჭულს, საზეიმოდაც ის აფორმებსო დამსვენებელთა გულგასახარად. გავიგეთ, თურმე საქართველოში არქიტექტორები და პარკის დეკორატორები ხშირად ისეთსავე დიდებას იხვეჭენ, როგორსაც პოეტები და ეს სწორიც არის. ის მხცოვანი ქალიც პარკმშენებლობის პოეტია. ეჭვი არ შეგვპარვია, რომ მის მიერ გაფორმებული პარკი მართლაც მთელი პოემაა, და რომ ამ პოემას იგი დაუსრულებლად თხზავს და თხზავს: აქ ერთ სტროფს დაუმატებს, იქ უცებ გაბრაზებით მოაშთობს რომელიმე ტაეპს. ზოგჯერ მხოლოდ წვრილმან საქმეს აკეთებინებდა იგი დამხმარეთ: ყვავილის ვიწრო კვალს ჩააბარვინებდა ან სამიოდ ქვას მიაწყობინებდა გზისპირზე. როგორც შევატყვეთ, მისი პოემის მთავარი ძარღვი იმ სახლის წინ ფეთქავდა, ჩვენ რომ ვცხოვრობდით. ბაღის არქიტექტორი შრომისმოყვარე ქართველი ქალი გახლდათ. ჩვენი პატარა გოგონების მსგავსად, ერთთავად გრიმების ზღაპრებს რომ ფურცლავენ, ბავშვობაში ისიც კითხულობდა ქართულ ზღაპრებს, „გულივერის მოგზაურობას“, „რობინზონ კრუზოს“. თუ ქართულ პოეზიაზე რაიმეს ჰკითხავთ, როგორც ყოველი ქართველისაგან, მისგანაც გაიგონებთ: „რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ დიდედაჩემმაც ზეპირად იცოდა...“ ისიც ყოველი ქართველივით წამოიძახებს: „გალაკტიონ ტაბიძე! ეს ხომ მსოფლიო ლიტერატურის სიამაყეა!“ მერე ამ გამხდარმა ქალმა კვლავ მოუკიდა სიგარეტს და გიორგი ლეონიძის ერთი ლექსი წაგვიკითხა...

მაღლიდან მოისმოდა ჩაქუჩების კაკუნი. იქვე, წყლის პირას, გლეხები ახალ შენობას აგებდნენ იმ სახლის სანაცვლოდ, გაზაფხულზე ადიდებულმა მდინარემ რომ მოიტაცა, და შენების ეს ხმაური ჩაგვესმოდა რაღაც ნათელ, იმედის მომგვრელ ხმებად, თან რომ სდევს ხოლმე ადამიანის ხელის ყოველ ქმნილებას.

„ლიკანი“, ჩავწერე ჩემს დღიურში მხცოვანი ქალითა და ხეობაში გახმიანებული ჩაქუჩის ექოთი მოხიბლულმა და ამ ერთ ჩინურ სიტყვას ოთხი გერმანული სიტყვა დავუმატე: „როცა ცოცხალი აღარ ვიქნები“.

---

* ჰირკანიენი — ბერძნული ჰირკანია, წარმომდგარია ძველსპარსულიდან — „ვარკანა“ — მგლის ქვეყანა (მთარგმნ. შენიშვნა).

4. ახალ ლიკანში, ბორჯომში, საქართველოს სახელგანთქმულ კურორტზე დავლიეთ ცნობილი მინერალური წყალი „ბორჯომი“. ამ წყალს მოსკოვის საუკეთესო რესტორნებში უკვეთავენ ისეთივე მოწიწებით, როგორც ერთ დროს შუა ევროპაში „კარლსბადის შპრუდელს“ მოითხოვდნენ ხოლმე. გამოვედით სახლიდან, ვიწრო მდელო გადავიარეთ და ერთ პატარა ფარდულთან მივედით. იქ ონკანი მოვუშვით და მუჭით იმდენი ბორჯომი ვსვით, რამდენის შესმაც შეგვეძლო. სანამ ჩვენ ვიჭყიპებოდით, თამუნია გვერდით გვედგა და ამაყად ყელმოღერებული გვიამბობდა: — ოკეანის გადაღმა „ბორჯომს“ უკვდავების წყალს ეძახიან. ვიღაც ამერიკელმა ტურისტმა ერთი ჭიქა ბორჯომის წყალი რომ დალია, რამდენიმე დოლარი დადო მაგიდაზე: „ღმერთო ჩემო! რას არ მივცემდით, ოღონდ ნიუ-იორკში გვქონოდა ეს წყალი, აქ რომ უფასოდ გვასმევენ!“ — გამოაჯავრა თამუნიამ ამერიკელს. მერე პატარა ქარხანაში ვნახეთ ბოთლების მთები, გავსების შემდეგ დოლარების. ბორცვებად რომ უნდა ქცეულიყვნენ.

5. ბორჯომის მახლობლად, უკაცურ მთებში, საცალფეხო ბილიკებით თანდათან მაღლა-მაღლა მივიწევთ. ვნატრობთ, კვლავ ვნახოთ თოვლიანი მწვერვალები, ჩვენი ჩამოსვლისას აქა-იქ რომ გამობრწყინდებოდნენ ხოლმე მთების სილურჯეში. ვიწრო უღელტეხილზე გადავდივართ. ისეთი გრძნობა გვაქვს, თითქოს დანის პირზე მივაბიჯებთ. ხეობაში ჩასულებს გვეშინია, აი, ახლა ჩამოიქცევიანო მთები ჩვენს წინ, ჩვენს გვერდით... კარგა ხნის შემდეგ (ვინ იცის, იქნებ ექვსი თუ შვიდი საათიც გავიდა) ჩვენს წინ კვლავ აღიმართა თოვლით გადათეთრებული შიშველი მთები. ეს იყო ბაკურიანის უღელტეხილი. ბაკურიანიდან ქვემოთ მიმავალი ტყაპუჭიანი მხედარი შემოგვეყარა. ძროხების ნახირი მიაცილებდა პაწაწინა ეჟვნების წკარუნით. მალე კიდევ უფრო შევიმაღლეთ და ზანზალაკების ხმა სუსტადღა აღწევდა ჩვენამდე. თუმც კი გაგვაფრთხილეს, მაინც ავედით უღელტეხილის ციცაბო კლდეებზე, თოვლის ლავგარდნებს შორის გავძვერით და თოვლ-წყლიანი ბალახით დაფარულ, რეზინივით დრეკად მიწაზე დავდგით ფეხი. მერე უფრო მაღლა ავუყევით, დაბალი ბუჩქნარისკენ, დედამიწას მაგრად რომ ჩასჭიდებოდა ფესვებით და კარგა დიდი ფართობი ეჭირა. ბუჩქნარიდან წარამარა ცხვირწინ აგვიფრინდებოდნენ ხოლმე რაღაც ფრთოსნები და ისე ყურისწამღებად ჩხაოდნენ, კაცს ძარღვებში სისხლი გაეყინებოდა. მერე ისეთი სიჩუმე ჩამოდგა, მკაფიოდ ისმოდა, თოვლის ლავგარდნებიდან როგორ მოჟონავდა წვეთ-წვეთად წყალი. მარჯვედ ამოვეფარეთ ვეება ლოდს, დაღებულ ხახას რომ ჰგავდა, და შევისვენეთ. ცივი ქარი ჰქროდა, გავყურებდით ბორჯომის ხეობისაგან ფორმითაც და ფერებითაც მკვეთრად გამორჩეულ სასომხეთის ზეგანს.

უღელტეხილი თანდათან დაბლა ეშვება და სამხრეთით მოყვითალო-ნაცრისფერ, შიშველ ქვაღორღიან ფერდობად იქცევა. ამ ფერდობის ძირში ლითონივით ელავენ ტბები. ტბების მეორე მხარეს კი, მიხვეულ-მოხვეული გზა უდაბურ ზეგანზე რომ აივაკებს, მერე ლარივით გაჭიმული მიემართება ახალქალაქისაკენ. იქით თურქეთის საზღვარია. გზაზე სამხედრო ავტომანქანამ ჩაიქროლა, მტვრის გრძელი კუდი გაიყოლა თან. სხვა ავტომანქანა აღარ გამოჩენილა და მარტოობა უფრო საცნაური გახდა. ამ ადგილებიდან არის გამოსული ბაგრატიდების, ბაგრატიონების გვარეულობა — დავით აღმაშენებლისა და საქართველოს მე-12 საუკუნის დიდი დედოფლის თამარის მოდგმა.

შორს რაღაც მოციმციმე შუქი გამოჩნდა, პატარა ხოჭოსავით მოცოცავდა ჩვენკენ. თურმე საბტვირთო მანქანა ყოფილა, მბტვრის კორიანტელში გახვეული მოიწევდა უღელტეხილისაკენ. თავქვე დავეშვით. დიდრონ ლოდებზე ჩავირბინეთ და გზაზე გავედით, გველივით რომ მიიკლაკნებოდა. მანქანას დავუწყეთ ლოდინი. მანქანამ თხუთმეტიოდე წუთში ამოაღწია. ხელი დავუქნიეთ. გავაჩერეთ. კაბინაში სამნი ისხდნენ. კაბინის უკანა ფანჯრიდან ჩვენამდე აღწევდა მათი სიმღერა. ერთი მომღერალი, ეტყობოდა, დამწყები იყო, ორნი კი ბანს ეუბნებოდნენ. რას მღეროდნენ? რაღაც მჭახე სიმღერას, — ბორძიკ-ბორძიკით, უცნაური შეხმიანებით. როგორც შემდეგ გავიგეთ, ეს იყო ხალხური სიმღერა, ამბავი მოღალატე ჰასანბეგ თავდგირიძისა, დღესაც რომ მღერიან ახალქალაქისა და ახალციხის მიდამოებში. ამ თავდგირიძეს თურმე ენება თურქი ფაშა გამხდარიყო, მაგრამ ღვთისმოძულე მოღალატეს არ ეწერა სურვილის აღსრულება — ბეჭებში ტყვია დაახალეს თანამემამულეებმა.

6. ადოლფ დირმა, კავკასიური ენების მკვლევარმა (მას თბილისელი ქალი ჰყავდა ცოლად), ასი თუ ასზე მეტი ნაშრომი გამოაქვეყნა საქართველოს, კავკასიისა და კავკასიური ენების თაობაზე. 1924 წელს იგი წერდა: კავკასიელი ტომები სულ უფრო და უფრო გამოუცნობნი ხდებიანო (მისი ეს ნათქვამი მრავალმა უცხოელმა დაიხვია ხელზე, ვინც კი მოისურვა წერილობით თუ სიტყვიერად მოეთხრო კავკასიაში მოგზაურობის შთაბეჭდილება). აიღეთო, მაგალითად, ზოგიერთი ხალხური ცეკვის დამახასიათებელი ხელის მოძრაობა: გაშლიან მკლავს და უცებ თვალნათლივ ხედავ გულს, ხელს, მთელ ადამიანს, შემდეგ ასევე მოულოდნელად შეაბრუნებენ მკლავს, თითქოს ნიჟარა მოხაზესო და გულსაც დაგიხურავენ. მოისმენთ „სულიკოს“ და ფიქრობთ: ვინ არის „სულიკო“? ვის მიმართავს პოეტი, თავისსავე სულს, საბრფოს თუ საქართველოს? ავტორი რომ ეკითხება ბულბულს, ვარდს, ვარსკვლავს: „შენ ხომ არა ხარ, სულიკო?“ ის ხომ საქართველოსაც, სულსაც, საყვარელ ქალიშვილსაც ეძებსო. ურთიერთს ენაცვლება ლეგენდები, სიმბოლოები და სახელები, სახელები, სახელები. სიმღერაში ერთად შერწყმული მრავალი მჭახე ხმა, თავდაპირველად გაურკვეველ, შეუსაბამო შეზავებად გვეჩვენებოდა, მერე თანდათან შევიცანით ქართველთა საყოველთაოდ ცნობილი უშუალობა, რაიც საღამიოდ გარინდებულ, მთვარის შუქით განათებულ შავ ზღვასაც ახასიათებს. განა ძველ კოლხეთში არ იყო, რომ კაცს ერთი კი არა, რამდენიმე სახელი ერქვა? მათგან მხოლოდ ერთი იყო ნამდვილი, დანარჩენი — თვალის ასახვევი ნიღაბი, გარეგნული საფარი. ეს მეტსახელები შეიძლებოდა ჯადოთი შეგეკრა, წაგებილწა, გაგენადგურებინა, მის პატრონს კი არაფერი დაუშავდებოდა. ეს ამბავი მოგვაგონებს ძველი ხალხების ჩვევას — ყოველ ახალ რიტუალზე კაცი ახალი სახელით გამოდიოდა. ძველ ებრაელთა ჩვევასაც გვაგონებენ: ავადმყოფობის ან სხვა რამ საშიშროების დროს, თავისი რომელიმე წევრის ბედით შეფიქრიანებული ოჯახი მყისვე სახელს რომ გამოუცვლიდა ავადმყოფს, სიკვდილის ანგელოზმა არ იცნოსო.

7. „ათასერთი ღამე“, ჰაუფის „ქარავანი“, ბოდენშტეტის „მირზა ფაშას სიმღერები“, ბაღდადი, ქაირო, თბილისი — ეს ყველაფერი ერთი მთლიანობაა, ერთი სამყაროა. ჩვენ, ბავშვებმა, იგი ბებიას გაყვითლებულ ჟურნალებში აღმოვაჩინეთ. ახლა კვლავ გამახსენდა, როგორ მეკვროდა სუნთქვა, როცა იმ იდუმალებით

აღსავსე ქალაქის სურათებს დავყურებდი, სახელად ტიფლისი რომ ერქვა. „თბილისი ტიფლისი ხომ არ არის?“ — ჯერაც დაეჭვებული ვეკითხებოდი საკუთარ თავს, როცა გავიგე, რომ საქართველოში მომიწევდა გაფრენა, და ისევ იმ ბავშვად ვიქეცი, ბებიას ძველმანებს რომ ქექავდა.

თბილისი იყო ქალაქი, სადაც გასრულდებოდა ხოლმე აქლემების საქარავნო გზა. ბოდენშტეტმა აქლემები კავკასიის მთიანეთშიც კი ნახა, სადაც ქალებს ხელში დაირა ეჭირათ, უკრავდნენ და სახლების ბანებზე დაგოგმანებდნენ, სადაც ხელოსანთა სანახევროდ ჩაბნელებულ ქუჩაბანდებში ლითონის უამრავი ნაკეთობა ლაპლაპებდა და ქულბაქების წინ თავიანთ ნარგილეებთან მიმსხდარი მეწვრილმანეები შემოგვყურებდნენ.

მას შემდეგ ოცდაათი წელი გავიდა, რაც ძველ ჟურნალებს წავაწყდი სხვენზე, მაგრამ ისევ თვალწინ მიდგას იმ მეწვრილმანეთა ძილმორეული გამოხედვა და ახლა ნარიყალას ძირში შემორჩენილ შესახვევებსა და ქუჩაბანდებს მივუყბი, ჩემი ბავშვობის დროინდელი სურათები რომ გავაცოცხლო და განვაახლო ყველა გრძნობა, რასაც მაშინ ეს სურათები მგვრიდა. აი, ციხის პირქუში, სქელი კედლები, მის ძირში კი ქუჩაბანდები, ვიწრო მიხვეულ-მოხვეული ქუჩები და ბუდეებივით შეყუჟული სახლები; ბინდბუნდში ქალები შეჯგუფებულან, ცეკვავენ და მღერიან. იგრძნობა გაქრობის პირას მისული თუ უკვე გარდასული ეგზოტიკის უკანასკნელი გამოძახილი. „ძველო თბილისო, გტოვებ, მშვიდობით!“ — ასე გამოეთხოვა ხარფუხის მკვიდრი, ძველი თბილისის მომღერალი იოსებ გრიშაშვილი 1925 წელს იმ სამყაროს, რომლის მზე უკვე ჩასულიყო. ეს იყო სამყარო ღირსეული, კეთილშობილი, ვაჟკაცი ყარაჩოხელისა, შავჩოხიანი ხელოსნისა; გაქექილი კინტოსი — ქუჩა-ქუჩა მოვაჭრისა, ხილით სავსე თაბახს თავზე შემოდგმულს რომ დაატარებდა და ერთადერთი სიმდიდრით — მოსწრებული სიტყვა-პასუხით იწონებდა თავს. ეს იყო სამყარო, სადაც ეწყობოდა სანახაობანი, მაგალითად, ყეენობა, მთელი ქალაქი რომ მონაწილეობდა და ყეენის მიერ ქალაქის დაპყრობასა და შემდეგ მის გაძევებას განასახიერებდა; ეწყობოდა მუშტი-კრივი, მამლებისა და ყოჩების ჩხუბი. გაზაფხული მოვიდოდა და ახლა ოსტატად კურთხევის ჟამი დგებოდა... აი, მზითვის წიგნიც: „ბადახშის ორი საყურე და ორი დიდი წმინდა თვალი პატიოსანი, ქარვის ყელსაბამი...“

8. საქართველოზე რომ მოგვითხრობს, ბენო პლუდრა გვამცნობს: ძნელად თუ მოხერხდება სვანეთში მოგზაურობა. იქამდე იქნებ ვერც ააღწიო, რადგან, შესაძლოა, სადმე ზვავი იყოს გზაზე ჩამოწოლილი ან ამინდი იყოს ქარიანი, ღრუბლიანი თუ წვიმიანი და თვითმფრინავიც არ გაფრინდესო. რა მოუთმენლად ველოდით გამოდარებას სამეგრელოს ქალაქ ზუგდიდში, რომ მესტიაში გავფრენილიყავით. რა სიამოვნებით ავივლიდით იმ ლურჯ მდელოებს, „ველურ კესანეთა ზღვაში“ რომ იძირება, როგორც ეს კინოოპერატორმა შუბერტმა თქვა. სამეგრელოში — ათასი წყაროთი დასერილ მიწაზე კი მოვხვდით, მაგრამ ათასი კოშკის მხარეში — სვანეთში — ვერა. ჩვენ აუცილებლად უნდა ავსულიყავით იქ, გვენახა ის კოშკები, რადგან მათ უგალობს ხალხური სიმღერები და ვაჟა-ფშაველას პოეზია*, უნდა შევხებოდით მათ, რათა შემდგომ ეს პოეზია უფრო ზუსტად გადა-

* აქ, როგორც ჩანს, ავტორი ერთმანეთში ურევს სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთს (მთარგმნ. შენიშვნა).

გვეტანა გერმანულ ენაზე. ამ კოშკებზე იყო გამოკიდებული მოკლულ მტერთა მარჯვენა. ხშირად მათი რიცხვი ათეულებს აღწევდა. ხორცი ლპებოდა, ქარი და მზე ჭამდა, სანამ დაცხავებული მკლავები თავისით არ ჩამოცვივდებოდნენ ძირს. ჰო, როცა ვაჟა-ფშაველაზე, მთების ამ დიდ პოეტზე ფიქრობ, თვალწინ წარმოგიდგება ციხის პირქუშ კედელზე უცხო რამ საგანივით ჩამოკიდებული საკუთარი, მოჭრილი მკლავი. ვაჟა იყო, ღრმად რომ იგრძნო მთის ტომების ჩამორჩენილობაც, მათი კეთილშობილებაცა და თავის პოემებში, შექსპირის დარად, ვნებათაღელვის ქარბორბალა დაატრიალა. მაგრამ ჩვენ მხოლოდ ზუგდიდამდე მივაღწიეთ და იქ, გაშლილ სუფრასთან ვისმენდით სვანურ ლეგენდებს. ეს ლეგენდები აქაც კი, სვანეთიდან სულ რაღაც ასიოდე კილომეტრზე, უჩვეულო იყო და საოცარი. აქ გავიგეთ, რომ წინათ თურმე სვანი ქალი სტუმარს ნაღებით ჰბანდა ფეხებს, რომ თურმე სისხლის აღების საფრთხე, ხშირად იმ ექიმსაც ემუქრებოდა, ვისაც ავადმყოფი შემოაკვდებოდა. უხმოდ ვისმენდით სხვადასხვა თეორიებს, მოსაზრებებს, მასპინძლები რომ გვთავაზობდნენ სვანების წარმოშობის თაობაზე: თეატრის დირექტორი იმ აზრს ადგა, სვანები ქართველთა ერთ-ერთი ტომია, მთებში გამოკეტილობის გამო თავისი გზით რომ განვითარდაო. აქაური ახალგაზრდა მხატვარი ქალი კი უფრო ნაკლებ სარწმუნო მოსაზრებას გამოთქვამდა: სვანები არიანო შთამომავალნი ლტოლვილი რომაელი მონებისა თუ დიდი რომის იმ ჯარის მებრძოლებისა, ორი ათასი წლის წინათ აზია რომ დაიპყრესო. რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში ვნახეთ სვანების ნახელოვნები თოჯინები: თვალების, ცხვირის, პირის ნაცვლად მათ ჰქონდათ მთლიანად შავი ფერის სირმით გამოყვანილი პირისახე, შავი სხივების წნული, სიმბოლურად მზეს რომ განასახიერებდა. თბილისში კი ჩვენ მოვისმინეთ სვანური სიმღერა, მზის მკაცრი საგალობელი: „კვირია, ო, კვირია, ზეციურო მზევ კვირია, რი დია, ო, დია, ოდია, ოდია, ო!“

9. ორი საათის საფრენია ბერლინიდან მოსკოვამდე, სამი საათისა — მოსკოვიდან თბილისამდე, და ერთბაშად ვერ გაერკვევი, სად ხარ, იტალიაში, ესპანეთში თუ ირლანდიაში. აი, რამდენ ქვეყანას შეიძლება შეადარო საქართველო! შეიძლება თუ არა მართლა გაგახსენდეს ირლანდია? ქართველთა აზროვნებაში მისტიკურისა და რეალურის ურთიერთგადახლართვამ საქართველოში ჩამოსულ ბიოლს ირლანდიელები გაახსენა. ქართულმა პოეზიამ, მგზნებარე, ცინცხალმა მუსიკამ მას მოაგონა ირლანდიელი ბარდების ბალადები. და ნუთუ ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშებზე თავდახრილ მკვლევარს არ გახსენებია კელტების ეპიური პოეზია, ნაქები ირლანდიური საგები? მაგრამ წმინდა გიორგი წმინდა პატრიკი არ არის; არც ქართველები არიან პედილენდერები[1], თუმცა სიმბოლისტ გალაკტიონ ტაბიძეს შეეძლო უილიამ ბატლერისთვის, თავისი ირლანდიელი ორეულისათვის, ხელი გაეწოდებინა.

ქართველების „საბჭოთა კავშირის იტალიელებად“ მოხსენიება ხომ ჟურნალისტური ფრაზა გახდა, მაშინვე რომ მოადგება ხოლმე ენას, როგორც კი ზაფხულობით, რუსთაველის გამზირზე, — ფოთოლთა სიმწვანეში ჩაფლული სამხრეთის ქვეყნის გამზირზე, ანდა სოხუმის სანაპიროზე პალმებქვეშ გაისეირნებ. რატომ

[1] ინგლისელთა მიერ ირლანდიელებისთვის შერქმეული ზედმეტი სახელი (მთარგმნ. შენიშვნა).

არ შეიძლება ვერწმუნოთ ფ. ხ. ფეტერსაც, 1827 წელს რომ შემოიარა საქართველო და იგი მეორე შვეიცარიად შეიცნო? „საქართველოს წარმტაცი მიდამოები ერის ხასიათზეც ახდენენ გავლენას და რაღაც შვეიცარული გულკეთილობის კვალი აჩნიათ ქართველებს. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, — იგი ხომ ევროპასა და აზიას შორის არის მოქცეული, — ასე ვთქვათ, აზომიერებს აღმოსავლურ მგზნებარებას, მეტსაც ვიტყოდი, ფილოსოფიური კეთილგონიერებით აცხრობს აღმოსავლეთის მხურვალებას და დასავლეთის სიფიცხეს“. ასეთ შედარებებს მრავლად შეხვდება ის, ვინც ჰუგო ჰუპერტის „მოგზაურის ქართულ კვერთხს“ გადაშლის, წიგნს, სადაც ერთიმეორეს ენაცვლება საქართველოთი აღტაცება და ავსტრიის მონატრება. „და კვლავ მახსენებს იგი შენს თავს, შენს მწვანე ველებს, შტაიერმარკო“. ჰუპერტმა იცის, რომ თბილისს თბილი წყაროების გამო დაერქვა თბილისი, და ასეთი ასოციაცია უჩნდება: „ტიფლის-თბილისო, შენი აზრი და ბგერა მახსენებს ტეპლიცეს[1]. ორივე სახელში ჩაბუდებულა სითბოს ფესვები“. რიწის ტბაზე, შავი ზღვის პირას აზიდულ მთებში, ასე ეუბნება ჰუპერტი ქართველ ქალს ფატი თვალთვაძეს: „ეს ხომ კავკასიის ზალცკამერგუტია![2] მთის სარკეა კავკასიის ზალცკამერგუტი ჩემთვის, შეუდარებელი“.

წიგნის ბოლოსიტყვაობაში იგი ამთავრებს საქართველოს აღწერას, და ამ სტრიქონების გულგრილად წაკითხვა შეუძლებელია: „მრავალი რამ მაგონებს გარეგნულად ჩემს ავსტრიას: თბილისი ჩემს მშობლიურ მთაგორიან ზალცბურგს მახსენებს, იმერეთი — შტირიას, სვანეთი — ტიროლს. აქ არ მაკლია არც ტიროლური სიმღერა და არც გამომწვევი, ექსპრომტად თქმული შაირები.

და თუ, ჩემო მკითხველო, საქართველო კარგად მაინც ვერ დაგიხატე, გაიხსენე ირლანდიაც, იტალიაც, პოლონეთიც, ჰოლანდიაც, ავსტრიაც და შვეიცარიაც და ასე შემდეგ. არც კნუტ ჰამსუნი დაივიწყო, 1903 წელს საქართველოს „თავგადასავლების ქვეყანა“ რომ უწოდა და კარგად თვითონაც ვერ გარკვეულიყო, მართლა ნახა იგი, თუ მხოლოდ ესიზმრა“.

10. ძველ თბილისში რომ დავეხეტებოდი, ერთ-ერთი სახლის შესასვლელთან მემორიალური დაფა ვნახე გაკრული: „აქ ცხოვრობდა პაოლო იაშვილი“. ეს სახლი შორს არის პანთეონიდან, სადაც დიდი ქართველები განისვენებენ. პაოლო იაშვილი! — ვინც ამ სახელს ახსენებს, მაშინვე მეორე სახელიც უნდა წარმოთქვას — ტიციან ტაბიძე! „განუყრელი მეგობრები“, „წითელი კოლხეთის პოეტები“. სხვა ქვეყანაში იოლად ვერსად ნახავთ პოეზიისათვის თავგასაწირად ასე უყოყმანოდ მზადმყოფ პოეტებს: „გაგიჟება სჯობს, თუ გათავდა სიტყვის მადანი, და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით ვეღარ დახვდები...“ (პაოლო იაშვილი, 1926 წ.).

11. კიდევ ერთხელ მივემგზავრებით ბორჯომისაკენ, საქართველოს დიდი მდინარის მტკვრის სათავისკენ; იგი თურქეთიდან მოედინება. ადიდებული მტკვარი ბობოქრობდა, შხუოდა; თბილისში თუ ბორჯომში განუწყვეტლად ჩაგვესმოდა მისი შხუილი. ეს ხმა კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა ბორჯომის გზაზე

[1] ტეპლიცე-შოინაუ — ჩრდილო ბოჰემიის ოლქის ქალაქია ჩეხოსლოვაკიაში. ცნობილია რადიოაქტიური თერმული წყაროებით.

[2] ზალცკამერგუტი — ზემო ავსტრიის ალპური ლანდშაფტი, თავისი ტბებითა და გამოქვაბულებით მრავალ მნახველს რომ იზიდავს (მთარგმნ. შენიშვნა).

გადავუხვიეთ, ამწვანებული მთებისკენ. ამ მთათა უკან დათოვლილი მწვერვალები აღმართულიყო. თბილისიდან ჩრდილოეთისაკენ გავემართეთ, საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა გავიარეთ, შემდეგ გავუხვიეთ დასავლეთისაკენ, როგორც მოულოდნელად გაუხვევს ხოლმე მდინარე, რკინიგზა და... აი, მცირე კავკასიონის მთებიც. ორნახევარ საათს საქართველოს შუაგულში — ქართლში მივდიოდით. ქართლის ვაკე ვრცელი და განიერია, შიშველ მთებშუა მოქცეული. მთები თითქოს დაბინდულა, მოყვითალო-რუხი ფერისაა და ტახტზე გადაფარებულ, ალაგ-ალაგ გახეხილ ღია-მწვანე ხავერდს მიაგავს. გვენატრებოდა მალე გვენახა მწვანე მთები, მასპინძლებმა რომ აღგვითქვეს. „ახლა ტიურინგიის მსგავს ადგილს გაჩვენებთ, ობერჰოფსა და კარლსბადს“, გვამცნო თამუნიამ. ჯერ მეჩხერად მდგარი ფიჭვები გამოჩნდა, შემდეგ ხეობა რომ დავიწროვდა, ფიჭვებიც თანდათან შეჯგუფდნენ, ტყის გრძელ ზოლებად იქცნენ და ბოლოს ველარც კი შევამჩნიეთ, როგორ შევედით ნამდვილ ტყეში. ურთიერთს ეჩურჩულებოდნენ ხეები, მდინარე შხუოდა, მაღლიდან დანგრეული ციხე-გალავნები გადმოგვყურებდნენ და მეგონა, რაინის ან მოზელის ხეობაში ვარ-მეთქი. ოჰ, რამდენი ციხე და ტაძარი ასდევს მტკვარს, თავს ადგას მის სწორ თუ დამრეც, ტყიან თუ მოტიტვლებულ ნაპირებს! ორასამდე ციხე-სიმაგრეს იფარავს თავის მწვანე სამოსში მარტო ბორჯომის ხეობა. სწორედ იქით მიგვაქანებდა ავტომანქანა. მთებიდან მოჰქუხდა ადიდებული მდინარე. თბილისში მდორედ მოედინებოდა რუხი ფერის მტკვარი, აქ კი თიხიან ნაპირებს გლეჯდა, ანატოლიის მთებიდან ჩამოტანილი მიწით გულამღვრეული. ბორჯომთან მთლად გაბოროტებული, თითქმის ჩაშავებული დაგვიხვდა, ქეჩოზე მოყვითალო ქაფი მოეგდო, გლეჯდა ხიდებს, შთანთქმას უქადდა სახლებს და ანგრევდა გზის ნაპირებს. მხოლოდ ბონდის ხიდებს ვერაფერს აკლებდა. ამ ხიდებით მთას შეფენილი სოფლებიდან გლეხებს ბაზარში ჩამოაქვთ ქორფა მწვანილით სავსე კალათები, ანდა გოჭები ჩამოყავთ სახელდახელოდ მოწნული გოდრებით. ბონდის ხიდს ალაგ-ალაგ ფიცრები აკლდა, ზოგი ფიცარი ყანყალებდა, ფიცარსა და ფიცარს შუა მოჩანდა მდინარის აქოჩრილი ტალღები, მაგრამ, ეტყობა, გლეხები არად აგდებდნენ გაავებულ მდინარეს, აუჩქარებლად გადაივლიდნენ ხიდს და მერე, სურნელოვანი ახალი ხახვის გორებს უკან მდგარნი, მოთმინებით ელოდნენ მყიდველს. დამამახსოვრდა ამ ხახვის გემო და მდინარის შხუილი. მას შემდეგ მდინარის ხმას რომ გავიგონებ, ქორფა ხახვი მაგონდება და, როცა ახალ ხახვს ვჭამ, — მდინარის შხუილი მესმის. და დღესაც მენატრება, ნეტავ ისევ გამატარა იმ გზაზე, მცხეთიდან ბორჯომამდე, ბაღ-ვენახებით მოფენილ ქართლის ველზე.

12. კვლავ ქუთაისში ვარ, სადაც ერთ დროს ბერტა ფონ ზუტნერს მზისაგან გამხმარი ნაკელის სუნი სცემია. მე კი აქ ბენზინისა და ზაფხულის სუნი ვიგრძენი. კოლხეთის ღამეში ჩაკარგულები მატარებლით მივაპობთ სივრცეს და ყურს ვუგდებთ მგზავრების საუბარს. ვიმზირებით ფანჯარაში და გავყურებთ კოლხეთს... აქა-იქ სინათლე გაიელვებს... არა, ეს ოქროს საწმისის შუქი არ უნდა იყოს... მატარებელმა მოკიაფე სინათლეს ახლოს ჩაუქროლა, და მე გული ტკივილით შემეკუმშა, რაკი არ შემეძლო ჩამოვმხტარიყავი და იმ შუქთან მივსულიყავი.

გერმანულიდან თარგმნა **ოთარ ხუციშვილმა**

□

ავტორები

კონსტანტინე დიმიტრის ძე ბალმონტი— რუსი პოეტი, დაიბადა 1867 წელს.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ბალმონტის ლექსების პირველი წიგნი გამოიცა 1890 წ. ამფითეატროვის ჟურნალში „წითელი დროშა“ რომელიც საზღვარგარეთ გამოდიოდა, დაიბეჭდა ბალმონტის მეფის საწინააღმდეგო რამდენიმე ლექსი. ამის გამო მას 1905 წლიდან 1913 წლამდე აკრძალული ჰქონდა რუსეთში დაბრუნება.

მხოლოდ 1913 წ. დაბრუნდა ბალმონტი სამშობლოში. 1920 წელს გამოაქვეყნა ლექსები და ამ ლექსებით ოქტომბრის რევოლუციას მიესალმა.

პოეზიაში იგი ითვლება რუსული სიმბოლიზმის ერთერთ ბელადად. კ. ბალმონტმა თარგმნა ბევრი უცხოელი პოეტი. მანვე თარგმნა და გამოსცა შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

ტუდორ არგეზი (1880—1967) სამართლიანად ითვლება რუმინეთის უდიდეს პოეტად. მისი ლექსები თითქმის ყველა ევროპულ ენაზეა თარგმნილი. როცა არგეზი ცოცხალი იყო, რაფაელ ალბეოტის უთქვამს— „შეიძლება არგეზი ყველაზე დიდი პოეტია ცოცხალთა შორისო“.

ცხოვრების რთული გზა განვლო ტუდორ არგეზმა. სიყმაწვილეში ჯერ მართმადიდებლურ ეკლესიას ემსახურა, მერე კათოლიკურს, ბოლოს კათოლიკური ეკლესიაც მიატოვა და თითქმის ხუთი წელი იხეტიალა ევროპაში; ფეხით მოიარა შვეიცარია, საფრანგეთი, იტალია, ინგლისი.

ტუდორ არგეზის შემოქმედება ახალი რუმინული პოეზის სათავეა. მისი ლექსები თარგმნეს ცნობილმა პოეტებმა: ანა ახმატოვამ, მიგელ ანხელ ანტურიასმა, მარია ტერესა ლეონმა, რაფაელ ალბერტიმ, სალვადორე ქვაზიმოდომ და სხვებმა.

ტუდორ არგეზმა გააკეთა და გაამრავალფეროვნა რუმინული ლექსი. იგი იყო შესანიშნავი პროზაიკოსი და პუბლიცისტი. რუმინეთის სახელმწიფო პრემიის ლაურიატი, აკადემიკოსი ტუდორ არგეზი 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.

□

«С А У Н Д Ж Е»

литературно-художественный
альманах
(на грузинском языке)

№ 3

1976

Издательство «М е р а н и»
380008. Тбилиси, пр. Руставели, 42.

გადაეცა წარმოებას 15/III-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/V-76 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17,98.
ნაბეჭდი თაბახი 21. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 328.

ფასი 1 მან.

გარეკანი მხატვარ ემირ ბურჯანაძისა
მხატვრული რედაქტორი ლევან ცუცქირიძე
მხატვარი აკაკი თევზაძე
ტექრედაქტორი რევაზ იმნაიშვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5

Комбинат печати Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили № 5